

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

განათლება

GANATLEBA

· ГАНАТЛЕБА

2011 №1

თბილისი
TBILISI
Тбилиси

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

Грузинский технический университет

განათლება №1

Ganatileba №1

Ганатлеба №1

თბილისი Tbilisi Тбилиси
2011

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

სარედაქციო საბჭო:

ბორის იმნაძე – სრ. პროფესორი, მთავარი რედაქტორი

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი – სრ. პროფესორი, რედაქტორის მოადგილე

ელისაბედ კოზლოვა - ასოც. პროფესორი, პასუხისმგებელი მდივანი

ჩინგიზ ბედალოვი – პროფესორი

კონსტანტინე რამიშვილი – პროფესორი, სემ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

გონა მიქიაშვილი – პროფესორი, სტუ არქიტექტურის ფაქულტეტის დეკანი

ანზორ შავეგულიძე – სრ. პროფესორი

ზურაბ ჩახჩიანი – სრ. პროფესორი

ელისაბედ ხახუტაშვილი – ასოც. პროფესორი

ლეონიდე ჯახაია – სრ. პროფესორი, სემ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი, ზანდუკელის ქ. 1

e-mail: boris151132@rambler.ru

web-გვერდის მისამართი: <http://newsletters.gtu.ge>

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500

ISSN №1512-102X

სარჩევი/ Content /Оглавление

პედაგოგია – Pedagogics – Педагогика

<i>ნანული გუნია.</i> ზეპირმეტყველება და ზეპირი სავარჯიშოები ინგლისურ ენაში . . . <i>Nanuli Gunia.</i> Oral speech and oral exercises in English language <i>Нанули Гуниа.</i> Устная речь и устные упражнения в английском языке	8
ზაირა გურამიშვილი. ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის მთავარი მეთოდები <i>Guramishvili Zaira.</i> The main methods of translating phraseological units <i>Гурамишвили З. Ш.</i> Основные приемы перевода фразеологизмов	13
<i>ნინო კუპრაშვილი.</i> ბოლონიის პროცესის ასახვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეზე <i>Nino Kuprashvili.</i> The Impact of the Bologna Process on modern Georgian Higher Education System <i>Нино Купрашвили.</i> Отражение Болонского процесса на современное грузинское образовательное пространство	17
<i>გ. ა. ნიკურაძე, ჯ. გ. ნიკურაძე, ი. ა. ჩისტიაკოვა.</i> დისტანციური სწავლების ძირითადი თავისებურებების, მიღწევების და ნაკლოვანებების გამოკვლევა და ანალიზი <i>G. A. Nikuradze, J.G. Nikuradze, I.A. Chistiakova.</i> Research and the analysis of the basic features, merits and demerits of remote training <i>Г.А. Никурадзе, Дж.А. Никурадзе, И.А. Чистякова.</i> Исследование и анализ основных особенностей, достоинств и недостатков дистанционного обучения	22
<i>ჯ. გ. ნიკურაძე, გ. ა. ნიკურაძე, ვ. დ. მელაძე.</i> დისტანციური სწავლების განვითარების მოკლე ისტორია <i>J. G. Nikuradze, G.A. Nikuradze, V.D. Meladze.</i> Short history of development of remote formation <i>Дж. Г.Никурадзе, Г.А.Никурадзе, В.Д.Меладзе.</i> Краткая история развития дистанционного образования	26
კონსტანტინე რამიშვილი. აღმზრდელობითი მოღვაწეობა სინერგეტიკული პედაგოგიკის პოზიციიდან <i>Konstantin Ramishvily, Makhir Bairamov.</i> Educational activity from the position of sinergetical pedagogics <i>Константин Рамишвили.</i> Воспитательная деятельность с позиции синергетической педагогики	30
<i>ვ. სიდამონიძე, ლ. სიდამონიძე.</i> ტექსტი, როგორც კულტურის მოვლენა, ან ტექსტის ენის გაკვეთილად გადაქცევა <i>Vanda Sidamonidze, Liqa Sidamonidze.</i> Текст как явление культуры или превращение текста в урок языка <i>V. Sidamonidze, L. Sidamonidze.</i> Text as the cultural phenomenon or transformation of text into the lesson of language	34
<i>სვეტლანა ჩუპრინინა.</i> რუსულის, როგორც უცხო ენის კომუნიკაციური ან პრაქტიკული სწავლების მიმართულება <i>Чупринина Светлана.</i> Коммуникативная, или практическая, направленность обучения русскому языку как иностранному	38

Svetlana Chuprinina. Communicative or Practical Tendency in Teaching of Russian as a Foreign Language

ლ. ჩხენკელი. დამოუკიდებელი სამუშაო, როგორც რუსული ენის სწავლების ამადლების ერთ-ერთი ეფექტური ხერხი 42
Чхенкели Л. В. Самостоятельная работа как один из способов повышения эффективности обучения русскому языку
L. Chkhenkeli. Independent work as one of the effective method for raising the level for teaching

ტუნზალა შარიფოვა. პედაგოგიკის პროფესიონალურ-პიროვნული განვითარება განათლების ინოვაციური პროცესების პირობებში 46
Tunzala Sharifova. Профессионально-личностное развитие педагога в условиях инновационных процессов в образовании
Tunzala Sharifova. Professional-personality development of the pedagogue in terms of innovation processes in the education

საზოგადოებრივი მეცნიერებანი – Social sciences –
Общественные дисциплины

ზურაბ გამეზარდაშვილი. განზომილებები პოლიტიკაში 50
Зураб Гамезардашвили. Измерение в политике
Zurab Gamezardashvili. Parameters in Politics

ზურაბ გამეზარდაშვილი. გლობალიზმის იდეოლოგიები 54
Зураб Гамезардашвили. Идеологемы глобализма
Zurab Gamezardashvili. Globalism Ideologems

თ. ტუნაძე, თ. ორაგველიძე. ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნება და მუზეუმის პრესტიჟი 59
Тუნაძე Т. Орагвелидзе Т. Искусство вербальной коммуникации и престиж музея
T. Tunadze, T. Oragvelidze. Art of verbal communication and prestige of a museum

ელისაბედ (იზა) ხახუტაშვილი, ლია კაპანაძე. საზოგადოებასთან ურთიერთობა – პიარი და მენეჯმენტი 63
Елизавета (Иза) Хакхуташвили, Капанадзе Лия. Связи с общественностью – Пиар и Менеджмент
Khakhutashvili E., E., Kapnadze L.A. Public Relations and Management

ელისაბედ (იზა) ხახუტაშვილი, ლალი ხუნჯარია. მომხმარებლის ქცევის ფსიქოლოგიური ფაქტორები 67
Елизавета (Иза) Хакхуташвили, Лали Хунцария. Психологические факторы потребительского поведения
Elisabet (Iza) Khakhutashvili, Lali Khuntsaria. Psychological factors of consumer conducts

დარეჯან ცუცქერიძე. ქართული სახელმწიფოს მოწყობის ფარნავაზისეული კონცეფციისთვის (ისტორიულ შედარებითი და კონფლიქტოლოგიური ასპექტები) 70
Дареджан Цуцкиридзе. Концепция Фарнаваза о Государственном устройстве Грузии (Историческо сравнительные и конфликтологические аспекты)
Darejan Tsutskiridze. Parnavaz’s Conception of Creation Georgian State (Historical-comparative and conflictological aspects)

საბუნებისმეტყველო დისციპლინები – Science –
Естественноведческие дисциплины

ლალიტა დარჩიაშვილი ზურაბ ჩახჩიანი. გამტარობის მექანიზმი და კვანტური ეფექტები	76
Л. Дарчиашвили, З. Чачхiani. Механизм проводимости и квантовые эффекты L. Darchiashvili, Z. Chachxiani. Mechanism of conductivity and quantum effects	
ო.ზუმბურიძე, ტ. გოჭოშვილი. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები განვითარებულ ქვეყნებში	83
О.Зумбуридзе, Т.Гочошвили. Развитие информационно-коммуникационных технологий (ИКТ) в развитых странах O. Zumburidze, T.Gochoshvili. Information Telecommunication Technologies ICT Development in Developed countries	
იაშუე კალანდაძე, შორენა დეკანოსიძე, შორენა ხიზანიშვილი. მექანიკური რხევების სწავლების შესახებ	93
И. Каландадзе, Ш. Деканосидзе, Ш. Хизанишвили. К вопросу обучения механических колебании I. Kalandadze, Sh. Dekanosidze, Sh. Xizanishvili. To a question of learning mechanical fluctuation	
ვ. მელაძე, ვ. კვინტრადე. ათვლის ინერციული სისტემები. ინერციის პრინციპი	96
Меладзе В. Д., Квинтрадзе В.И. Инерциальные системы отсчета. Принцип инерции. Meladze V. , Kvintradze. V. Inertial reference frame. Principle of inertia	
ჯ. ცერცვაძე. გაცვლითი ურთიერთქმედება და ფერომაგნეტიზმის კრიტერიუმი	99
Дж.В.Церцвадзе. Обменное взаимодействие и критерий ферромагнетизма J. Cercvadze. Exchanging Interaction and Criteria of Ferromagnetism	
ანზორი ხაბეიშვილი. ბზარების გათვალისწინებით რკინაბეტონის კოჭის განივ დარტყაზე გაანგარიშება	103
А.Д. Хабейшвили. Расчет железобетонной балки на поперечный удар A. Khabeishvili. Calculation of iron-concrete girder on lateral stroke	
ლალი ჩაგელიშვილი, მანანა კვირიკაშვილი. თხევადი ხსნარები	106
Лали Чагелишвили, Манана Квирикашвили. Жидкие растворы Lali Chagelishvili, Manana Kvirikashvili. Liquid solutions	
გ. ჩიხლაძე, კ. კოტეტიშვილი, კ. კაპანაძე. ელექტრომაგნეტური რხევების ენერგეტიკული ხედვა	112
Г.Г. Чихладзе, К.В. Котетишвили, К.Г. Капанадзе. Энергетический взгляд на электромагнитные колебания G. Chikhladze, K. Kotetishvili, K. Kapanadze. Energetic view of LC-oscillations	
ირინე ჯანჯღავა, რუსუდან ამაშუკელი. ფიზიკური ცნებების ფორმირების პროცესი	115
И. Джанджгава, Р. Амашукели. Процесс формирования физических понятий I. Djandjgava, R. Amashukeli. Process of formation of physical concepts	
ირინე ჯანჯღავა, მანანა სიხარულიძე. პლაზმური რხევები. პლაზმის გამტარობა	118
И. Джанджгава, М. Сухарулидзе. Плазменные колебания. Проводимость плазмы I. Djandjgava, M.Sikharulidze. Plasmic oscillations. Conductivity of plasma	

ჟურნალისტიკა – Journalism – Журналистика

<i>ქ. გიორგობიანი.</i> მკვ- პოლიტიკური პროცესების სრულფასოვანი და ძლიერი ფაქტორი	122
<i>К.Гиоргобיאни.</i> СМК-полноценный и мощный фактор политических процессов <i>К. Giorgobiani.</i> Mass Media – Valuable and Strong Factor of Political Processes	
<i>თინათინ ზაკარაშვილი.</i> ინტერნეტჟურნალისტიკის ძირითადი მახასიათებლები . .	126
<i>Тинатин Закарашвили.</i> Основные особенности интернет-журналистики <i>Tinatini Zakarashvili.</i> Internet journalism special features	
<i>ვიკა თოდუა.</i> „უოტერგეიტის საქმე“ და მედიის კონტროლი აშშ-ში	130
<i>В. Тодуа.</i> "Уотергейтское дело" и контроль меди в США <i>V. Todua.</i> The Watergate story and control of media in USA	
<i>ბ. იმნაძე.</i> მასობრივი კომუნიკაცია და მისი გავლენა სულიერი სიმდიდრის შექმნის პროცესზე	134
<i>Б. Имнадзе.</i> Влияние массовой коммуникации на процесс создания духовных ценностей <i>B. Imnadze.</i> Influence of mass communications on the process of formation of spiritual values	
<i>მარიამ მჭედლიძე.</i> როგორ ახდენს მასმედია ჩვენი საზოგადოების დამუშავებას .	139
<i>М. Мchedlidze.</i> Как обрабатывает масс-медия наше общество <i>M. Mchedlidze.</i> How the mass media treats our society	
<i>ივ. ჯაგოდნიშვილი.</i> რეკლამის კვლევები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში	142
<i>Иване Джагоднишвили.</i> Исследования рекламы в СМИ <i>Iv. Jagodnishvili.</i> Advertising Research in Mass Media	

ფილოლოგია – Филология – Philology

<i>ნანული გუნია, ნათელა დოღონაძე, მარინა ზორანიანი.</i> like სუფიქსიანი ზედსართავები, რომლებიც აღნიშნავენ მიმსგავსებას	146
<i>Н. Гуниа, Т. Догонадзе, М. Зоронян.</i> Прилагательные с суффиксом -like обозначающее сходство <i>N. Gunia, N. Dogonadze, M. Zoronian.</i> Adjectives with suffix -like, which determine simulation	
<i>ასმათ ევსაია.</i> ფრაზეოლოგიური სინონიმები ქართულ და რუსულ ენებში და მათი თარგმნის თავისებურებები	149
<i>Асмаг Евсаиа.</i> Фразеологические синонимы в грузинском и русском языках и особенности их перевода <i>Asmat Evsaia.</i> Phraseological synonyms in georgian both russian languages and feature of their transfer	
<i>ოლღა კალანდარიშვილი.</i> შეცდომები სახელობითი შესიტყვების ფორმებში	153
<i>Каландаришвили Ольга.</i> Ошибки в именных словосочетаниях <i>Kalandarishvili Olga.</i> Errors in nominal subjunctive word combinations	
<i>ნანა კუპრაძე.</i> კომიზმის ნაკადი და მისი გამოსახვის ძიების პროცესი ვაჟა-ფშაველას პროზაში (მოთხრობა „ჩვენი მამლის“ მიხედვით)	157
<i>Нана Купрадзе.</i> Место комизма в прозе Важа-Пшавела (рассказ "Наш петух") <i>Nana Kupradze.</i> Flow of Comic and Its Image In The Prose Vaja-Pshavela (According To The Story "Our Cock")	

<i>თ. მებუკე</i> . ინტენციონალობა (ლექცია ტექსტის ლინგვისტიკაზე)	161
<i>T. Mebuke</i> . Интенциональность (лекция по лингвистике текста)	
<i>T. Mebuke</i> . Intentionality A Lecture in Text Linguistics	
<i>ო. ონიანი</i> . სვანური საისტორიო სიტყვიერების თემატიკა ტყვეობის ამსახველი გადმოცემები	167
<i>O. Oniani</i> . Тематика сванских исторической словесности: предания о пленных и пленениях	
<i>O. Oniani</i> . Subjects of svans historical literature: legends about captured and captives	
<i>ო. ონიანი</i> . სვანური საისტორიო გადმოცემების თემატიკა	171
<i>O. Oniani</i> . Сванские исторические предания	
<i>O. Oniani</i> . Historical Tales of the Svans	
<i>ბ. ცხადაძე, თ. ჯაგოდნიშვილი</i> ქართული ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურის თანამედროვე ხედვა	176
<i>B. A. Tshadadze, T. I. Jagodnishvili</i> . Современное видение структуры грузинских фразеологизмов	
<i>B. Tshadadze, T. Jagodnishvili</i> . The Modern View of Georgian Phraseologies Structure	

არქიტექტურა – Architectura – Архитектура

<i>დავით ბოსტანაშვილი</i> . დენოტაცია და კონოტაცია არქიტექტურაში	181
<i>D. Bostanashvili</i> . Денотация и коннотация в архитектуре	
<i>D. Bostanashvili</i> . Denotation and connotation in architecture	
<i>დავით ბოსტანაშვილი</i> . ენა - მეტყველების დიქტომია არქიტექტურაში	184
<i>D. Bostanashvili</i> . Дихотомия язык / речь в архитектуре	
<i>D. Bostanashvili</i> . Dichotomy of language / speech in architecture	
<i>ნინო იმნაძე</i> . ორნამენტი და არქიტექტურა	189
<i>Nino Imnadze</i> . Орнамент и архитектура	
<i>Nino Imnadze</i> . Ornament and architecture	
<i>ი. მურღულია</i> . თბილისის სატრანსპორტო მაგისტრალებისა და კვანძების კატეგორიები და მათი განმსაზღვრელი ფაქტორები	196
<i>I. Murghulia</i> . Категории транспортных магистралей и узлов г.Тбилиси и их определяющие факторы	
<i>Irakli Murghulia</i> . Categories of the transport trunks and junctions, and its determining factors	
<i>მაია ძიძიგური, დავით იოსებიძე</i> . ტრადიცია და არქიტექტურა	205
<i>M. Dzidziguri, D. Iosebidge</i> . Традиция и архитектура	
<i>M. Dzidziguri, D. Iosebidge</i> . Tadition and architecture	
<i>თინათინ ხიმშიაშვილი</i> . ძველი თბილისის მწვანე არქიტექტურა	209
<i>Tinatini Khimshiashvili</i> . Green architecture of Tbilisi	
<i>Тинатин Химшиашвили</i> . Зеленая архитектура старого Тбилиси	

პედაგოგია – Pedagogics – Педагогика

ზეპირმეტყველება და ზეპირი სავარჯიშოები ინგლისურ ენაში

*ნანული გუნია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77.*

ზეპირმეტყველება არის ენის მეშვეობით ურთიერთობის პროცესი, ხოლო სავარჯიშოები კი განიხილება როგორც სწავლების ერთ-ერთი საშუალება. ზეპირმეტყველებასა და ზეპირ სავარჯიშოებს შორის პრინციპული განსხვავებაა. ზეპირ სავარჯიშოებს მივმართავთ ცოდნის, თუ ჩვევა-უნარის გამომუშავებაზე მუშაობისას, ამათგან ცოტაა ისეთი სავარჯიშო, რომელიც უშუალოდ გათვალისწინებულია ზეპირმეტყველების აღქმისა და გაგებისათვის. მისი დამოუკიდებლად გამოყენებისათვის მონოლოგურ თუ დიალოგურ ფორმებში.

განასხვავებენ სავარჯიშოთა ორ სახეს – სამეტყველოსა და ენობრივს. სავარჯიშოები, რომლებიც უცხო ენაზე დამოუკიდებლად აზრის გამოთქმის ჩვევა-უნარის გამომუშავებას უწყობს ხელს, ჩვეულებრივ, სამეტყველო სავარჯიშოების სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო ის სამეტყველო სავარჯიშოები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ამა თუ იმ ასპექტის (გამოთქმა, ლექსიკა, გრამატიკა) შეთვისებაში, ენობრივ სავარჯიშოებს წარმოადგენს. ასეთებია – თარგმანი მშობლიურიდან უცხო ენაზე, წინადადებათა შედგენა მოდელის მეშვეობით ან ცალკეული სიტყვებიდან, დიალოგების ზეპირად დასწავლა და ა.შ. მათი ძირითადი მიზანია ენობრივი მასალის შეთვისება.

სამეტყველო სავარჯიშოების მიზანია შეაჩვიოს მოსწავლეები გამოთქვან საკუთარი აზრები. ამიტომაც ასეთი სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები უნდა ფიქრობდნენ არა იმდენად წინადადების ენობრივ ფორმაზე, რამდენადაც მის შინაარსობრივ მხარეზე. ენობრივი ფორმა ამ დროისათვის იმდენად უნდა იყოს შეთვისებული, რომ მან ხელი არ შეუშალოს მოსწავლეს იფიქროს ნათქვამის შინაარსზე.

ენობრივი სავარჯიშოების შესრულებისას (თარგმანი, წინადადების შედგენა, მოყოლა) მოსწავლეები არ ურთავენ თავიანთ მეტყველებაში საკუთარ აზრებს, მათ მზამზარეულად მოწოდებული სხვისი აზრები გადააქვთ უცხო ენაზე. ამიტომაც ისეთი სავარჯიშოებიც კი, როგორცაა კითხვები, ყოველთვის ვერ ჩაითვლება სამეტყველო სავარჯიშოდ. ასე მაგ.: What was the boy's name? How old is he? და ა. შ. ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას მოსწავლე იგონებს ტექსტებში მოცემულ ფაქტებს და ისე გვიპასუხებს. მაგრამ კითხვებზე: Was Ann a student? Why do you think he was a good student? და ა.შ. მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა ჩამოაყალიბოს. ასეთი კითხვები შეიძლება სამეტყველო სავარჯიშოთა ჯგუფს მივაკუთვნოთ, მაგრამ სამეტყველო სავარჯიშოთა ჯგუფს ვერ მივაკუთვნებთ ზეპირად დასწავლას,

როგორც სავარჯიშოს, რადგანაც სამეტყველო სავარჯიშოების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს კავშირი დაამყარონ აზრსა და მის უცხო ენაზე გამოხატვის ენობრივ საშუალებებს შორის. ზეპირად დასწავლილი მასალი ცოდნა კი ყოველთვის არ იძლევა ლაპარაკის საშუალებას, ლაპარაკს მოვახერხებთ, როცა შეგვეძლება ზეპირად დასწავლილ წინადადებაში შემავალი ყოველი ცალკეული ელემენტის შეცვლა და გამოყენება საჭიროების მიხედვით.

იმისათვის, რომ წარმატებით ვიმუშაოთ ზეპირმეტყველების ჩვევათა გამომუშავებაზე, აუცილებელია პირველ რიგში გავარკვიოთ, რას წარმოადგენს ეს ჩვევები.

ზეპირმეტყველება, როგორც ჩვევა, გულისხმობს მოსწავლის შესაძლებლობას გამოიყენოს შესწავლილი ენობრივი მასალა მეტყველებაში უცხო ენაზე და, ამავე დროს, გაიგოს ეს მასალა სხვის მეტყველებაშიც. როგორც მშობლიურ, უცხო ენაშიც, ჩვევა-უნარის განვითარების გზა, ფსიქოლოგების თვალსაზრისით, მიდის აღქმიდან წარმოქმნისაკენ, ხოლო მეთოდური თვალსაზრისითი გაგონება-გაგებიდან მეტყველებისაკენ. ამასთან დაკავშირებით ზეპირმეტყველებაზე მუშაობისას არჩევენ სავარჯიშოთა ორ ძირითად სახეს: 1. სავარჯიშოები, რომელთა მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს სხვისი ნათქვამის გაგების ჩვევა; 2. განუვითაროს საკუთარი მეტყველების ჩვევა.

ზეპირმეტყველებაზე მუშაობის მეთოდები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტულ ამოცანებს, მოსწავლეთა საერთო მომზადების დონეს და მათ ასაკობრივ თავისებურებას. სწავლების სხვადასხვა საფეხურზე სამეტყველო სავარჯიშოები განსხვავებული ხასიათისაა. სწავლების პირველ საფეხურზე ძირითადი მიზანია განუვითაროთ მოსწავლეებს უცხო მეტყველებაზე სწრაფად რეაგირების უნარი, რის გარეშეც ზეპირმეტყველების შემდგომ სწავლებაში რაიმე დადებითი შედეგის მიღწევა შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, პირველდაწყებით საფეხურზე, ე.ი. ნამდვილი ზეპირმეტყველების მზადების საფეხურზე სავარჯიშოები შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაოფილებდეს:

1. სავარჯიშოები უნდა უკავშირებდეს მოსწავლის ნათქვამს მათსავე გამოცდილებას, მის გარემომცველ გარემოს. სამეტყველო სავარჯიშოში ყოველი ნათქვამი უნდა იყოს სწორი, არა მარტო ენობრივად, არამედ ლოგიკურადაც. ასე მაგ.: თუ სიტყვები: I can play football in summer გოგონას ეკუთვნის, მაშინ იგი არ გამოდგება სამეტყველო სავარჯიშოდ, მიუხედავად იმისა რომ, ენის მხრივ აქ ყველაფერი წესრიგშია.

2. სავარჯიშოები ძირითადად უნდა ატარებდეს სწავლების და არა კონტროლის ხასიათს. სამეტყველო სავარჯიშოების შესრულებისას უფრო მიზანშეწონილია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს შეურჩიოს საჭირო სიტყვა ან გრამატიკული ფორმა და ამით მეტყველების საშუალება მისცეს. ეს დახმარება უნდა შემოიფარგლოს ცალკე სიტყვების ან გრამატიკული ფორმების კარნახით. სამეტყველო სავარჯიშოების შესრულებისას გამორიცხულია წინადადებების კარნახი. მასწავლებლის ამოცანაა შეარჩიოს ნათელი და გასაგები სამეტყველო სიტუაცია; ამ სიტუაციის კონკრეტული შინაარსით შევსება კი უკვე მოსწავლეებს ევალებათ. სამეტყველო სავარჯიშოთა შესრულებისას, შეფასების ძირითად კრიტერიუმად ითვლება მეტყველების სისწორე არა იმდენად ფონეტიკის ან გრამატიკის თვალსაზრისით, რამდენადაც მეტყველების შინაარსის თვალსაზრისით. მისი

ლოგიკურად აგების ერთმანეთთან დაკავშირებულ. წინადადებათა რაოდენობის, სხვადასხვა სამეტყველო მოდელის გამოყენებისა და დიალოგური მეტყველების თვალსაზრისით.

ასეთ სავარჯიშოთა შესრულებისას მოსწავლეების მიერ ერთმანეთის შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არაა. ამან შეიძლება დააბნიოს მოსწავლე. ტიპურ შეცდომებზე უნდა მიუთითოთ მხოლოდ პასუხის დამთავრების შემდეგ.

3. სავარჯიშოები უნდა აიგოს თვალსაჩინოებაზე და ტარდებოდეს ზეპირად, რადგან მისი ამოცანაა განუვითაროს მოსწავლეებს ზეპირი მეტყველების მოსმენით გაგების ჩვევა. პირველ რიგში ეს გულისხმობს კითხვებზე პასუხის გაცემისა და მასწავლებლის განკარგულებათა გაგების ჩვევას. სწავლების ამ საფეხურზე მოსწავლეებს უნდა შევასწავლოთ კითხვების დასმა. ამ მიზნით შეიძლება მივმართოთ ასეთ გზას: მასწავლებელი მაგ.; აჩვენებს მოსწავლეებს წიგნს და ამბობს: What do you see? მოსწავლეები ჯგუფურად იმეორებენ – What do you see? ერთ-ერთი მოსწავლე პასუხობს – I see a book. ამ მოდელის შეთვისების შემდეგ მოსწავლეები გადავლენ ახალ მოდელზე და ა.შ. ერთი მოდელიდან მეორეზე გადასვლა არ უნდა მოხდეს მანამ, სანამ პირველი არ იქნება ავტომატიზებული. ასეთი სავარჯიშოები ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს სამეტყველო სავარჯიშოებად, ე.ი. ზეპირმეტყველების განმავითარებელ სავარჯიშოებად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათი შესრულებისას მოსწავლე მეტწილად იმეორებს აზრს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ნაკარნახევი იყო მასწავლებლის მიერ. გარდა ამისა, ეს სავარჯიშოები მიმართულია ერთი და იგივე სამეტყველო მოდელის ავტომატიზაციისაკენ, ხოლო ერთი და იგივე სამეტყველო მოდელის მიხედვით აგებული წინადადებები ჯერ კიდევ არ ნიშნავს პროდუქტულ მეტყველებას. მაგალითად, ასეთი წინადადებები – I like to read books. I like to read English books. I like to read English books at home. ა.შ. წინადადებები არ უნდა ემსახურებოდეს ერთი და იგივე მოდელის უბრალოდ გაშლას სიტყვების შეცვლით. თვით მოცემული მოდელის შიგნით ისინი უნდა წარმოადგენდნენ ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული აზრების ჯაჭვს. ასე მაგ.: I like to read books. After my lessons I often go to the library. Sometimes I take English books home. My friends also take books from the library და ა.შ.

სწავლების პირველ საფეხურზე უშუალოდ ზეპირი მეტყველების ჩვევების გამომუშავებასთან დაკავშირებულ სავარჯიშოებს უმნიშვნელო ადგილი ეთმობა.

რაც შეეხება სწავლების შემდგომ საფეხურს, შეთავსებული ენობრივი მასალის მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება თვით ზეპირმეტყველების სავარჯიშოების რაოდენობა და მათი სახეობა. ასე მაგ.: სწავლების მეორე საფეხურისათვის რეკომენდებულია სავარჯიშოთა შემდეგი ტიპები:

1. სამეტყველო მოდელს – სავარჯიშოს სახით აწვდის თვით მასწავლებელი. მოსწავლეებმა უნდა დაამთავრონ მასწავლებლის მიერ დაწესებული წინადადება და ამ მიზნით შეარჩიონ საჭირო სიტყვები. ასე მაგ.: თუ გვინდა საუბარი თემაზე „Family“, მასწავლებელს შეუძლია მიაწოდოს მოსწავლეებს შემდეგი სახის მოდელები:

My Friends family is...

He has...

They live...

His father works...

His mother...

My friend's father gets up...

When he comes home

ეს მოდელები სხვადასხვაგვარად შეიძლება განვავრცოთ.

2. მოსწავლეთა ამოცანა რთულდება: მათი მოვალეობაა მოცემულ წინადადებას დაუმატონ ლოგიკურად დაკავშირებული მეორე წინადადება ახალი სამეტყველო მოდელის გამოყენებით. ასე მაგ.: I see a window. The window is big and bright. არ ვარგა თუ მოსწავლე იტყვის – I see a window. I see a flowers in front of it.

3. კლასს ეძლევა მხოლოდ თემა. ყოველმა მოსწავლემ უნდა იფიქროს როგორც წინადადების შინაარსზე, ისე იმ სამეტყველო მოდელზეც, რომელთა მეშვეობითაც უნდა გადმოგვცეს ეს შინაარსი.

ამ სახის სავარჯიშოთა გარდა სამეტყველო სიტუაციის შესაქმნელად კარგია გამოვიყენოთ სურათებიც. ჩვეულებრივ, სურათის შინაარსი უნდა ემთხვეოდეს იმ ნათქვამის შინაარსს, რომელიც მოსწავლეებისაგან გვინდა მოვისმინოთ. ასეთ შემთხვევაში უკეთეს შედეგს მივაღწევთ თუ მოსწავლეებს მივცემთ არა ცალკე სურათებს, არამედ სურათების მთელ სერიას, რადგან სურათების სერიები მოითხოვს მოსწავლეთაგან ერთზე მეტი მოდელის გამოყენებას. სურათის გამოყენებისას ზეპირი მეტყველების ჩვევის განვითარების მიზნით, მოსწავლეს უნდა შევაგნებინოთ, რომ თავის მეტყველებაში ასახოს არა მარტო ის ფაქტები, რომელსაც სურათზე ხედავს, არამედ ისიც, რაც ასე თუ ისე დაკავშირებულია ან შეიძლება დაუკავშირდეს სურათზე მოცემულ საგნებს, პირებს, მათ მოქმედებას. მოსწავლეები უნდა შევაჩვიოთ აზრის დამთავრებას, მსჯელობას. სურათი არის მხოლოდ ამოსავალი პუნქტი, მეტყველების საფუძველი, სიტუაცია, რომელიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გამოიყენოს აზრის გამოთქმისას, რაც შეიძლება მეტი, მისთვის უკვე ცნობილი სამეტყველო მოდელი და სიტყვა. მაგრამ ამის ნიმუში თავდაპირველად, რა თქმა უნდა, მასწავლებელმა უნდა მისცეს. ასე მაგ.: ვთქვათ სურათზე ვხედავთ სამკითხველო დარბაზს, სადაც ბევრი მოსწავლე კითხულობს. მასწავლებელს შეუძლია ეს სურათი შემდეგნაირად აღწეროს: I see many pupils in the picture. Some of them are big and others are little ones. I think they are in different forms. They all like reading. They often come to the library after school and read books. Sometimes they come here on Sunday too.

სურათზე მუშაობისას რეკომენდებული არ არის თარგმნითი ან კითხვა-პასუხის სავარჯიშოს გამოყენება, რადგანაც ეს სავარჯიშოები თავისი სპეციფიკით არ შეიძლება მონოლოგური მეტყველების ბაზად გამოდგეს, მაგრამ მონოლოგური ზეპირი მეტყველების განვითარებაზე მუშაობა არ მთავრდება სურათზე მუშაობით. საბოლოო მიზანია მოყოლა, მოსწავლის დამოუკიდებელი მსჯელობა განსაზღვრული თემატიკის ფარგლებში.

აქამდე განხილული ყველა სავარჯიშოს ძირითადი მიზანი იყო მოსწავლეებში მონოლოგური მეტყველების განვითარება.

სავარჯიშოები – კითხვა, ანალიზი, დიალოგების დაზეპირება და სხვ. ფაქტიურად ხელს უწყობს მოსწავლეებში უფრო მეტად სწორი წარმოთქმისა და ინტონაციის ჩვევის გამომუშავებას, ამდიდრებს მათ ლექსიკას.

ყველა ეს სავარჯიშო წარმოადგენს მხოლოდ ბაზას, რომელზედაც შემდგომში უნდა ავაგოთ ის სავარჯიშოები, რომელთა ძირითად დანიშნულებას ზეპირმეტყველების ჩვევა-უნარის გამომუშავება წარმოადგენს. ამგვარ სავარჯიშოთა მეშვეობით შეიძლება ვასწავლოთ მოსწავლეებს დიალოგური ცოდნის გარეშე დიალოგური ზეპირმეტყველებისათვის

დამახასიათებელი შტამპები, რომელთა ცოდნის გარეშე დიალოგური მეტყველების შეთვისებაზე შემდგომი მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. ასეთ შტამპებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი – Hello! Good Morning! All right; Come here; Good bye; Thank you; Let's go; I'm glad; How nice; What about და ა.შ.

დიალოგურ შტამპებს მოსწავლეები ითვისებენ მოკლე დიალოგების ზეპირად დასწავლით. ასეთ დიალოგებს ვწერთ დაფაზე და ვთარგმნით, ამის შემდეგ მოსწავლეები ჯგუფურად სწავლობენ მას.

ამ მიზნით განკუთვნილი სავარჯიშოს შემდეგ სახეს წარმოადგენს სქემებით დიალოგების შედგენა. მასწავლებელი მიუთითებს თემაზე, აძლევს მოსწავლეებს საკვანძო სიტყვებს და დიალოგის სქემას გამოტოვებული ადგილებით. ერთ გაკვეთილზე მხოლოდ ერთ დიალოგს, ასე მაგ.:

Good morning, Nina!

..., Kate;

Is Olga..?

Yes, ... Come in, I'll

...I want to speak to her about...

... go into the dining-room.

დიალოგური მეტყველების ჩვევის გამოსამუშავებლად მოსწავლეებს გამოვეუშუშავებთ სწრაფ და გააზრებულ რეაქციას თანამოსაუბრის რეპლიკაზე. ამისათვის მასწავლებელი ამბობს წინადადებას გარკვეულ თემასთან კავშირში. მოსწავლეთა ამოცანაა პასუხი გასცენ ამ წინადადებას, მიაწოდონ რეპლიკა თემატიკის ფარგლებში. მაგ.: ავიღოთ თემა „My Family“

მასწავლებელი – I have one brother.

მოსწავლე – I have one brother too.

მოსწავლე – I have two brothers

მოსწავლე – I have no brothers.

მოსწავლე – I have a sister და ა. შ.

ანდა მასწავლებელი – My brother works at a factory.

მოსწავლე – My brother works at a factory too.

მოსწავლე – My brother is a doctor, he works at an hospital.

მოსწავლე – My brother does not work, he is a student და ა.შ.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ფაქტები, რომელზეც მოსწავლეები ლაპარაკობენ, შეესაბამებოდეს რეალურ სინამდვილეს.

გარდა ამგვარი სავარჯიშოსი, კარგი იქნება თუ მოსწავლეებს მივცემთ ისეთ სავარჯიშოებს, რომლებიც შეაჩვენებს მათ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, იქვე დასვან კითხვა მოცემული თემის ფარგლებში; მაგ.

Do you like to play volley-ball?

Yes, I do. But I don't
play very often. Do you
play volley-ball every day?

Yes, I do, But I don't know where
to play on Sunday. Where do you go to
play volley-ball on Sunday? და ა.შ.

ამგვარი სავარჯიშოები უვითარებს მოსწავლეებს საუბრის ჩვევას, მაგრამ ამის მიღწევა არც თუ ისე ადვილია. საჭიროა სისტემატური მუშაობა (7-10 წ. ყოველ შემთხვევაში). უნდა გვახსოვდეს, რომ დიალოგური სიტუაციები უნდა იყოს კონკრეტული, განსაზღვრული, ე.ი. ისინი საშუალებას უნდა აძლევდეს მოსწავლეებს შეადგინონ ერთი ან ორი დიალოგი; რის შემდეგაც დიალოგის სიტუაცია უნდა შეიცვალოს ან მიეცეს ახალი სიტუაცია. ამ გზით მოსწავლეები შეძლებენ გამოიყენონ მაქსიმუმი განვლილი ლექსიკონიდან მოცემულ თემაზე. გარდა ამისა, ახალი სიტუაცია აიძულებს მათ გამოიყენონ

დიალოგის სხვა ვარიანტები, რაც მათ აძლევს დამოუკიდებელი აზროვნების სტიმულს.

ამგვარად, ჩვენი ამოცანაა სწავლების მეორე საფეხურზე ზეპირმეტყველების განვითარებისათვის მოსწავლეებს შევასწავლოთ ახალი ენობრივი მასალის გამოყენება მეტყველებაში; მეორე მხრივ, გავზარდოთ შეგნებულობა სწავლების პროცესში.

სწავლების მეორე საფეხურზე დაწყებით ეტაპთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება წმინდა მექანიკურ სავარჯიშოთა რაოდენობა, რამდენადაც მუშაობა სამეტყველო მოდელების ავტომატიზაციისათვის ამ საფეხურზე უმეტესად შემოქმედებითი ხასიათისაა.

ლიტერატურა:

1. შ. შათირიშვილი – უცხოური ენების სწავლების მეთოდის საკითხები, თბილისი, 1979 წელი.

2. გ. ჯანჯღავა, ნ. გუნია – უცხო ენების სწავლების მეთოდის საკითხები უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, თბილისი, 1993 წელი.

Oral speech and oral exercises in English language

Nanuli Gunia

The task of the article is to show the difference between oral speech and the oral exercises, various kinds of exercises, their purposes and forms. The methods of oral speech work are analyzed and the habits of oral speech are also worked out.

Устная речь и устные упражнения в английском языке

Нанули Гуниа

В статье рассматривается разница между устной речью и устными упражнениями, виды упражнений, из цели и формы. Также проанализированы методы работы устной речи и выработка привычки устной речи.

Основные приемы перевода фразеологизмов

Гурамишвили З. Ш.

*Грузинский технический университет,
Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77*

Основным уровнем языка, где наиболее ярко проявляется стилевая индивидуальность, является лексика. Язык располагает большим арсеналом средств, однако главное требование к хорошему тексту таково: из всех языковых средств для создания определенного текста должны быть выбраны такие, которые с максимальной полнотой и эффективностью выполняют поставленные задачи общения, или коммуникативные задачи.

Слово играет ответственную роль в любом жанре письменного и устного высказывания, и вполне закономерно, что слова в предложении или в словосочетании должны подбираться с надлежащей смысловой и стилистической сочетаемостью.

В современной лингвистике усилилось внимание к проблеме лексических и фразеологических образований, т.к. за последние два десятилетия фразеология выросла в крупный раздел языкознания и представляет исключительную важность для науки перевода.

Фразеологические обороты широко используются во всех речевых стилях, но в различной функции: если в научной и официально-деловой речи употребляются, как правило, общелитературные, межстилевые устойчивые обороты, выступающие в номинативной функции, то в художественной литературе, в публицистических произведениях, в разговорной речи на первый план нередко выдвигается экспрессивно-стилистическая сторона фразеологизмов книжного и разговорно-бытового характера с их большими выразительными возможностями.

Среди многочисленных сложных проблем, которые изучает современное языкознание, важное место занимает изучение лингвистических аспектов «межъязыковой речевой деятельности», которую называют «переводом», или «переводческой деятельностью».

Основная задача переводчика, несомненно, сам перевод и его последующая обработка – адаптация. Текст требует некоторой обработки, которая, в свою очередь, затрагивает и информационный состав переводимого текста, и его стиль.

В. В. Виноградов выделил три основных типа фразеологических единиц, которые были названы «фразеологизм сращения», «фразеологизм единства», «фразеологизм сочетания», к которым Н. М. Шанский добавил четвертый тип ФЕ – «фразеологические выражения».

Если говорить в теоретическом плане о приемах перевода ФЕ, то, безусловно, показательной в отношении творческого подхода к переводу ФЕ, можно считать работу Л. В. Федорова, который, опираясь на классификацию в теории и практике перевода, предложенной Виноградовым, осмысливает ее с точки зрения переводоведения.

Федоров отмечает отсутствие четких границ между отдельными рубриками, «разную степень мотивированности, прозрачности внутренней формы и национальной специфичности».

Именно от степени слитности компонентов, несомненно, зависит возможность полноценного перевода, выбор наиболее удачных приёмов, что не мешает ведущим теоретикам делать ряд модификаций и оговорок, вводить дополнительно деление на образные и необразные единицы, на фразеологизмы пословичного и непословичного типа и т. д.

Таким образом, ФЕ переводят либо фразеологизмом - фразеологический перевод, либо иными средствами (за отсутствием фразеологических эквивалентов и аналогов) - нефразеологический перевод.

Фразеологический перевод – перевод устойчивых единиц от полного и абсолютного эквивалента до приблизительного фразеологического соответствия.

Если говорить о фразеологическом эквиваленте, то он по всем показателям равноценен переводимой единице. Здесь не должно быть различий в отношении смыслового содержания, стилистической отнесенности, метафоричности и эмоционально-экспрессивной окраски, он должен обладать рядом одинаковых лексико-грамматических показателей. Одним словом, это полная и абсолютная эквивалентность.

Что же касается неполного фразеологического эквивалента, то он обладает соотносительной многозначностью единицы, но не во всех ее проявлениях.

Относительный фразеологический оборот уступает абсолютному лишь в том, что отличается от исходной ФЕ но какому-либо из показателей: другие, часто синонимические компоненты, небольшие изменения формы, синтаксического построения, сочетаемость и т. д.

Гораздо чаще случая относительной фразеологической эквивалентности, когда эквивалент может отличаться от исходной ФЕ по компонентному составу: один и том же образ может быть выражен экономнее или пространнее.

Они могут быть очень близкими; могут быть весьма далекими, но логически сопоставимыми: например, «похожесть» русский, болгарин видят «в двух каплях воды», у англичанина – «две горошины», у грузина и азербайджанца «две половинки одного яблока».

В принципе, возможность передавать ФЕ аналогами с образностью, объясняется главным образом тем, что по большей части это стёртые или полустёртые метафоры, где степень яркости образа очень низкая, что и является одной из главных предпосылок для выбора перевода между аналогом и калькой.

Что касается «индивидуальных» эквивалентов, то переводчик, не находя в переводимом языке полного соответствия, вынужден иногда прибегать к словотворчеству, оформляя новый, свой фразеологизм, максимально напоминающий «естественный».

Подходящим примером кажется приведенный Ю. Катцером и А. Куниным описательный перевод, который хорошо иллюстрирует один из путей создания индивидуального эквивалента.

Передавая на английский язык русскую пословицу *копейка рубль бережет*, они берут близкую английскую, заменяют в ней пенсы копейками и фунты рублями, получая превосходную пословицу *take care of the copecks*.

Таким образом, удается не только передать содержание, в том числе и подтекст пословицы, но и сохранить и реалии, причем в очень удобной для восприятия англичанином форме.

При этом используются фразеологические обороты не только в том виде, как они существуют в языке, но и в измененном виде, обновляя семантику, структуру и экспрессивно-стилистические свойства ФЕ.

Создаются новые смысловые оттенки, появляются новые художественные качества фразеологизмов, обогащаются связи слов.

Следует обратить внимание на то, что фразеологические эквиваленты и аналоги чаще всего встречаются в следующих группах устойчивых единиц, а именно в интернациональной фразеологии.

К ней принадлежит ФЕ, которые вошли в языки многих народов из исторических, мифологических, литературных источников, заимствовались из языка в язык или же возникали у разных народов вследствие человеческого мышления, социальной жизни, трудовой деятельности, развития науки и техники.

Фразеологизмы выражают национальные идеи и идеалы, воспроизводят из поколения в поколение культурно-национальные установки и традиции народа – носителя языка; формируют культурные стереотипы.

При переводе фразеологических высказываний на другие языки важно сохранить все оттенки и качества, присущие словосочетанию родного языка.

У Георгия Цибахашвили в работе «Вопросы теории и практики перевода» приведен интересный пример из повести Реваза Инанишвили:

ერთ მარტოხელა დედაბერს ღამით მწიფე ბალი ჩამოუკრიფეს. დილით შარაზე გამოსულმა მოზარდებმა დაინახეს, როგორ მწარედ ტიროდა მოხუცი

და თვითონაც კახურად დაუწყეს გინება ამ საქმის ჩამდენს. ერთმა ბიჭმა ვეღარ მოითმინა და ამხანაგებს შეუტია, გეყოფათ მაგდენი გინებაო.

– რა ვქნა, შენ რა კუდი აგეწვა? ალბათ შენი ნახელავი იქნებაო, – შენიშნა ერთმა.

ამ გამოთქმაში არც „კუდია“ მნიშვნელობის მქონე და არც „აწვა“, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანს კუდი არ აქვს და იმიტომ ვერ აეწვება. ამ გამოთქმის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა მოდიოდეს მეცხვარე მწყემსების ამჟამად დავიწყებული წესიდან: წუწვი ძაღლის თავიდან მოცილება რომ უნდოდათ, მაგრამ მოსაკლავად ვერ ემეტებოდათ, კუდზე პატარა მუგუზხალს მიაბამდნენ, ბეწვს ცეცხლი მოედებოდა, ძაღლს კუდი აეწვებოდა, იწყებდა წკმუტუნს და გაიქცეოდა. მუგუზხალს იგი სადმე მოცილებდა, მაგრამ იშვიათად ბრუნდებოდა უკან, იმ ადგილზე, სადაც ასეთი რამ შეემთხვა.

Русский вариант «На воре шапка горит», или «Нет дыма без огня», ближе всего данному фразеологизму, а дословный перевод («хвост загорелся») был бы здесь неуместен, так как что понятно и естественно грузину, то будет совершенно непонятно человеку другой национальности. Поэтому переводчик должен предпринять что-либо, чтобы не потерять при переводе такое живое словосочетание и не затруднить иностранному читателю восприятие художественного текста.

В художественных произведениях фразеологизмы употребляются очень часто, что придает речи эмоциональность, разнообразие, бодрость, красоту.

При выборе приемов перевода ФЕ учитываются все показатели исходной ФЕ, и в не в последнюю очередь, её стиль и колорит; иногда именно стилистическое несоответствие или наличие колорита не допускает в перевод, казалось бы, самую подходящую единицу. Один из ярких примеров разностильных синонимов – фразеологизмы «умирания»: от приподнятых *уйти в иной, лучший мир, испустить дух, уснуть вечным сном* до грубо просторечных *дать дуба, отдать концы, сыграть в ящик*; если добавить и соответствующие лексические синонимы – от почтительного *скончаться* и приподнятого *опочить* до грубого просторечного *загнуться* или *окочуриться*, а таких десятки, то переводчику предстоит трудный выбор, т. к. в некоторых иностранных языках нет такого обилия синонимов, и переводчик должен вникнуть со всей серьезностью в контекст, чтобы выяснить для себя намерения автора и из десятков вариантов выбрать единственный – тот, который выбрал бы автор, если бы писал по-русски.

Вопрос об индивидуально-авторском использовании ФЕ привлекает в последнее время внимание многих ученых, в том числе и теоретиков перевода. Тем не менее, общего исследования пока нет, и будущим авторам придется немало поработать над этой проблемой, чрезвычайно важной для практики перевода.

Проблеме перевода фразеологизмов уделено немало внимания и в теоретических работах, и в каждом пособии по переводу. Связанные с этим проблемы рассматриваются по-разному, рекомендуются различные методы перевода. И это правильно: однозначного решения здесь не может быть. В различных ситуациях требуется разный подход.

Литერატურა

1. С. Влахов. С. Флорин. «Непереводимое в переводе» - М., 1980.
2. В. М. Мокиенко. Загадки русской фразеологии. М., - Просвещение, 1975.
3. Бельчиков Ю. Д. Проблемы изучения стилистики. Лексическая стилистика – М., 1988.
4. Цибахашвили. Вопросы теории и практики перевода. Изд. ТГУ, Тбилиси, 2000 г.

5. Фразеологический словарь русского языка (под редакцией Молоткова А. И.) Изд. Русский язык. М. – 1978.
6. Комиссаров В. Н. Современное переводоведение. – М., 2000.
7. Двойнина Е. В., Пиввуева Ю. В. Пособие по теории перевода. – Филоматис, 2004.

ფრაზეოლოგიური ერთეულების თარგმნის მთავარი მეთოდები

გურამიშვილი ზაირა

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას ქ. 44,*

ეს სტატია არ მოიცავს ყველა საკითხის კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემებთან. ნაშრომში მოცემულია მაგალითები, რომლებიც ახასიათებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. განსაზღვრულია სიტყვების თანწყობა, რომლებიც არ წარმოადგენენ ლექსიკური თარგმნის მაგალითებს. მოცემულია რუსული ფრაზეოლოგიური მაგალითები, რომლებიც ექვივალენტური ქართულის. ფრაზეოლოგიზმების თარგმნა საკმაოდ ინტელექტუალური და საინტერესო ნაწილია თარგმნის შესწავლაში.

The main methods of translating phraseological units

Guramishvili Zaira

*Georgian Technical University,
77 str. Kostava, Tbilisi*

In given clause are captured not all complexes of questions connected with a problem of translation of phraseological units. In this work are given examples describing phraseological unit, attributes, there are defined combinations of such words which are not examples of lexical translation. Examples of such Russian phraseological units which are equivalent and similar to Georgian phraseological units. Translation of phraseological units is intellectual an interesting work in studying translation.

ბოლონიის პროცესის ასახვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეზე

ნინო კუპრაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების
სამსახურის მთავარი სპეციალისტი*

ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში საკმაოდ აქტუალური სადისკუსიო თემაა. მასზე საერთაშორისო კვალიფიკაციის მქონე მეცნიერები და პოლიტიკოსები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის ქართულ სინამდვილეში ასახვასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო კითხვა რჩება.

წინამდებარე თემის მიზანს წარმოადგენს ბოლონიის პროცესის დამკვიდრების ასახვა ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში და იმ ხარვეზების

გამომქლავნება, რომლებიც ბოლონიის პროცესის გავლენას შეიძლება ახლდეს თან. ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა იმ ძირითად ორიენტირებს ინარჩუნებს, რომლებიც ბოლონიის კონვენციის პროგრამაშია ჩამოყალიბებული.

1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის განათლების მინისტრმა დეკლარაციაზე ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარა პროცესს, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება. დეკლარაციის თანახმად, “კრედიტების მოპოვება შესაძლებელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების ფარგლებს გარეთაც, მაგალითად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ჩათვლით”.

ბოლონიის პროცესის გავლენით ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მასშტაბური სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების, ძირეული რეფორმების დაწყებამდე, ევროპის უნივერსიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში უწყვეტი განათლების ფარგლებში ზრდასრულთა მომსახურებას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფებისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პირობების შექმნას უნივერსიტეტებში ფრაგმენტული, არასისტემური ხასიათი ჰქონდა და ეს, ძირითადად, ამა თუ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კეთილ ნებაზე, ამა თუ იმ ქვეყანასა და უნივერსიტეტში უკვე არსებულ გამოცდილებასა და ტრადიციაზე იყო დამოკიდებული.

საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს შეუერთდა. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრობა ნიშნავს ევროპულ სივრცესთან თავსებად უმაღლესი განათლების სისტემას, განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას, უნივერსიტეტის ავტონომიას, დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს და ა.შ. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998).

2001 წელს პრადის კომუნიკეში კარგად გამოიკვეთა უწყვეტი განათლების მნიშვნელობა. კერძოდ, აღინიშნა, რომ: “სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში არის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი ელემენტი”. ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებისა და ეკონომიკაზე აგებულ მომავალ ევროპაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგია აუცილებელია, რათა პიროვნება მომზადებული შეხვდეს იმ გამოწვევას, რომელსაც უმზადებს კონკურენცია და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. ეს სტრატეგია ასევე აუცილებელია სოციალური ურთიერთობების, თანასწორი შესაძლებლობებისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2003 წელს ბერლინის კომუნიკეში ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა ხაზგასმით აღნიშნეს უმაღლესი განათლების მნიშვნელობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უზრუნველსაყოფად. მათ იტვირთეს ვალდებულება, რომ მომავალში მიიღებდნენ სათანადო ზომებს, რათა ცვლილებები შესულიყო მათი ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკაში აღნიშნული მიზნების რეალიზებისთვის; დაარწმუნებდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ყველა დაინტერესებულ პირს, გაეზარდათ შესაძლებლობები, რათა უმაღლესი განათლების დონეზე უზრუნველყოფილიყო სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, წინა განათლების აღიარების ჩათვლით. მინისტრებმა

აღნიშნეს, რომ ამგვარი საქმიანობა უმაღლესი განათლების შემადგენელი ნაწილი გახდებოდა.

გარდა ამისა, ბერლინის კომუნიკეში მინისტრებმა მოუწოდეს მათ, ვინც მუშაობს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების სტრუქტურაზე, შექმნან სწავლის ფართომასშტაბიანი, მოქნილი გზები, შესაძლებლობები და ტექნიკური რესურსები და უზრუნველყონ კრედიტების დაგროვებასა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) კრედიტების სათანადო გამოყენება. მინისტრებმა ყურადღება გაამახვილეს ყველა მოქალაქისთვის პირობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, მათი უნარისა და მისწრაფებების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა უმაღლესი განათლების სფეროში.

2005 წელს ბერგენის კომუნიკეში მინისტრებმა საგანგებოდ მიუთითეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციებისა უფრო ფართო სტრუქტურების თავსებადობა. ეს მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროფესიულ განათლებასა და წვრთნას და შემუშავებულია ევროკავშირისა და ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების მიერ.

ლონდონის კომუნიკე, რომელიც 2007 წელს მიიღეს, უკვე კრიტიკულად აფასებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლაში უნივერსიტეტების მიერ შეტანილ წვლილს, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმრავლესობაში მოქნილი სწავლების გარკვეული ელემენტები არსებობს, თუმცა სისტემური მიდგომა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. მინისტრებმა თხოვნით მიმართეს ბოლონიის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს, ხელი შეეწყოს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლაში უმაღლესი განათლების როლთან დაკავშირებით სასარგებლო გამოცდილების გაზიარებასა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. კომუნიკეში აღინიშნა, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების აღიარების მექანიზმებით, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია განვითარებული. მინისტრებმა ბოლონიის გაფართოებულ სამუშაო ჯგუფს მოუწოდეს, ენიკს ნარიკთან თანამშრომლობით შეიმუშაონ წინადადებები წინმსწრები განათლების აღიარებასთან დაკავშირებით.

ამჟამად ბოლონიის პროცესში ევროპის 46 ქვეყანაა ჩართული. საქართველო აღნიშნულ პროცესს 2005 წელს, ბერგენის სამიტზე შეუერთდა.

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უმაღლესი განათლების საერთო სივრცის შექმნაა. ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი წინაპირობაა სტუდენტების თავისუფალი გადაადგილება სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მისაღებად. ევროპის ქვეყნებში სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით, შეიმუშავდა კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (European Credit Transfer System - ECTS). ტრანსფერის ეს სისტემა სტუდენტს ხელს უწყობს, შეუფერხებლად გადაადგილდეს ქვეყნებს ან ერთ ქვეყანაში არსებულ სასწავლებლებს შორის ისე, რომ მის მიერ დაგროვებული კრედიტები აღიარებულ იქნას მის მიერ შერჩეულ სასწავლებელში.

კრედიტი, განმარტების თანახმად, წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვის საზომ ერთეულს. სტუდენტების მუშაობის შეფასებისთვის პირველად კრედიტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ჰარვარდის უნივერსიტეტში, XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს. შემდეგ ეს სისტემა დიდ ბრიტანეთში და მერე უკვე მთელ ევროპაში გავრცელდა. სისტემამ ტრან-

სფორმირება განიცადა და ევროპის რიგ ქვეყნებში მისი სხვადასხვა ვარიანტი გამოიყენება.

აღნიშნულმა პროცესმა დადებითი შეფასება დაიმსახურა არა მარტო საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ საერთაშორისო ექსპერტების მხრიდანაც: “აშკარაა, რომ ძალზე დიდი პროგრესი იქნა მიღწეული განათლების სისტემაში ბოლონის რეფორმის დანერგვისას. სამსაფეხურიანი სტრუქტურა არათუ დაინგრა, არამედ განხორციელდა. უმაღლესი განათლების მიზნების კარგად გაანალიზებისა და განსჯის საფუძველზე საქართველო გვთავაზობს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ბოლონის პროცესის ეფექტურად გამოყენება უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მხარდასაჭერად”, - ნათქვამია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ანგარიშში: “უნივერსიტეტები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოყალიბების პროცესში”.

სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა მობილობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს კრედიტებისა და ტრანსფერების დაგროვების სისტემა წარმოადგენს. ბოლონის დეკლარაციის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა სწორედ ამ სისტემის დანერგვა.

უმაღლესი სკოლების სპეციალიზაციისა და განათლების ხარისხის შემოღების შედეგად, XIX საუკუნის ბოლოდან უმაღლესმა სასწავლებლებმა დაიწყეს არჩევითი ანუ ელექტიური სასწავლო პროგრამების სისტემის გამოყენება, რომლის მეშვეობით, სტუდენტი სასწავლო კურსს თვითონ ირჩევდა. კურსი აუცილებელი და ფაკულტატიური ნაწილებისგან შედგებოდა. მას შემდეგ სასწავლო პროგრამების სისტემა არაერთხელ შეიცვალა, თუმცა არჩევითობის პრინციპს ცვლილებები არ შეხებია. უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემას მართვადი ან კონტროლირებადი ფაკულტატურობის სისტემას უწოდებენ. კრიტიკოსების აზრით, მას ღირსებებიც აქვს და ნაკლოვანებებიც. მთავარი ღირსებაა სისტემის ელასტიკურობა, მოქნილობა, რამდენადაც სასწავლო პროგრამები მრავალი, შედარებით მოკლე კურსისგან შედგება და მათი მოდერნიზაცია საკმაოდ ადვილია. სასწავლო პროგრამის მუდმივი მოდერნიზება კი იძლევა სტუდენტებისთვის მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დონეზე განათლების მიცემის საშუალებას, შრომის ბაზარზე მუდმივად ცვალებადი მოთხოვნებისა და უმაღლესი განათლების განვითარების საერთო ტენდენციების გათვალისწინებით. ამ სისტემის ძირითადი ნაკლოვანება სტუდენტების სუსტ თეორიულ მომზადებასა და მათ მიერ მიღებული ცოდნის ფრაგმენტულობაში გამოიხატება.

სწავლების ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პირველ შედეგებთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი მხარდაჭერა, წამყვანი ევროპული ქვეყნების განათლების სისტემებში მის დასანერგად.

გამოყენებული ლიტერატურა

<http://www.president.gov.by/press90315.html>

<http://www.bologna.spbu.ru/>

Е.Ф. Матвейчук «Иновации в образовании и болонский процесс»

Международная научно-практическая конференция «Формирование профессиональной культуры специалистов XXI века в техническом университете». Санкт-Петербург.

http://www.mes.gov.ge/content.php?module=legislation&id=193&type=index&no=&leg_type=5&branch=11&from=&to=&word=&leg_search=search&leg_search.x=24&leg_search.y=9

<http://www.nea.ge/BrowserAlert.aspx>

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩო, 31.VII.2009 წ.

Отражение Болонского процесса на современное грузинское образовательное пространство

Нино Купрашвили

В представленной статье мы затронули вопросы, касающиеся традиций современной грузинской системы образования и внедрения Болонского процесса в грузинское образовательное пространство, а также выявления тех положительных и отрицательных сторон, которые могут следовать за этими процессами.

На этой основе, я хочу подчеркнуть, что становление новой системы высшего образования в Грузии вполне актуальная и дискуссионная тема. Радикально отличающиеся друг от друга мнения ученых и политологов, имеющих международную квалификацию, дают повод думать, что этот вопрос еще не решен до конца международной образовательной системой.

Министры образования 29 европейских стран в июне 1999 года в Болонье подписали Болонскую декларацию в сфере высшего образования. Болонский процесс официально поддерживают 46 государств.

«Окна возможностей» для радикальных трансформаций и транзитов не только открываются, но спустя некоторое время и закрываются. Л. Даймонд, известный американский транзитолог, продемонстрировал это на примере «медленной смерти» некоторых неконсолидированных демократий. Разумеется, это не означает, что с течением времени не появятся другие «окна возможностей» для радикального политического выбора. Просто он уже будет осуществляться в ином общественном контексте и в рамках иной логики. Но такие возможности могут и вовсе не появиться, например, для полновесного включения в процессы глобализации и постиндустриального развития безнадежно «отставших» стран. Принятие нелинейности современного политического развития требует одновременно храбрости, смирения и упорства. Храбрости в принятии «аксиологически неудобной» реальности окружающего нас политического пространства и времени. Смирения в признании ограниченности наших возможностей по воплощению идеального нормативного дизайна в конкретном политическом развитии. И упорства в непрекращающихся, несмотря ни на что, усилиях по его переформированию.

განზომილებები პოლიტიკაში

ზურაბ გამეზარდაშვილი

შეფასებულია პოლიტიკური ტრაექტორიები დროსა და სივრცეში. წარმოდგენილია პრობლემის კონტურები გეოპოლიტიკიდან ქრონოპოლიტიკამდე. მათი ცვალებადობის ლოგიკა და დინამიკა.

Parameters in Politics

Zurab Gamezardashvili

The paper studies and estimates political parameters in time span and space; As well as outlines of problems from geo to chronopolitics, including dynamics and logics of their variations.

Идеологемы глобализма

Зураб Гамезардашвили

Грузинский Технический Университет

Тбилиси, Костава 77

Роль идеологии в первой половине XX века была подавляющей. Если принять за условную единицу измерения роли идеологии пространственный масштаб политических акций, осуществляемых под ее влиянием, то практически три четверти мира, так или иначе, служили ареной для таких политических действий. Это и создание Лиги наций, ценностную основу которой составили идеологемы либерализма. Это и Вторая мировая война — столкновение немецкого нацизма, европейского либерализма и советского социализма, — в ходе которой пострадали вся Европа, часть Африки и часть Азии. Это и революции в России, Китае, ряде стран «третьего мира».

Относительная стабилизация наступила лишь в 1960–1970-е годы, что дало повод экспертам заговорить в это время о «конце» идеологий.

В середине XX века в ряде научных работ был вынесен вердикт идеологии, провозгласивший ее «конец». Озвучили «приговор», в частности, известный исследователь постиндустриального общества американец Д. Белл и немецкий политолог Х. Арендт. Оба автора исходили из предпосылки К. Маркса о том, что идеология есть транслируемый сверху — правящим классом — образ действительности, целостная «картина мира». Они постулировали тождество между ролью идеологии и ее существованием. Со временем элита прекращает играть роль источника идеологии, в результате «определенный образ жизни, права, нормы и ценности, стремления, привилегии, культура — все то, что когда-то составляло исключительное достояние высших классов, — распространяется теперь на всех». Массовая культура деидеологизирована, и с ее окончательной победой, прогнозируемой Беллом, необходимость в идеологии отпадет вообще.

Арендт видела в идеологии идею, претендующую на первенство. В политическом отношении, утверждала исследовательница, возможен лишь театр мнений, где каждый доказывает свою правоту, то поднимаясь до власти, то теряя очки. Никаких тоталитарных мнений быть не должно. С гибелью фашизма — яркого иллюстративного примера идеологии как тоталитарной идеи — утрачивает свою роль идеология вообще. Об этом предупреждал и К. Мангейм, видевший гибель идеологии именно в нивелировании ее экспансивности и универсализма. Утверждая главенство мнений, а не систем, Арендт также спорила с Марксом, ибо невозможно реализовывать свои интересы, то есть создавать эффективные идеологические системы, без ментального уничтожения и подавления противника.

Прогностический потенциал, заложенный в работах Белла и Арендт, был артикулирован в начале 1990-х годов, после окончательного разрушения Советского Союза — своего рода единственного пространства, где идеология претендовала на роль тоталитарной идеи. Казалось, что это настоящий конец идеологии. Об этом написал в своей ставшей классической работе «Конец истории?» Ф. Фукуяма. Он оправдал прогноз Белла: последняя идеология гибнет вместе с СССР и его сателлитами, происходит формирование единственного метода социализации человечества — через демократию и рыночную экономику. У Фукуямы идеология погибает, уступая место свободной конкуренции разных видов масс-культуры.

Концепция Фукуямы органично вписалась в подходы, приобретшие популярность в 1990-е годы, которые можно обобщить одним словом — «постистория». С одной стороны, это был дискурс «постиндустриального общества». Сторонники данного подхода — Белл, П. Дракер, В. Иноземцев и др. — постулировали переход от общества индустриального с акцентом на труд физический к обществу информационному, построенному на интеллектуальном труде и обмене информацией. Выход за рамки индустриального общества резко уменьшал, по мысли исследователей, необходимость в идеологии. В эпоху сжатого информационного пространства и сетевых структур идеология не могла претендовать на структуризацию общества, а, следовательно, терялись ее конструктивность и социализирующая роль.

С другой стороны, дискурс «постмодерна» постулировал окончание эпохи модерна, при которой любая символическая конструкция, в том числе и идеология, являлась не только пространствообразующим, но и смыслообразующим фактором. В эпоху «постмодерна» любое сложно символическое образование, любой социально значимый знак подвергаются новой интерпретации — деконструкции, которая не позволяет той же идеологии оставаться неизменяемой, более того, идеология уравнивается с классической философией. Следовательно, идеология, как продукт «модерна», не может уже играть социализирующую роль, оставаясь актуальной лишь

на уровне отдельных корпораций. Но и там от идеологии остаются лишь элементы — базовые ценности, на которых построены взаимоотношения.

С развитием глобализации в 1990-е годы мнение о конце идеологии было поставлено под сомнение. Справедливости ради следует отметить, что еще в 1970-е годы этот тезис подвергался критике. О. Лемберг, один из представителей направления «реидеологизации», утверждал, что идеология формирует некий мир, внутри которого все согласны на определенные правила. Данный подход отвергал универсализм и экспансию идеологии, сводя ее к функции буфера, разделяющего и определяющего происходящие в мире события. Другой представитель этого направления — Я. Баррион — трактовал идеологию как систему идей, лежащую в основе самопонимания, культурного творчества и политических действий коллектива, будь то государство, нация или большая интегрированная группа. В основе такого взгляда на идеологию лежало признание того факта, что она по-прежнему играет важную роль. Нарастание напряжения между двумя полюсами биполярного мира (в сферу интересов США, как носителя либерализма, попадали одни страны, в сферу интересов СССР, как носителя социализма, — другие), развертывание информационных войн вместо широко-масштабных мировых, — все это свидетельствовало о том, что идеология очень далека от гибели. Даже основоположник тезиса о конце идеологий Белл был вынужден признать, что поспешил с выводами.

Отсутствие ярко выраженных столкновений стало результатом уменьшения значения идеологием. Вторая половина XX века — это время «смешанных» идеологий. Происходит резкое сближение консерватизма и либерализма. На их основе появляется идеология «общества благоденствия». Возникают новые идеологии — неолиберализма, неоконсерватизма, антиглобализма. Смещение идеологических ценностей привело практически к полному нивелированию привычной в классической системе шкалы «правые — центристы — левые». Аналогичная эволюция происходила и в Советском Союзе, с той лишь разницей, что социализм здесь все более утрачивал свою роль. Окончательное падение СССР, — когда симптом в виде «перестройки» стал слишком очевидным, а существовавшие идеологемы оказались не способны заново интегрировать общество, — создало предпосылки для нового взлета идеологии. Однако на основе «смешанных» идеологий осуществить этот взлет было невозможно. Западное общество, не обладавшее ярко выраженными ценностными основаниями (практически забывшее их), не могло интегрировать идеологии в страны бывшего социалистического лагеря. Процесс демократизации потерпел сокрушительное поражение. В то же время в самом факте задействия идеологии можно увидеть ее опять-таки возрастающую роль.

* * *

Исследованию феномена глобализации сегодня уделяется большое внимание. Глобализация, начавшаяся еще в 1950-е годы, стала политической, а затем и социальной реальностью к началу 1990-х. Причем это был не просто очередной исторический процесс, а явление, из-за которого «рушится прежняя картина мира, теряет смысл вся система старых понятий, не функционирует и язык, посредством которого мы могли бы интерпретировать нашу историческую ситуацию». Более того, некоторые исследователи называют саму глобализацию идеологией.

Исследования глобализации можно условно разделить на три направления.

Представители *первого* направления (Р. Робертсон, А. Аппадурай и др.) видят в глобализации процесс становления нового вида социальных отношений в масштабе всего мира. Мир превращается в единое общество, в котором унифицируются

отношения и нивелируются все границы, то есть происходит процесс десоверенизации на всех уровнях — от государства до отдельного индивида.

Сторонники *второго* направления (П. Дракер, Д. Белл и др.) делают акцент на информационной составляющей глобального общества. Информация, пронизывающая глобальное общество, сближает народы, сужая тем самым пространство и время. Распространение информации создает и новую общественную структуру — сетевое общество, в котором главными являются горизонтальные, а не вертикальные (как раньше) связи.

Исследование структуры уже самой информации в ее продуктах (культура, масс-культура, идеология и т.д.) происходит в рамках *третьего* направления — дискурса «постмодерна». Его сторонники (Ж. Бодрийяр, Ж. Деррида, Ж. Лиотар и др.) утверждают, что уход в прошлое модерна (или, согласно второму направлению, индустриального общества) рождает новую ситуацию в области культуры и языка. Общество становится гомогенным, «сегодня сцены и зеркала больше нет; вместо них появились экран и сеть. Вместо отраженной трансцендентности зеркала и сцены существует некая неотражающая, имманентная поверхность, на которой разворачиваются операции — гладкая операциональная поверхность коммуникации». При этом сам язык пока представлен различными образцами. Поэтому необходимо провести ревизию — деконструкцию — ключевых понятий. В результате возникнет общее понятийное пространство, которое будет доступно всем. Похожий процесс уже произошел с языком общения — упрощенный вариант английского языка стал всемирным средством общения.

Таким образом, глобализация представлена процессами десоверенизации и гомогенизации. Основной структурной единицей глобализации и одновременно ее целью становится индивид. Но индивид не просто как личность, а как источник общественной репрезентации. Только от индивида, собственно, и зависит сама глобализация. Главным достижением глобализации является то, что она постулируется не столько самой своей реальностью, сколько убежденностью в том, что она есть, то есть глобализация — не только процесс десоверенизации и последующего «сочленения различных компонентов человечества в ходе его эволюции в противовес процессам дифференциации человечества», но и «осмысление и признание этой слитности». А это и есть идеология в чистом виде. Здесь мы видим и постулат — жизнь индивида, и ценности — доступность потребностей, равенство, репрезентация, и цель — сохранение жизни каждого индивида, и веру в способность всего мира сообща решить все проблемы, и симптом — акции антиглобалистов, фундаменталистов. К тому же степень универсальности этой идеологии крайне высока — ее ценности мгновенно интегрируются в уже подготовленное общество.

Условно эту идеологию, если отделить ее от процесса десоверенизации именно политических границ, можно назвать *глобализмом*. Глобализм — это очередная стадия эволюции идеологии. Ее ценности сильно размыты, как и в «смешанных» идеологиях, и носят довольно прозрачное название общечеловеческих. Среди них можно выделить равенство индивидов перед законом, свободу слова и вероисповеданий, возможность участвовать в политической жизни, сохранение условий жизни. Очевидно, что такие ценности могут варьироваться и по-разному интерпретироваться. Они имеют более условный характер, нежели ценности «общества благоденствия». Проще говоря, идеологемы глобализма — это рафинированные идеологемы либерализма.

У этой идеологии нет и ярко выраженной долгосрочной цели. Если каждая классическая идеология имела целью построение определенного общества в рамках политической границы государства, то глобализм оперирует масштабами всей планеты,

соответственно его цель — построение демократии — сильно удалена от реальности. Она присутствует скорее теоретически, чем практически. Нивелирование цели — основной структурный сдвиг, «мертвая точка» новой идеологии.

Постулат глобализма — сохранение жизни индивида, — напротив, играет серьезнейшую роль. Индивидов много, и часть из них живет в государствах, зачастую враждебных глобализации. Поэтому интерпретация явлений, связанных с угрозой жизни, может быть многовалентной. Отгалкиваясь от него, акторы мировой политики — институты, альянсы и страны, способствующие своим влиянием десоверенизации или сопротивлению десоверенизации, — осуществляют политические действия, реализуя идеологические установки.

Реализация идеологием глобализма происходит через отдельные проекты. Именно в рамках проекта идеология проживает полный цикл, описанный П. Рикером, — интеграция, социализация и интеграция на новом уровне или гибель. Например, одни лишь подозрения относительно наличия оружия массового поражения (ОМП) у Ирака привели к бомбардировкам этой страны (заработал постулат о сохранении жизни планеты!), которые со временем поддержал почти весь мир. Идеология интегрировалась. Постепенно произошла социализация: мир поделился на сторонников НАТО, занявшихся поиском ОМП, и противников. После захвата Ирака и пленения его лидера идеология интегрировалась на новом уровне — в оккупированной стране начался процесс модернизации. В настоящее время Ирак переживает социализацию, в ходе которой станет окончательно ясно: либо общество полностью обновится, либо погибнет. Сам же проект можно считать законченным с момента пленения бывшего иракского лидера — ОМП оказалось вне поля его действия.

Помимо регионов, являющихся объектом воздействия глобализма, не меньшее пространство занимают регионы, в которых эта идеология уже давно стала единственной. При этом даже в этих странах проективный характер сохраняется: происходит ряд акций — от выборов президента до премьеры фильма, в которых идеология возникает и интегрируется на новом уровне. В противном случае началась бы стагнация. Симптом необходим.

Таким образом, роль идеологии, но уже нового типа, вновь возрастает. В условиях глобализации общество все более унифицируется, информация становится общедоступной как во времени и пространстве, так и по значению и смыслу, выстраиваются сетевые связи и пр. Все эти социальные изменения повышают потенциальную силу идеологии, рождая ощущение разделенности мира реального и виртуального. Недаром приобретают популярность версии о «постановочном» характере некоторых политических акций, событий из жизни политиков, катастроф и т.д. Сегодня роль идеологии такова, что одно рядовое уголовное преступление может послужить причиной интервенции. Причем никакого сопротивления ей оказано не будет, угроза жизни планеты в связи с возможным применением ядерного оружия велика, и это — часть идеологического постулата глобализма.

გლობალიზმის იდეოლოგიები

ზურაბ გამეზარდაშვილი

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია გლობალიზმის იდეოლოგიური საფუძვლები, პოსტულატი. ინდივიდის ადგილი გლობალიზმის პირობებში.

Globalism Ideologems

Zurab Gamezardashvili

The paper studies and analyses the principles and ideological foundations of globalism; namely, the role and significance of a person under the conditions of globalism.

ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნება და მუზეუმის პრესტიჟი

თ. ტუნაძე, თ. ორაგველიძე
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი

გიდი, „ვერბალური მაგია“ და მუზეუმის პრესტიჟი

კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა

თანამედროვე საინფორმაციო ბუმის ეპოქაში, უფრო მზარდი ხდება ინფორმაციის მიმღების როლი და ინტერესი, არა მარტო ინფორმაციისადმი, არამედ მისი მიმწოდებლის, მიწოდების საშუალებებისა და მეთოდებისადმი. ნობელის პრემიის ლაურეატი კ. ჰელბრაიტი აღნიშნავდა, რომ *ადამიანს სურს იყოს მოსმენადი* (Почепцов, 2000:4). XXI საუკუნეში ეს, გარკვეულწილად, ადამიანის ახალი განზომილებაცაა, რაშიც დიდია კომუნიკაციის როლი.

წარმოდგენილი თემა, ძირითადად პრაქტიკული დანიშნულებისაა და ითვალისწინებს გიდის ვერბალური კომუნიკაციის შესაძლებლობების აღწერას, მის როლს სამუზეუმო ცხოვრებაში.

სამუზეუმო პრაქტიკამ უკვე კარგა ხანია ნათელყო, რომ ექსკურსია-მძღოლის ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმის პიარ-ტექნოლოგიათა მრავალფეროვნებაში მისი პრესტიჟი გიდის ინტელექტუალური და ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნების ფლობაზეცაა დამოკიდებული. ექსკურსიის დროს ჯგუფის მიერ მუზეუმის აღქმა დამყარებულია გიდის მიერ ინფორმაციის გადაცემის ხელოვნებაზე და საკუთრივ ექსპონატზე.

• პირველი ნაბიჯი - შეხვედრა

შეხვედრა მუზეუმის სტუმრებთან მოიცავს ზოგად მონაცემებს მუზეუმზე, მის პროფილზე. აქვე აუცილებელია, რომ გიდმა წარუდგინოს საკუთარი თავი აუდიტორიას, დაუსვას შეკითხვა ვიზიტორებს და დაამყაროს მათთან კონტაქტი. მაგალითად ჰკითხოს თუ რამდენი დრო აქვთ მათ მუზეუმისათვის დათმობილი. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გაითვალისწინოს ჯგუფის დროის ფაქტორი და შესაბამისად განსაზღვროს გადასაცემი ინფორმაციის მოცულობა. შესაძლებელია, ყურადღების გამოხატვის მიზნით ჩავეკითხოთ თუ როგორ მოეწონათ ქალაქი; საიდან მიიღეს ინფორმაცია მუზეუმზე; ხომ არ გაუჭირდათ მუზეუმის მიგნება და ა. შ. ამ დროს შეკითხვაც ზომიერად, თავაზიანად და ღიმილით უნდა იყოს დასმული.

• საუბრის მანერა, ხმის ტემპი და ინტონაცია

აუდიტორიის წინაშე წარდგენისას არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ აუცილებელია კეთილგანწყობისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნა, რომლის

ფორმირება იწყება პირველივე შეხვედრიდან. აუცილებელია გიდი ცდილობდეს მსმენელის ყურადღების მიპყრობას. არ შეიძლება აზრის მონოტონური ხმით ჩამოყალიბება. აუდიტორიასთან ვიზუალური კონტაქტი სასარგებლოა იმიტომაც, რომ გიდს საშუალება ეძლევა შეაფასოს დამთვალიერებლის რეაქცია. უდავოა, რომ პიროვნებათშორის კომუნიკაციას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე უბრალოდ, ინფორმაციის გადაცემას.

ზეპირ მეტყველებაში ჩვენ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიტყვის დანიშნულება მხოლოდ საგნის მარკირება არაა. ვიყენებთ რა სიტყვებს კომუნიკაციის საშუალებად, ჩვენ ვქმნით განსაზღვრული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იდეებისა და ფაქტების ერთიან სისტემას, რომელიც სამუხეუმო დონეზე ყოველთვის განიხილება ისტორიულ კონტექსტში. სასურველია თვალში უყურო მოსაუბრეს და ყურადღება გარანტირებული გაქვს. მთავარია ზუსტად მოახერხო სათქმელის გადაცემა და აზრი არ დაგეკარგოს ფიქრსა და ფიქრის გახმოვანებას შორის.

- **ერთი თემიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლა და დროის სწორი განაწილება**

ექსპოზიცია, როგორც წესი იყოფა გარკვეულ თემებად. ერთი თემიდან მეორეზე ლოგიკური თანმიმდევრობით გადასვლა ძირითადად დამოკიდებულია საკუთრივ ექსპოზიციის განლაგებაზე. თუ საექსპოზიციო მასალის განლაგების დროს გათვალისწინებულია ლოგიკური თანმიმდევრობა, შესაბამისად გიდისთვისაც ეს მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა.

გიდის როლი ორმხრივ კომუნიკაციას გულისხმობს. ამ პროცესში ჩართულია, როგორც გიდი ისე დამთვალიერებელი. კითხვა-პასუხის პრინციპი, საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დისკუსია აადვილებს და ბევრად უფრო გასაგებს ხდის მიწოდებული ინფორმაციის აღქმის პროცესს. ის გარემოება, რომ გიდი ცდილობს დაიმახსოვროს მსმენელმა გარკვეული ინფორმაცია, დიდად მნიშვნელოვანია მუხეუმის რეკლამის თვალსაზრისითაც. დამთვალიერებელი შთაბეჭდილებას უზიარებს თანამშრომლებს, მეგობრებს... და ამ გზით იგი თავისდაუნებურად ეწევა მუხეუმისათვის ძალზე ეფექტურ და საიმედო პიარ-კამპანიას.

გიდთან მიმართებაში უმთავრესი მოთხოვნა „ვერბალური მაგიის“ ვირტუოზული ფლობა უნდა იყოს. თანამედროვე გიდი, როგორც წესი, კარგი ფსიქოლოგიცაა. იგი მუდამ მზადაა საექსკურსიო ტექსტიდან გადახვევისთვის და არ არის დამოკიდებული წლების წინ მეცნიერ-თანამშრომლის მიერ მომზადებული მასალის აბზაცურ თანმიმდევრობაზე. ბუნებრივია ეს არ გულისხმობს საექსკურსიო ტექსტიდან სრულ გადახვევას, ან მის უგულებელყოფას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გიდის ტექსტი მუდმივად ცვალებადია, რადგან თავად დამთვალიერებელია არაერთგვაროვანი. უმრავლეს შემთხვევაში, როცა ჯგუფის საექსკურსიო მომსახურებაზე საუბარი ვიზიტორები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალური წარმომავლობის, ინტერესთა სფეროების, მსოფლმხედველობის, განათლებისა და თვით ინფორმაციის აღქმის თვალსაზრისითაც. მათი ინტერესის შესაბამისად გიდი, როგორც მსახიობი „თამაშობს სცენაზე“. ამ შემთხვევაში ცხადია, რომ საექსკურსიო სცენარიც ვარასოდეს ვერ იქნება სტანდარტული და მონოტონური.

• დაინტერესება (ინტრიგა)

საუბრის დროს აუცილებელია გარკვეული ინტრიგის წარმოქმნაც, იმ მიზნით, რომ მსმენელი უფრო მოტივირებული გახდეს, მიიღოს გიდის გამოწვევა და მოისმინოს უფრო ფართო ინფორმაცია გადაღლის გარეშე. დაინტერესების ერთ-ერთი კარგი საშუალება თავად ექსპონატი და თანმხლები ტექსტია, ნაწილობრივ კითხვის შემცველი ჩანართებით. დაინტერესებას ხელს უწყობს, ასევე არასტანდარტული გარემოც.

მოცემულ შემთხვევაში, კერძოდ მუზეუმში, როგორც განსხვავებულ გარემოში, მოსწავლემ, მაგალითად, ბევრად უფრო საინტერესოდ და ნათლად შეიძლება აღიქვას ინფორმაცია, ვიდრე იგივე მასალა საკლასო ოთახში. ამის უდაო საფუძველი კი თვალისა და გონების ერთდროული აღქმაა, რომლის შესაძლებლობასაც ქმნის მუზეუმი. ამ შემთხვევაში გიდი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას. წარმატების მისაღწევად იგი ვალდებულია ვერბალური კომუნიკაციის ყველა საშუალების სინთეზირება მოახდინოს და, როგორც მსახიობმა სცენაზე, გააცოცხლოს ექსპოზიცია, ისე, რომ მხედველობიდან არ გამორჩეს თუ რა კატეგორიის მსმენელი დგას მის წინაშე.

ცნობილია, რომ სხადასხვა ასაკის, სქესის, განათლების, რწმენის, მატერიალური მდგომარეობის და ა.შ. ინდივიდი სხვადასხვაგვარად აღიქვამს ერთსა და იმავე შეტყობინებას, შესაბამისად გიდის სხარტ გონებაზეა დამოკიდებული რამდენად სწრაფად გააანალიზებს ჯგუფში არსებულ სხვაობას და საექსკურსიო ტექსტს ერთნაირად საინტერესოს გახდის თითოეული დამთვალიერებლისათვის.

ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნება, მაინც ვერბალურ სილამაზეზეა დამოკიდებული. მუზეუმის გიდი ისტორიას აცოცხლებს, იგი ვიზიტორებთან ერთად მოგზაურობს დროში და სწორედ „ვერბალური მაგიის“ მეშვეობით საგამოფენო დარბაზში თვალნათლივ ცოცხლდება ისტორიის შუქჩრდილები, პიროვნებები, ფაქტები და მოვლენები. კარგი ორატორის ხელში დამთვალიერებელი ხდება კარგად ინსცენირებული „ვერბალური ოკუპაციის მსხვერპლი“. მუზეუმში განცდილი და მიღებული შთაბეჭდილებათა დონე საუკეთესო რეკლამაა მუზეუმისათვის. ამიტომაცაა სავალდებულო, რომ გიდი შემოქმედებითად მიუდგეს ექსპოზიციას, ისე როგორც მსახიობი როლს, იმუშაოს საკუთარ თავზე და დაეუფლოს ვერბალური კომუნიკაციის ხელოვნებას.

გიდი მზად უნდა იყოს მოულოდნელობებისთვის, ასევე ექსპერიმენტებისთვის, როგორც წესი ერთი ჯგუფი არ გავს მეორეს, მათი შეკითხვები მრავალფეროვანია, როგორც მათი ინტერესები. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მეთვალყურეები დარბაზის კუთხიდან მბრძანებლური ტონით გვაფრთხილებდნენ, რომ ექსპონატების ხელით შეხება არ შეიძლება, ფოტოს გადაღებაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი¹.

სამუზეუმო საქმის გერმანელი ექსპერტი ულრის შმიდტი² ამბობს, რომ სიახლეები საინტერესოა, როგორც დამთვალიერებლისთვის ასევე მუზეუმისთვისაც. საკმაოდ რთულია ექსპერიმენტზე მუშაობის პროცესი, როცა ცდილობ მოსალოდნელი მოულოდნელობები გათვალო და წინასწარ იპოვო

¹ აღნიშნულით არ ვგულისხმობთ, რომ ყველა ექსპონატზე ხელის შეხებას დასაშვებად მივიჩნევდეთ, ან/და ყველაფრის გადაღების ნებართვას ვემხრობოდეთ. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი მუზეუმის პოლიტიკით უნდა იყოს დარეგულირებული, რომელიც უპ. ყ. უნდა ითვალისწინებდეს ექსპონატის უსაფრთხოებას.

მათი გადაჭრის გზები. მაგალითად: თუკი მუზეუმში დაგეგმავ უსინათლო დამთვალებელთა ვიზიტს, რასაკვირველია ექსპოზიცია წინასწარ უნდა დამუშავდეს და გათვალისწინებული იყოს ხელით შეხების მომენტი. აქ რამდენმე გიდი დაგვჭირდება, რომელიც ჯგუფის წევრებს ექსპონატების ხელით შეხებაში დაეხმარება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ვერბალურ კომუნიკაციაზე ისე, რომ ადამიანმა უხილავი საგნის აღქმა რაც შეიძლება იოლად შეძლოს (ორაგველიძე, ტუნაძე, 2010).

აღსანიშნავის ის გარემოება, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის ამერიკის სამუზეუმო პრაქტიკაში დამკვიდრდა თანამდებობა – მუზეუმის მასწავლებელი (ქარაია, 2008:412). რაც ნათელს ხდის ვერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობას, არა მხოლოდ სამუზეუმო პედაგოგიაში, არამედ, საერთოდ მუზეუმში.

როგორც წესი, მუზეუმის ექსპოზიცია უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული და ეს შედეგი მიზნიდან უნდა გამომდინარეობდეს. უმთავრესია ზუსტად იცოდეთ რას ელი? ჩვენს შემთხვევაში ეს არის რაც შეიძლება მეტი დამთვალებელის მოზიდვა. ეს კი მხოლოდ საინტერესო ექსპოზიციით, სასიამოვნო გარემოთი და კარგად მომზადებული გიდის საშუალებით შეიძლება იქნეს მიღწეული.

დამთვალებელი ანუ იგივე ვიზიტორი მუზეუმის სტუმარია და ეს გულისხმობს კიდევ მასპინძლური დახვედრის ეტიკეტს. უმთავრესად ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ ის სასურველი სტუმარია და საექსკურსიო ტექსტი მხოლოდ იმიტომ არ იკითხება, რომ მან ამაში საფასური გადაიხადა. გიდი თავისი საგამოფენო დარბაზის დიასახლისია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იგრძნობოდეს მოვალეობის მოხდის მომენტი. საექსკურსიო მომსახურებისას აუცილებელია ხალისიანი განწყობა და იუმორი. ერთხელ მოსულ სტუმარს მეორეჯერ მოსვლის სურვილი აუცილებლად უნდა გაუჩნდეს და რასაკვირველია სასურველია თავის ახლობლებს ურჩიოს მუზეუმის მონახულება. ვერბალური ხელოვნება ფაქტიურად წარმატების მიღწევის გასაღებია, რომელიც ამალდებს მუზეუმის პრესტიჟს. რაც შეიძლება პოზიტიური განწყობა უნდა შეიქმნას მუზეუმზე, გაიღიმოთ და აუდიტორია კეთილად განაწყობთ თქვენს მიმართ.

შთაბეჭდილების ხარისხიანობა რომელსაც ტურისტი, დამთვალებელი თუ, საერთოდ, სტუმარი ღებულობს მუზეუმში, ბევრადაა დამოკიდებული გიდის ვერბალური კომუნიკაციის ოსტატობაზე.

„ვერბალური მაგია“ ეს არის უმთავრესი მოთხოვნა გიდის მიმართ.

ლიტერატურა

1. ქარაია ი., საგანმანათლებლო პროგრამები აშშ-ს მუზეუმებში. – ამერიკის შესწავლის საკითხები, V, თბ., 2008
2. ორაგველიძე თ., ტუნაძე თ., სამუზეუმო ექსპერტის შვიდი კვირა აჭარაში. – მუზეუმის მაცნე, III, ბათუმი, 2010 (იბეჭდება)
3. Почепцов Г.Г. Теория коммуникации. Санкт-Петербург, 2000:4.

Art of verbal communication and prestige of a museum

T. Tunadze, T. Oragvelidze

The Nobel Brothers Batumi Technological Museum

The prestige of a museum mostly depends on the ability of intellectual and verbal communication of a guide. The topic of discussion describes the main skills of verbal communication which must be possessed by the guide. The function of the topic is practical and includes description of the verbal communication abilities of the guide and his/her role in the life of the museum.

Искусство вербальной коммуникации и престиж музея.

Тунадзе Т. Орагвелидзе Т.

Батумский технологический музей имени братьев Нобель.

В работе основное внимание уделено интеллектуальным и вербально-коммуникативным возможностям, которые необходимы для экскурсовода и от которого зависит престиж музея. Тема дискуссии включает в себя описание тех способов вербального характера, которым должен владеть экскурсовод. Тема, в основном, практического значения и учитывает описание возможностей вербальной коммуникации гида и его роль в музейной жизни.

საზოგადოებასთან ურთიერთობა – პიარი და მენეჯმენტი

ელისაბედ (იზა) ხახუტაშვილი, ლია კაპანაძე
სტუ. კოსტავას 77

საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც სტრატეგიული დონის მართვის ფუნქციის მნიშვნელობა, იზრდება ორგანიზაციული კომუნიკაციების ინტენსიურობის შესაბამისად. იზრდება მოცულობები, სიჩქარე, ორგანიზაციის ინფორმაციული ნაკადების მასშტაბები, რომელთა მართვა მოითხოვს ისეთივე მაღალ პროფესიულ დონეს, როგორც ფინანსური, საკადრო, მატერიალური რესურსების მართვა. პიარის პასუხისმგებლობის სფერო შესაძლებელია გაინსაზღვროს კომუნიკაციის წარმართვით. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (მის) გამოყენებას. ხშირად მის-ის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი პრეს-სააგენტოს მოღვაწეობა. პრეს-აგენტის ამოცანაა მის-ის გამოყენებით მოახდინოს ორგანიზაციის მოღვაწეობის, მოვლენების, პიროვნებების შესახებ ინფორმაციის გაშუქება. იგი პრესაში აქვეყნებს შრომებს, სხვადასხვა ინტერვიუებს, ფოტოებს, ინფორმაციებს და სხვა. მათი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ უფრო მეტი მოვლენა უნდა გაშუქდეს რათა მიიპყროს საზოგადოების ყურადღება.

დღეს დ-ის კვალიფიციური სპეციალისტი არის არა იმდენად პრეს-აგენტი, არამედ მენეჯერი, ანალიტიკოსი, კონსულტანტი. დ-ის აქტიურობა ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანების გადაჭრაზე, რომელიც მოიცავს საზოგადოების რამდენიმე ჯგუფს. PR ეხმარება ორგანიზაციებს იმიჯის ფორმირებაში, კრიზისის მართვაში, სპეცემთხვევების ორგანიზებაში. იქმნება პოლიტიკური მოქმედებების კომიტეტები და ფილანტროპული აქტივობა. იგი ხელს უწყობს ორგანიზაციებს ან დაინტერესებულ პირს, მომხმარებელთან,

ინვესტორებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დარეგულირებაში.

ორგანიზაციული კომუნიკაციის ფართო სპექტრი მოითხოვს მართვას, დაგეგმვას, ორგანიზაციას, კოორდინაციას, კონტროლს. როგორც ფუნქციური მენეჯმენტის სხვა სფეროები, პიარიც გამომდინარეობს ორგანიზაციის სტრატეგიიდან და მიზნებიდან, რომლის რეალიზება ხდება ტაქტიკური გადაწყვეტილებებით, აქვს თავისი საკუთარი მიზნები და პროგრამა-პროექტები, ბიუჯეტი. PR-ის გამოყენებით შესაძლებელი ხდება კომუნიკაცია ორგანიზაციის გარეთ და შიგნით, იგი ხელს უწყობს ორგანიზაციული მართვის სისტემის ინტეგრაციას.

პიარს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსების განათლების მენეჯმენტში. პიარი ეხმარება განთლების მენეჯმენტს კადრების შერჩევის, გადამზადების, მომზადების და შრომის ანაზღაურებაში.

ადამიანთა რესურსების მართვაში იგულისხმება თანამშრომლების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გარკვეული მოქმედებები, რომელიც ხორციელდება საზოგადოებასთან ურთიერთობით, ნელი გადასვლით იერარქიული მართვის დაბალი საფეხურიდან უმაღლესისაკენ. ორგანიზაციის შიგნით მთავარია კადრები, ხოლო მის ფარგლებს გარეთ პროდუქციის მომხმარებელი. პერსონალის მართვის კონცეფცია ეფუძნება ადამიანის როლს ორგანიზაციაში და გამოიყენება სამი ძირითადი ასპექტი: ეკონომიკური, ორგანიზაციული, ჰუმანური. ასევე მართვის სამი ძირითადი ამოცანა ეყრდნობა კადრებით უზრუნველყოფას, კადრების ეფექტურ გამოყენებას, კადრების პროფესიული და სოციალურ განათლება-განვითარებას.

ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვას სამი ძირითადი მიზანი აქვს, რომელიც ხორციელდება საზოგადოებასთან ურთიერთობით, ესენია: ეფექტური სამუშაო ძალის მოზიდვა; ეფექტური სამუშაო ძალის მომზადება და ეფექტური სამუშაო ძალის შენარჩუნება. სწავლება შეიძლება წარმოებდეს სხვადასხვა ფორმით: სამუშაო ადგილზე; ტრენინგების მოწყობით; სწავლება აუდიტორიაში; დამოუკიდებელი სწავლება სახელმძღვანელოების, კომპიუტერების გამოყენებით; კომპიუტერიზებული სწავლება სასწავლო პროგრამების, ინტერნეტის გამოყენებით, დისტანციური სწავლება და სხვა. პოპულარული გახდა განათლების მიღების კორპორაციული უნივერსიტეტების შექმნით, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის საკუთარ სასწავლო დაწესებულებას. აქაც საზოგადოებასთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თანამშრომლებს, კურიერიდან დაწყებული ტოპ-მენეჯერით დამთავრებულს, მყიდველებს, მომწოდებლებს და სტრატეგიულ პარტნიორებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის სწავლებას. დისტანციური სწავლების ტექნოლოგიებთან ერთად (ვიდეო კონფერენციები, სწავლება ინტერნეტის მეშვეობით) გაიზარდა კორპორაციული უნივერსიტეტების აუდიტორია და აქაც პიარს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სწავლებისადმი ახალმა მიდგომამ – კომპიუტერიზებულმა და „ონლაინ“ პროგრამებმა, თანამშრომლებს მისცა ბიძგი საკუთარი ინიციატივით განავითარონ თავისი ცოდნა, უნარ-ჩვევები კარიერის შესაქმნელად. სწავლებისას გამოიყენება ვიდეოკასეტები, კომპაქტ დისკები, როლური თამაშები, აუდიოკასეტები, ინტერნეტ www, ქეისები, თამაშები ან მოდელირება, ჯგუფური ვიდეოკონფერენციები, ტელეკომუნიკაციები, პროგრამები ღია ცის ქვეშ, კომპიუტერული თამაშები, ვირტუალური რეალობის პროგრამები, სადაც ყველგან გადამწყვეტი როლი ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობას.

სამუშაო ძალების განვითარების ერთ-ერთი ხერხი – საკუთარი თანამშრომლების დაწინაურებაა სამსახურში. ესეც ხორციელდება პიარის საშუალებით. ასეთი მიდგომით თანამშრომლებს აქვთ პროფესიული ზრდის პერსპექტივა, რაც კვალიფიკაციის ამაღლებას აძლევს სტიმულს.

ამა თუ იმ თანამდებობით დაინტერესებული პიროვნებები მიმართავენ ადამიანის რესურსების მართვის განყოფილებას, რომლის სპეციალისტებიც ირჩევენ ყველაზე შესაფერის კანდიდატურას. სამუშაო ძალების ეფექტიანობის ერთ-ერთი მეთოდია ატესტაცია, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობით ხორციელდება. ადამიანური რესურსების სპეციალისტები ყურადღებას უთმობენ ეფექტური მეთოდებით სწავლებას და ამ დონის შეფასებას ზუსტი სპეციალური შკალების მეშვეობით.

შეფასების ერთ-ერთი ახალი მეთოდია „წრიული უკუკავშირი“, შრომის მრავალმხრივი შეფასებაა, მომუშავეთა ძლიერი და სუსტი მხარეების მხედველობაში მიღებით. საატესტაციო კომისია იძლევა შრომის შედეგების მრავალპლანიან შეფასებას, რის მიხედვითაც შეირჩევა სასურველი კადრი. არის კიდევ „რანჟირების“ მეთოდი საქმიანობის შედეგების მიხედვით შეფასება, მენეჯერი კომუნიკაციების მიხედვით აფასებს უშუალოდ ხელქვეითებს ერთმანეთთან და ვისაც ყველაზე უარესი შედეგი აქვს ათავისუფლებენ სამსახურიდან.

ადამიანთა რესურსების განათლების მენეჯმენტში საზოგადოებასთან ურთიერთობა დაკავშირებულია სამუშაო დავალებების შესრულებასა და ქცევის ნიმუშებთან.

ადამიანთა რესურსების განათლების მენეჯმენტმა უნდა ჩამოაყალიბოს ლიდერები, მოიზიდოს ინდივიდები, რომლებსაც გააჩნიათ ფასეულობები.

საზოგადოებასთან ურთიერთობით ხდება პერსონალის შერჩევა როგორც „შიგნიდან დაწინაურების“ პოლიტიკით, ასევე კადრების მოზიდვით „გარედანაც“. ორივე შემთხვევაში კადრების შერჩევას მნიშვნელოვანია თანამშრომლებმა დააკმაყოფილონ განათლებით მიღებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ადამიანური რესურსების განათლების მართვაში მნიშვნელოვანია სამართლიანობა შრომის ანაზღაურებაში – სამუშაოების სახეობების თუ კვალიფიკაციის მიხედვით. რაც უფრო მაღალია თანამშრომლის კვალიფიკაცია, მიღებული აქვს სამაგისტრო თუ სადოქტორო კვალიფიკაციები მით უფრო მაღალია ხელფასიც. ანაზღაურება (წამახალისებელი ანაზღაურება) ნიშნავს, რომ პირდაპირ დამოკიდებულია მომუშავის ძალისხმევასა და საქმიანობის შედეგებზე, გაიცემა ქცევისათვის პრემიები და ჯგუფური ბონუსები, ასევე მნიშვნელოვანია გარკვეული შეღავათები გარანტირებული კანონით. ესაა სოციალური უზრუნველყოფა, უმუშევართა პროგრამები, რომლებსაც თანამშრომლები თავად აირჩევენ მათთვის ყველაზე მიმზიდველ შეღავათების „კალათებს“.

ძალზე მნიშვნელოვანია კომპანიაში განათლებული სპეციალისტების დახმარებით ეფექტური სამუშაო ძალების შენარჩუნება მენეჯერებისა და ადამიანური რესურსების სპეციალისტთა მიერ და ეფექტური სამუშაო ძალის მოზიდვა, რაც ადამიანური რესურსების მართვის უპირველესი ამოცანაა. ვაკანტურ თანამდებობაზე ახალი თანამშრომლების მიზიდვის ორგანიზაციას საფუძვლად უდევს თანხვედნის მოდელი, რომლის შესაბამისად, კომპანია და ინდივიდი ცდილობენ შეათანხმონ მათი მოთხოვნები, ინტერესები და

ფასეულობები. ამ დროს ხდება ორივე მხარის მოთხოვნათა ოპტიმალური შეთავსება – პიარის გამოყენებით.

ადამიანური რესურსების განათლების მენეჯმენტში მნიშვნელოვანია კომუნიკაციური პროცესი სხვადასხვა ფორმით სწავლებისას, აქაც გადამწყვეტი როლი ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობას კომუნიკაციის საშუალებით. მენეჯერი ურთიერთობს თავის ხელქვეითებთან და ზეპირი სწავლებისას როგორც ორატორი გადასცემს ინფორმაციას ორგანიზაციის შიგნით ხალხს და განათლების მენეჯმენტში კომუნიკაციური პროცესი დაიყვანება პიარით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იგი წარმოადგენს კომუნიკაციური მართვის ფორმას, რომლის მიზანია სწავლების პროცესში საზოგადოების გრძნობებზე, რწმენასა და მოსაზრებებზე დარწმუნების ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაც უფრო ეფექტიანს ხდის სწავლებას.

ლიტერატურა

1. ხახუტაშვილი ე., ადამიანური რესურსების განათლების მენეჯმენტი. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ დამატება. თბ. შრომები 2(17) 2010. გვ. 143.
2. ხახუტაშვილი ე., კაპანაძე ლ., საზოგადოებასთან ურთიერთობა – R., თბ. 2007, გვ. 675.
3. ზუმბურიძე ო., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 170.
4. Мескон М., Альберт М., Хедоури Ф. Основы Менеджмента., М., 2005
5. R. H. Daft., Management, 2003.

Связи с общественностью – Пиар и Менеджмент

*Елизавета (Иза) Хакхуташвили, Капанадзе Лия,
ГТУ, ул, Костава 77, корп.*

Значимость Пиара как управленческой функции стратегического уровня растет по мере интенсификации организационных коммуникаций. Сферы ответственности л можно определить по направленности коммуникации.

ღ – активность может ориентироваться на решение конкретных задач, охватывая несколько групп общественности. Особенно, важно значение Пиара в Менеджменте образовании человеческих ресурсов, с помощью которого происходит образование и подбор кадров в организациях.

Public Relations and Management

Khakhutashvili E., E., Kapanadze L.A.

Public Relations as a meaning of strategic level of management function rises with the intensively of organizational communication. The activity of PR is oriented on communication. The PR has a major role, in the education of Human resource management.

მომხმარებლის ქცევის ფსიქოლოგიური ფაქტორები

*ელისაბედ (იზა) ხახუტაშვილი, ლალი ხუნწარია,
სტუ. კოსტავას 77*

მარკეტინგი, როგორც ეკონომიკური მართვის თანამედროვე მდგომარეობის სტრატეგია, წარმოადგენს სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობას – ეს უპირველესად ცოცხალი ადამიანია ორიენტირებული თავის პროფესიულ სოციალიზმში გარე გარემოს მოთხოვნებზე, სოციუმზე, საზოგადოებაზე („რაც გვინდა, იმას ვაწარმოებთ და ვყიდით“). ასეთი სუბიექტის ფსიქოლოგიური მზადყოფნა ნიშნავს იმას, რომ სუბიექტმა უნდა გააკეთოს ის, რაც საჭიროა „აქ და ამ წუთას“, რომელიც წარმოადგენს მართვის სტრატეგიის არა ერთადერთ ტიპს, მაგრამ იძლევა საშუალებას რეალურად შეაფასოს და გაითავისოს საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონე, არ უარყოს, მაგრამ შეუპირისპირდეს. ამ სტრატეგიის ნაკლი და უპირატესობა წინა პერიოდის სტრატეგიის (გეგმიური ეკონომიკის პერიოდი) და სხვა პროფესიული კლასების საქმიანობის (სოციალური, სულიერი) დასაბუთებულად და კონსტრუქციულად.

ამით, სუბიექტი სწავლობს პოზიტიურად გარდაქმნას თავის საქმიანობა, გაიგოს სრულიად განსხვავებული პროფესიული საქმიანობის სხვადასახვა სახეები, რომელშიც ჩართულია წარსულის „წარსულის შეცდომები“ და დაინახოს ფანტასტიკური მომავალი.

თანამედროვე განათლებულმა ადამიანმა უნდა ისწავლოს ეკონომიკური საქმიანობის არსის გაგება და ადამიანური მოთხოვნების დაკმაყოფილების სუბიექტური შეზღუდვები, ასევე პროფესიონალური საქმიანობის შერჩევა-ეკონომიკური, სოციალური ან სულიერი – არ შეიძლება უსაზღვროდ დიდხანს დარჩეს შეზღუდული შრომის ანაზღაურებაში. „ეკონომიკური ადამიანის“ საქმიანობის სტაბილურობის მდგრადობა, მრავალმხრივია და საჭიროა მოიძებნოს უწყვეტი წარმოება.

საქონლის და მომსახურების რეალიზაციისთვის, უზრუნველყოფილი სტაბილური მატერიალური ხელმისაწვდომისათვის „ყველა და თვითთული“ ამ სახესხვაობასთან. ყველაფერი ეს აიხსნება ცნობილი ფსიქოლოგიური ჭეშმარიტებისაგან: ყველანი ჩვენ სხვადასხვანაირები ვართ, მაგრამ ჩვენი ფსიქიკა ვითარდება ყველასთვის საერთო ფსიქოლოგიური კანონებით და კანონმდებლობით, რომელიც ახდენს მოთხოვნების და მოტივების დემონსტრირებას რაოდენობრივად და ხარისხობრივად, არ არის შეზღუდული მარტო იმით, რა უნდა „აქ და ესლავე“.

აქედან გამომდინარე მარკეტინგის მიზანი – ეს მომხმარებლის საჭიროების და მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. ხოლო „მომხმარებლის ქცევა“, როგორც მარკეტინგის სფერო სწავლობს მყიდველის, ცალკეული ჯგუფების, ორგანიზაციების თავიანთი საჭიროების და სურვილების დასაკმაყოფილებლად საქონლის შერჩევა, შეძენა და მომსახურებაა.

მომხმარებლის ქცევის გაგება და მართვა „მომხმარებლის სახის გაგება“ საკმაოდ რთულია. ხშირად მომხმარებელი ერთს ლაპარაკობს თავის სურვილებსა და მოთხოვნაზე, და იძენს სულ სხვა განსხვავებულ საქონელს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მის სურვილებთან. მომხმარებელი ბოლო წუთას სცვლის თავის გადაწყვეტილებას.

მომხმარებელთა ქცევაზე არსებით ზეგავლენას ახდენს ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მოტივაცია, ადქმა, სწავლება, დარწმუნება და მიზანდასახულობა.

ადამიანი განიცდის მრავალ მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას. ზოგიერთ მათგანს აქვს ბიოგენური ბუნება, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ორგანიზმის ყველაზე ელემენტარული ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ჩათვლით – საკვების, წყლის, ჰაერის. სხვათა ბუნება წარმოადგენს ფსიქოგენურს, რომელიც არის ფსიქოლოგიური დაძაბვის შედეგი, როგორც ინდივიდის მოთხოვნა პატივისცემის ან სულიერი სიახლოვის აღიარება, კაცობრიობის მოთხოვნათა უმეტესი ნაწილი არ საჭიროებს დაუყოვნებელ დაკმაყოფილებას. მოთხოვნა საფუძვლად ედება ინდივიდის მოტივაციას და მისი დაკმაყოფილება ამცირებს ფსიქოლოგიური დაძაბვის დონეს.

ფსიქოლოგების მიერ შემუშავებულია ადამიანის მოტივაციის რამოდენიმე ძირითადი კონცეფციებით. მათ შორის ყველაზე ცნობილია ზიგმუნდ ფრეიდის, აბრაჰამ მასლოუს, ფრედერიკ ჰერცბერგის და მათი მიმდევრების კვლევები მომხმარებელთა და მარკეტინგული სტრატეგიების შესახებ.

მოტივაციის თეორია ზ. ფრეიდის მიხედვით. დიდი ფსიქოლოგი ვარაუდობს, რომ უმეტესი ადამიანები ვერ აფასებენ ფსიქოლოგიურ ძალებს, რომელიც ინდივიდის მოქცევას ხელმძღვანელობს, და ბოლომდე ვერ გაუგიათ თავიანთი მოქცევის მოტივები. ძირითადი ხელმძღვანელი ადამიანური მოტივები მარტივიდან რთულამდე წარმოადგენს თანდათანობით გადასვლის მეთოდის „კიბის“ სახელით. მარკეტოლოგი მიმართავს რა მას, ადგენს მომხმარებლის მიერ ყველაზე მიზანდასახულ მოტივის დონეს. როცა მომხმარებელი სწავლობს საქონლის ცალკეულ მარკებს, ის ყურადღებას აქცევს არა მარტო მის ძირითად მახასიათებლებს, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორც არის ფორმა, ზომა, წონა, ფერი, მარკის დასახელება და მასალა. ეს ყველაფერი იწვევს მომხმარებელში გარკვეულ ასოციაციებს და ემოციებს.

მოტივაციის თეორია ა. მასლოუს მიხედვით. მეცნიერ-ფსიქოლოგი შეეცადა აეხსნა, სხვადასხვა დონის ინდივიდი რატომ განიცდის სხვადასხვა მოთხოვნილებას. ა. მასლოუ ამას ხსნის იმით, რომ ადამიანური მოთხოვნილებების კომპლექსი განლაგებულია გარკვეული იერარქიული თანმიმდევრობით. მასლოუ გამოყოფს მამოტივირებული მოთხოვნილებების ხუთ ძირითად ტიპს (მზარდი თანმიმდევრობით: 1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების მოთხოვნილებები; 3. კუთვნილების მოთხოვნილებები; 4. პატივისცემის მოთხოვნილებები; 5. თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები).

მასლოუს თეორიის თანახმად, თავდაპირველად უნდა დაკმაყოფილდეს ყველაზე დაბალი დონეების მოთხოვნილებები და მხოლოდ ამის შემდეგ აქტიურდება უფრო მაღალი მისწრაფებები.

თეორია მომხმარებლებს ეხმარება გაიგოს, თუ სხვადასხვა პროდუქტები როგორ შეესაბამება გეგმებს და მიზნებს პოტენციური მომხმარებლის ცხოვრებისათვის.

მოტივაციის თეორია ფ. ჰერცბერგის მიხედვით. ფრედერიკ ჰერცბერგი, ორფაქტორიანი მოტივაციის თეორიის ავტორი, რომლის თანახმად ადამიანის უკმაყოფილება და მისი დაკმაყოფილება განისაზღვრება პრინციპიალურად განსხვავებული ორი სხვადასხვა ფაქტორით. იმისათვის, რომ შესდგეს ყიდვა, საჭიროა არსებობდეს დაკმაყოფილების ფაქტორი. პრაქტიკაში ორი ფაქტორის თეორია გამოიყენება ორგვარად.

პირველი. გამყიდველმა თავიდან უნდა აიცილოს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რასაც შეუძლია ყიდვის ჩაშლა. **მეორე.** პროდუქტის ან საქონლის შემქმნელმა უნდა განსაზღვროს დაკმაყოფილების ძირითადი ფაქტორების საქონლის შესასყიდად, მოცემული ფაქტორები განსაზღვრავენ ამა თუ იმ სავაჭრო მარკის მყიდველებს.

აღქმა. ადამიანი, რომელიც მოტივის ზეგავლენით მოქმედებს, მზად არის მოქმედებისათვის. მისი საქციელის ხასიათი დამოკიდებულია სიტუაციის ინდივიდუალური აღქმისაგან. აღქმა შერჩევის პროცესია, ორგანიზაციის და ინდივიდის ინტერპრეტაციისა, რომელსაც იღებს ინფორმაციით. აღქმა დამოკიდებულია არა მარტო ფიზიკური გამღიზიანებლებისაგან, არამედ მათი დამოკიდებულებისაგან გარემოზე და ადამიანის პიროვნული თავისებურებებისაგან.

საკვანძო სიყვას, „ადამიანი“ – „ინდივიდი“, ადამიანები აღიქვამენ სხვადასხვანაირად სიტუაციის მიხედვით. ეს აიხსნება იმით, რომ აღქმის პროცესები წარმოიქმნება ყურადღების ფორმის არჩევა, არჩევა დამახინჯებით და არჩევა დამახსოვრებით.

სწავლება. ადამიანი შეგნებული საქმიანობის პროცესში ითვისებს გარკვეულ ცოდნას. სწავლება – ადამიანის მოქცევის გარკვეული ცვლილებაა, რომელიც წარმოადგენს სწავლის შედეგს. თეორეტიკოსი მეცნიერები თვლიან, რომ სწავლება არის სურვილების ურთიერთქმედების, სხვადასხვა გამღიზიანებლის ინტენსივობის და განმტკიცების შედეგი. **სურვილი** – ეს შიდა ძლიერი გამღიზიანებელია, რომელიც უბიძგებს ინდივიდს მოქმედებისაკენ. **სტიმული** წარმოადგენს ნაკლებად მნიშვნელოვან გამღიზიანებელს და განსაზღვრავს, როდის, სად და როგორ გამოვლინდება ადამიანის საპასუხო რეაქცია.

ინდივიდის დარწმუნება ფორმირდება საქციელის და სწავლების საშუალებით და უშუალოდ ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე. დარწმუნება წარმოადგენს რაიმის მდგრად აზრობრივ მახასიათებელს. დარწმუნებას თან ახლავს გარკვეული ემოციური დატვირთვა. თუ ზოგჯერ დარწმუნება არასწორია და ეწინააღმდეგება შეძენის გადაწყვეტილებას, ამისთვის საჭიროა მარკეტინგის სპეციალისტებმა მოახდინონ ამ მოქმედების კორექტირება.

დარწმუნება არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის დადებითი ან ნეგატიური იღების შეფასებისთვის. დარწმუნება ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ენერგიის ეკონომიას იძლევა და ძალზე მდგრადია. იგი წარმოადგენს ლოგიკურად დაკავშირებულ ჯაჭვს, რომელშიც ერთი რგოლის ცვლილება იწვევს სხვა შემადგენლის ტრანსფორმაციას.

საბოლოოდ, მომხმარებელი იღებს ყიდვის გადაწყვეტილებას და ინდივიდის ფსიქიკაში წამიერად გაიფიქრებს ყიდვის პროცესის მოდელი, რომელიც შედგება ხუთი სტადიისაგან: I სტადია – პრობლემის შეგნება; II სტადია – ინფორმაციის მოძებნა; III სტადია – ვარიანტების შეფასება; IV სტადია – გადაწყვეტილება ყიდვის შესახებ; V სტადია – რეაქცია ყიდვაზე.

მომხმარებელი როცა დარჩა ყიდვისგან კმაყოფილი, ის აუცილებლად შეიძენს კიდევ. „დაკმაყოფილებული მყიდველი – ეს საუკეთესო რეკლამაა. იგი წარმოადგენს მარკეტინგის ხელოვნებას დამოკიდებული მომხმარებლის მიმართ“.

ამრიგად, ფსიქოლოგიური ფაქტორები (მოტივაცია, აღქმა, სწავლება, დარწმუნება და განწყობა) მომხმარებლების ქცევაზე ზეგავლენას ახდენს

კომპანიის მენეჯმენტზე, თუ როგორ მიიპყროს მყიდველი და მისცეს ეფექტური მომსახურება.

ლიტერატურა

1. Комлер ф. Маркетинг менеджмент. М. Кю Хю Мин., К. 2006.
2. Котлер ф. Основы Маркетинга. М. Вильямс, 2006
3. Попова Т.В., Маркетинг. Питер., 2010
4. ზუმბურიძეო.გ., ხახუტაშვილი ე.ე., ახალი ეკონომიკა და მარკეტინგი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. სტუ, ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები. თბ., 2010

Психологические факторы потребительского поведения

Елизавета (Иза) Хакхуташвили, Лали Хунцария
ГТУ, Тбилиси, ул. Костава 77,

На поведение потребителя существенное влияние оказывают технологические факторы, среди которых наиболее значительны мотивация, восприятие, обучение, убеждение и установка.

В статье рассмотрены теории мотивации З. Фрейда, А. Маслоу и Ф. Герцберга.

Потребительское поведение завершается процессом покупки, где потребитель в роли покупателя проходит пятистадийный процесс покупки.

Все это является искусством маркетинга.

Psychological factors of consumer conducts

Elisabet (Iza) Khakhutashvili, Lali Khuntsaria
GTU, Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

The Psychological factories has a major influence on consumers behaviour motivation, perception, studies, persuasion, purposefulness. In the article there are discussed the motivation theories of Z/ Freid, A. Maslous and P. Herzberg.

Te consumer behaviour ends with the buying process, whole the consumer passes the five steps buying process.

All these belong to the Art of Marketing.

ქართული სახელმწიფოს მოწყობის ფარნავაზისეული კონცეფციისთვის (ისტორიულ შედარებითი და კონფლიქტოლოგიური ასპექტები)

დარეჯან ცუცქერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას №77

ისტორიულ-პოლიტიკური პროცესის ნათელსაყოფად, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის დამაარსებელ ფარნავაზსა და მის მოწინა-

აღმდევე აზოს შორის მიმდინარეობდა, ე. წ. მაკრო და მიკრო გარემოს და ძირითადი ტენდენციების მიმოხილვა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

ფარნავაზისა და აზოს დაპირისპირებაში ფარნავაზის მხარდამჭერად იმ დროის გავლენიანი და ძლიერი სელექციდების სამეფო, მისი პოლიტიკური ოპონენტისა და მოწინააღმდეგის აზოს მხარდამჭერად კი პონტოს სამეფო გვევლინება. ლეონტი მროველის თხზულებაში, “ცხოვრება ქართველთა მეფეთა” დაცული ცნობის თანახმად, ფარნავაზმა სელექციდების სამეფოსგან შემწეობა ითხოვა. რაც, მისი პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად გადადგმული, ჩვენი აზრით, სწორად გათვლილი სტრატეგიული ნაბიჯი იყო. სელექციდების სამეფოს პოლიტიკურ ასპარეზზე წამყვანი პოზიციები ეკავა და სტრატეგიული პარტნიორობის მეოხებით ფარნავაზი – პოლიტიკური ოპონენტის აზოსა და მისი მხარდამჭერი პონტოს სამეფოს წინაშე გამარჯვებულის პოზიციით გამოდიოდა. ფარნავაზის არჩევანი, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ დიპლომატიური ნაბიჯიც იყო. გ. ქავთარიას მოსაზრების თანახმად, ქართული სივრცე, ფარნავაზის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამდე, აგრესორთა თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა და საკუთარ საგარო პოლიტიკას ვერ ქმნიდა. ფარნავაზმა ის ზღუდე გადალახა, რომელიც ქართულ სამყაროს ელინისტური სინამდვილის აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისგან ჰყოფდა [1;79] და იმავდროულად ძლიერი მოკავშირეც შეიძინა, რამაც მისი გამარჯვება განაპირობა.

აზოს მხარდამჭერმა პონტოს სამეფომ სელექციდებთან გართულებული მდგომარეობის გამო, როგორც ჩანს, აზოს სათანადო დახმარება ვერ აღმოუჩინა, რაც, ალბათ, ამ უკანასკნელის მარცხის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ პონტოს სამეფო ქართული მიწების მიმართ აგრესიას იჩენდა, აზოს გამარჯვების შემდეგ პონტოს გავლენა შესაძლოა ქართლზე გავრცელებულიყო. ფარნავაზის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა პონტოს მძიმე მდგომარეობას დაემთხვა, რამაც აზოს ხელისუფლების დაცემაში საბედისწერო როლი შეასრულა. [1.81], სამაგიეროდ აღნიშნული ფაქტორი ფარნავაზის გამარჯვების და მისი შიდა თუ საგარეო პოლიტიკის წარმატების საწინდარი გახდა.

მ. ინაძის მოსაზრების თანახმად, ფარნავაზის მიერ კოლხეთის შემოერთების მცდელობაც გარე ფაქტორებით იყო ნაკარნახევი და, ნაწილობრივ, პონტოსგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებით გამოწვეული. მეკლევრის მოსაზრებით, ლეონტი მროველის წყაროში დაცული ცნობა, რომ ზოგიერთმა “ბერძენმა” პონტოს გავლენის სფეროში ყოფნა ირჩია, ძირითადად დიოსკურიის ირგვლივ მდებარე “ქვეყნის” ადგილობრივ მოსახლეობას გულისხმობს. შიდაპოლიტიკური დაძაბულობის (სკეპტუხების) განდგომის პირობებში, კოლხეთის სამეფოს, დიოსკურიის “ქვეყნის” დაცვა და მისი საზღვაო პუნქტების გამაგრება უთუოდ უნდა გასძნელებოდა. პონტო კი ქალაქ სახელმწიფო ჰერაკლეს დახმარებით სარგებლობდა და ზღვაზე მოთარეშე ტომთა თავდასხმებისაგან დაცვის საბაბით კოლხეთის საქმეებში აქტიურად ერეოდა. მ. ინაძე ასკვნის, რომ კოლხეთის სამეფოსგან ადრე მისი კუთვნილი მიწების ჩამოშორება დაძაბულ საგარეო ვითარებაში მიმდინარეობდა, რაც მეზობელი აგრესიული პონტოს გავლენით ხდებოდა. ფარნავაზის მიერ აძიადორისა და ეკელეცის (ეფფრატზე მდებარე ოლქი) დალაშქვრა პონტოს წინააღმდეგ იყო მიმართული [2;159]. ფარნავაზმა პონტოს წინაშე ძალის დემონსტრირება მოახდინა და აზოს დამარცხებით და კლარჯეთის დაპყრობით ქართული ტომების გართიანება დაასრულა [1;80].

რაც შეეხება ლოკალურ გარემოს და მასში მიმდინარე პროცესებს, ქართლსა და ეგრისის შორის ურთიერთობის დინამიკა საკმაოდ საინტერესოდ ვითარდებოდა. ფარნავაზმა ხელისუფლებისთვის ბრძოლის გზის დასაწყისშივე პოლიტიკური პარტნიორის ძიება დაიწყო და თავისი არჩევანი ეგრისის მმართველ ქუჯიზე შეაჩერა. “ცხოვრება ქართველთა მეფეთას” თანახმად, ურთიერთობების დასაწყისში ფარნავაზი ქუჯის “მმად” მოიხსენიებს. მოლაპარაკების საწარმოებლად ფარნავაზი თავად მიდის მასთან. ე.ი. ქართული სახელმწიფოს შექმნამდე ქართლი და ეგრისი თანაბარი უფლებების პოლიტიკური ერთეულები იყვნენ. მაგრამ როგორც კი ფარნავაზსა და ქუჯის შორის გარიგება შედგება, ქუჯი ფარნავაზის უზენაესობას აღიარებს. მოგვიანებით, აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო თვალსაჩინოდ შემდეგ პასაჟში ვლინდება: “მაშინ ფარნავაზმა მისცა დაი მისი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაი მისცა ქუჯის ცოლად. მისცა [ქუჯის] ქუეყანაი ეგრისწყალსა და რიონსა შუა, ზღვითაგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა ერისთავად მუნ და მან ქუჯიმ აღაშენა ციხე გოჯი” [3;43]. ფარნავაზი ქუჯის ერისთავად ნიშნავს, საერისთავოდ ადრე მის სამფლობელო კოლხეთის ერთ ნაწილს, სვანეთთან ერთად უწესებს და მის საგამგეო ერთეულის საზღვრებსაც აწესებს. კოლხეთი ქართლზე დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცევა [2; 156]. ამ პასაჟში საყურადღებოა ისიც, რომ ფარნავაზის მიერ ქუჯისთან ალიანსის შექმნა, არამხოლოდ აზოს ხელისუფლების დამხობას ისახავდა მიზნად, არამედ უფრო შორსგადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. კერძოდ, როგორც ჩანს, ფარნავაზს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეა თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული, რომლის პოლიტიკურ ცენტრად ქართლი მოიაზრებოდა. ფარნავაზმა ეგრისზე პოლიტიკური მმართველობის გავრცელება სწორი შორსმიმავალი პოლიტიკური ნაბიჯებითა და ადმინისტრაციული დაყოფით უმტკივნეულოდ მოახერხა. ფარნავაზმა ქუჯის მიმხრობით ზღვაზე გასასვლელი და ჩრდილოკავკასიის გადმოსასვლელი დაიკავა. ოვსთა მეფესა და ქუჯიზე დების დაქორწინებით კი კიდევ ერთი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, რითაც, ერთი მხრივ, ჩრდილოკავკასიელებთან, (ოსებთან) და ეგრისის მოსახლეობასთან თუკი ეს უკანასკნელნი, მომავალში მის წინააღმდეგ გამოსვლას მოინდომებდნენ, შესაძლო კონფლიქტი აიცილა და, მეორე მხრივ, აზოს დამარცხებისა და სამხრეთ დასავლეთ ტერიტორიის შემოერთებით ძლიერ სახელმწიფოს შექმნიდა. ყოველივეს გათვალისწინებით, ფარნავაზი რეგიონში ანგარიშგასაწევი და ძლიერი ფიგურა გახდებოდა. უფრო მეტიც, სელევკიდების სამეფოსთან კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე გასვლასაც ნიშნავდა. ლეონტი მროველის გადმოცემით ფარნავაზმა: “წარსცა ძღუენი დიდძალი, და აღუთქვა მას მსახურებაი” [3;42], მაგრამ სელევკიდების დაქვემდებარებაში ყოფნა ნომინალური იყო და ფარნავაზი ზემოთქმულის გათვალისწინებით რეგიონში ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად იქცეოდა. ლეონტი მროველის მატიაზეში კიდევ ერთ საყურადღებო ფრაზას ვხვდებით: “ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთაისა” [3;44]. ცხადია, რომ ფარნავაზს ძლიერი ქვეყნის შექმნა სურს. იგი თავიდანვე სამ დონეზე მოქმედებს: ლოკალურ, რეგიონულსა და მსოფლიო ასპარეზზე გასვლის მნიშვნელოვანი მცდელობაც აქვს. ქუჯის პარტნიორად მოაზრება არა მხოლოდ ნდობის ფაქტორზე იყო დამყარებული, არამედ ეგრისის მმართველი მის ხელში ერთგვარი რესურსიც იყო, რომელიც ოვსებთან და ლეკებთან დააკავშირებდა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს,

რომ ფარნავაზსა და აზოს შორის არსებული კონფრონტაცია ძალაუფლებისთვის ბრძოლა იყო. ფარნავაზის მიერ გადადგმული თითქოს არც თუ მნიშვნელოვანი ქმედებები პოლიტიკურად გამართლებული ნაბიჯებია. ფარნავაზი ე.წ. დაჯილდოების ძალაუფლებას იყენებს. ქუჯისა და ოვსთა მეფეს გაწეული სამსახურის სანაცვლოდ უხვად აჯილდოებს. ამ თვალსაზრისითვეა საყურადღებო, აზონის ბანაკიდან გადმოსული ათასი მხედრის შესახებ ცნობა: “იპყრნა ივინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისა მხნედ იყვნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი” [3;45]. ფარნავაზი, ერთი მხრივ, მათ სამსახურს უფასებს, მეორე მხრივ, პოზიციებს იმყარებს. ისინი ხომ ბრძოლაში გამოცდილი მეომრები არიან, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში უნდა დაეყრდნოს. გარდა ამისა, თეორიულად იმის საფრთხეც რჩებოდა, რომ აზოს ყოფილი მეზობლები მომავალში პონტოს საყრდენი არ გამხდარიყვნენ.

მოკლედ შევეხოთ ფარნავაზის მიერ გატარებულ სახელმწიფო მოწყობის რეფორმას: “განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი...და ესე სპასპეტი იყო ყოვლადვე წინაშე მეფისა და მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა, ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფოთ და საერისთავოთ.” [3.44]. ფარნავაზმა იერარქიული საფეხური შემდეგი სტრუქტურით შექმნა: მეფე-სპასპეტი-ერისთავი-სპასალარი-ათასისთავნი. შედეგად შეიქმნა, ძლიერი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა-ძლიერი მონარქით სათავეში. აღნიშნული ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპი, იქიდან გამომდინარე, რომ მასში ვერტიკალური მმართველობის ღერძი იგრძნობა, პირველ ყოვლისა, ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურებოდა. მეფესა და ერისთავებს შორის შუალედური რგოლი სპასპეტია, იგი მთავარსადალია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ყველა სარდალი ემორჩილება და რომლის საშუალებითაც ფარნავაზმა, ერთი მხრივ, ერისთავებისგან დისტანცირება მოახდინა, მეორე მხრივ, ერისთავთა უფლებები შეკვეცა, რაც მის ძალაუფლებას გაზრდიდა. გ. ქავთარიას მოსაზრების თანახმად, ქართველ ტომთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებამ უმაღლესი ხელისუფლების მოდერნიზება მოითხოვა. [1;9]. ყურადღებას არა მხოლოდ სპასპეტის, არამედ სპასალარებისა და ათასისთავნის რგოლთა შემოღებაც იპყრობს, რაც საერისთავოების უფრი წვრილ ერთეულებად დაყოფას ნიშნავდა და რაც, მმართველობისთვისაც უფრო მოხერხებული უნდა ყოფილიყო. სპასალარნი და ათასისთავნი, როგორც ჩანს, სამეფო და საერისთავო ხარკის აკრეფაზე უნდა ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი. ძლიერი მონარქით სათავეში, სტრუქტურულად ძლიერი სახელმწიფოს შექმნა გვაფიქრებინებს, რომ ფარნავაზმა პოლიტიკური მოდერნიზაციის დასაწყისში იცოდა რა უნდოდა და მიზნის მისაღწევად როგორ უნდა ემოქმედა.

ლეონტი მროველის “მეფეთა ცხოვრება” ყურადღებას კიდევ ერთი პასაჟით იქცევს: “ამან განაგრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული [3;46] ფარნავაზმა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული რეფორმებიც გაატარა. მ. ჩხარტიშვილის მოსაზრების თანახმად, მან ქართული ეთნოსი როგორც განსაკუთრებული, სხვათაგან განსხვავებული მოვლენა მოიაზრა. ამ მიზნით, სახელმწიფო შენებისთვის დუდაბად ქართული ენა გამოიყენა, რომელსაც სახელმწიფოებრივი სტატუსი მიანიჭა. ამგვარად ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესი შეუქცევადი გახდა. [4;14] რ.

ბარამიძის მოსაზრების თანახმად კი, მწიგნობრობის შექმნასა და განვითარებას ერი მაშინ აღწევს, როდესაც უამრავი სოციალური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პრობლემები წარმატებით აქვს დაძლეული, როდესაც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დიდ აღმავლობას განიცდის და მწიგნობრობის დაფუძნება ყოველივე ამის თანმიმდევრული დაგვირგვინებაა [5;13]. ამ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ ე.ი. ფარნავაზმა პოლიტიკური პრობლემები წარმატებით დაძლია და ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა. სახელმწიფოს ფუძემდებელმა სახელმწიფო სწორედ ეთნოგენეზისთვის აუცილებელი კომპონენტებით შექმნა. ლეონტი მროველმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართველები არა მოსული, არამედ ადგილობრივნი იყვნენ, ფარნავაზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, კულტურული, რელიგიური რეფორმები სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. არმაზის კულტის აღმართვამ, აზოს მიერ დატოვებულ გაცისა და გას კერპებს შორის კი ფარნავაზის ერთიან ქართულ სივრცეზე ჰეგემონობას გაუსვა ხაზი. ფარნავაზის რელიგიური რეფორმით, სამეფო ხელისუფლებამ გამაერთიანებელი კულტი დააწესა, რომელიც კულტურულად და ეკონომიკურად სუსტ ტომებს თავს ერთი კერპის გარშემო მოუყრიდა. მეფის ხელისუფლებამ თავისი იდეოლოგიის დასაყრდენი და ხალხში ერთიანი რელიგიური ცნობიერება შექმნა. არმაზის აღმართვით ქართველი ტომების რელიგიური გაერთიანება დასრულდა, რაც ტერიტორიული გაერთიანების უშუალო შედეგი იყო. [1;109-112]

ფარნავაზმა ერთიანი სახელმწიფო შექმნა-ერთიანი ენითა და რელიგიით. ფარნავაზისა და აზონის დაპირისპირება უნდა განისაზღვროს, პოლიტიკური ძალაუფლებისთვის წარმოებულ შიდა პოლიტიკურ კონფლიქტად. ეს არა მხოლოდ ორ პიროვნებას, არამედ ქართულ სივრცეზე ჰეგემონისთვის ორ ქართულ დაჯგუფებას შორის დაპირისპირებაა. ცნობილია, რომ პოლიტიკური მოდერნიზაცია არსებული პოლიტიკური ძალის ერთ-ერთი გარანტიაა. ფარნავაზის მიერ განხორციელებული რეფორმები სწორედ ამას უნდა მივაწეროთ.

ფარნავაზის განხორციელებული ქვეყნის ადმინისტრაციულ-კულტურულ-რელიგიურ მოდერნიზება, ერთი მხრივ, კონფლიქტში დაზარალებულთა და კონფლიქტით უკმაყოფილოთა რიგებში დაძაბულობის შემცირებას ემსახურებოდა, მეორე მხრივ, მთელ ქართულ სივრცეზე მის ძალაუფლებას უზრუნველყოფდა, მესამე მხრივ კი ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეამ ხორცი შეისხა, რასაც, რა თქმა უნდა, არაერთი შიდა თუგ არე ფაქტორიც განაპირობებდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქავთარია გ. ფარნავაზი, უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 1995.
2. ინაძე მ. ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის (“ფარნავაზის ცხოვრების” მიხედვით), მნათობი: № 8, საქართველოს კპ-ს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1989.
3. ქართლის ცხოვრება, “მერიდიან”, ”არტანუჯი” თბილისი, 2008.
4. ჩხარტიშვილი მ. სახეები საქართველოს წარსულიდან, უნივერსალი თბილისი, 2009.
5. ბარამიძე რ. ფარნავაზიან ძლიერჰყო ქვეყანა თვისი. საქართველო 1992.

**Parnavaz's Conception of Creation Georgian State
(Historical-comparative and conflictological aspects)**

Darejan Tsutskiridze

To understand the confrontation between the founder of Georgian state Parnavaz and his rival Azo and to reveal the historical-political process, it's necessary to review the micro and macro environment, in which this confrontation takes place. This helps to understand the goals and purposes of conflicting parties and to reveal historical and conflictological aspects.

**Концепция Фарнаваза о Государственном устройстве Грузии
(Историческо сравнительные и конфликтологические аспекты)**

Дареджан Цуцкиридзе

Для объяснения конфронтации существующей между основателем Грузинской государственности Парнавазом и его соперником Азо и историческо-политического процесса, важно провести обзор т.н. макро и микро окружения, где происходит противостояние. Общая картина дает возможность лучше выявить исторические и конфликтологические аспекты, цели и задачи участвующих в противостоянии сторон.

საბუნებისმეტყველო დისციპლინები –
Естественноведческие дисциплины –
Science

გამტარობის მექანიზმი და კვანტური ეფექტები

ლალიტა დარჩიაშვილი ზურაბ ჩახჩიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
თბილისი, კოსტავას ქ.№77

1. გამტარობის ზონური თეორია. შესაძლებელია კრისტალში ელექტრონების მიერ ენერგეტიკული ზონების შევსების სამი შემთხვევა.

ა) ელექტრონები მთლიანად არ ავსებენ ვალენტურ ზონას (სურ. 1). გარე ელექტრული ველის მოქმედებით მათ შეუძლიათ შეიძინონ მცირედი დამატებითი ენერგია (ზონის სიგანის ფარგლებში) და, მაშასადამე, დამატებითი სიჩქარეც ველის საწინააღმდეგოდ. წარმოიქმნება მუხტების მიმართული მოძრაობა ელექტრული დენი. ასეთი სურათი შეესაბამება გამტარს, კერძოდ ლითონს. ვალენტურ ზონას ეწოდება გამტარობის ზონა.

ბ) ვალენტური ზონა მთლიანად არის დაკავებული ელექტრონებით (სურ. 2). სუსტ ელექტრულ ველებს ამჯერად არ შეუძლია ელექტრონის გადასაცემს ზედა თავისუფალ ზონაში გადასვლისთვის საჭირო ენერგია (რამდენიმე ელექტრონვოლტის რიგის).




სურ. 1. ლითონში ენერგეტიკული ზონების სქემა. ელექტრონებს შესაძლებლობა აქვს უმნიშვნელოდ გაზარდოს თავისი ენერგია ($\Delta W \sim 10^{-28}$ ევ) და უფრო მაღალ დონეზე გადავიდეს ზონიდან გაუსვლელად.



სურ. 2. ენერგეტიკული ზონების სქემა დიელექტრიკში. ელექტრონებს არ შეუძლია საკუთარი ენერგიის გაზრდა უფრო მეტი სიდიდით, რომელიც აუცილებელი სხვა ზონაში გადასასვლელად. აკრძალული ზონის სიგანე დიდია – რამდენიმე ელექტრონვოლტი

ამიტომ ელექტრონები არ შეიძენენ გარე ველის მოქმედებით დამატებით მიმართულ სიჩქარეს. მოცემული სიტუაცია შეესაბამება დიელექტრიკებს. ელექტრონების გადასვლა თავისუფალ ზონაში შესაძლებელია მხოლოდ ძალზე ძლიერი ველებისას, როდესაც ელექტრონს შეუძლია ერთბაშად მიიღოს ენერგიის დიდი პორცია. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დიელექტრიკის გარღვევას.

გ) ვალენტური ზონა შევსებულია; აკრძალული ზონის სიგანე დიდი არ არის (სურ. 3). ელექტრონების სითბური მოძრაობისას ენერგია (ელექტრონ-ვოლტის მეათედი და მეასედი სიდიდეები) შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს ელექტრონის გადასაყვანად თავისუფალ ზონაში. გამტარობის ზონები მოცემულ შემთხვევაში არის როგორც კვანტური, ისე თავისუფალი ზონებიც. ასეთ სურათს ადგილი აქვს ნახევარგამტარში.



სურ. 3. ენერგეტიკული ზონების სქემა ნახევარგამტარში. აკრძალული ზონის სიგანეა რამდენიმე ათეული ელექტრონ-ვოლტი. სითბური ენერგიის გავლენით თავისუფალ ზონაში გადასულმა ელექტრონებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ გამტარობაში. ვალენტურ ზონაში თავისუფლდება ადგილი და ელექტრონების ნაწილმა ასევე შეიძლება მონაწილეობა მიიღოს გამტარობაში, უფრო მაღალ დონეზე ასვლით

2. ფერმის განაწილება. ლითონში ელექტრონების ქცევის რაოდენობრივი აღწერისთვის საჭიროა სტატისტიკური მეთოდები. ისინი გამოიყენება ფიზიკაში მრავალი ნაწილაკის მონაწილეობით მიმდინარე პროცესების შესასწავლად, როდესაც მიზანშეწონილი არ არის თვალყურის დევნება ერთი, მთელი ანსამბლიდან გამოყოფილი ნაწილაკის ქცევაზე.

ადრე, თავისუფალი ელექტრონების ერთობლიობა ლითონში შედარებული იყო იდეალურ გაზთან. კლასიკური სტატისტიკის მეთოდები იძლევა იდეალური გაზის მოცულობის განაწილებას (მაქსველის განაწილება) სიჩქარეების მიხედვით:

$$f(v) = 4\pi \left(\frac{m}{2\pi kT} \right)^{3/2} e^{-\frac{mv^2}{2kT}} v^2.$$

ეს განაწილება ახასიათებს მოლეკულების რიცხვს, რომელსაც აქვს სიჩქარის მოცემული მნიშვნელობა.

კვანტური თეორია შეზღუდვებს აწესებს ლითონში თავისუფალი ელექტრონების შესაძლო მდგომარეობებზე.


თავისუფალი ელექტრონების კვანტურ განაწილებას ენერგიების მიხედვით ლითონში პაულის პრინციპის გათვალისწინებით (ფერმის განაწილება) შემდეგი სახე აქვს:

$$f(W_n) = \frac{1}{e^{\frac{W_n - W_F}{kT}} + 1}.$$

და ახასიათებს მოცემული ენერგეტიკული დონის W_n ელექტრონებით შევსების ხარისხს. $f(W_n)=1$, ეს ნიშნავს, რომ W_n ენერგიის დონე დაკავებულია ორი

ელექტრონით. თუ $f(W_n)=0$, მაშინ W_n დონე თავისუფალია, როდესაც $F(W_n)=\frac{1}{2}$, მაშინ W_n დონეზე იმყოფება ან ერთი ელექტრონი, ან დროის ნახევარი დონე დაკავებულია ორი ელექტრონით, ხოლო მეორე ნახევარი ცარიელია. W_F ფერმის ენერგია (ან "დონე") – პარამეტრია, რომელიც ახასიათებს მოცემულ განაწილებას მთლიანობაში.

$$\text{თუ } T=0 \quad f(W_n) = \begin{cases} 0 & W_n > W_F - \text{თვის} \\ 1 & W_n < W_F - \text{თვის} \end{cases}$$




სურ. 4. ფერმის განაწილების გრაფიკი ტემპერატურის აბსოლუტურ ნულზე მთლიანად არის შევსებული (2 ელექტრონი) ყველა დონე ენერგიით $W \leq W_F$. დანარჩენი დონეები ცარიელია

მაშასადამე, ფერმის დონე – უმაღლესი შევსებული დონეა გამტარობის ზონაში ტემპერატურის აბსოლუტურ ნულზე.

ფერმის დონე საკმაოდ სუსტად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე და ძირითადად განისაზღვრება ელექტრონული გაზის სიმკვრივით. ასე, მაგალითად, თუ $n \sim 10^{29} \text{ 1/მ}^3$, $W_F \sim 8 \text{ ევ}$.

ელექტრონების საშუალო ენერგია ტემპერატურის აბსოლუტურ ნულზე $W_{საშ} \sim 5 \text{ ევ}$. ედარებისთვის: იდეალური გაზის "კლასიკური" მოლეკულის ენერგიას $\sim 1/40 \text{ ევ}$ შეესაბამება $T=300^\circ\text{C}$ ელექტრონული გაზი "კლასიკური" რომ ყოფილიყო, მისთვის უნდა მიგვეწერა 60000K ტემპერატურა, რაც შეესაბამება 5 ევ-ს.

$T \neq 0$ -თვის ფერმის განაწილების სახე იცვლება (სურ. 5).



სურ. 5 ფერმის განაწილება $T \neq 0$ ტემპერატურაზე. ელექტრონების რაოდენობა, რომელთაც აქვს ენერგია მოცემულ ინტერვალში ΔW , განისაზღვრება დაშტრისული მონაკვეთს ფართობით განაწილების მრუდის ქვეშ. W_F -ზე მეტი ენერგიის ელექტრონების რიცხვი ($T=0$) განისაზღვრება განაწილების "კუდის" ფართობით (კუნქტირი)


ფერმის განაწილება საშუალებას იძლევა შემდეგნაირად განვსაზღვროთ ელექტრონების რიცხვი ენერგეტიკულ ინტერვალში: ΔW_n – მოცემულ ინტერვალში $\Delta W/D$ ენერგეტიკული დონეების რაოდენობაა, სადაც D – ენერგეტიკულ ზონაში დონეებს შორის მანძილია. მაშინ ელექტრონების რიცხვი ინტერვალში

$$\Delta W_n : N_{\Delta W_n} \sim 2f(W_n) \frac{\Delta W_n}{D} \sim f(W_n) \Delta W_n d = \text{const},$$

ანუ განაწილების მრუდის ქვედა ელემენტის ფართობის არაპროპორციულია. ელექტრონების სრული რაოდენობა განისაზღვრება განაწილების ფუნქციის ინტეგრირებით ყველა ენერგიაზე: $N \sim \sum f(W_n) \Delta W_n \rightarrow \int f(W) dW$. რადგან ზონებში დონეებს შორის მანძილი მცირეა, ამიტომ შეკრება შეიძლება შევცვალოთ ინტეგრირებით. ამრიგად, ელექტრონების სრული რაოდენობა განისაზღვრება მოელი ფართობით ფერმის განაწილების მრუდის ქვეშ.

3. ლითონების გამტარობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. ფერმის განაწილების გადახრა მართკუთხედიდან (განაწილების "კუდი") საკმაოდ მცირეა დნობის ტემპერატურასთან ახლო ტემპერატურაზეც კი. ელექტრონების ძირითად ნაწილს მჭიდროდ აქვს შევსებული ქვედა დონეები და არ აღიქვამს სითბურ ენერგიას (სურ.6). ამიტომ ელექტრონული გაზის სითბოტევადობა ძალზე მცირეა და პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს ლითონის სითბოტევადობაზე. ლითონის სითბოტევადობა პრაქტიკულად ემთხვევა კრისტალური მესრის სითბოტევადობას. აქედან გამომდინარეობს ლითონის გამტარობის ტემპერატურული დამოკიდებულება.

ადრე მიღებული იყო გამტარობის ფორმულა: $\sigma = \frac{ne^2\lambda}{2mv}$. გამტარობის ელექტრონების საშუალო კინეტიკური ენერგია არ იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად. მაშასადამე, v პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული T -ზე. მნიშვნელოვანია λ -ს დამოკიდებულება T -ზე. რადგან $\lambda \sim \frac{1}{T}$, ამიტომ $\sigma \sim \frac{1}{T}$ და $\rho \sim T$ – ცდის შესაბამისად.



სურ. 6. ლითონების სითბოტევადობის ახსნა. ჩანს, რომ ლითონის გაცხელებისას მხოლოდ მცირე რაოდენობის ელექტრონები იმარაგებენ სითბურ ენერგიას და უფრო მაღალ ენერგეტიკულ დონეზე აღიან

4. ნახევარგამტარების თავისუფალი გამტარობა.


1. ნახევარგამტარების ელექტრონული გამტარობა. ნულისგან განსხვავებული ტემპერატურისას, ელექტრონების ნაწილს საშუალება ეძლევა გადავიდეს გამტარობის ზონაში დაგროვილი სითბური ენერგიის ხარჯზე. ეს ელექტრონები იმყოფება "კუდში", ფერმის განაწილების ბუნდოვან ზონაში.

ტემპერატურის ზრდასთან ერთად, განაწილების ბუნდოვნება მატულობს და მაშასადამე, იზრდება ელექტრონების რაოდენობა გამტარობის ზონაში. შესაბამისად, ნახევარგამტარების გამტარობაც იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად.

შიეილება ვახვენოთ, რომ $\sigma = \sigma_0 e^{-\frac{\Delta W}{2kT}}$, სადაც ΔW აკრძალული ზონის სიგანეა.


ნახევარგამტარების ხვრელური გამტარობა (სურ.7) უარყოფითი მუხტის უკმარისობა მთლიანად შეესბუღვ ვალენტურ ზონაში დადებითი მუხტის არსებობის ეკვივალენტურია, რომელსაც ეწოდება "ხვრელი". ნახევარგამტარში არის ორი ტიპის მუხტის მატარებელი – უარყოფითი ელექტრონები და დადებითი ხვრელები. გამტარობაში მონაწილეობისას, ხვრელი ნახევარგამტარში გარე ველის მიმართულებით მოძრაობს.

მოცემულ ტემპერატურაზე ნახევარგამტარში დამყარებულია ელექტრონებისა და ხვრელების გარკვეული წონასწორული კონცენტრაცია.



სურ. 7. ა – ელექტრონი, რომელიც გამოვსა ვალენტური ზონიდან, ტოვებს ვაკანტურ ადგილს – ხვრელს. ბ – ელექტრული ველის გავლენით ელექტრონს ვალენტურ ზონაში შეუძლია ავიდეს მადალ დონეზე. ხვრელი ეშვება ქვემოთ

მაგალითი – პერიოდულ სისტემის IV ჯგუფის ელემენტები სილიციუმი და გერმანიუმი (სურ.8). ვალენტური კავშირის გაწყვეტა თავისუფალი ელექტრონისა და "ხვრელის" წარმოქმნით, საკმარისი სითბური ენერგიისას. ელექტრონი და "ხვრელი" ნახევარგამტარში დამოუკიდებლად გადაადგილდება. გამტარობის თავისუფალი ელექტრონისა და ხვრელის შეხვედრისას ადგილი აქვს რეკომბინაციას – ვალენტური კავშირის აღდგენას.




სურ. 8. გამტარობის ელექტრონისა და ხვრელის წარმოქმნა გერმანიუმის მესერში. ორმაგი ხაზები ატომების ვალენტური კავშირებია. კავშირის გაწყვეტა იწვევს თავისუფალი ელექტრონისა და თავისუფალი ვაკანსიის – ხვრელის წარმოქმნას


5. ნახევარგამტარების მინარევული გამტარობა. მინარევული გამტარობა წარმოიქმნება კრისტალური მესრის ზოგიერთი ატომის შეცვლისას სხვა ატომებით, რომელთა ვალენტობა ერთით განსხვავდება ნახევარგამტარის ატომების ვალენტობისაგან. ამ დროს წარმოქმნილი გამტარობის ტიპი დამოკიდებულია ნივთიერების კონკრეტულ სტრუქტურაზე.

n – ტიპის მინარევული გამტარობა. მინარევის ატომს აქვს ერთი მეტი ვალენტობა, ვიდრე დანარჩენს. მინარევის ატომების ვალენტური ელექტრონები არ ქმნიან ზონებს, რადგან ისინი ცოტანი არიან (სურ.9). თუ ამ ელექტრონების ენერჯის დონეები ახლოსაა განლაგებული გამტარობის ზონასთან, მაშინ ელექტრონებს მცირე ველი ზემოქმედებით შეუძლია გადავიდეს მინარევის დონეებიდან გამტარობის ზონაში. n – ტიპის ნახევარგამტარების გამტარობა ელექტრონულია.

მაგალითი – 5-ვალენტიანი ფოსფორის მინარევის ატომები 4-ვალენტიანი გერმანიუმის მესერში (სურ.10). ფოსფორის მეხუთე "ზედმეტი" ელექტრონი ადვილად მოსწყდება ატომს სითბური აღზნების ან სუსტი გარე ველის გავლენით და ქმნის გამტარობის თავისუფალ ელექტრონებს.




სურ. 9. n-ტიპის ნახევარგამტარებში მინარევის დონეები (დონორული დონეები) ახლოსაა განლაგებული გამტარობის ზონასთან



სურ. 10. ფოსფორის ატომი გერმანიუმის კრისტალურ მესერში


გამტარობა განპირობებულია ფოსფორის განთავისუფლებული ელექტრონებით.

n-ტიპის მინარეული გამტარობა. მინარევის ატომებს აქვს ერთი ნაკლები ვალენტობა, ვიდრე დანარჩენებს. ნახევარგამტარის აკრძალულ ზონაში არის მინარევის თავისუფალი დონეები (აქცეპტორული დონეები), რომლებიც ახლოსაა განლაგებული ვალენტურ ზონასთან (სურ.11). გარე ველის მოქმედებით ელექტრონები ვალენტური ზონიდან შეიძლება გადავიდეს აქცეპტორულ დონეზე, ზონაში ხვრელის წარმოქმნით. p-ტიპს ნახევარგამტარების გამტარობა – ხვრელურია.



სურ. 11. ხვრელური გამტარობის წარმოქმნის მექანიზმი p-ტიპის ნახევარგამტარებში

მაგალითი – 3-ვალენტიანი ბორის მინარევის ატომები 4-ვალენტიანი სილიციუმის მესერში (სურ.12). ბორის ერთ-ერთი კავშირ მის მეზობლებთან დაუკომპლექტებელია. ამ ადგილზე შეიძლება დაიჭიროს ელექტრონი სხვა კავშირისგან; ამ დროს წარმოიქმნება ხვრელი, რომელსაც გარე ველის მოქმედებით შეუძლია კრისტალში გადაადგილება.



სურ. 12. ბორის ატომი სილიციუმის კრისტალურ მესერში. ბორის კავშირების შევსებისას წარმოიქმნება ხვრელი

ლიტერატურა

1. Савельев И.В. Курс общей физики. Наука. 1966.
2. Зисман Г.А., Тодес О.М. Курс общей физики. Наука. 1965.
3. Штрауф Е.А. Курс физики. Т.2. Судпромгиз. 1962.

Mechanism of conductivity and quantum effects

L. Darchiashvili, Z. Chachxian.

Filling of the levels of electric energy at different temperatures are characterized by Fermi distribution function.

Quantum attitude to the structure of the crystal enables us explain electric features of metals, semiconductors and dielectrics.

. Механизм проводимости и квантовые эффекты

Л. Дарчиашвили, З. Чачхиани

Заполнение электронных уровней энергии при различных температурах характеризуется функцией распределения Ферми.

Квантовые представления о строении кристаллов позволяют объяснить электрические свойства металлов, полупроводников и диэлектриков.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები განვითარებული ქვეყნებში

*ო.ზუმბურდიე, სტუ-ს სრული პროფესორი,
ც.გოჭოშვილი სტუ-ს ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის დოქტორანტი*

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები თავიანთი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური როლის გამყარებაში პრიორიტეტს ანიჭებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას და მას უკავშირებენ ქვეყნის მომავალს. თანამედროვე მსოფლიოში კავშირგაბმულობის დარგი ძირითად პრიორიტეტად მოიაზრება. ტელეკომუნიკაციის განვითარების ისტორია კი კომუნიკაციის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. თავდაპირველად ინფორმაციის გადაცემის საშუალებას ოპტიკური კავშირი წარმოადგენდა, როდესაც ადამიანები მტრის შემოსევას ან რაიმე სხვა მოვლენას ერთმანეთს კოცონის საშუალებით ატყობინებდნენ. 1792 წელს ფრანგმა ინჟინერმა კ.ჩაფემ ააგო პირველი ოპტიკური ტელეგრაფის (ე.წ.სემაფონური ტელეგრაფი) სისტემა საფრანგეთში ლილესა და პარიზს შორის. შემდგომ კი სტრასბურგსა და პარიზს შორის. ხოლო 1794 წელს შვედმა ინჟინერმა ა.ედელჟრანტსმა ააგო სრულიად განსხვავებული სისტემა სტოქჰოლმსა და დროტნინჰოლმს შორის. კ.ჩაფეს სისტემისგან განსხვავებით, რომელიც შედგებოდა ხის ორ ტოტზე დამაგრებულ ამძრავი ბორბლისაგან და ტოტზე დამაგრებულ ნათურებისაგან, რომლებიც სხივდებოდნენ სხვადასხვა პოზიციით და ქმნიდნენ 196 კომბინაციურ კოდს. ა.ედელჟრანტსის სისტემა ეყრდნობოდა მხოლოდ 10 დასაკვეც რკინის ჟალუზს, რომელთა ხვადასხვა კომბინაცია ქმნიდა ციფრებს რომლებიც ითარგმნებოდა შესაბამისი ასოების, სიტყვებისა თუ წინადადებების მიხედვით (არსებობდა კოდური წიგნი). ინფორმაციის გადაცემის მანძილი კი 10-დან 30 კილომეტრს შეადგენდა. საბოლოოდ საჭირო იყო კვალიფიციური ოპერატორები,

ძვირადღირებული ანბები ამიტომ, 1880 წელს უარი ითქვა ახალი კომერციული ხაზების შექმნაზე.

ტელეკომუნიკაციის შემდგომ განვითარებას საფუძველი ჩაუყარა XVIII და XIX საუკუნეებში ელექტრონულ და მაგნიტურ მოვლენებთან დაკავშირებულმა უმნიშვნელოვანესმა აღმოჩენებმა. მათი ერთ-ერთი უპირველესი გამოყენება იყო შეტყობინებათა გადაცემა ელექტრული ენერჯის საშუალებით.


თავდაპირველად ექსპერიმენტის დონეზე შეიქმნა ელექტროქიმიური ტელეგრაფი გერმანელი ფიზიკოსის, ანალიტიკოსოსა და გამომგონებლის ს.ტომასის მიერ 1809 წელს. ხოლო პირველი ელექტრული ტელეგრაფი შეიქმნა ინგლისში. ასევე, ს.მორზემ ჯერ დამოუკიდებლად განავითარა ელექტრული ტელეგრაფი, რომელიც წარუმატებლად წარმოადგინა 1837წ, ხოლო შემდგომ ა.ვეილთან ერთად, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა 1838 წელს 5 კილომეტრიანი ხაზის დემონსტრირებით. ტელეკომუნიკაციის ერთ-ერთი უძველესი სახეა ფაქსიმილური კავშირიც, რომლის აპარატიც იტალიელი ფიზიკოსის ჯ.კაზელის მიერ შეიქმნა 1855 წელს.

შედარებით გვიან შეიქმნა სატელეფონო კავშირი. პირველი მოწყობილობა, რომელიც ხმოვან შეტყობინებას გარდაქმნიდა ელექტრონულ სიგნალად, ამერიკელმა მეცნიერმა ა.გ.ბელმა გამოიგონა 1876 წელს. პირველი კომერციული მომსახურებები ამუშავდა 1878-79 წლებში ნიუ-ჰავენსა და ლონდონში, რის შემდეგაც უკვე აღინიშნა მსოფლიო სატელეფონო ქსელების სწრაფი ზრდა-განვითარება. მიუხედავად ამისა, ტრანსატლანტიკური ხმოვანი კომუნიკაცია შეუძლებელი რჩებოდა მომხმარებლებისათვის 1927წ-მდე, როდესაც შეერთება დამყარდა რადიოს საშუალებით. XIX საუკუნის მიწურულს მეცნიერებმა თეორიულად დაამტკიცეს ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით ინფორმაციის ღია სივრცეში გადაცემის შესაძლებლობა. პირველი რადიოკავშირი კი განხორციელდა 1896 წ-ს 7 მაისს, რომელიც ითვლება რადიოკავშირის დაარსების თარიღად. მისმა გამოგონებამ საფუძველი ჩაუყარა ისეთი სისტემების შექმნას როგორებიცაა: რადიოსარელეო, თანამგზავრული, ფიჭური და სხვა. ასევეა სატელევიზიო მომსახურება, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიქმნა.

კომპიუტერული ქსელების შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპია ტელეკომუნიკაციის ისტორიაში, რომელიც სათავეს იღებს დაახლოებით XX საუკუნის მეორე ნახევარში. 1940 წლის სექტემბერში ჯ.სტიბიციმ ტელეტაიპის მანქანის საშუალებით გააგზავნა ინსტრუქციები სხვაგან მდებარე მოდელზე და მიიღო პასუხი იგივე მნიშვნელობით. 1964 წელს „Dartmouth“-ში მკვლევარებმა კარგად განავითარეს დროში განაწილების სისტემა დიდი ოდენობით დაყოფილ მომხმარებლებისათვის. იმავე წელს კი კომპიუტერის გამოყენებით შეძლეს მარშუტის დადგენა და სატელეფონო კავშირის დამყარება. 1960 წელს ლ.კლეინროკმა, პ.ბარანმა და დ.დევისმა დამოუკიდებლად განავითარეს ქსელური სისტემები, რომლებიც იყენებდნენ პაკეტებს კომპიუტერებს შორის კავშირის დროს. 1965წ თ.მერილმა და გ.რობერტსმა შექმნეს პირველი გლობალური ქსელი - WAN. ხოლო 1969 წელს მოხდა [ARPANET](#) ქსელის გამოყენება სიჩქარით 50 კბიტ/წმ. კომერციული მომსახურებები, რომლებიც იყენებდნენ [X.25](#) ოქმს

დაინერგა 1972წ-ს და მოგვიანებით გამოყენებული იქნა როგორც ძირითადი ინფრასტრუქტურა [TCP/IP](#) ქსელის გაფართოებისათვის. დღეისათვის კომპიუტერული ქსელები უმთავარესია თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისათვის. საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის (PSTN) ყველა თანამედროვე ასპექტები კომპიუტერულ-კონტროლებადია. ტელეფონია მისწრაფვის ინტერნეტ პროტოკოლისაკენ. ბოლო ათწლეული გამოიჩინა კომუნიკაციების მუდმივი მზარდი მოთხოვნით, რომლის განვითარებაც წარმოუდგენელია თანამედროვე კომპიუტერული ქსელების გარეშე.

დღეისათვის სწრაფი ტემპით ვითარდება და ინერგება მობილური რადიოტელეკომუნიკაციის ისეთი სახეობა, როგორცაა მობილური (ფიჭური) ტელეკომუნიკაცია. ნახ. 1-ზე გამოსახულია ფიჭური ტელეკომუნიკაციის ტექნოლოგიური განვითარება პირველი თაობიდან (1G) მეოთხე თაობის (4G) ჩათვლით.



ნახ. 1


თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარებისა აუცილებელი წინაპირობაა. ICT-ის გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის ცხოვრების ნებისმიერი სფეროს პროგრესი, მსოფლიო უსაფრთხოება, ეფექტიანი საერთაშორისო ურთიერთობები, განათლების სისტემა, სოციო-ეკონომიური წინსვლა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და სხვა.

ინფორმაციული საზოგადოების განვითარების დონის შეფასება ხდება ორი მაჩვენებლის მიხედვით, ესენია: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარების ინდექსი და ICT ფასების კალათი - ორი ბენჩმარკული მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მონიტორინგი მსოფლიო მასშტაბით.

2009 წელს პირველად გამოყენებული იქნა ICT განვითარების ინდექსი (IDI), რომლის ძირითადი კვლევის მიმართულებებია შეაფასოს:

- დროში ICT განვითარების დონის ევოლუცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე სხვა ქვეყნებთან შედარებით.

- ICT განვითარების პროგრესი, როგორც განვითარებულ ასევე განვითარებად ქვეყნებში: ინდექსი (მაჩვენებელი) უნდა იყოს გლობალური და ასახავდეს ქვეყნებში ICT განვითარების სხვადასხვა დონეზე ძირითად ცვლილებებს.
- ციფრული უთანასწორობა (**digital divide**), ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნებს შორის განსხვავებები, რომლებიც ICT განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან.
- ICT განვითარების პოტენციალი, ანუ ქვეყნის შესაძლებლობა გამოიყენოს ICT რათა თავის შესაძლებლობებზე და უნარზე დაყრდნობით შეძლოს ზრდა-განვითარება.




ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ინფორმაციული საზოგადოების განვითარების სამი საფეხური : საფეხური I - ICT მზადყოფნა (ასახავს ქსელის ინფრასტრუქტურის დონეს და ICT-ზე ხელმისაწვდომობას), საფეხური II - ICT ინტენსიურობა (ასახავს საზოგადოებაში ICT-ების გამოყენების დონეს), საფეხური III - ICT გავლენა (ასახავს ICT ეფექტურ გამოყენებას და შედეგების ეფექტიანობას).

აღნიშნული სამი საფეხურის მოქმედება დამოკიდებულია ამ სამი კომპონენტის კომბინაციაზე: ICT მზადყოფნა (I საფეხური) ICT ინტენსიურობა (II საფეხური) და ICT უნარები. თუმცა საბოლოო საფეხურის მისაღწევად, გადამწყვეტია მესამე კომპონენტი - უნარები. ICT უნარები განსაზღვრავენ შესაბამისად, IDI-ის საშუალებით შესაძლებელია შეფასებული იქნას რამდენად ეფექტურად არის გამოყენებული ICT.

IDI იყოფა სამ ქვე-ინდექსად: დაშვების, გამოყენების და უნარების ქვეინდექსებად. მაგალითად, დაშვების ქვეინდექსი მოიცავს ხუთ ინფრასტრუქტურას და დაშვების ინდიკატორს, ესენია: ფიქსირებული ტელეფონია, მობილური ფიქსური ტელეფონია, საერთაშორისო ინტერნეტ გატარების ზოლი, საყოფაცხოვრებო პერსონალური კომპიუტერები და პესონალური კომპიუტერები ინტერნეტთან მიერთებით. გამოყენების და უნარების ქვე ინდექსები შესაბამისად მოიცავენ 3-3 ინდიკატორს.

რაც შეეხება ICT-ის ფასების კალათას, ITU-ს ბოლო მონაცემებით ეს უკანასკნელი ეყრდნობა ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო კავშირებზე და ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებაზე დაწესებულ ტარიფებს, ანუ მოცემულია სამი ქვეკალათა - ფიქსირებული ტელეფონიის ფასების

ქვეკალათა, ფიქური მობილური ტელეფონის ქვეკალათა და ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ქვეკალათა. მისი დანიშნულებაა მოახდინოს ICT მომსახურებების ღირებულების მონიტორინგი, რათა დადგინდეს თუ როგორ მიიღებს მომხმარებელი ICT-ის ამა თუ იმ მომსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ ICT ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ICT ხელმისაწვდომობასა და გამოყენებაში, ეს მომსახურებები უნდა იყო ფასის მხრივ ხელმისაწვდომი, რათა შეუწყოს ხელი საინფორმაციო საზოგადოების განვითარებას. რადგან ფასები გავლენას ახდენენ ICT დანერგვა-გამოყენებაზე, შესაბამისად ICT და IDI ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ბაზრის ლიბერალიზაცია და გაზრდილი კონკურენცია როგორც წესი იწვევს ფასების შემცირებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ICT-ის დანერგვის მაღალ დონეს.



ICT ფასების კალათა წარმოადგენს გარკვეულ რიცხვით მნიშვნელობას, რომელიც მიიღება თითოეული ქვეკალათის შესაბამისი ფასის საშუალო მნიშვნელობის გამოთვლით (აშშ დოლარში) და ასახავს ქვეყნის მთელი შიდა პროდუქტზე მოსული კონკრეტული ქვეკალათის წილის პროცენტულ მნიშვნელობას.

თვალსაჩინოებისთვის შევნიშნავთ, რომ ფიქსირებული ტელეფონის ქვეკალათა ასახავს ფიქსირებული ტელეფონის მომსახურებაზე დაწესებულ ყოველთვიურ საბონენტო გადასახადს დამატებული ამავე ქსელში 3 წუთის ხანგრძლივობის 30 ლოკალური ზარის (15 პიკის საათში, 15 არაპიკის საათში) ღირებულება.

1 ცხრილში მოყვანილია 2007-2008 წლებში IDI განვითარების მიხედვით შერჩეული ქვეყნების პირველი ათეული.

ამ მაჩვენებლის მიხედვით შვედეთის ლიდერობა განპირობებულია მისი სამივე ქვე-ინდექსზე მაღალი მაჩვენებლებით. კერძოდ, ქვეყანა პერსონალური კომპიუტერისა და სახლიდან ინტერნეტში მიერთების ხელმისაწვდომობის მიხედვით განსაკუთრებულად მაღალ პოზიციაზეა. ინტერნეტ მომხმარებლების საერთო რაოდენობა დაახლოებით 88 პროცენტია, ამ მაჩვენებლით ის მხოლოდ ისლანდიას თუ ჩამოუვარდება. აღსანიშნავია, ერთ-ერთი ფაქტორი რამაც

განაპირობა შვედეთის ლიდერობა კერძოდ, შვედეთის ოპერატორი TeliaSonera პირველია მსოფლიოში ვინც დაწერა 4G მომსახურებები შვედეთსა და ნორვეგიაში 2009 წლის დეკემბერში.

ცხრილი. 1

ქვეყნები	რიგი 2008	IDI 2008	რიგი 2007	IDI 2007
შვედეთი	1	7.85	1	7.27
ლუქსემბურგი	2	7.71	6	6.98
კორეა	3	7.68	2	7.23
დანია	4	7.53	3	7.18
ნიდერლანდები	5	7.37	5	7.06
ისლანდია	6	7.23	4	7.06
შვეიცარია	7	7.19	8	6.83
იაპონია	8	7.12	7	6.89
ნორვეგია	9	7.11	9	6.78
გაერთიანებული სამეფო	10	7.07	12	6.70

მაკედონიაში (რიგით 51 -2008 წლის *IDI* მონაცემებით) აშკარა ცვლილებებია, როგორც პროცენტულ ასევე რიგით დონეზე. მან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა *IDI* მონაცემები - აიწია 12 პოზიციით მაღლა, განსაკუთრებით წვდომის ქვე-ინდექსი - გადავიდა 17 პოზიციით ზემოთ. ყველაფერი ეს განპირობებულია როგორც საერთაშორისო ინტერნეტ გატარების ზოლის მნიშვნელოვანი ზრდით, ასევე, პერსონალური კომპიუტერისა და სახლის პირობებში ინტერნეტში მიერთების შესაძლებლობების გაუმჯობესებით.

ასევე, მაღალია *IDI* ინდექსისი მაჩვენებელი ესტონეთში.



ესტონეთის (ქვეყნების ჩამონათვალში რიგით 22) *IDI*-ს მაღალი მაჩვენებელი განაპირობა 2007-2008 წლებში მობილური ტექნოლოგიების საზოგადოებაში შეღწევის ზრდამ (ყოველ 100 მოსახლეზე ეს მაჩვენებელი 147-დან გაიზარდა 188-მდე) და გაზრდილმა საერთაშორისო ინტერნეტ გატარების ზოლის სიდიდემ.


ICT მომსახურებებზე ფასები განისაზღვრება რამოდენიმე ფაქტორით, კონკურენციის დონე, ბაზრის მოცულობა, ოპერატორების მიერ მომსახურებებზე ფასები. *ICT* ბაზრის ბოლო დროინდელმა განვითარებამ აჩვენა, რომ კონკურენციის დროს ფასები მცირდება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ფასები ფიქსირებული ხაზების მომსახურებაზე თავდაპირველად გაიზარდა ან უცვლელად დარჩა. *ICT* ფასების კალათამ აჩვენა, რომ რიგ ქვეყნებში ფასები ფიქსირებულ ტელეფონებზე შედარებით დაბალი დარჩა, რაც იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირება და რეგულაცია კვლავაც ეფექტურია.

უკანასკნელ წლებში მობილური ფიჭური კავშირის ბაზარზე შეინიშნება ფასების დრამატული შემცირება, და 2008 - 2009 წლებში *ICT* ფასების კალათაში მობილური კომპონენტის ფასი 25 პროცენტით დაეცა. საშუალო ფასები ფიჭური მობილური კავშირის მომსახურებებზე არსებითად განსხვავდება რეგიონების მიხედვით, ასე მაგალითად, ევროპის ყოველთვიური შემოსავლის 1,1 პროცენტიდან აფრიკის 17,7 პროცენტამდე. მოთხოვნა მობილურ ტელეფონებზე

მკვეთრად იზრდება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში სადაც მათი რაოდენობა 2-ჯერ მეტია ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. მხოლოდ ჩინეთსა და ინდოეთში მათი რიცხვი 1,2 მილიარდია (შესაბამისად 750 მილიონი და 480 მილიონი). 2000 წლისათვის განვითარებად ქვეყნებში მთლიანი მომხმარებლების დაახლოებით 40 პროცენტი იყო აღრიცხული, ეს წილი 2009 წლისათვის 70 პროცენტამდე გაიზარდა. 2008-2009 წლებში ფიჭური მობილური ტექნოლოგიის შეღწევადობამ განვითარებად ქვეყნებში გადააჭარბა 50 პროცენტთან ნიშნულს და 2009 წლის ბოლოსათვის 100 სულ მოსახლეზე 57 ფლობდა მობილურ ტელეფონს. მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ამ ნიშნულმა 100 პროცენტს გადააჭარბა. ფიჭური მობილური მომსახურებებისა და მოწყობილობების (აპარატების) შედარებით დაბალი ფასი განსაზღვრავს ბაზრის ამ სეგმენტის გლობალურ ზრდას

(ნახ.1).





ფასების კალათის ყველაზე ძვირადღირებული კომპონენტი ICT მომსახურებებს შორის რჩება ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის ფასების კალათა, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს ყოველთვიურ შიდა პროდუქტის 122 პროცენტს. ქვეყნები სადაც აღნიშნულ მომსახურებაზე შედარებით დაბალი ტარიფია, პრაქტიკულად ის მაღალშემოსავლიანი ქვეყნებია, რომლებსაც IDI მაღალი ინდექსი აქვთ. დიდია ფასებში სხვაობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებებზე. ფართოზოლოვანი მიერთება, ფასის მიხედვით, წარმოადგენს ყველაზე ძვირადღირებულ და ამასთან ყველაზე მისაღებ მომსახურებას განვითარებად სამყაროში. 2008 წელს 29 ქვეყნის მონაცემებთან შედარებით, 2009 წლისთვის ჯერ კიდევ მოიძებნებოდა 28 ქვეყანა, რომლებშიც ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებების ფასების კალათა აღემატებოდა ყოველთვიურ მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე. ამ ქვეყნებს უკავიათ ჩამონათვალში ქვედა პოზიციები IDI ინდექსის მიხედვით, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მომსახურებებზე მისაღები ფასები მნიშვნელოვნად ზევავლენას მოახდენს რათა შეიქმნას ყველასთვის ღია საინფორმაციო საზოგადოება.


ინტერნეტის გამოყენება ასევე ფართოვდება თუმცა უფრო დაბალი ტემპებით ვითარდება (ნახ. 2). ინტერნეტში მიერთების მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 2007 წლიდან. ყოველწლიურად იზრდება საშუალოდ 6 პროცენტით. განვითარებად ქვეყნებში საშუალო წლიური ზრდა იმავე პერიოდიდან შეადგენს დაახლოებით 21 პროცენტს, თუმცა ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია ამ ქვეყნებისათვის 1998-2009 წლებში (38 პროცენტი). 2009 წლის მონაცემებით მსოფლიო მოსახლეობის 26 პროცენტი (ანუ 1.7 მილიარდი ადამიანი) იყენებს ინტერნეტ მომსახურებას. ამგვარად, განვითარებად ქვეყნებში ეს პროპორცია გაცილებით მაღალია ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში (შესაბამისად მოსახლეობის 64,2 17,5 პროცენტი). განვითარებადი ქვეყნების

ინტერნეტ მომხმარებელთა მთელი რაოდენობის ერთი მესამედი მოდის ჩინეთზე. 2009 წლისათვის კი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 80 პროცენტი ჯერ კიდევ მოკლებულია ონლაინ სამყაროსა და მისგან მიღებულ პრივილეგიებს.




განვითარებულ ქვეყნებში ფიქსირებული ფართოზოლოვან მომსახურებებზე წვდომა ინტერნეტ მომხმარებლებისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად შეზღუდულია, მიუხედავად ამისა 2009 წლის მონაცემებით განვითარებული ქვეყნების 23,3 პროცენტს მიუწვდებათ ხელი ამ ტიპის მომსახურებაზე, მაშინ როცა განვითარებად ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 3,5 პროცენტია (ნახ. 3). განვითარებად ქვეყნებში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომხმარებლების ძირითადი რაოდენობა კონცენტრირებულია მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთში აღირიცხება 200 მილიონი ფიქსირებული ფართოზოლოვანი ქსელის აბონენტი, რაც უახლოვდება აშშ მონაცემებს, რომელიც 2008 წლის მონაცემებით უდიდესი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებების ბაზარს წარმოადენდა.

უფსკრული განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის კიდევ უფრო დიდია ფართოზოლოვანი მობილური ტექნოლოგიების განვითარების კუთხით შესაბამისად 38,7 და 3,0 პროცენტი (ნახ. 4). ფართოზოლოვანი მობილური ბაზარი განვითარებულ ქვეყნებში დომინირებს ევროპაში, რაც გამოისახება 220 მილიონი ფართოზოლოვანი მობილური ქსელის აბონენტით (მთელი მოსახლეობის ერთი მესამედი)

ნახ. 1 ფიჭური მობილური მომხმარებლები 1998-2009წ



ნახ. 2 ინტერნეტ მომხმარებლები 1998-2009წ



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ICT შეიძლება უზრუნველყოს არსებითი ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობები, მათ შორის განათლების სფეროში. ICT სახლის პირობებში გამოყენების თვალსაზრისით მიღებული მონაცემების

ანალიზმა აჩვენა, რომ განათლების სფეროში მაღალი მაჩვენებელი სტატისტიკურად პირდაპირ კავშირშია სახლის პირობებში ინტერნეტ მომსახურებების გამოყენებასთან, რაც მიუთითებს ICT-დან ეკონომიკური მოგების მიღების საშუალებას. სტატისტიკური ურთიერთკავშირი ასევე აღმოჩენილია სახლის პირობებში ინტერნეტ წვდომასა და ქალთა აქტიურობას შორის, რაც ასევე მეტყველებს ICT -ს გამოყენებით გარკვეულ მოგების მიღებაზე. მაქსიმალური მოგება ICT ტექნოლოგიებიდან დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რა მიზნით იქნება ეს ტექნოლოგიები გამოყენებული.

ლიტერატურა

1. Measuring Information Society ITU Recommendations, 2010
2. L. Varakin - Distribution of modern info communication technologies. Proceeding ICC '02 Proceedings of the 15th international conference on Computer communication, 2002, p. 1159 – 1173
3. Telecommunications and Economic Growth in the Former USSR. Journal article by Gregory Brock, Ewan Sutherland; East European Quarterly, Vol. 34, 2000

Information Telecommunication Technologies ICT Development in Developed countries

*O. Zumburidze - Full Professor of Georgian Technical University,
T. Gochoshvili – Doctoral Student at GTU, Dep. of Telecommunications.*

Paper describes main tendencies in ICT developments in developed countries and some examples of ICT development index (IDI) and Price basket for world developed countries.

Развите информационно-коммуникационных технологий (ИКТ) в развитых странах

*О.Зумбуридзе - профессор, Грузинский Технический Университет,
Т.Гочошвили – Докторант факультета энергетики и телекоммуникации ГТУ*

В статье рассмотрены тенденции развития ИКТ на примере развитых стран, приведены данные об индекс развития ИКТ для экономически развитых стран мира.

მექანიკური რხევების სწავლების შესახებ

*იამზე კალანდაძე, შორენა ღებანოსიძე, შორენა ხიზანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

წანაცვლების კანონები ჰარმონიულ რხევებში

კინემატიკური თვალსაზრისით სხეული (ნივთიერი წერტილი) ასრულებს ჰარმონიულ რხევებს, თუ მისი x წანაცვლება წონასწორობის მდგომარეობიდან იცვლება სინუსოიდალური ან კოსინუსოიდალური კანონით:

$$x = x_0 \cos(\omega t + \varphi),$$

სადაც

x_0 - ამპლიტუდაა,

ω - რხევის ციკლური სიშირეა,

t - დრო,

φ - საწყისი ფაზა ($t=0$),

$\omega t + \varphi$ - რხევის ფაზა t დროის მომენტში.

ამპლიტუდა – დადებითი სიდიდეა (რიცხობრივად ის უდიდესი წანაცვლების ტოლია) და მოცემული რხევისთვის მუდმივი სიდიდეა. ω ციკლური სიშირე ν წირით სისშირესთან (რხევათა რიცხვთან დროის ერთეულში) და T პერიოდთან (ერთი რხევის დროსთან) შემდეგ კავშირს ამყარებს

$$\omega = 2\pi/T = 2\pi\nu (T = 1/\nu).$$

ეს თანაფარდობა ადვილად მიიღება, თუ მას განვიხილავთ ამპლიტუდის ვექტორის ბრუნვითი მოძრაობის მდგენელის სახით.

ძალიან მნიშვნელოვანია საწყისი ფაზისა და ფაზის ცნებები. საწყისი ფაზა განსაზღვრავს არა მარტო მერხვეი წერტილის მდგომარეობას დროის საწყის მომენტში, არამედ მოძრაობის მიმართულებასაც. ფაზა განსაზღვრავს მერხვეი წერტილის მდგომარეობას და მოძრაობის მიმართულებას დროის მოცემულ მომენტში. წერტილი ერთსა და იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდება ორჯერ (წინ და უკან მოძრაობისას), თუმცა რხევის ფაზები ამ დროს განსხვავებულია.

წანაცვლების კანონის $x = x_0 \cos(\omega t + \varphi)$ გამოსახულების გაწარმოებით მიიღება სიჩქარისა და აჩქარების ცვლილების კანონები:

$$v = \frac{dx}{dt} = \frac{d}{dt}[x_0 \cos(\omega t + \varphi)] = -x_0 \sin(\omega t + \varphi) = -v_0 \sin(\omega t + \varphi),$$

$$a = \frac{dv}{dt} = \frac{d^2x}{dt^2} = -\frac{d}{dt}[v_0 \sin(\omega t + \varphi)] = -v_0 \omega \cos(\omega t + \varphi) = -a_0 \cos(\omega t + \varphi).$$

აქ $v_0 = x_0 \omega$ - სიჩქარის, ხოლო $a_0 = v_0 \omega = x_0 \omega^2$ - აჩქარების ამპლიტუდებია.

ძალიან მნიშვნელოვანია გახსოვდეთ ფაზური თანაფარდობები x, v, a სიდიდეებს შორის: სიჩქარის ცვლილება წანაცვლების $\pi/2$ ფაზით ჩამორჩება, აჩქარების - π -ზე.


ჰარმონიული რხევების დინამიკა

რხევითი მოძრაობის დინამიკის განყოფილების ძირითადი შინაარსია – საკუთარი რხევების (არამილევადისა და მილევადის) დინამიკა და იძულებითი რხევების დინამიკა.

ნივთიერი წერტილის ჰარმონიული რხევა წარმოიშვება მისი წანაცვლების პროპორციული და წონასწორობის მდებარეობისკენ მიმართული ძალის მოქმედებით.

დრეკადი ძალით გამოწვეული რხევა არამილევადი (თავისუფალი) ხევა

განვიხილოთ m მასის ნივთიერი წერტილი, მიმაგრებული k სიხისტის ზამბარაზე (სურათი). ამ ზამბარის გარე ძალის ერთჯერადი მოქმედებით გაჭიმვისას ან შეკუმშვისას აღძრული დრეკადობის ძალის მოქმედებით



განხორციელდება ჰარმონიული რხევა და, თუ ჩავთვლით, რომ სისტემაში წინააღმდეგობის ძალების მოქმედება უგულვებელყოფილია, რხევა იქნება თავისუფალი-არამილევადი.

მივიღოთ რხევის განტოლება ორი დამოუკიდებელი ხერხით: ძალურითა და ენერგეტიკულით.

ძალური ხერხი

სისტემაზე გარე მყისიერი ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ

დრეკადობის ძალა $\vec{F} = -k \vec{x}$ იქნება სისტემაში ერთადერთი მოქმედი ძალა, და სწორედ ის, ნიუტონის მეორე კანონის თანახმად, ანიჭებს სისტემას აჩქარებას – გვევლინება ამჩქარებელი ძალის სახით

$$\vec{F} = m \vec{a}$$

გაუტოლოთ ერთი და იგივე ძალის ეს ორი გამოსახულება ერთმანეთს, შედეგად მივიღებთ:

$$m \vec{a} = -k \vec{x},$$

ან

$$m \vec{a} + k \vec{x} = 0.$$

ეს განტოლება დავაგეგმილოთ x ღერძზე

$$m a + k x = 0.$$

შემდეგი განტოლების ყველა წევრი შევაფარდოთ m მასას და აჩქარება გამოვსახოთ კოორდინატით $a = d^2x/dt^2$ –იმ მიზნით, რომ ერთუცნობიანი (x) ანუ, ამოხსნადი განტოლრბა მივიღოთ. შედეგად მივიღებთ თავისუფალი ჰარმონიული რხევის განტოლებას

$$d^2x/dt^2 + \frac{k}{m}x = 0,$$

ან

$$d^2x/dt^2 + \omega_0^2 x = 0.$$

აქ $\omega_0 = \sqrt{k/m}$ –ჰარმონიული რხევის ციკლური სიხშირეა.

მიღებული განტოლება არის მეორე რიგის ერთგვაროვანი დიფერენციალური განტოლება რომლის ამონახსნი წინასწარ ცნობილია და შემდეგნაირად გამოისახება:

$$x = x_0 \cos(\omega_0 t + \varphi).$$

ცხადია, რომ ამ ფორმულაში კოსინუსის ნაცვლად სინუსის გამოყენებაც არის შესაძლებელი, რადგან ისინი ორივე პერიოდულ ფუნქციებს წარმოადგენს.

როგორც ადრე ნახვენები იყო, ციკლური სიხშირე გამოისახება პერიოდითა და სიხშირით $\omega_0 = 2\pi/T$ და ამ შემთხვევაში რხევის პერიოდი განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებიდან

$$T = 2\pi \sqrt{m/k},$$

ხოლო სიხშირე

$$v = 1/T = \frac{1}{2\pi} \sqrt{\frac{k}{m}}.$$

ენერგეტიკული ხერხი

თავისუფალ ჰარმონიულ რხევებში მერხევი სისტემის ენერგია გადადის უდიდესი კინეტიკურიდან (წონასწორობის წერტილში) უდიდეს პოტენციურში (უდიდესი გაჭიმვა-შეკუმშვის წერტილებში ($x = x_0$)) მაშინ, როდესაც პროცესის (რხევის) მიმდინარეობისას სრული ენერგია უცვლელი რჩება, წარმოადგენს რა კინეტიკური და პოტენციური ენერგიების ჯამს დროის ნებისმიერ მომენტში და ტრაექტორიის ნებისმიერ წერტილში (ზემოთ ნახსენები წერტილების გარდა), ე.ი.

$$E_{კ,მ,პ} \rightarrow E_კ + E_პ \rightarrow E_{კ,მ,პ} = const.$$

ვისარგებლოთ ამ ფორმულის შუა ნაწილით

$$E_კ + E_პ = const,$$

და გავაწარმოთ ის დროით:

$$\frac{dE_კ}{dt} + \frac{dE_პ}{dt} = 0, \frac{d}{dt} \left(\frac{kx^2}{2} \right) + \frac{d}{dt} \left(\frac{mv^2}{2} \right) = 0, \frac{2kx}{2} \cdot \frac{dx}{dt} + \frac{2mv}{2} \cdot \frac{dv}{dt} = 0,$$

$$kx \cdot \frac{dx}{dt} + mv \cdot \frac{dv}{dt} = 0 \Rightarrow v = \frac{dx}{dt}, \frac{dv}{dt} = \frac{d^2x}{dt^2} \Rightarrow kx \cdot \frac{dx}{dt} + m \frac{dx}{dt} \cdot \frac{d^2x}{dt^2} = 0.$$

dx/dt -ს შეკვეცის და ყველა წევრის მასაზე გაყოფით მივიღებთ:

$$\frac{d^2x}{dt^2} + \frac{k}{m}x = 0,$$

აბ

$$\frac{d^2x}{dt^2} + \omega_0^2 x = 0.$$

ჩვენ თავისუფალი ჰარმონიული რხევის იგივე განტოლება მივიღეთ, რაც ძალური ხერხით – მაშასადამე, დავრწმუნდით ამ განტოლების ჭეშმ-

რიტებაში, მივედით რა ერთსა და იმავე შედეგამდე ორი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ხერხის გამოყენებით. ცხადია, ამონახსნი აქაც იქნება წინა ხერხის მსგავსი

$$x = x_0 \cos(\omega_0 t + \varphi),$$

ან, როგორც ზევით აღინიშნა, სინუსითაც შეიძლება გამოისახოს.

$$x = x_0 \sin(\omega_0 t + \varphi).$$

რეზიუმე

სხვადასხვა სახის რხევით მოძრაობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰარმონიულ რხევებს. ნებისმიერი პერიოდული მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იქნას ჰარმონიული რხევების სასრულო ან უსასრულო ჯამის სახით.

რხევებს, რომლებიც მიმდინარეობს სინუსის ან კოსინუსის კანონით, ჰარმონიული რხევები ეწოდება.

ისევე, როგორც ნებისმიერი სახის მოძრაობა, ჰარმონიული რხევების წარმოდგენა შეიძლება კინემატიკისა და დინამიკის თვალსაზრისით.

To a question of learning mechanical fluctuation

I. Kalandadze, Sh. Dekanosidze, Sh. Xizanishvili
Georgian Technical University

Harmonic oscillation is the important type of oscillatory motion. Any oscillatory motion can be represented by means of finite or infinite sum of harmonic oscillations.

Oscillation with sine or cosine law is called harmonic oscillation.

Harmonic oscillations can be represented through kinematics or dynamics as any kind of motion.

К вопросу обучения механических колебаний

И. Каландадзе, Ш. Деканосидзе, Ш. Хизанишвили
Государственный Технический Университет

Из всех видов колебательных движений особое место занимают гармонические колебания. Любое периодическое движение можно представить как конечную, или бесконечную сумму гармонических колебаний.

Колебания, которые происходят по закону синуса, или косинуса, называются гармоническими колебаниями.

Гармонические колебания, как и любой другой вид движения, могут быть рассмотрены с точки зрения кинематики и динамики.

ათვლის ინერციული სისტემები. ინერციის პრინციპი.

ვ. მელაძე, ვ. კვინტრაძე.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
0175 მ.კოსტავას 77. თბილისი. საქართველო.*

ფიზიკის ნაწილს, რომელიც შეისწავლის ნივთიერი (მატერიალური) წერტილების და მათგან შედგენილი სისტემების მოძრაობას, მექანიკა ეწოდება.

მექანიკა შეისწავლის მატერიალური წერტილების მოძრაობის და ურთიერთქმედების უზოგადეს კანონებს და ის არ არის შეზღუდული შესაბამისი ურთიერთქმედების განსაკუთრებული სახით, როგორც ხასიათისა და არ უნდა იყოს ურთიერთქმედების სახე. მექანიკის ზოგადი კანონები ყოველთვის გამოიყენებიან ფიზიკის სხვა ნაწილებში, რადგან მათი შედეგები გამოიხატება ნაწილაკების სივრცული მდებარეობის შეცვლაში. ნივთიერი წერტილისა და მათგან შედგენილი სისტემების მდებარეობის განსაზღვრა აუცილებლად მოითხოვს მინიშნებას, თუ რომელი სხეულის მიმართ განისაზღვრება მისი მდებარეობა. ამ მინიშნების გარეშე სხეულის მდებარეობის განსაზღვრა აზრს კარგავს, რაც გამოწვეულია იმით, რომ სივრცის სხვადასხვა წერტილებს არ გააჩნიათ ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშან თვისებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა მათი გარჩევა. იოლი მისახვედრია რომ დედამიწის ბრუნვის გამო, მზის და საკუთარი ღერძის გარშემო, ვერ განვიხილავთ სხეულის მდებარეობას და მოძრაობას, თუ არ გამოვიყოფთ ობიექტს (სხეულს), რომლის მიმართაც განვიხილავთ მის გადაადგილებას. ამ უკანასკნელს ათვლის სხეული ეწოდება. ამგვარად, ათვლის სხეულის არჩევის გარეშე, კითხვას თუ სად იმყოფება მოცემული სხეული, არავითარი აზრი არ გააჩნია [1].

სხეულს ან სხეულთა ერთობლიობას (სისტემას), რომლის მიმართაც განვიხილება მოცემული სხეულის მდებარეობა და მოძრაობა, ათვლის სხეული ეწოდება. ათვლის სხეული, მასთან ხისტად დაკავშირებული კოორდინატთა სისტემა და დროის გამზომი ხელსაწყო, შეადგენენ ათვლის სისტემას. მხოლოდ ათვლის სისტემის დადგენის შემდეგაა შესაძლებელი მსჯელობა მატერიალური წერტილის (წერტილების) მდებარეობაზე და მისი მოძრაობის დამახასიათებელ ცნებებზე, რომლებიც სხვადასხვა ათვლის სისტემებში განსხვავებულები იქნებიან (მაგ. ტრაექტორია, სინქარე, აჩქარება და სხვ.) [2-3]

გარდა ათვლის სისტემისა, ნაწილაკის მოძრაობის ხასიათი დამოკიდებული იქნება ურთიერთქმედების ხასიათზე მის გარშემო არსებულ სხეულებთან. ასე, რომ ყველა შემთხვევაში, ნებისმიერი მოძრაობის განხილვისას უნდა იყოს განსაზღვრული ორი რამ – სხეულთა ურთიერთქმედება და ათვლის სისტემა.

მარტივი ცდები აჩვენებენ, რომ მანძილის გაზრდით სხეულებს შორის, ურთიერთქმედება სუსტდება. ამიტომ, თუ გვსურს გარკვევა, როგორ მოძრაობს სხეული ურთიერთქმედების გარეშე, უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება გაეზარდოს მანძილი მისგან სხვა სხეულებამდე – ანუ შესაძლებელი იყოს მისი, სხვა სხეულებთან ურთიერთქმედების უგულვებელყოფა. ვუწოდოთ ასეთ სხეულს (წერტილს) განმხოლოებული (თავისუფალი), ანუ იზოლირებული.

ე.ი. მატერიალური წერტილი იზოლირებულია, თუ შესაძლებელია მისი სხვა სხეულებთან ურთიერთქმედების უგულვებელყოფა. ცხადია, თუ განვიხილავთ ასეთი იზოლირებული მატერიალური წერტილის მოძრაობას – ანუ სხეულის თავისუფალ მოძრაობას, მისი ხასიათი დამოკიდებული იქნება მხოლოდ ათვლის სისტემაზე.

რადგან ფიზიკური მოვლენები (პროცესები) მიმდინარეობენ სივრცესა და დროში, სასურველია მოვქმენოთ ისეთი ათვლის სისტემა, რომელშიც სივრცე და დრო ერთგვაროვანი და იზოტროპულია. ასეთ ათვლის სისტემებში თავისუფალი, იზოლირებული სხეულის სივრცეში სხვადასხვა მდებარეობა და ორიენტაცია მექანიკის თვალსაზრისით ერთმანეთის ექვივალენტურია. იგივე მსჯელობა სამართლიანია დროისთვისაც, ე.ი. მისი სხვადასხვა მომენტები

ერთმანეთის ექვივალენტურია. ათვლის სისტემას, რომლის მიმართაც სივრცე და დრო ერთგვაროვანი და იზოტროპულია სხვა ათვლის სისტემებისგან განსხვავდება იმით, რომ თუ ამ სისტემაში იზოლირებული მატერიალური წერტილი დროის ერთ მომენტში არის უძრავი, ან მოძრაობს მუდმივი სიჩქარით, ის ამ მდგომარეობას შეინარჩუნებს უსასრულოდ დიდი დროის განმავლობაში. ათვლის ასეთ სისტემას ინერციული სისტემა ეწოდება[4]. ეს მტკიცებულება წარმოადგენს მექანიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს: ინერციულ სისტემებში ყოველი იზოლირებული სხეული ინარჩუნებს უძრაობის ან თანაბარი წრფივი მოძრაობის მდგომარეობას.

ამ პრინციპს ინერციის პრინციპი ეწოდება. როგორც ცნობილია, ინერციის პრინციპი ჩამოყალიბებული იყო ნიუტონის მიერ (ნიუტონის პირველი კანონი) შემდგენიარად: ყოველი სხეული ინარჩუნებს თავის უძრაობის ან წრფივი თანაბარი მოძრაობის მდგომარეობას, სანამ გარეშე ძალები არ გამოიყვანენ მას ამ მდგომარეობიდან. ნიუტონის ამ ფორმულირებაში გამოყენებულია პირობა, რომ სხეული იზოლირებული უნდა იყოს, მაგრამ არ არის მითითებული თუ რომელი სხეულია აღებული ათვლის სისტემად. ამგვარად ჩვენ შევეცადეთ დაგვეძლია ის გაურკვეველობა, რომელიც ახლავს ნიუტონის ფორმულირებას.

სხეულის თვისებას შეინარჩუნოს უძრაობის ან თანაბარი წრფივი მოძრაობის მდგომარეობა, უწოდებენ ინერციას. სხეულის ინერტულობის რაოდენობრივი ზომაა მისი მასა. კლასიკურ ფიზიკაში მასა სიდიდეა, რომელიც ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ა) იგი არის სკალარი, ბ) დადებითია ($m > 0$), გ) ადიტიურია ($m = \sum m_i$), დ) მუდმივია ($m = \text{const.}$)

თანამედროვე ფიზიკაში განიხილება მატერიის ორი სახე – ნივთიერება და ველი, რომლებიც იმყოფებიან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ჩვეულებრივი სხეულები (ნივთიერება) და ფიზიკური ველები (გრაფიტაციული, ელექტრომაგნიტური, ბირთვული და სხვა) ხარისხობრივად განსხვავებული მატერიის სახეებია, მაგრამ მასის ცნება მიეკუთვნება როგორც ნივთიერებას, ასევე ველს და წარმოადგენს მატერიის ინერტულობის ზომას მის ნებისმიერ გამოვლინებაში. ამავე დროს, ინერციულ სისტემებს არ გააჩნიათ რაიმე განსაკუთრებული თვისებები, რომ მის მიმართ განვსაზღვროთ აბსოლუტური სივრცე, აბსოლუტური მოძრაობა და უძრაობა. სინამდვილეში ამას ადგილი არა აქვს, რადგან ინერციული სისტემების რაოდენობა უამრავია. ნებისმიერი სისტემა, რომელიც ინერციული სისტემის მიმართ მოძრაობს მუდმივი სიჩქარით $V = \text{const.}$, აგრეთვე ინერციული იქნება. აღვნიშნავთ, რომ ათვლის ინერციული სისტემების არსებობა არ არის გამოწვეული ლოგიკური აუცილებლობით. ასეთი სისტემების არსებობის მტკიცებულება, რომლის მიმართაც თავისუფლად მოძრავი სხეული იმოძრავებს წრფივად და თანაბრად, წარმოადგენს ბუნების ერთ-ერთ ძირითად კანონს [5].

ბუნებაში არსებულ, სხვადასხვა ფიზიკური მოვლენების შესწავლამ აჩვენა, რომ ურიცხვი ინერციული სისტემების რაოდენობიდან უპირატესის გამოყოფა შეუძლებელია. ასეთი ათვლის სისტემის არსებობა გამოიწვევდა აბსოლუტური სივრცის და აბსოლუტური მოძრაობის არსებობას, რასაც ადგილი არა აქვს. ბუნების მოვლენის ამსახველ კანონებს ერთნაირი სახე აქვთ სხვადასხვა ინერციულ სისტემებში და ამიტომ ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რასაც ადგილი არ აქვს არაინერციული სისტემებისთვის. ეს კანონი, აზრს უკარგავს აბსოლუტურ სივრცეს, აბსოლუტურ უძრაობას და მოძრაობას [6].

ლიტერატურა

1. მ. მირიანაშვილი „ზოგადი ფიზიკის კურსი“, ნაწ. I. თსუ 1973.
2. ა. გიგინეიშვილი, გ. კუკულაძე „ზოგადი ფიზიკის კურსი“ ნაწ. I. სტუ. 2006.
3. Кибец И.Н. , Кибец В.И. "Физика"Справочник. Харьков. 1997.
4. ვ. მელაძე „ფიზიკის კურსი“ ნაწ. I. სტუ. 2009.
5. Ландау Л.Д., Ахиезер А. И. , Лифшиц Е.М. " Курс общей физики". " Наука". Москва. 1969.
6. Месси Г. «Новая эра в физике». Атомиздат. Москва. 1965.

Инерциальные системы отсчета. Принцип инерции

*Меладзе В. Д., Квинтрадзе В.И.
Грузинский технический университет.*

В статье дано современное определение принципа инерции, который основан на введении понятия инерциальной системы отсчета. Указано, что масса является мерой инертности материи в ее любом проявлении.

Inertial reference frame. Principle of inertia

*Meladze V. , Kvintradze. V.
Georgian Technical university.*

The article contains modern definition of principle of inertia which is based on the appliance of inertial reference frame. It is said, that mass is measure of inertia in any case.

Обменное взаимодействие и критерий ферромагнетизма

*Дж.В.Церцвадзе
Грузинский Технический Университет,
Ул. Костава 77*

Основной особенностью ферромагнетиков является наличие самопроизвольного намагничивания и что магнитный момент ферромагнетика обусловлен самопроизвольной ориентацией спинов электронов. Теория Вейсса [1] дает возможность понять, по крайней мере качественно, основные свойства ферромагнетизма. Однако в самой теории остается невыясненным основной момент – неизвестна природа “молекулярного поля”, обуславливающего высокую точку Кюри типичных ферромагнетиков. Вейсс без всякого обоснования вводит энергию взаимодействия между элементарными магнитными моментами, порядок величины которого, при расчете на атом, равен 10^{-20} Дж=0,1эВ. Действительно внутриатомные магнитные поля имеют величину порядка 10^6-10^7 А/м. Для создания же необходимой энергии взаимодействия требуются поля на 2-3 порядка больше.

Дорфман [2] в 1927 г. Произвел прямой опыт по определению величины внутреннего магнитного поля в ферромагнетиках. Он исследовал отклонение пучка электронов, проходящих через намагниченную ферромагнитную фольгу. При этом было показано, что внутренние поля в ферромагнетиках $H < 10^7$ А/м и, следовательно,

составляет меньше, чем 1% от “молекулярного поля” Вейсса. Таким образом, предположение о магнитной природе взаимодействия, обуславливающего ферромагнетизм, приходится отбросить.

Нам известны лишь два вида сил, играющих существенную роль в атомных явлениях - магнитные и электрические. Поскольку магнитные силы приходится отбросить, остается предположить, что ферромагнетизм связан с электрическими силами. Энергия электростатического взаимодействия внешних электронов атома $\approx 10\text{эВ}$, так что даже небольшой доли этой энергии достаточно для достижения необходимого энергетического эффекта.

В 1927г. Френкелем [3] и Гаузенбергом [4] была разработана квантово-механическая теория обменного электростатического взаимодействия электронов ферромагнетиков, из которой следует, что энергетически выгодным состоянием является такое, при котором спиновые магнитные моменты электронов выстраиваются параллельно, образуя области самопроизвольной намагниченности т.е. домены. В этой теории предполагается, что два соседних атома как бы обмениваются электронами, вследствие чего появляется так называемая обменная энергия, приводящая к параллельной ориентации спиновых магнитных моментов, т.е. к ферромагнетизму. Эта энергия A имеет порядок $k\theta$

$$A=1/2z \cdot k\theta \quad (1)$$

где k - постоянная Больцмана,

θ - точка Кюри,

z - координационное число(число ближайших соседей в кристаллической решетке).

Возникает вопрос: почему в некоторых металлах возникает ферромагнетизм и в них образуются области спонтанной намагниченности, а в других не возникает. Из теории следует, что для возникновения ферромагнетизма необходимы три условия:

1. Обменная энергия должна быть положительной, в противном случае, при отрицательной обменной энергии, спины в доменах выстраиваются антипараллельно и возникает антиферромагнетизм.

2. Необходимо, чтобы металл принадлежал к числу переходных элементов, т.е. таких, у которых внутренняя электронная d -оболочка (или f -оболочка) недостроена, в то время как следующая за ней – наружная s -оболочка уже построена.

Возьмем для примера железо. На рис.1 схематически изображена структура изолированного атома железа. Этот атом содержит 26 электронов, расположенных по четырем основным оболочкам. Каждая оболочка представляет собой более или менее обособленную область, в пределах которой по своим орбитам движутся электроны. В первой (внутренней) оболочке находятся 2 электрона, в следующей – 8, в третьей – 14 и в последней – 2 электрона. Наличие ферромагнетизма связано с особенностями распределения электронов на третьей оболочке. В каждой оболочке спины одной части электронов имеют направление, противоположное спинам другой части. Спины одного направления условно назовем положительным, а другого – отрицательным. Как видно из схемы, представленной на рис. 1, где цифры, стоящие около дуг окружности, указывают число электронов с положительным и отрицательным спином на каждой оболочке; в атоме железа во всех оболочках, кроме третьей, имеется одинаковое число электронов со спинами обоих знаков. Следовательно, в этих оболочках моменты электронов взаимно компенсируются, так что результирующий магнитный момент оболочки равен нулю. Исключение представляет третья оболочка в которой имеется 5 электронов с положительным спином и 1 с отрицательным, так что спины четырех

электронов остаются нескомпенсированными. Это приводит к появлению магнитного момента всего атома.




Рис. 1. Схема распределения электронов в оболочках атома железа.

Кроме железа, в периодической системе содержатся еще два, имеющих практическое значение, элемента – кобальт и никель, которые обладают ферромагнитными свойствами. На третьей электронной оболочке этих атомов также содержатся нескомпенсированные электроны: три у кобальта и два у никеля.

Естественно, возникает вопрос: почему только три элемента – железо, кобальт и никель являются ферромагнитными тогда, как число переходных элементов т.е. элементов с недостроенными оболочками значительно больше. Это объясняется тем, что наличие в атоме нескомпенсированных спинов является необходимым но недостаточным условием того, чтобы металл был ферромагнитен.

Третьим условием возникновения ферромагнетизма является следующее: отношение расстояния ближайших атомов в пространственной решетке (равное приблизительно диаметру атома) к радиусу электронной оболочки с нескомпенсированными спинами должно быть $a/r > 3$. это хорошо видно на кривой Слейтера [5], рис. 2.

Положение элементов на кривой нельзя считать фиксированным, так как с изменением электронного состояния атома и симметрии решетки кривая должна несколько меняться. Несмотря на это кривая Слейтера (рис.2.), правильно отражает характер зависимости обменной энергии от отношения a/r .

У гадолиния и некоторых других редкоземельных элементов отношение a/r уже очень велико и поэтому обменная энергия у них хотя и положительна, но мала и согласно (1) точки Кюри низкие.

Марганец имеет слишком маленькое расстояние между атомами но на границе с переменной знака обменной энергии. Небольшое увеличение постоянной решетки марганца должно превратить его в ферромагнетик. Действительно, добавление к марганцу небольших примесей азота, увеличивающих постоянную решетки, приводит к появлению ферромагнетизма.




Рис. 2. Зависимость энергии обменного взаимодействия (A) от отношения межуатомного расстояния (a) к радиусу незаполненной электронной оболочки (r).

Ферромагнитными являются также ряд сплавов переходных элементов и ряд интерметаллических соединений. Например, ферромагнитны сплавы $Mn - Cu - Al$ (сплавы Гейслера) и соединения $MnSb$, $MnBi$ и т.д. Во всех этих сплавах и соединениях атомы марганца находятся достаточно далеко друг от друга.

ЛИТЕРАТУРА

1. Weiss P., Journ. Phys. Rad., 6, 661, 1907.
2. Дорфман Я. Г. Natur, 119, 353, 1927.
3. Френкель Я. И. Zeitschrift fur Physik, 49, 31, 1928.
4. Heisenberg W., Zeitschrift fur Physik, 49, 619, 1928.
5. Slater J. C., Physical Review, 36, 57, 1930.

გაცვლითი ურთიერთქმედება და ფერომაგნეტიზმის კრიტერიუმი

ჯ. გერცვაძე

ზემოხსენებულ ნაშრომში განიხილება ფერომაგნეტიზმის მოვლენის ახსნის საკითხი ი.ი. ფრენკელის და ვ. ჰაიზენბერგის მიერ შემუშავებულ, ფერომაგნეტიკების ელექტრონების გაცვლითი ელექტროსტატიკური ურთიერთქმედების კვანტურ-მექანიკური თეორიის საფუძველზე.

EXCHANGING INTERACTION and CRITERIA OF FERROMAGNETISM

J. Cercvadze

In presented work the problem of explanation of phenomenon of the ferromagnetism is considered, based on the quantum-mechanical theory of exchanging electrostatic interaction of electrons in ferromagnetics, created by I. I. Frenkel and W. Heisenberg.

ბზარების ბათვალისწინებით რკინაბეტონის
 კოჭის ბანივ ღარტყაზე ბაანბარიშება


ანზორი ხაბეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
 თბილისი, კოსტავას 77

რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშება ამტანუნარიანობაზე, დეფორმაციაზე და ბზარების წარმოშობაზე წარმოებს.

დეფორმაციაზე გაანგარიშებისას ღუნვაზე მომუშავე ელემენტებში უნდა გავითვალისწინოთ ბეტონის გაჭიმულ ზონაში წარმოშობილი ბზარების არსებობა (მურაშოვის მეთოდი). იმ კვეთებში, სადაც ბეტონი გაბზარულია, მთელ გამჭიმავ ძალას იღებს არმატურა, ხოლო ბეტონში ძაბვა 0-ის ტოლია.

განვიხილოთ l სიგრძის სწორკუთხა მუდმივკვეთიანი რკინაბეტონის კონსოლური კოჭი, რომელიც დამზადებულია 200 მარკის ბეტონით და სამი ცალი ერთმაგი ფ.5 არმატურით (ნახ. 1, ბ). თავისუფალ ბოლოზე H სიმაღლიდან Q ტვირთი ეცემა (ნახ. 1, ა). აღვნიშნოთ არმატურის მონაცემები $E_s, F_s, d_s, [\sigma_s]_g$ -თი, ხოლო ბეტონის – $E_b, F_b, [\sigma_b]_g$ -ით.



ნახ. 1

ღარტყმის წერტილში ვარდნილი Q ტვირთი P_g დინამიკურ ინერციის ძალას წარმოშობს (ნახ. 1, გ). პოტენციალური ენერგია კოჭის შიგა ღრეკალი ძალების საშუალებით განისაზღვრება. სიმცირის გამო განივი ძალის გავლენა უგულვებელყოთ, მაშინ საანგარიშო გამოსახულებას ექნება სახე [2]:

$$U = \sum \frac{M^2 dx}{2EI} = \frac{P_g^2 l^3}{6E_s I_s} + \frac{P_g^2 l^3}{6E_b I_b}, \quad (1)$$

სადაც $P_{\text{აღ}}$ და $P_{\text{ბღ}}$ არის არმატურაზე და ბეტონზე მოქმედი $P_{\text{ღ}}$ ძალის ნაწილები.

ამ შემთხვევაში არმატურის და ბეტონის სიხისტეები $C_{\text{ა}} = \frac{3E_{\text{ა}}I_{\text{ა}}}{l^3}$, $C_{\text{ბ}} = \frac{3E_{\text{ბ}}I_{\text{ბ}}}{l^3}$, ამიტომ (1)-დან გვექნება:

$$U = \frac{P_{\text{აღ}}^2}{2C_{\text{ა}}} + \frac{P_{\text{ბღ}}^2}{2C_{\text{ბ}}}. \quad (2)$$

დარტყმის წერტილში ბეტონის და არმატურის ღუნის ტოლობით მივიღებთ:

$$Y_{\text{აღ}} = \frac{P_{\text{აღ}}}{C_{\text{ა}}} = Y_{\text{ბღ}} = \frac{P_{\text{ბღ}}}{C_{\text{ბ}}}, \text{ აქედან } P_{\text{ბღ}} = \frac{C_{\text{ბ}}}{C_{\text{ა}}} P_{\text{აღ}}. \quad (3)$$

ვინაიდან $P_{\text{ღ}} = P_{\text{აღ}} + P_{\text{ბღ}} = P_{\text{აღ}} \left(1 + \frac{C_{\text{ბ}}}{C_{\text{ა}}}\right) = P_{\text{აღ}} \frac{K}{C_{\text{ა}}}$ ($K = C_{\text{ა}} + C_{\text{ბ}}$), შეგვიძლია დავწეროთ:

$$P_{\text{აღ}} = \frac{C_{\text{ა}}}{K} P_{\text{ღ}}, \quad P_{\text{ბღ}} = \frac{C_{\text{ბ}}}{K} P_{\text{ღ}}, \quad (4)$$

(3)-ში (4)-ის გათვალისწინებით

$$Y_{\text{ღ}} = Y_{\text{აღ}} + Y_{\text{ბღ}} = \frac{P_{\text{ღ}}}{K}. \quad (5)$$

გამარტივებული ინჟინრული ხერხის მიხედვით [1], Q -ს მიერ დაგროვილი კინეტიკური ენერგია მთლიანად გადადის კოჭის პოტენციურ ენერგიაში:

$$T = U, \quad (6)$$

სადაც კინეტიკური ენერგია

$$T = QH + QY_{\text{ღ}}. \quad (7)$$

(2) და (4)-ის გამოყენებით პოტენციური ენერგია

$$U = \frac{P_{\text{ღ}}^2}{K}. \quad (8)$$

(5), (7) და (8)-ის გათვალისწინებით (6)-დან გვექნება:

$$QH + Q \frac{P_{\text{ღ}}}{K} = \frac{P_{\text{ღ}}^2}{2K}, \text{ ანუ } P_{\text{ღ}}^2 - 2QP_{\text{ღ}} - 2QHK = 0,$$

აქედან დინამიკური ძალა

$$P_{\text{ღ}} = Q \left(1 + \sqrt{1 + \frac{2HK}{Q}} \right). \quad (9)$$

დინამიკური ძალით დავადგენთ სხვადასხვა დინამიკურ მახასიათებლებს:

$$\max M_{\text{ღ}} = P_{\text{ღ}} l; \quad \max \sigma_{\text{ღ}} = \frac{\max M_{\text{ღ}}}{W_{\text{ღაფ}}}; \quad W_{\text{ღაფ}} = \frac{I_{\text{ღაფ}}}{Y_{\text{max}}}. \quad (10)$$

დეფორმაციასა და ძაბვას შორის პროპორციულობის არსებობის გამო

$$\varepsilon_{\text{ა}} = \frac{\sigma_{\text{ა}}}{E_{\text{ა}}} = \varepsilon_{\text{ბ}} = \frac{\sigma_{\text{ბ}}}{E_{\text{ბ}}}, \text{ აქედან } \sigma_{\text{ა}} = \frac{E_{\text{ა}}}{E_{\text{ბ}}} \sigma_{\text{ბ}} = n \sigma_{\text{ბ}}, \quad (11)$$

სადაც $\left(n = \frac{E_{\text{ა}}}{E_{\text{ბ}}} \right)$ არის დაყვანის კოეფიციენტი.

გარე დატვირთვის გავლენით არმატურა n -ჯერ მეტად არის დაძაბული, ვიდრე ბეტონი; არმატურის განივკვეთის ფართობის n -ზე გამრავლებით იგი შეიძლება ბეტონის მასალაზე დავიყვანოთ და მივიღოთ ერთგვაროვანი დაყვანილი ფართობი

$$F_{\text{ლაჟგ}} = F_{\delta} + nF_{\gamma}.$$

ანალოგიურად მივიღებთ დაყვანილ ინერციის მომენტს

$$I_{\text{ლაჟგ}} = I_{\delta} + nI_{\gamma}, \quad (12)$$

ამ შემთხვევაში სისტემის სიხისტე

$$K = \frac{3E_{\gamma}I_{\gamma}}{l^3} + \frac{3E_{\delta}I_{\delta}}{l^3} = \frac{3E_{\gamma}I_{\text{ლაჟგ}}}{l^3}. \quad (13)$$

ერთმაგი არმატურის მქონე სწორკუთხა განივკვეთის (ნახ. 1, ბ) დაყვანილი სტატიკური და ინერციის მომენტი განისაზღვრება ფორმულებით [3]:

$$S_{\text{ლაჟგ}} = \frac{b_{\delta}x^2}{2} - nF_{\gamma}(h_{\delta} - a - x); \quad I_{\text{ლაჟგ}} = \frac{b_{\delta}x^3}{2} - nF_{\gamma}(h_{\delta} - a - x)^2, \quad (14)$$

სადაც $a = 2,5 + \frac{d_{\gamma}}{2}$.

დაყვანილი სიდიდეები აიღება ნეიტრალური z ღერძის მიმართ, ამიტომ სტატიკური მომენტის ნოლთან გატოლებით

$$x = -\frac{n \cdot F_{\gamma}}{b_{\delta}} \pm \sqrt{\left(\frac{nF_{\gamma}}{b_{\delta}}\right)^2 + \frac{2nF_{\gamma}(h_{\delta} - a)}{b_{\delta}}}. \quad (15)$$

მაგალითი. განვსაზღვროთ მაქსიმალური დინამიკური დაბევები ნახ. 1-ზე მოცემული კოჭისათვის თუ ცნობილია: $l = 3$ მ, $Q = 45$ კგ, $H = 10$ სმ, $d_{\gamma} = 3$ სმ, $E_{\gamma} = 2 \cdot 10^6$

კგ/სმ², $[\sigma_{\gamma}]_{\text{ღ}} = 1200 \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}$, $b_{\delta} = 20$ სმ, $h_{\delta} = 40$ სმ, $E_{\delta} = 0,2 \cdot 10^6 \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}$, $[\sigma_{\delta}]_{\text{ღ}} = 90 \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}$.

არმატურის განივკვეთის ფართობი $F_{\gamma} = 3 \cdot \frac{\pi d_{\gamma}^2}{4} = 21,2$ სმ²; ბეტონის – $F_{\delta} = b_{\delta} \times h_{\delta} = 800$ სმ²;

დაყვანის კოეფიციენტი $n = \frac{E_{\gamma}}{E_{\delta}} = 10$; $a = 2,5 + \frac{3}{2} = 4$.

ცნობილი სიდიდეების (15)-ში ჩასმით $x = 19$ სმ, (14)-ით – $I_{\text{ლაჟგ}} = 106995$ სმ⁴.

(13)-ით – $K = 2378 \frac{\text{კგ}}{\text{სმ}}$, (9)-ით – $P_{\text{ღ}} = 1509$ კგ.

მოცემული რკინაბეტონის კოჭი ერთგვაროვან ბეტონის კოჭზეა დაყვანილი, ამიტომ (10)-ის გათვალისწინებით ბეტონში მაქსიმალური დინამიკური ნორმალური დაბევა განისაზღვრება ფორმულით

$$\max \sigma_{\text{ბღ}} = \frac{P_{\text{ღ}} l (h_{\delta} - x)}{I_{\text{ლაჟგ}}} = 89 \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}.$$

(11)-ით არმატურაში მაქსიმალური დინამიკური ნორმალური დაბევა

$$\max \sigma_{\text{აღ}} = n \max \sigma_{\text{ბღ}} = 890 \frac{\text{კგ}}{\text{სმ}^2}.$$

კოჭის სიმტკიცის პირობა დაცულია:

$$\max \sigma_{\text{აღ}} < [\sigma_{\gamma}]_{\text{ღ}}; \quad \max \sigma_{\text{ბღ}} < [\sigma_{\delta}]_{\text{ღ}}.$$

გამოყენებული ინჟინრული ხერხი სტატიკურ გაანგარიშებას არ მოითხოვს; მიღებული დინამიკური ძალის ფორმულით ორი ან მეტი სიხისტის მქონე სისტემის დინამიკური გაანგარიშება შესაძლებელია.

დაყვანილი ფართობის შემოტანით მრავალსიხისტიანი სისტემა ერთი მოლულის მქონე მასალად განიხილება, რაც საგრძნობლად ამარტივებს გაანგარიშებას.

გამოყენებული ფორმულები მასში დაყვანილი ფართობის, სტატიკური და ინერციის მომენტის შემოტანით მასალათა გამძლეობის ფორმულებისაგან განსხვავდება.

ლიტერატურა

1. ა. ხაბეიშვილი, ზ. ანთელიძე. დრეკადი სისტემის გაანგარიშება თანაბრადგანაწილებილი ტვირთის დარტყმის დროს. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი. 2010. გვ. 81-94.
2. А.Ф. Смирнов, А.В. Александров и др. Сопротивление материалов. Трансжелдориздат, Москва. 1961.
3. К.В. Сахновский. Железобетонные конструкции. Госстройиздат, Москва. 1959.

Calculation of iron-concrete girder on lateral stroke

A. Khabeishvili

Technical University of Georgia, 77, Kostava str. Tbilisi

For the dynamical calculation of iron-concrete girder, an engineering method is used, which doesn't need static calculation.

It can be thought to be composed of the material consisting of one module of elasticity.

РАСЧЕТ ЖЕЛЕЗОБЕТОННОЙ БАЛКИ НА ПОПЕРЕЧНЫЙ УДАР

А.Д. Хабеишвили

Грузинский технический университет, Тбилиси, ул. Костава 77

Для динамического расчета железобетонной балки применяется инженерный способ, который не требует статического расчета.

Вводя приведенное сечение, можно его рассматривать, как однородное, составленное из материала с одним модулем упругости.

თხევადი ხსნარები

*ლალი ჩაგელიშვილი, მანანა კვიციანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77*

ხსნარის ყველაზე გავრცელებული ტიპია ხსნარი, რომელშიც გამხსნელია სითხე. ამ დროს გახსნილი ნივთიერება შეიძლება იყოს მყარი, თხევადი და გაზისებრი. ხსნარი შედგენილობა ხასიათდება კონცენტრაციით, რომელიც გამოხატავს თანაფარდობას ხსნარის წარმომქმნელ ნივთიერებებს შორის. კონცენტრაცია შეიძლება სხვადასხვა ხერხით განვსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ რა ერთეულებს შევუფარდებთ ამ რაოდენობას.

ხსნარის მოლურ კონცენტრაციაში ანუ, მის მოლარობაში ვგულისხმობთ გახსნილი ნივთიერების მოლების რაოდენობას, რომელიც მოლის 1 ლიტრ

ხსნარზე. თუ ხსნარის 1 ლიტრი შეიცავს გახსნილი ნივთიერების 1 მოლს, ასეთ ხსნარს ეწოდებთ ნორმალურს.

თუ ოთახის ტემპერატურაზე გახსნით 58,45 გ სუფრის მარილს NaCl წყლის ასეთ რაოდენობაში, მივიღებთ 1 ლიტრ ხსნარს, და ეს ხსნარი NaCl-ის ნორმალური წყალხსნარია (58,45 გ – NaCl ერთი მოლი მასაა).

ხშირად უფრო მოხერხებულია ხსნარის კონცენტრაციის გამოხატვა ე.წ. მოლური წილით x , რომელიც მოცემულია გახსნილი ნივთიერების მოლების რაოდენობის ფარდობით ხსნარის წარმომქმნელი ყველა ნივთიერების მოლების საერთო რაოდენობასთან. ცხადია, ხსნარის r ნივთიერებისთვის, გამხსნელის ჩათვლით, მართებულია

$$x_1 + x_2 + \dots + x_r = \sum_{i=1}^r x_i = 1. \quad (1)$$

მოლური კონცენტრაციის გარდა, ყველაზე ხშირად გამოიყენება მოცულობითი ან წონითი კონცენტრაცია. მოცულობითი კონცენტრაციისას დგინდება, რამდენი გახსნილი ნივთიერება (გრამებით) მოდის 1 ლიტრ ხსნარზე. წონითი კონცენტრაცია განისაზღვრება გახსნილი ნივთიერების რაოდენობით (გრამებით) ხსნარის გარკვეულ წონაზე (მაგალითად, 100 გ წონაზე).

გახსნის პროცესს თან ახლავს სითბოს გამოყოფა ან შთანთქმა. სითბოს რაოდენობას, რომელიც გამოთავისუფლდება ან დაიხარჯება ნივთიერების 1 მოლის გახსნისას გამხსნელის დიდ რაოდენობაში, ეწოდება გახსნის სითბო. ამ დროს საჭიროა გამხსნელი ავიდოთ ისეთი რაოდენობით, რომ ხსნარის შესაძლო შემდგომმა განსაზღვრებამ უკვე გავლენა ვეღარ მოახდინოს ამ სითბოს რაოდენობაზე. გახსნის სითბოს განსაზღვრა ცხადია გულისხმობს, რომ გახსნილი ნივთიერება არ შედის ქიმიურ რეაქციაში გამხსნელთან. დადგენილი იყო, რომ სითხეების ან გაზების გახსნისას თხევად გამხსნელებში, როგორც წესი, სითბო გამოიყოფა. იგულისხმება, რომ გამოყოფილი სითბო დადებითია; ხოლო მყარი ნივთიერებების სითხეში გახსნა პირიქით, ჩვეულებრივ დაკავშირებულია სითბოს შთანთქმასთან. გახსნისას შთანთქმულ სითბოს ეწოდებთ უარყოფითს. მოვიყვანოთ ორი მაგალითი: გოგირდმჟავას H_2SO_4 წყალში გახსნისას გამოიყოფა სითბო. შესაბამისი გახსნის სითბო ტოლია +17,9 კკალ მოლ⁻¹. ამონიუმის ქლორიდის NH_4Cl წყალში გახსნისას პირიქით, სითბო უნდა მივაწოდოთ; გახსნის აუცილებელი სითბო ამ შემთხვევაში, შეადგენს -3,9 კკალ მოლ⁻¹.

მოცემული გამხსნელის განსაზღვრულ რაოდენობაში გარკვეულ პირობებში (ტემპერატურა და წნევა) შეიძლება გახსნათ მოცემული ნივთიერება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით. ხსნარს, რომელიც შეიცავს მასში გახსნილი ნივთიერების მაქსიმალურ რაოდენობას, ეწოდება გაჯერებული. თუ გაჯერებულ ხსნარს დაუმატებთ მასში გახსნილი ნივთიერების რაიმე რაოდენობას, ხსნარის კონცენტრაცია აღარ გაიზრდება და დამატებული ნივთიერება გაუხსნელი დარჩება. ამ შემთხვევაში, გაჯერებული ხსნარი წონასწორობაშია ნივთიერებასთან, რომელიც გაუხსნელი დარჩა. ეს სისტემა – არაერთგვაროვანია და შეიცავს ორი ფაზას (გაჯერებულ ხსნარს და დაუქილ ნივთიერებას), ამიტომ მას შეესაბამება თავისუფლების მხოლოდ ორი ხარისხი, რომელიც არის ტემპერატურა და წნევა; ხსნარის კონცენტრაცია გაჯერებულ მდგომარეობაში არის განსაზღვრული, თუ მოცემულია ტემპერატურა და წნევა.

გაჯერებული ხსნარის შესაბამის კონცენტრაციას უწოდებენ მოცემული ნივთიერების ხსნადობას და ყვლაზე ხშირად მოცემულია მოლურობით ან წონითი კონცენტრაციით. ჩვეულებრივ, ხსნადობა საკმაოდ ძლიერ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე და უფრო ნაკლებად – წნევაზე. თუ საუბარია მყარი ნივთიერებების (უფრო ხშირად, მარილების) წყალხსნარებზე, ხსნადობა მზარდი ტემპერატურისას და წნევისა, როგორც წესი, მატულობს. ხსნადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების ხასიათზე მეტყველებს 1 ცხრილი; მასში მოცემულია ზოგიერთ უწყლო მარილის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც 0, 20, 50 და 100°C ტემპერატურაზე 100 გ წყალში იხსნება. ცხრილიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ნივთიერებისთვის (NaCl) ხსნადობა ტემპერატურასთან ერთად მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდება, მაშინ როდესაც უმრავლესობისთვის ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვანია. თუ ნივთიერებებს ერთმანეთს შევადარებთ, ხსნადობის მიხედვით ოთახის ტემპერატურაზე, აღმ ჩნდება, რომ ზოგიერთი მათგანი, როგორცაა AgNO₃, ZnCl₂ და აგრეთვე, შაქარი (200 გ, 100 გ წყალში) ძლიერ იხსნება წყალში; ამის საწინააღმდეგოდ, წყალში უმნიშვნელოდ იხსნება ბარიუმის სულფატი BaSO₄ (0,00023 გ) ან ვერცხლის ქლორიდი (0,00014 გ, 100 გ წყალში).

ცხრილი 1

გახსნილი ნივთიერება	ხსნადობა (r) ტემპერატურა (0°C)			
	0	20	50	100
კალიუმის ქლორიდი	3	7	21	56
ბარიუმის ნიტრატი	13	32	85	245
ნატრიუმის ქლორიდი	35,6	35,8	35,7	39,1
ნატრიუმის ნიტრატი	73	88	114	176
ვერცხლის ნტრატი	122	230	460	900
თუთიის ქლორიდი	210	370	500	610

ხსნადობის გაზრდა ან შემცირება ტემპერატურის მიხედვით, მჭიდროდ არის დაკავშირებული გახსნის სიძლიერის ნიშანთან. თუ ნივთიერების გახსნასთან ახლავს სიძლიერის შთანთქმა ანუ გახსნილი სიძლიერე უარყოფითია, მაშინ ასეთი ნივთიერების ხსნადობა ტემპერატურის ზრდასთან ერთად იზრდება; პირიქით, გახსნისას სიძლიერე გამოიყოფა (გახსნის სიძლიერე დადებითია) მაშინ ტემპერატურის გაზრდა ხელს უწყობს ხსნადობის შემცირებას.

სითხის მეორე სითხეში გახსნისას, ადგილი შეიძლება ჰქონდეს სამ შემთხვევას:

ა) სითხეები ურთიერთხსნადია, ნებისმიერი თანაფარდობით, აგრეთვე წარმოიქმნება ერთი ერთგვაროვანი ფაზა. ტიპური მაგალითია წყლის გახსნა ეთილის სპირტში; ისინი ერთმანეთში შეუზღუდავად ერევიან;

ბ) სითხეების ურთიერთხსნადობა შეზღუდულია; იხსნება მხოლოდ კონცენტრაციების განსაზღვრულ დიაპაზონებში. თუ, მაგალითად, ერთმანეთს შევურევთ წყალსა და ეთერს, წარმოიქმნება ორი ერთგვაროვანი ხსნარი, რომელთაგან ერთ-ერთს ოთახის ტემპერატურაზე აქვს შემდეგი შემადგენლობა:


6,48% ეთერი და 93,52% წყალი

მეორეს 1,22% წყალი და 98,78 ეთერი

პირველი არის ეთერის გაჯერებული ხსნარი წყალში, ხოლო მეორე – წყლის გაჯერებული ხსნარი ეთერში. ტემპერატურის მატებასთან ერთად,

კლებულობს ეთერის წყალში ხსნადობა, სამაგიეროდ იზრდება ხსნადობა ეთერში.

ზოგჯერ ტემპერატურასთან ერთად, ორი სითხის ურთიერთხსნადობა ან იზრდება, ან პირიქით, მცირდება. პირველი შემთხვევა იწვევს ე.წ. ზედა კრიტიკული ტემპერატურის არსებობას, მეორე – ქვედა კრიტიკული ტემპერატურის არსებობას. ეს კრიტიკული ტემპერატურები ხასიათდება იმით, რომ ზედა კრიტიკული ტემპერატურის ზემოთ ან ქვედა კრიტიკულ ტემპერატურაზე ქვემოთ, ორივე ხსნარი შეერევა ერთმანეთს ნებისმიერი თანაფარდობით. ზედა კრიტიკული ტემპერატურის სითხეების მაგალითია წყალი და ფენოლი (C_6H_5OH). $20^{\circ}C$ ტემპერატურაზე წყალში იხსნება 8,4 % ფენოლი, ხოლო ფენოლში – 27,6% წყალი. ტემპერატურის მატებასთან ერთად წყალში ფენოლის ხსნადობა მატულობს, ზედა კრიტიკულ ტემპერატურის მიღწევის შემდეგ $68,8^{\circ}C$ -ზე ორივე სითხე ერთმანეთში შეერევა ნებისმიერი თანაფარდობით. ეს ქცევა კარგად ჩანს 1 ნახ.-ზე. მაზე წარმოდგენილია სისტემის "წყალი-ფენოლის" ხსნადობის ზღვრული მრუდი, რომელიც მიუთითებს ორივე სითხის ხსნადობის საზღვრებს ტემპერატურის მიხედვით.



ნახ. 1

ასე, მაგალითად, A წერტილი იძლევა წყალში ფენოლის გახსნის ზღვარს, ხოლო B წერტილი – ფენოლის წყლის გახსნის ზღვარს $20^{\circ}C$ ტემპერატურაზე. დაშტრიხული მონაკვეთის გარეთ მდებარე გრაფიკის წერტილები, რომლებიც შემოფარგლულია ხსნადობის ზღვრული მრუდით, წარმოადგენს ერთიან ერთგვაროვან ფაზას, რომელიც არის წყლისა და ფენოლის ურთიერთხსნარი და არა აქვს მნიშვნელობა ფენოლია გახსნილი წყალში, თუ წყალი ფენოლში.

საწინააღმდეგოდ, დაშტრიხულ ზედაპირის შიგნით წერტილები წარმოადგენს ორ განსხვავებულ ფაზას, რომელთაგანაც ერთ-ერთი არის ფენოლის ნაჯერი ხსნარი წყალში ($20^{\circ}C$ ტემპერატურაზე A წერტილი), მეორე კი წყლის გაჯერებული ხსნარი ფენოლში (B წერტილი). ამ ორი ფაზის რაოდენობის თანაფარდობა – AC და BC მონაკვეთების თანაფარდობის უკუპროპორციულია, თუ C წერტილი 1 ნახ.-ის მიხედვით აღნიშნავს წყლისა და ფენოლის ნარევის კონცენტრაციას $20^{\circ}C$ -ზე.

ქვედა კრიტიკული ტემპერატურის სითხეების ნარევის მაგალითია წყლისა და ტრიეთილენამინის ნარევი $(C_2H_5)_3N$. ქვედა კრიტიკულ ტემპერატურაზე მაღალი ტემპერატურისას $(18,6^{\circ}C)$ ტრიეთილენამინი შეერევა წყალს ან პირიქით – მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით, მაშინ როდესაც ამ კრიტიკულ ტემპერატურაზე ქვემოთ ორივე სითხე ურთიერთხსნადია ნებისმიერი თანაფარდობით. ასეთი სითხეების მაგალითია წყალი და ნიკოტინი $C_{10}H_{14}N_2$, რომლებიც ქვედა კრიტიკულ ტემპერატურაზე დაბლა და ზედაზე მაღლა ერთმანეთში შეერევა ნებისმიერი თანაფარდობით, მაშინ როდესაც ამ ტემპერატურებს შორის მათი ურთიერთხსნადობა შეზღუდულია.

ვ) სითხეები საერთოდ არ იხსნება ერთმანეთში. ასეთი სითხეების მაგალითია გოგირდნახშირბადი CS_2 და წყალი.

მყარი ნივთიერებებისა და სითხეების გარდა, სითხეებში გაზებიც იხსნება. თუ გაზი ეხება სითხეს, მაშინ სითხე შთანთქავს მას, ადსორბირებას. ამიტომ სითხეში გაზის გახსნას, გაზის აბსორბციასაც ვუწოდებთ. მოცემულ ტემპერატურასა და წნევაზე თხევადი გამხსნელის მოცემულ რაოდენობაში შეიძლება გაიხსნას გაზის მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა. სითხეში გაზების ხსნადობა დამოკიდებულია არა მარტო ტემპერატურაზე და გახსნილი გაზისა და გამხსნელი სითხის სახეობაზე, არამედ ძლიერ არის დამოკიდებული გაზის წნევაზე სითხის თავზე. ამით განსხვავდება სითხეში გაზის გახსნის პროცესი მყარი ნივთიერებების გახსნისაგან. გაზის ხსნადობის წნევაზე დამოკიდებულებას გამოსახავს ჰენრის კანონი (1803), რომლის თანახმად, გაზის ის რაოდენობა, რომელიც მუდმივ ტემპერატურაზე გაიხსნება სითხის მოცულობის ერთეულში, სითხის თავზე გაზის წნევის პროპორციულია. თუ გავაორმაგებთ გაზის წნევას სითხის თავზე, მაშინ, ჰენრის კანონის მიხედვით, მასში მუდმივ ტემპერატურაზე გაიხსნება გაზის ორმაგი რაოდენობა. ბოილ-მარიოტის კანონიდან გამომდინარეობს, რომ გაზის წნევა p პირდაპირპროპორციულია მისი სიმკვრივის ρ (განტოლება 5.21), მოქმედებს აგრეთვე:

$$p = \text{const}, \rho = \text{const} \frac{M}{V}, \quad (2)$$

სადაც M არის გახსნილი გაზის რაოდენობა, გამოსახული მასის ერთეულებში, ხოლო V – მისი მოცულობა. მაშასადამე, თუ წნევა გაიზრდება p სიდიდიდან $2p$ სიდიდემდე და ჰენრის კანონის თანახმად გაზის რაოდენობა გაიზრდება M სიდიდიდან $2M$ -მდე, მაშინ გახსნილი გაზის მოცულობა, (2) განტოლების თანახმად, მუდმივი დარჩება. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მოცემული მოცულობის სითხე მოცემულ ტემპერატურაზე და სხვადასხვა წნევისას ყოველთვის ადსორბირებს ერთნაირი მოცულობის გაზს. გახსნილი გაზის V მოცულობის და სითხის V_0 მოცულობის თანაფარდობა

$$\frac{V}{V_0} = \alpha. \quad (3)$$

მოცემულ ტემპერატურაზე α მუდმივია და გამოიხატება ჰენრის კანონის მეორე ფორმით. α კოეფიციენტი, ეწოდება ორვალდის ხსნადობის კოეფიციენტი ან უფრო მოკლედ, ხსნადობა; იგი სითხის მოცულობის ერთეულით განსაზღვრავს გახსნილი გაზის რაოდენობას მოცემულ ტემპერატურაზე. ეს კოეფიციენტი არ არის დამოკიდებული გაზის წნევაზე და ტემპერატურის მატებასთან ერთად, უმრავლესობა გაზისთვის კლებულობს. საილუსტრაციოდ

2 ცხრილში მოცემულია ხსნადობის α კოეფიციენტი წყალში გახსნილი ზოგიერთი გაზისთვის სხვადასხვა ტემპერატურაზე.

ჰენრის კანონი საჭირო სიზუსტით მოქმედებს მხოლოდ გაზის არცთუ ისე მაღალი წნევებისთვის (ისევე როგორც ბოილ-მარიოტის კანონი) და მხოლოდ იმ გაზებისთვის, რომლებიც ნაკლებხსნადია სითხეებში. ძლიერად ხსნადი გაზებისთვის (მაგალითად, როგორცაა გოგირდის ორჟანგი ან ამიაკი) მათ მაღალ ხსნადობას ხელს უწყობს ქიმიური რეაქცია გაზსა და გამხსნელს შორის.

ცხრილი 2

გაზი	ხსნადობის კოეფიციენტი α ტემპერატურაზე ($^{\circ}\text{C}$)			
	0	20	40	60
აზოტი	0,024	0,016	0,012	0,010
ჟანგბადი	0,049	0,031	0,023	0,019
ნახშირბადის ორჟანგი	1,713	0,878	0,530	0,359
გოგირდის ორჟანგი	79,8	39,4	18,8	8,0
ამიაკი	1300	702	465	316

თუ სითხეს ეხება გაზების ნარევი, თითოეული გახსნილი გაზის რაოდენობა იმდენია, რამდენიც იქნებოდა სითხის თავზე მარტო ყოფნისას ანუ მისი პარციალური წნევის პირდაპირპროპორციულია, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ნარევის პროცენტული შემადგენლობა, ცალკეული გაზების სხვადასხვა ხსნადობის გათვალისწინებით, ჩვეულებრივ აღარ შეესაბამება მის პარციალურ შედგენილობას სითხეში ნარევის გახსნის შემდეგ. ასე, მაგალითად, ჰაერში მოცულობის მიხედვით, დაახლოებით 21% ჟანგბადი და 79% აზოტია. თუ ჰაერი გახსნილია წყალში, მაშინ 20°C ტემპერატურასა და ნორმალურ წნევაზე, 2 ცხრილის თანახმად, წყლის თითოეულ კუბურ სანტიმეტრში აბსორბირებულია $0,031\cdot 0,21$ ანუ $6,51\cdot 10^{-3}$ სმ³ ჟანგბადი და $0,061\cdot 0,79$ ანუ $12,64\cdot 10^{-3}$ აზოტი, რაც შეადგენს 34% ჟანგბადს და 66% აზოტს. აქედან გამომდინარეობს, რომ წყალში გახსნილი ჰაერი უფრო მდიდარია ჟანგბადით, რადგან მისი შემცველობა 34%, მაშინ როდესაც ნორმალური ატმოსფერული ჰაერი – სუფთა 21%-ია. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის ბინადართა სიცოცხლისათვის.

ლიტერატურა

1. Чачхиани З.Б. Основы молекулярной физики. Тбилиси:ГТУ. 2009.
2. Савельев Н.В. Курс общей физики. М.:Наука. 1966.

LIQUID SOLUTIONS

Lali Chagelishvili, Manana Kvirikashvili
 Georgian Technical University, Tbilisi, Kostava str., 77

The relation generated between compounds in solution composition is considered which can be measured with different methods. Also the dependence of gases solution to pressure in liquid is given.

The authors presume that air dissolved in water is more oxygen rich (its content being 34%) than normal atmospheric air (21%).

The concentration has a great importance for the life of water inhabitants.

ЖИДКИЕ РАСТВОРЫ

Лали Чагелишвили, Манана Квирикашвили
Грузинский Технический Университет,
Тбилиси, ул. Костава, 77

Рассмотрено соотношение соединений в составе растворов, измеряемое разными методами, также приводится зависимость растворимости газов в растворе от давления.

По мнению авторов воздух растворенный в воде более богат кислородом (состав 34%), чем обычный атмосферный воздух (21%).

Концентрация имеет большое значение для жизни водных обитателей.

ელექტრომაგნიტური რხევების ენერგეტიკული ხედვა

გ. ჩხლაძე, ქ. კოტეტიშვილი, ქ. კაპანაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), იმს ფაკულტეტი,
ფიზიკის დეპარტამენტი, 0175, მ. კოსტავას ქ. 77, თბილისი, საქართველო

როგორც ცნობილია, ელექტრომაგნიტური რხევები განისაზღვრება, როგორც მუხტის, დენისა და ძაბვის პერიოდული, ან თითქმის პერიოდული ცვლილება. ეს რხევები აღიძვრება ე.წ. რხევით კონტურში – კონდენსატორისა და ინდუქციურობის კოჭასგან შემდგარ ჩაკეტილ სისტემაში.

რა თქმა უნდა, რაიმე მოვლენის შესწავლისას სიტყვიერის გარდა, საჭიროა აგრეთვე მისი მათემატიკური აღწერაც – მოვლენის აღმწერი და დამახასიათებელი სიდიდეების შემცველი განტოლებების ან ფორმულების მიღება. ელექტრომაგნიტური რხევების შემთხვევაში ეს გახლავთ რხევის განტოლების მიღება მეორე რიგის დიფერენციალური განტოლების სახით და მისი შესაბამისი ამონახსნის წარდგენა. თეორია იძლევა ამ განტოლების მიღების ორ ხერხს: ძაბვა – ე.მ. ძალის ცნებების გამოყენებით და ენერგეტიკულს.

აღსანიშნავია, რომ ძაბვა – ე.მ. ძალის ხერხით მიღებულია რხევის განტოლებები ყველა შესაძლო შემთხვევაში: თავისუფალი (ჰარმონიული), მილევადი და იძულებითი რხევებისთვის. რაც შეეხება ენერგეტიკულ ხერხს, ის მხოლოდ თავისუფალი რხევების განტოლების მიღებისას იყო გამოყენებული. ამ ხერხით მილევადი და იძულებითი რხევების განტოლებების მიღება არ განხორციელებულა და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში შემჩნეული არ არის. სწორედ ამ “თეთრი ლაქის” ამოფხვრა გადაწყვიტეს წარმოდგენილი ნაშრომის ავტორებმა.

თავდაპირველად მივიღოთ მილევადი ელექტრომაგნიტური რხევების განტოლება. ცნობილია, რომ ელექტრომაგნიტური რხევებისას კონდენსატორის ელექტრული ენერგია გარდაიქმნება კოჭას მაგნიტურ ენერგიად და პირიქით. რხევით კონტურზე გადაცემული ენერგია თანდათან მიიღევა, გარდაიქმნება რა სითბოდ. რხევების მიმდინარეობისას დროის ნებისმიერ მომენტში აღებული კონდენსატორის ელექტრული ენერგიის, კოჭას მაგნიტური ენერგიისა და სითბოდ გარდაქმნილი ენერგიის ჯამი მუდმივი რჩება

$$E_C + E_L + Q = const \text{ ანუ } \frac{q^2}{2C} + \frac{Li^2}{2} + i^2 Rt = const.$$

დროში ცვლად პროცესზე დაკვირვების მიზნით გავაწარმოთ ეს ჯამი დროით:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{q^2}{2C} + \frac{Li^2}{2} + i^2 Rt \right) = \frac{2q}{2C} \frac{dq}{dt} + \frac{2Li}{2} \frac{di}{dt} + i^2 R = 0.$$

როგორც ცნობილია, მუხტის წარმოებული დროით დენის ძალაა, ხოლო დენის ძალის წარმოებული დროით – მუხტის მეორე წარმოებულია დროით:

$$\frac{dq}{dt} = i, \quad \frac{di}{dt} = \frac{d^2q}{dt^2}.$$

ამ ტოლობების განტოლებაში გამოყენებისას ირკვევა, რომ განტოლების მარჯვენა მხარეს ყველა წევრი შეიცავს დენის ძალას, რომელსაც დაუყოვნებლივ ვაკვეცავთ:

$$\frac{q}{C} i + Li \frac{d^2q}{dt^2} + i^2 R = 0 \quad \text{ანუ} \quad \frac{q}{C} + L \frac{d^2q}{dt^2} + iR = 0.$$

განტოლების ყველა წევრი გავყოთ L ინდუქციურობაზე და შემოვიღოთ ცნობილი აღნიშვნები:

$$\frac{1}{LC} = \omega_0^2, \quad \frac{R}{L} = 2\beta.$$

აქ ω_0 რხევითი კონტურის ციკლური სიხშირეა, β – მილევის კოეფიციენტი.

ამ აღნიშვნების საკვლევ განტოლებაში შეტანისას ვღებულობთ მილევადი რხევის განტოლებას – მეორე რიგის დიფერენციალურ განტოლებას სტანდარტული სახით:

$$\frac{d^2q}{dt^2} + 2\beta \frac{dq}{dt} + \omega_0^2 q = 0.$$

ამ განტოლების ამონახსნი მოცემულია შემდეგი სახით:

$$q = q_m e^{-\beta t} \cos(\omega t + \varphi).$$

აქ $\omega = \sqrt{\omega_0^2 - \beta^2}$ მილევადი რხევის ციკლური სიხშირეა, ის, როგორც ცნობილია, კონტურის ციკლურ სიხშირეზე ნაკლებია ($\omega < \omega_0$). განტოლების წევრი $q(t) = q_m e^{-\beta t}$ მილევადი რხევის ამპლიტუდას წარმოადგენს. ის დამოკიდებულია დროზე და ექსპონენციალურად მიილევა

განვსაზღვროთ მილევის კოეფიციენტის ფიზიკური არსი: ვთქვათ, რაიმე τ დროში ამპლიტუდა e -ჯერ მცირდება, მაშინ ადგილი ექნება შემდეგ თანაფარდობას:

$$\frac{q(t)}{q(t+\tau)} = \frac{q_m e^{-\beta t}}{q_m e^{-\beta(t+\tau)}} = e \quad \text{ან} \quad \frac{1}{e^{-\beta\tau}} = e \quad \text{ან} \quad \beta = \frac{1}{\tau}.$$

ე.ი. β იმ დროის შებრუნებული სიდიდეა, რა დროშიც მილევადი რხევის ამპლიტუდა e -ჯერ მცირდება.

გარდა ამისა, რხევის მილევა ხასიათდება ე.წ. მილევის ლოგარითული დეკრემენტით. ის რიცხობრივად პერიოდით განსხვავებულ დროის ორ მომენტში აღებული ამპლიტუდების ფარდობის ნატურალური ლოგარითმის ტოლია:

$$d = \ln \frac{q_m e^{-\beta t}}{q_m e^{-\beta(t+T)}} = \ln e^{\beta T} = \beta T.$$

მაშასადამე, მილევის ლოგარითული დეკრემენტი მილევის კოეფიციენტისა და რხევის პერიოდის ნამრავლის ტოლია. თვით პერიოდი კი განისაზღვრება ფორმულით

$$T = \frac{2\pi}{\omega} = \frac{2\pi}{\sqrt{\omega_0^2 - \beta^2}}.$$

ახლა დავკავდეთ იძულებითი ელექტრომაგნიტური რხევების განტოლების მიღებით. რხევას იძულებითს იმიტომ უწოდებენ, რომ მილევადი რხევისას სითბოდ გარდაქმნილ ენერგიას რხევით კონტურს უნაზღაურებენ გარედან მიწოდებული ენერგიით $E = uit$ და

რხევა ხდება ულვეი – თავისუფალის მსგავსი. შედეგად დროის ნებისმიერ მომენტში ენერგეტიკული განტოლება შემდეგ სახეს იღებს:

$$E_C + E_L + Q - E = const \quad \text{ანუ} \quad \frac{q^2}{2C} + \frac{Li^2}{2} + i^2 Rt - uit = const .$$

რა თქმა უნდა, აქაც დროში ცვლად პროცესზე დაკვირვების მიზნით ამ ჯამს ვაწარმოებთ დროით:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{q^2}{2C} + \frac{Li^2}{2} + i^2 Rt - uit \right) = \frac{2q}{2C} \frac{dq}{dt} + \frac{2Li}{2} \frac{di}{dt} + i^2 R - ui = 0 .$$

კონტურზე მოდებული გარე ძაბვა წარმოვადგინოთ კოსინუსოიდალური სახით

$$u = U_m \cos \omega t$$

და ზემოთ მოყვანილი აღნიშვნების საკვლევ განტოლებაში შეტანისას და გაყოფა-შეკვეცის ქმედებების გატარების შედეგად ვღებულობთ იძულებითი რხევის განტოლებას – მეორე რივის არაერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებას სტანდარტული სახით:

$$\frac{d^2 q}{dt^2} + 2\beta \frac{dq}{dt} + \omega_0^2 q = U_m * \cos \omega t ,$$

სადაც $U_m * = \frac{U_m}{L} \cos \omega t$ ამ განტოლების ამონახსნი მოცემულია შემდეგი სახით:

$$q = q_m \cos(\omega t + \varphi) .$$

იძულებითი რხევების ამპლიტუდა გამოსახულია ფორმულით:

$$q_m = \frac{U_m *}{\beta \sqrt{\beta^2 + 4\omega^2}} ,$$

საწყისი ფაზა φ კი განისაზღვრება განტოლებიდან $\operatorname{tg} \varphi = \frac{2\omega}{\beta}$.

მიღებული შედეგები ძაბვა – ე.მ. ძალის ხერხით მიღებული განტოლებების აბსოლუტურად იდენტურია, რაც ენერგეტიკული ხერხის ჭეშმარიტებას ამტკიცებს. ამ ხერხის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ, ზოგადად, ენერჯისა და მუშაობის ცნებებს მკითხველი უკეთესად აღიქვამს და უფრო სრულყოფილად ითვისებს მიწოდებულ ინფორმაციას.

ლიტერატურა

1. G. Chikhladze, V. Kvintradze. Summary in Physics, Second Part, Tbilisi, 2007, 60 p.

ENERGETIC VIEW OF LC-OSCILLATIONS

G. Chikhladze, K. Kotetishvili, K. Kapanadze

Georgian Technical University (GTU), ICS Faculty, Department of Physics,
 0175, 77, M. Kostava st., Tbilisi, Georgia

In given paper the energetic method of reception of equations of damped and forced LC-oscillations is presented. It is noted that, this method is yet unknown in the scientific and pedagogic literature. The comparizon of signed method with widely used voltage-e.m. force method is made. The absolute identity of equations received by both methods is proved.

ЭНЕРГЕТИЧЕСКИЙ ВЗГЛЯД НА ЭЛЕКТРОМАГНИТНЫЕ КОЛЕБАНИЯ

Г.Г. Чихладзе, К.В. Котетишвили, К.Г. Капанაძე

*Грузинский технический университет (ГТУ), факультет ИСУ, департамент физики,
0175, ул. М. Костава, 77, Тбилиси, Грузия*

В данной статье представлен энергетический метод получения уравнений затухающих и вынужденных колебаний. Отмечено, что этот метод до сих пор был неизвестен в научной и педагогической литературе. Проведено сравнение указанного метода с широко используемым методом напряжения-э.д.с. Доказана абсолютная идентичность уравнений, полученных обоими методами.

ფიზიკური ცნებების ფორმირების პროცესი

ორინე ჯანჯღავა, რუსუდან ამაშუკელი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი კოსტავას ქ. 77.*

ფიზიკური ცოდნა - ეს არის უპირველესად ყოვლისა სისტემა ჰიპოტეზების, კანონებისა და თეორიების. ამასთანავე კანონები, ჰიპოთეზები და თეორიები გამოსახვენ კავშირს და თანაფარდობას ცნებებს შორის. ცნებების ჩამოყალიბების პროცესი დაკავშირებულია აქტიურ აზროვნებასთან, ისეთი გონებრივი ოპერაციების შესრულებისათვის, როგორცაა ანალიზი და სინთეზი, შედარება და შეპირისპირება, აბსტრაქტირება და განზოგადება. თავის მხრივ ცნება წარმოადგენს შემეცნებითი აზროვნების საფუძველს. აზროვნება შეიძლება ჯხდებოდეს სხვადასხვა ფორმით: მსჯელობა მსჯელობა, დასკვნები, ჰიპოთეზები, თეორიები. ცნება ამ ფორმათაგან არის ერთ - ერთი უმაღლესი, ფორმა, რომელიც გამოსახავს მატერიალურ სინამდვილეს, იგი არის საშუალება გარე სამყაროს სინამდვილის შეცნობისა.

დიდაქტიკური თვალთახედვიდან ცნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ცოდნა საგნის არსებითი თვისებების, გარემომცველი სინამდვილის მოვლენების, მათ შორის არსებული კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების. თავდაპირველად ხდება ცალკეული ცნებების ფორმირება (მექანიკური მოძრაობა, მანძილი, გადაადგილება, სიჩქარე და ა. შ.), შემდეგ კი ცნებების სიტემის (კინემატიკა, დინამიკა, მექანიკა მთლიანობაში და სხვა). ერთი სისტემის ცნებების ათვისება ხორციელდება სხვა სისტემის ცნებებთან კავშირის შედეგად: მაგალითად, სითბური მოძრაობის ცნების ფორმირება ეყრდნობა მექანიკური მოძრაობის ცნების ცოდნას.

ფიზიკური ცნებების ფორმირების პროცესი შედგება საგნებისა და მოვლენების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების აღმოჩენისაგან, რაც დაიყვანება სიტყვიერ განმარტებაზე, არ არსებობს ცნებების ფორმირების ერთადერთი გზა. მათი აღქმა შესწავლა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით. მაგრამ ყველა ამ მეთოდს აქვს ერთი საერთო: ასე თუ ისე, ისინი ყველანი იწყებიან საგნის, თუ მოვლენის შეგრძნებით - კონკრეტული აღქმისაგან.

მაგრამ ხშირად მთელი რიგი ცნებების წარმოქმნისას დაყრდნობით მხოლოდ შეგრძნებით - კონკრეტულ აღქმაზე, ამ სიტყვების ვიწრო გაგებით, შეუძლებელია. ასეთია მაგალითად, კვანტის ცნება, კვანტურ - კორპუსკულური დუალიზმის, ატომის ბირთვის, ელემენტური ნაწილაკების, კვარკის და სხვ. ასეთ შემთხვევაში ცნებების ფორმირება მიზანშეწონილია დაიწყოს პრობლემის დაყენებით და იმ კლასიკური ცდების აღწერით, რომელთა შედეგის ანალიზმა მეცნიერებაში ახალი ცნებები შემოიტანა.

მოვლენაზე დაკვირვება - ეს არის პირველადი წყარო მასზე (მოვლენაზე) წარმოდგენის შექმნისას. ეს წარმოადგენს რომ შეიქმნას, საჭიროა ცდების ჩატარების წინგამახვილებულ იქნეს ყურადღება ამ მოვლენის არსებით მხარეზე, მისი მიმდინარეობის ხასიათზე. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს სტიმულირება მოვლენის შესახებ გამონათქვამზე და მის ინტერპრეტაციაზე. როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული რომელიმე სხვასთან, ამიტომ მისი შემოტანისას. აუცილებელია შეიქმნას „ცნებების ბაზა“ ანუ მოხდეს იმ ცნებების ფორმირება, რომელთა გარეშე ამ ცნების აღქმა შეუძლებელია. მაგალითად, მასის საწყისი ცნების განსაზღვრისთვის საჭიროა მექანიკური მოძრაობის ცოდნა, სიჩქარის ცოდნა. შემდეგ კი ცდების შედეგად, რომლებშიც წარმოებს სხვადასხვა ზომის სხეულების ურთიერთქმედება მათი დაჯახების დროს, მასის ცნების ჩამოყალიბება შეიძლება მოხდეს ასეთი სახით; მასა არის ყველა სხეულის დამახასიათებელი თვისება, რომლის თანახმად სხვადასხვა სხეულების ურთიერთქმედებისას მათი სიჩქარეები იცვლება სხვადასხვანაირად. მასის ცნების ფორმირება ამ ეტაპზე არ სრულდება. შემდგომ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებისა და ექსპერიმენტების საფუძველზე, საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ მასა არის სხეულთა ინერტული და გრავიტაციული თვისებების ზომა, რომელიც წარმოადგენს უფრო ფართო და ღრმა განმარტებას.

ლოგიკური ოპერაციების გარეშე, საერთოდ, შეუძლებელია ცნების ფორმირება. ამიტომ ფაქტების, ან დაკვირვებების ნაკრები ისეი უნდა იყოს, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი გახდეს შედარებების და დასკვნების გაკეთება. მაგალითად, სხეულთა დაელექტროების ახსნისას, სწავლების პროცესი უნდა დაიწყოს ელექტრიზაციის მოვლენის არსზე ძირითადი მდგმოარეობების ჩამონათვალი:

- საწყისი მდგმოარეობა - დაიმუხტოს მაკროსკოპული სხეული - ე.ი. მოშორდეს უარყოფითი მუხტის ნაწილი (ელექტრონები) მასთან დაკავშირებული დადებითს. დაელექტროების უმარტივესი ხერხია - სხულთა გახახუნება.

- დაელექტროებაში ყოველთვის მონაწილეობს ორი სხეული. აქ მნიშვნელოვანია არა ხახუნი, არამედ სხეულებს შორის მჭიდრო კონტაქტი.

- დაელექტროება წარმოიქმნება ნებისმიერი სხეულების შეხებისას (ცდები სხვადასხვა მეტალის ფირფიტების დაელექტროებაზე).

- კონტაქტური დაელექტროებისას ორივე სხეული იღებს მოდელით ტოლ და ნიშნით საპირისპირო მუხტს (ცდა ელექტრომეტრის ღერძზე დამაგრებული ბირთვის კონდუქტორით).

- დაელექტროვდება ყველა სხეული: მყარი, თხევადი, აირადი. (წყლის ჭავლის მიზიდვა დამუხტული ღეროსკენ. ღრუბლუბს შორის განმუხტვა).

- ელექტრული ურთიერქმედების ძალები დიდია გრავიტაციულთან შედარებით, ამის დასადასტურებლად სასარგებლოა გამოყვანილი და შედარებული იქნეს ელექტრული და გრავიტაციული მიზიდვის ძალები ელექტრონსა და პროტონს შორის წყალბადის ატომში. ბოლოს გაკეთდება დასკვნა: უარყოფითი მუხტი სხეულზე წარმოაქმნება მასში ელექტრონების სიჭარბით პროტონებთან შედარებით, ხოლო დადებითი მუხტი წარმოაქმნება ელექტრონების ნაკლებობით.

განვიხილოთ, როგორ მოხდა ცნების ფორმირება ფოტოეფექტისა, რომელიც უფრო რთული და მრავალმხრივ მოვლენას წარმოადგენს. ფოტოეფექტისა, რომელიც უფრო რთულ და მრავალმხრივ მოვლენას წარმოადგენს. ფოტოეფექტის შესწავლის დროს ცინკის ფირფიტაზე დაკვირვებით, ცდის შედეგების საფუძველზე, თავდაპირველად, აკეთებენ დასკვნას გარე ფოტოეფექტის არსის შესახებ: სინათლის მოქმედებით ნივთიერებიდან ამოირტყოცნება ელექტრონები. ანალიზის გაგრძელებისას, ხაზგასმულ უნდა იქნეს, რომ ოპტიკური დიაპაზონის (ხილული) სხივები ვერ ამოტყორცნიენ ელექტრონებს ცინკის ფირფიტიდან, მაშინაც კი თუ სინათლის ნაკადი ძალიან დიდია (ფირფიტას ანათებდნენ თეთრი სინათლით). ამ მიზნით იმეორებდნენ ცდებს სხვადასხვა მეტალების და არამეტალების ფირფიტებზე; გამოირკვა, რომ ელექტრონების გამოსვლის მუშაობა განსხვავებულია სხვადასხვა ნივთიერებებისათვის - რაც უფრო ნაკლებია გამოსვლის მუშაობა, მით უფრო მეტი ელექტრონი გამოვა ფირფიტიდან. აგრეთვე დადგინდა სხვა კანონზომიერებებიც. აქ ჩვენ ვერ შევჩერდებით ამ საინტერესო მოვლენის სრულ განხილვაზე. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ მოვლენის შესწავლის დამთავრებისას ჩამოყალიბებული იქნა ფოტოეფექტის ასეთი განმარტება: „ფოტოეფექტი არის პროცესი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ურთიერქმედებისა ნივთიერებასთან, რის შედეგადაც ფოტონების ენერგია გადაეცემა ნივთიერების ელექტრონებს და ხდება ელექტრონების გადანაწილება ენერგეტიკული მდგმოარეობების მიხედვით კონდენსირებულ გარემოში. ეს განმარტება მოიცავს როგორც გარე, ისე შინაგან ფოტოეფექტს და აგრეთვე ფოტოიონიზაციას, რადგანაც აირებში ფოტოეფექტი წარმოადგენს ატომებისა და მოლეკულების იონიზაციას გამოსხივების მოქმედებით.

ბევრი სხვა ცნების ჩამოხალიბების პროცესებზე შეიძლება საუბარი, მაგრამ ჩვენ შემოვისაზღვრებით მხოლოდ ამ მაგალითებით.

ლიტერატურა

- 1) Волковыский Р.Ю. «Определение физических понятий и величин». М. 1976.
- 2) Занков Л.В. «Обучение и развитие». М. 1975.
- 3) Педагогическая энциклопедия т.г. стр. 806.
- 4) Давыдов В.В. «Виды обобщения в обучении». М. 1972.

Process of formation of physical concepts

I. Djandjgava, R. Amashukeli

In the offered article says, as should occur choice and scientific analysis of the specific situation that ensures the emergence of the consciousness of the new concepts, such as talk about the elections, my academic situation that allows you to accurately and clearly explain the electrification of bodies. Also deals with the process of forming concepts of mass and the photoelectric effect.

Процесс формирования физических понятий

И. Джанджгава, Р. Амашукели

В предлагаемой статье говорится, как должен произойти выбор и научный анализ конкретной ситуации, обеспечивающей, возникновение в сознании нового понятия, например говорится о выборе мой учебной ситуации, которая позволяет достоверно и ясно объяснить электризацию тел. Также рассматривается процесс формирования понятия массы и фотоэффекта.

პლაზმური რხევები. პლაზმის გამტარობა

*ირინე ჯანჯღავა, მანანა სიხარულიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
თბილისი, კოსტავას ქ. 77*


1. დედამიწაზე ცხოვრებისას ჩვენ შევეჩვიეთ სხეულებს მხოლოდ მყარ, თხევად და აირვან მდგომარეობებში. ასტროფიზიკური მონაცემებიდან ცნობილია, რომ ჩვენი სამყაროს უდიდესი ნაწილი იმყოფება ნივთიერების მეოთხე განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომელსაც პლაზმა ეწოდება.

პლაზმა არის იონიზირებული აირი, დამუხტული ნაწილაკების საკმაოდ მაღალი კონცენტრაციით, რომელსაც გააჩნია კვაზინეიტრლობის თვისება. პლაზმის კვაზინეიტრლობა ნიშნავს, რომ პლაზმა საკმაოდ დიდ მოცულობაში დადებითი და უარყოფითი მუხტების რაოდენობა პრაქტიკულად ერთნაირია.

იონიზირებული ატომების შეფარდებას მათ მთლიან რიცხვთან ამავე მოცულობაში, ეწოდება პლაზმის იონიზაციის ხარისხი და მას ანლნიშნავენ α -თი. პლაზმური შეიძლება დავარქვათ მდგომარეობას, რომლის იონიზაციის ხარისხია $\alpha \sim 10^{-3}$.

პლაზმა არსებობს დედამიწის ზედაპირის უშუალო სიახლოვეში. მაგალითად იონოსფერო, დედამიწის ატმოსფეროს გარე ფენა, შედგება იონიზირებული აირისაგან, რომელიც დიდ გავლენას ახდენს რადიოგადაცემების განხორციელებაში. იონოსფეროს ზევით მოთავსებულია მაგნიტოსფერო, სადაც აღმოჩენილი იყო რადიაციული სარტყლები. ისინი სავსეა დამუხტული ნაწილაკებით, რომელთაც აჩერებს დედამიწის მაგნიტური ველი.

ხარისხობრივი განსხვავება პლაზმასა და სუსტად იონიზირებული აირს შორის გამოვლინდება გარემოს ნეიტრალობის ადგილობრივი დარღვევების ქცევაში, რომელიც წარმოაიქმნება სითბური ფლუქტუაციების ხარჯზე: ჩვეულებრივ აირში ასეთი დარღვევები ვითარდება მოუწესრიგებლად და შეუძლიათ, მაგალითად, შეავსონ მთლიანად აირის მოცულობის შესადარი მოცულობა. პლაზმაში კი ნეიტრალობის ფლუქტუაციური დარღვევები ყოველთვის ლოკალიზებულია საკმაოდ მცირე მოცულობაში.



ნახ.1.

მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ ელექტრონების მოძრაობა, და იონების მოძრაობა უგულებელვყოთ. ეს დაშვება იმით არის გამართლებული, რომ ყველაზე უფრო მსუბუქი ელემენტის წყალბადის იონიც კი $2 \cdot 10^3$ -ჯერ უფრო მძიმეა ელექტრონზე. დავუშვათ, რომ პლაზმაში ელექტრონეიტრალობის დარღვევის უბანი წარმოაიქმნება ისე, როგორც ეს სქემატურათაა ნაჩვენები ნახ. 1-ზე.

მცირე Δx სისქის მქონე ელექტრონების ფენა წაინაცვლებს მარჯვნივ ასეთივე სისქის იონების ფენის მიმართ რაღაც $\xi \ll \Delta x$. მანძილით, ასე წარმოიქმნება ბრტყელი კონდენსატორის ტიპის სისტემა - „პლაზმური“ კონდენსატორი. მისი შემონაფენები წარმოადგენენ ერთი და იგივე ξ სისქის ორ ფენას. მარცხენა ფენაში ჰქარბობს დადებითი მუხტი, ხოლო მარჯვენაში - უარყოფითი. ასეთი კონდენსატორის შემონაფენებზე ზედაპირული მუხტის სიმკვრივე σ აბსოლუტური მნიშვნელობით ტოლი იქნება $q_0 n \xi$, სადაც q_0 - ელემენტარული მუხტის სიდიდეა, n - ელექტრონების კონცენტრაცია (პლაზმაში იონების კონცენტრაციის ტოლი). კონდენსატორის შემონაფენებით შექმნილი ველი, ნულისგან განსხვავებულია შემონაფენებს შორის სივრცეში, მის გარეთ ველი ნულის ტოლია. „პლაზმური“ კონდენსატორის შემონაფენებს (რომლებიც სწორედ წარმოადგენენ ელექტრონეიტრალობის დარღვევის უბნებს) შორის წარმოაქმნილი ელექტრული ველის დამაბულობა ტოლია:

$$E = \frac{|\sigma|}{\epsilon_0} = \frac{1}{\epsilon_0} q_0 n \xi \quad (1)$$

შემონაფენების ფართობი თუ არის ΔS , მაშინ კონდენსატორის შიგნით გვექნება $n \Delta x \Delta S$ ელექტრონების რაოდენობა, მათზე იმოქმედებს ძალა:

$$F = -q_0 n \Delta x \Delta S \cdot E = -q_0^2 n^2 \Delta x \Delta S \cdot \frac{\xi}{\epsilon_0} \quad (2)$$

ამ ელექტრონების მასა ტოლია $m_e n \Delta x \Delta S$, სადაც m_e არის ერთი ელექტრონის მასა. აჩქარება, რომლითაც მოძრაობენ ელექტრონები „პლაზმურ“ კონდენსატორში ტოლია $\frac{d^2 \xi}{dt^2}$, ამიტომ ნიუტონის მეორე კანონის თანახმად უარყოფითი შემონაფენის ელექტრონებისათვის გვექნება:

$$F = m_e n \Delta x \Delta S \frac{d^2 \xi}{dt^2} \quad (3)$$

მე-(2) და მე-(3) ფორმულების განტოლებით, გვექნება

$$m_e n \Delta x \Delta S \frac{d^2 \xi}{dt^2} = - \frac{q_0^2 n^2}{\epsilon_0} \Delta x \Delta S \xi, \text{ აქედან}$$

$$\frac{d^2 \xi}{dt^2} + \omega_{\text{პლ}}^2 \xi = 0 \quad (4)$$

სადაც $\omega_{\text{პლ}}$ პლაზმური სიხშირეა. იგი ასე გამოისახება:

$$\omega_{\text{პლ}} = \left(\frac{n q_0^2}{m_e \epsilon_0} \right)^{1/2} \quad (5)$$

ჩვენ მივიღეთ რხევითი მოძრაობის განტოლება (4), რომელიც მიმდინარეობს მე-5 ფორმულით გამოსახული სიხშირით. ამ რხევებს უწოდებენ პლაზმურს.

ამგვარად, პლაზმის რომელიმე უბანში ელექტრონიტრალობის დარღვევისას, წარმოიქმნება მუხტის სიმკვრივის ჰარმონიული რხევები $\omega_{\text{პლ}}$ - სიხშირით. დამტკიცების გარეშე აღვნიშნოთ, რომ ელექტრონების და იონების შეჯახება (ერთმანეთთან და ნეიტრალურ მოლეკულებთან) იწვევს პლაზმური რხევების ჩაქრობას. პლაზმურ რხევებს არა აქვს ტალღური ხასიათი: ელექტრონიტრალობის დარღვევა არ ვრცელდება მთელ პლაზმაზე.

1. განვიხილოთ პლაზმის გამტარობა. პლაზმაში მუხტის უფრო აქტიური გადამტანები არიან ელექტრონები, ამიტომ პლაზმის გამტარობა ძირითადად ელექტრონებით განისაზღვრება. ჩვენი ამოცანაა პლაზმური ეფექტიანობის τ_e - რელაქსაციის დროის განსაზღვრა. იგი განიხილება, როგორც საშ. დრო, რომლის განმავლობაშიც ელექტრონები კარგავენ თავის მოწესრიგებულ მოძრაობას. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც ელექტრონების მოძრაობის ტრეექტორია მობრუნდება $\pi/2$ -ს მიახლოებულ კუთხეზე. τ_e - დროის გამოთვლა საკმაოდ ვრცელია, დავეყვაროთ მხოლოდ შედეგით:

$$\tau_e = \frac{4\pi\epsilon_0^2 m_e^{1/2} (RT)^{3/2}}{n_e q_0^4 \ln(4\pi N)} \quad (6)$$

აქედან პლაზმის გამტარობა, რიცხვითი კოეფიციენტების ერთთან მიახლოებული სიზუსტით, ტოლია:

$$\sigma = \frac{n_e q_0^2}{m_e} \tau_e = \frac{4\pi\epsilon_0^2 (RT)^{3/2}}{m_e^{1/2} q_0^2 \ln(4\pi N)} \quad (7)$$

თუ მე-7-ში ჩავსვამთ მუდმივების რიცხვით მნიშვნელობებს, მივიღებთ, მარტივ ფორმულას პლაზმის გამტარობის შესაფასებლად

$$\sigma \approx 10^{-3} T^{3/2} \text{ (ომ.მ.)}^{-1} \quad (8)$$

პლაზმის გამტარობა ხასიათდება შემდეგი თვისებებით: იგი ძალიან სუსტად (ლოგარითმულად) არის დამოკიდებული მუხტის გადამტანის კონცენტრაციაზე. სუსტად იონიზირებული აირების გამტარობა კი იზრდება კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულად. ეს განსხვავება იმით არის გამოწვეული, რომ აირის სიმკვრივის გაზრდით, იზრდება მუხტის მატარებელი ნაწილაკების შეჯახება სხვა ნაწილაკებთან. პლაზმაში კი შეჯახებას პრაქტიკულად არა აქვს როლი. პლაზმა მკვეთრად განსხვავდება სუსტად იონიზირებული აირებისაგან გამტარობაზე ტემპერატურის დამოკიდებულებითაც. პლაზმის გამტარობა ტემპერატურასთან ერთად სწრაფად იზრდება $T^{3/2}$ -ის პროპორციულად. სუსტად იონიზირებული აირების გამტარობა კი მცირდება ტემპერატურასთან ერთად $T^{1/2}$ -ის კანონით. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვეულებრივ აირებში მუხტის რელაქსაციის დრო სითბური სიჩქარით უკუპროპორციულია, რომელიც როგორც ცნობილია $T^{1/2}$ -ის პროპორციულია.

ეს ორივე განსხვავება განპირობებულია ნაწილაკების ურთიერქმედების მექანიზმის არსებითი სხვადასხვაობით პლაზმის და აირებში: პლაზმაში ძირითად როლს ასრულებენ ელექტრონ-იონური შეჯახებები, ხოლო აირებში კი ელექტრონების შეჯახება ხდება ნეიტრალურ ატომებთან არ მოლეკულებთან.

პლაზმის ელექტროგატარობა იზრდება რა სწრაფად ტემპერატურის მომტებით, გაზურებულ მდგომარეობაში იგი გადაიქცევა კარგ გამტარად. მაგ. მე-3 ფორმულით მიხედვით 10^8k -რიგის ტემპერატურებისთვის, რომლებიც მიიღება თერმო ბირთვული რეაქციების მოწყობილობებში, პლაზმა იძენს 10^9 (ომ.მ.)-1 რიგის გამტარობას, რომელიც აღემატება ყველაზე უფრო მაღალი გამტარობის მეტალების ელექტროგამტარობას.

ლიტერატურა

1. астахов А.В. Широков Ю.М. урс физики т.2. М. Наука. 1980.
2. савельев И.В. Курс общей физики Т.2М. Наука. 1970
3. Учебник физики под редакцией академика Ландсберга Г.С. т. 3. М. Наука. 1986.

Plasmic oscillations. Conductivity of plasma

I. Djangava, M.Sikharulidze

The paper described a plasma state of matter, given the derivation of the vibrational motion of the plasma, which is caused by fluctuation violations of neutrality. Also considered is the electrical conductivity of the plasma.

Плазменные колебания. Проводимость плазмы

И. Джанджгава, М. Сихарулидзе

В работе охарактеризовано плазменное состояние вещества, даётся вывод формулы колебательного движения плазмы, которое вызвано флуктуационными нарушениями нейтральности. Также рассмотрена электропроводимость плазмы.

ჟურნალისტიკა – Журналистика – Journalism

მკს- პოლიტიკური პროცესების სრულფასოვანი და ძლიერი ფაქტორი

ქ. გიორგობიანი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავას 77*

ნებისმიერი ბიზნესი მოგების პრინციპით მოქმედებს. ბუნებრივია, ეს ეხება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებსაც. გაზეთიც ხომ კერძო წარმოებას, მფლობელის საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც გარკვეულ ფასად ყიდის წარმოებულ პროდუქციას. რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსები აქვს მედიას, შესაბამისად, მით უფრო უკეთეს სამსახურს შესთავაზებს მომხმარებელს. თუმცა საზოგადოებრივ ინტერესებს ზოგჯერ შეიძლება საფრთხე დაემუქროს. ეს მაშინ ხდება, როცა მცირერიცხოვან ადამიანთა ხელში უზარმაზარი პოლიტიკური ძალაუფლებაა კონცენტრირებული და მათ მიზანს არ წარმოადგენს ინფორმირება. ისინი წყვეტენ, როგორ და როდის უნდა გაშუქდეს ესა თუ ის მოვლენა მედიასაშუალებების მიერ, რას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, რა დოზით უნდა გაითვალისწინონ ადამიანთა ინტერესები და მოთხოვნილებები, რომ მათთვის მომგებიანი იყოს. ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკოსთა მიზანი ძალაუფლების მოპოვება და შემდეგ შენარჩუნებაა. ეს აქსიომაა და ამაზე არავის დავობს. ამ დროს წარმოუდგენელია საზოგადოებრივი აზრის იგნორირება, ბუნებრივია ისიც, რომ არის მცდელობა საგანგებოდ, ხაზგასმით გაშუქდეს პოზიტიური მომენტები, ნეგატიური კი – შექცევისდაგვარად მიიჩქმალოს. დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც მკს შედარებით დამოუკიდებელია, მედიასაშუალებები ნაკლებად გამოიყენება ოფიციალური პროპაგანდისა და იდეოლოგიური მანიპულაციებისათვის. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ურთიერთობა დამყარდება მედიასთან, როგორ მოხერხდება “ახალი ამბების მართვა”, როგორ წარიმართება ე.წ. “პოლიტიკური მარკეტინგი”. აქ იგულისხმება “ახალი ამბების მიწოდების ხელოვნება” ანუ რამდენად ხერხდება ინფორმაციის მიწოდება იმ სახით, იმ მეთოდით, რომ მიიღონ სასურველი ეფექტი და ის რეაქცია, რაც ხელს აძლევთ. მნიშვნელოვანია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როდის არის საჭირო ახალი ამბების დაწვრილებით გაანალიზება, ე.წ. “სამედიცინო დათვალიერება”. არსებითი ყურადღება ეთმობა კონტროლს ინფორმაციის წყაროებზე, ბრიფინგების პრაქტიკის გამოყენებას, სადაც, სურვილის შემთხვევაში, არის საშუალება არგუმენტების ისე მომარჯვებისა, რომ რთული გასარკვევია, ვის ეკუთვნის ისინი. ასევე გვხვდება ინფორმაციის მასობრივი კომუნიკაციის იმ საშუალებებისთვის მასალის მიწოდების შემთხვევები, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური პოზიციით ახლოს არიან სამთავრობო სტრუქტურებთან და ოპოზიციურ განწყობას ნაკლებად ავლენენ. ექსპერტები აღნიშნავენ და ამას გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ოფიციალური ინფორმაციის შეტყობინების დროს. როცა ეს სატელევიზიო პროგრამის დასრულების შემდეგ, გვიან ღამით ხდება, ნაკლები შანსი არსებობს იმისა, რომ ეს

ინფორმაცია გადამოწმდეს და კიდევ უფრო ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ მომზადდეს კონტრარგუმენტი. საზოგადოების ყურადღება ინაცვლებს “ნეგატიური და აღმაშფოთებელი ახალი ამბებისკენ” და უფრო არსებითი პრობლემა ერთგვარად უკანა პლანზე იწევს. აქედან შეიძლება გაკეთდეს შესაბამისი დასკვნა, მკს და სახელმწიფო ერთმანეთს საჭიროებენ. მთავრობა და მმართველი წრეები, სახელისუფლო ორგანოები იყო, არის და ყოველთვის იქნება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო. არცთუ იშვიათად გამომცემლობები, რედაქტორები და ჟურნალისტები თანამშრომლობენ სამთავრობო სტრუქტურებთან, ინფორმაციას იღებენ ე.წ. “ხელისუფლების აგენტებისგან”, რათა ახალი ამბები ორივე მხარისთვის მისაღები კუთხით გადაიციეს. იმ დროს, როდესაც ჩნდება საინფორმაციო მოღვაწეობის ახალი ტექნოლოგიები, მხედველობაში გვაქვს ინტერნეტ-საიტები, მრავალარხიანი ტელეგადაცემები, ჟურნალ-გაზეთთა ახალი ტიპები, მისი როლი კიდევ უფრო იზრდება. მუდმივად მიმდინარეობს იმ ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება, რომელთა საშუალებით მოხდება ახალი ამბების მიწოდება.

მკს აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს და გემოვნებას. 1994 წელს გამოცემულ წიგნში “თანხმობის ფაბრიკაცია”, რომელთა ავტორები არიან ნაუმ ხომსკი და ედ ჰერმანი, აღწერილია ე.წ. “პროპაგანდის მეთოდი”, მოცემულია ხუთი “ფილტრი” ან ფაქტორი, რომელიც განაპირობებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ ახალი ამბების და პოლიტიკური ინფორმაციების მიწოდებას. ესენია: საინფორმაციო კომპანიების მფლობელების, რეკლამის მიმწოდებლების და სპონსორების, მმართველი ორგანოების და მსხვილი კორპორაციების, მედიის წარმომადგენელთა ინტერესები და საბაზრო კონკურენციის პირობების გათვალისწინება.

იმის შესახებ, რომ მკს-მ მიიღო პოლიტიკური მნიშვნელობა, პირველად მე-19 საუკუნეში ალაპარაკდნენ. ეს ის პერიოდია, როცა საზოგადოებას უკვე ხელი მიუწვდებოდა მედიაზე და მასების განათლებაც იძლეოდა ამის საშუალებას. შემდეგ, როდესაც დაინერგა ახალი ტექნოლოგიები და მოხდა სოციალური ხასიათის ცვლილებები, რაც დრომ მოიტანა, აღმოჩნდა, რომ მკს პოლიტიკური პროცესების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და საკმაოდ ძლიერი ფაქტორი გახდა. როგორც ვარაუდობენ, ამას მოწმობდა თვალსაჩინო ტენდენცია. დროთა განმავლობაში შემცირდა “პირველადი ფაქტორების გავლენა”, ოჯახისა და საზოგადოებრივი კლასის პოლიტიკური სოციალიზაცია. ადამიანი ბავშვობაში და შემდეგ ახალგაზრდობის წლებში იღებდა გარკვეულ პოლიტიკურ ცოდნას, ე.წ. “პოლიტიკურ აცრას”, მოწიფულობის ხანაში კი ხშირ შემთხვევაში მისი შეხედულებები იცვლებოდა, თუმცა წინანდელი პოლიტიკური გავლენა რაღაც დოზით, მაინც შენარჩუნებული იყო მთელი სიცოცხლის მანძილზე. თანამედროვე საზოგადოებას ახალ რეალობაში უწევს ცხოვრება. მას მომხმარებლობითი მიზნები გაუჩნდა, საკუთარი მრწამსი ჩამოუყალიბდა, ინდივიდუალობა შეიძინა, სხვაგვარი ღირებულებით დაინტერესდა, ამან კი განსხვავებული სიტუაციის შექმნას შეუწყო ხელი. რომელ კანდიდატს მისცენ ხმა არჩევნებზე, ვის დაპირებებს ენდონ, ვის პროგრამას დაუჭირონ მხარი, ადამიანები დღეს წმინდა პრაგმატული შეხედულებებით წყვეტენ იქიდან გამომდინარე, თუ რას ამბობს ესა თუ ის კანდიდატი, როგორია მისი სამოქმედო გეგმა და რამდენად მისაღებია ეს კონკრეტული ამომრჩევლისთვის. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად ახერხებს კანდიდატი საზოგადოების მიმხრობას, ამომრჩევლის დაინტერესებას, რამდენად დროულად და მისთვის მომგებიანი კუთხით

მოახერხებს ინფორმაციის მიწოდებას ადამიანებისთვის საკუთარი თავის, პროგრამის და მომავალი ქმედების შესახებ.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების პოლიტიკური როლის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები, სხვადასხვა თეორიები არსებობს. გამოყოფენ შემდეგ მთავარ მოდელებს: პლურალური, გაბატონებული იდეოლოგიის, საბაზრო და ასევე მოდელი ელიტის გავლენის შესახებ. პლურალიზმს, როგორც ცნობილია, ახასიათებს გამაფრებელი ყურადღება სამყაროს მრავალფეროვნებისა და მრავალსახეობების მიმართ. პლურალური მოდელი წარმოადგენს მკს-ს, როგორც იდეოლოგიის ერთგვარ ბაზარს, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ პოლიტიკური შეხედულებების ყველაზე ფართო სპექტრს, ხაზს უსვამენ მკს-ს უნარს გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ ინდივიდის ან ჯგუფის პოლიტიკურ შეხედულებებსა და სიმპათიებზე. მისი მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ეს მოდელი გამოხატავს არა ვინმეს სპეციფიკურ ინტერესებს ან იდეებს, არამედ საზოგადოებრივი ძალების საერთო ბალანსს და ქმნის “ინფორმირებულ სამოქალაქო საზოგადოებას”, ამადლებს მოქალაქეთა დემოკრატიულობის დონეს და სახელმწიფოს აქცევს საზოგადოების კონტროლის ქვეშ. აღსანიშნავია გამოკვლევა მკს-ს, როგორც “მოდარაჯე ძაღლის” როლის შესახებ, რომელიც 1974 წელს ჩაატარა გავლენიანმა “ვაშინგტონ პოსტმა”- “უოტერგეიტის სკანდალის” სახელწოდებით. მაშინ აშშ-ს პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი იძულებული გახდა თავისი პოსტი დაეტოვებინა. ინფორმაციის გავრცელება მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე ეფექტური საშუალებებით, განსაკუთრებით ინტერნეტით, ხელს უწყობს პლურალიზმს და პოლიტიკურ კონკურენციას. ამ მოდელის ნაკლოვანებად თვლიან იმას, რომ შედარებით სუსტი და არაორგანიზებული საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ის უდიდესი ნაკადი, რომელიც პრესისა და მაუწყებლობის მეშვეობით ვრცელდება. მკს-ს ფორმალური დამოუკიდებლობა მის პოლიტიკურ ოპოზიციონრობას გამორიცხავს, მით უმეტეს მაშინ, როცა კავშირი მედიასა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის აშკარაა და ერთგვარ სიმბიოზს ქმნის.

მკს-ს გაბატონებული იდეოლოგიის მოდელში მოიაზრება პოლიტიკური, კონსერვატიული ძალები, რომლებიც ემსახურებიან ეკონომიკური და სოციალური ელიტის ინტერესებს, მასები კი გარიყულია პოლიტიკიდან. მედიასაშუალებები კონცენტრირდება მძლავრი საინფორმაციო კორპორაციების ხელში, რომელთა შორის უმსხვილესია რუპერტ მერდოკის, დისნეის, მისროზოფტის და სხვათა კომპანიები. ამ მოდელის მიხედვით მკს თანდათანობით უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალიზაციის პროცესში. ავრცელებენ რა დასავლურ იდეებს და ღირებულებებს, ქმნიან ახალ ბაზარს და ხელს უწყობენ დიდი ბიზნესის შეჭრას მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ელიტის გავლენის მოდელში ყურადღების ცენტრი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მფლობელებისგან გადატანილია იმაზე, თუ რა მექანიზმების დახმარებით კონტროლდება ინფორმაციის შინაარსი. ამ მოდელის რამდენიმე ვერსია არსებობს. კონსერვატიული მიმართულების მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ მკს გამოხატავს ლიბერალური ინტელექტუალების შეხედულებებს, ამასთან ხშირად მათი ინტერესები და ღირებულებები არ ეთანხმება მოსახლეობის ძირითადი მასის მსოფლმხედველობას. მოდელის ფემინისტურ ვარიანტში ხაზგასმულია ის, რომ მასობრივი კომუნიკაციების წერილობით და ელექტრონულ საშუალებებში საქმეებს უძღვებიან ძირითადად მამაკაცები, ამით აიხსნება ნაკლები ყურადღება ქალების პრობლემებისადმი.

ამ მოდელის ნაკლოვანებად თვლიან იმას, რომ სრულიად არ ითვალისწინებს ზეწოლას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე მათი მფლობელების მხრიდან.

“საბაზრო მოდელი” სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ობიექტურად აშუქებს მკვლევარს სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, თუ როგორი შეხედულებები აქვთ და ვის უჭერენ მხარს მკვლევარები, მედიის წარმომადგენლები, საინფორმაციო კომპანიები, კერძო კომერციული დაწესებულებები, ისინი უპირველესად დაინტერესებული არიან შემოსავლის მიღებით და ბაზარზე ადგილის დამკვიდრებით. ამიტომ ცდილობს მკვლევარს ადამიანებს მისცეს ის, რასაც ისინი ითხოვენ და თავი შეიკავოს საზოგადოებისთვის იმის შეთავაზებისგან, რაც მედიამომხმარებელს არ მოეწონება. ამგვარი ზეწოლისგან ნაწილობრივ თავისუფალი არიან მხოლოდ ისეთი კომპანიები, მაგ. ბი-ბი-სის მსგავსნი, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული რეკლამასთან, თუმცა რეიტინგის პრობლემა აქაც მნიშვნელოვანია. “საბაზრო მოდელი” უარყოფს მკვლევარს პოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ პარადოქსია, რომ ის ყველაზე უკეთ ხსნის, როგორ ზემოქმედებას ახდენს მკვლევარს პოლიტიკურ პროცესებზე. ახალი ამბების მიწოდების ფორმები, პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების მომენტები და პირადული ქმედებანი მკვლევარს მთავარი პილიტიკური და იდეოლოგიური პრობლემა გახდა. აქტუალურია მისწრაფება “მიჰყიდონ პოლიტიკა” მისთვის მისაღები ფორმით იმ აუდიტორიას, რომელიც გრანდიოზულია თავისი მასშტაბით და რომელიც სხვა შეფუთვით ამ “საქონელს” შესაძლოა, არც იყიდდა. ამით აიხსნება საარჩევნო კამპანიების ე.წ. “მარულა”, რომლის დროს ყველა დაკვირვებით ადევნებს თვალს, ბოლოს და ბოლოს ვინ მივა პირველი ფინიშთან. სერიოზული ახალი ამბები და პოლიტიკური დისკუსიები ცოტას თუ ადევნებს. პოლიტიკური დებატები შექმნება, როგორც “ლოზუნგების შეჯიბრება” და “აფორიზმების კონკურსი”, ასეთ დროს მცირე ადგილი რჩება პოლიტიკური პრობლემების ღრმა და მიუკერძოებელი ანალიზისთვის და, რაც ყველაზე არსებითია, იკლებს ინტერესი პოლიტიკის და პოლიტიკური მოღვაწეებისადმი.

მკვლევარს არსებული პოლიტიკური ტენდენციურობა, ეს არის პრობლემის ერთი მხარე, რომელსაც გამოყოფენ მკვლევარები, მეორეა - უფრო და უფრო მჭიდრო ურთიერთობა სახელმწიფოსა და მკვლევარს შორის, რომლის დროსაც ორივე სუბიექტი იყენებს ერთმანეთს საკუთარი მიზნების მისაღწევად. ამ ურთიერთობამ და კავშირმა გამოიწვია პოლიტიკური კომუნიკაციის შინაარსის და სტილის ძირეული ცვლილებები, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და პოლიტიკურ კულტურაზე.

Mass Media – Valuable and Strong Factor of Political Processes

K. Giorgobiani

*Georgian Technical University
77 Kostava street, Tbilisi, Georgia*

In the work there is talking about political role and significance of **mass media**; attention is attracted to how mass media forms the public opinion and taste, why correct direction of “political marketing” is such important; principal models of mass media are analyzed; the reasons of present political tendentiousness in mass media and close relationship with the state bodies are explained.

СМК-полноценный и мощный фактор политических процессов

К.Гиоргобиანი

Грузинский технический университет

Грузия, Тбилиси, Костава 77

В настоящем труде речь идет о политической роли и значении СМК. Внимание обострено на том, как формируют СМК общественное мнение и вкусы; почему является важной правильная организация «политического маркетинга»; проанализированы основные модели СМК; объяснены причины политической тенденциозности в СМК и их тесной связи с государственными органами.

ინტერნეტჟურნალისტიკის ძირითადი მახასიათებლები

თინათინ ზაქარაშვილი

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, კოსტავას 77

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე მედია-სივრცეს ახალი სახეობა – ინტერნეტჟურნალისტიკა შემატა. ყოველდღიურად იზრდება ონლაინ მედიების რიცხვი, როგორც უკვე არსებული ჟურნალ-გაზეთების და რადიო-ტელეარხების ელექტრონული ვერსიების, ასევე დამოუკიდებელი ქსელური პერიოდული გამოცემების სახით. ბევრად უფრო ხელმისაწვდომი და საყოველთაო გახდა ინტერნეტჟურნალისტიკა, ქსელის საშუალებით ინფორმაცია უმოკლეს დროში მიეწოდება აუდიტორიას. სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერნეტ მედიას ტრადიციულისაგან, გარკვეული თვისებები გამოირჩევის – ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებმაც განაპირობებენ ქსელის პოპულარობა და ფართო გამოყენება.

ღიაობა. ქსელი ღია სისტემაა, ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც ინტერნეტში შესვლის შესაძლებლობა გააჩნია. ინტერნეტ ინფორმაცია მიიღება როგორც სატელეფონო ხაზით ან თანამგზავრული არხით, ასევე საკაბელო ტელევიზიის ქსელით;

დეცენტრალიზებულობა. ინტერნეტს არ გააჩნია ქსელის საქმიანობის მაკონტროლებელი ცენტრალიზებული სტრუქტურა. გლობალური ქსელი შედარებით დამოუკიდებლად ვითარდება აუდიტორიის მოთხოვნების და სურვილების თანახმად. ზუსტად ამან განაპირობა ინტერნეტში ცენზურის არარსებობა და შემთხვევითი ინფორმაციის გავრცელება.

მიწვდომილობა და გეოგრაფიული დამოუკიდებლობა. ინტერნეტ ინფორმაცია აუდიტორიისთვის მისაწვდომია მსოფლიოს ყველა კუთხეში დღე-ღამის ნებისმიერ დროს, წელიწადში 365 დღე. მთავარია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის არსებობა. ქსელურ მედიას არ გააჩნია ტერიტორიული საზღვრებიც. დაბრკოლების შექმნა მხოლოდ ენობრივ განსხვავებას თუ შეუძლია. ნიშანდობლივია ის, რომ ინტერნეტი ნებისმიერ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს ინფორმაციის ის წყარო, რომელიც შედარებით ამომწურავად პასუხობს მის მოთხოვნებს. ინტერნეტ გამოცემების სპეციფიკიდან გამომდინარე, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის

განმეორებით გამოყენება. სატელევიზიო და რადიოგადაცემის განმეორებით ნახვა და მოსმენა კი შეუძლებელია სპეციალური ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში.

ინტერნეტჟურნალისტიკის უდავო უპირატესობას ოპერატიულობა წარმოადგენს. ქსელური მედია თითქმის მომენტალურად რეაგირებს მოვლენებზე, ინფორმაციის განთავსება-განახლება უმოკლეს დროში ხდება. ამ კუთხით კონკურირება მხოლოდ ტელევიზიას თუ შეუძლია, თუმცა ყველაზე ოპერატიულ ტელევიზიასაც კი გარკვეული დრო ესაჭიროება მონტაჟისთვის. ონლაინ-მედია საშუალებები მოვლენიდან რამდენიმე წუთში ატყობინებენ აუდიტორიას მომხდარის შესახებ დეტალურად, გარდა ამისა, ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის სხვა სამსახურების საშუალებით წამებსა და წუთებში ავრცელებენ ამბებს განუსაზღვრელ მანძილზე, მათ შორის რეალურ რეჟიმში. ქსელში არ ხდება დროით და სივრცით ინფორმაციის შეზღუდვა. შეუზღუდავია ინტერნეტ გამოცემების მოცულობაც, მაშინ როდესაც ბეჭდური მედია ტირაჟით, რადიო და ტელეგადაცემა კი საეთერო დროთ იზღუდება. გამოცემის საიტზე ნებისმიერი სიდიდის მასალის განთავსება შეიძლება, იქნება ეს გრაფიკული გამოსახულების თუ ტექსტის სახით. გამოქვეყნებული მასალების დიდი რაოდენობა აუდიტორიის ზრდასაც განაპირობებს.

მოსახერხებლობა. ინტერნეტი საშუალებას აძლევს მომხმარებელს ხელსაყრელ დროს და მოსახერხებელ რეჟიმში მიიღოს ნებისმიერი ფორმატის აუცილებელი ინფორმაცია, ქსელში მაქსიმალურად დამოუკიდებლად საქმიანობის პროცესში.

პერსონალური მიდგომა. ინტერნეტის მნიშვნელოვანი თვისება თითოეულ მომხმარებელთან ინდივიდუალურად ურთიერთობის შესაძლებლობაა. ინტერნეტ მედია საზოგადოების ცალკეული წევრის ან ჯგუფისთვის საქმიანობს, ეს მათ მიერ შექმნილი მედია საშუალებაცაა.

მსოფლიო გლობალურ ქსელს საშუალება გააჩნია გაითვალისწინოს ნებისმიერი მომხმარებლის თვისების და ხასიათის, კავშირზე მყოფთა გეოგრაფიული მდებარეობის და სოციალური მდგომარეობის თავისებურებანი, მათი გემოვნებით გამოიყენოს ესა თუ ის შრიფტი და ფერი ტექსტის გასაფორმებლად. ასეთივე ტექნოლოგიები გამოიყენება, მაგალითად, ვებსერვერების მომხმარებელთათვის სარეკლამო განცხადებების საჩვენებლად იმის გათვლით, თუ რა დროს და რომელი რეგიონიდან “მოეწოდებათ” ისინი.

განზომილებულობა. ქსელში პრაქტიკულად მთელი ინფორმაცია აღირიცხება და ციფრულ ანალიზს ექვემდებარება. საიტის მფლობელი ყოველთვის ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რამდენმა მომხმარებელმა გამოიყენა ინტერნეტ რესურსი, მათ შორის ვინ და როდის, რომელი გვერდები მიმოიხილეს და რა აინტერესებდათ. ინტერნეტ-ტექნოლოგიები სისტემატურად ადვენებენ თვალს აუდიტორიის მოქმედებას, შემადგენლობას და უმაღლეს რეაგირებენ მათ მოთხოვნებზე. ზუსტი წარმოდგენა მიზნობრივ აუდიტორიაზე ხელს უწყობს კომუნიკაციის მაქსიმალურად ეფექტურად წარმართას.

ინტერაქტიურობა. ქსელის ტექნოლოგია დიალოგს ითვალისწინებს და ონლაინ მედიას აუდიტორიასთან აქტიური ურთიერთობის საშუალებას აძლევს. მძლავრი უკუკავშირის შესაძლებლობა ინტერნეტჟურნალისტიკის ერთ-ერთ ყველაზე სპეციფიკურ მხარედ მიიჩნევა. ინტერაქტიურობა ხელს უწყობს მომხმარებლებს შორის ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლა-გამოცვლასაც და თანამოსაუბრის პასუხის და რეაქციის ლოდინისთვის განკუთვნილ დროს მნიშვნელოვნად ამცირებს. საზოგადოებასთან ურთიერ-

თობის ამ ფორმას ტრადიციული ჟურნალისტიკაც იყენებს, თუმცა ქსელურ მედიაში ორმხრივი კომუნიკაცია ერთი და იგივე სივრცეში ვითარდება, ბეჭდვურ მედიაში კი ინტერაქტიურობა ფოსტის გამოყენებით ხორციელდება, რადიოსა და ტელევიზიაში – ტელეფონით. ქსელში ინტერნეტ მომხმარებელს შეუძლია ასევე რეალური დროის რეჟიმში გახდეს ჟურნალისტური ტექსტის თანაავტორი, განიხილოს მკითხველებთან ერთად აქტუალური საკითხები და კორექტირება შეიტანოს სიუჟეტის განვითარებაში.

გამოარჩევენ ინტერაქტიურობის რამდენიმე დონეს კომუნიკაციის მონაწილეთა მოქმედების მიმართულების გათვალისწინებით:

- **ერთისგან – ერთისადმი:** ჟურნალისტთან ელფოსტით გაგზავნილი წერილი, საკუთარი აზრის გასახიარებლად და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად;
- **ერთისგან – მრავლისადმი:** ელექტრონული შეტყობინებების გადაგზავნა, გადასაგზავნი ფურცლის გამოყენებით;
- **მრავლისგან – ერთისადმი:** ონლაინ-კონფერენციის დროს კონკრეტული პირისთვის კითხვის დასმის საშუალება;
- **მრავლისგან – მრავლისადმი:** ვებ-გვერდზე განცხადებათა დაფის და ფორუმების გამოყენება, რაც მკითხველებს აზრთა ურთიერთგაზიარების საშუალებას მისცემს. ასეთ დროს ურთიერთობამ შეიძლება სინქრონული ხასიათი მიიღოს.

ინტერნეტჟურნალისტიკაში ინტერაქტიურობის ფორმებია: ელექტრონული ფოსტა, ფორუმი, სტუმრის წიგნი, ხმის მიცემა, რეიტინგები, ანკეტები, ჩატები, ICQ, ონლაინ-ინტერვიუ, კონფერენციები. ქსელურ მედიაში ხშირად ახალ ამბებზე გამოხმაურება უფრო დიდ ინტერესს იწვევს, ვიდრე თავად ახალი ამბები. ინტერნეტში უკუკავშირის ერთგვარ თავისებურებად მისი ანონიმურობაც შეიძლება ჩაითვალოს. სატელეფონო ზარებისა და ტრადიციული წერილებისგან განსხვავებით, ინტერნეტში შეტყობინების ავტორის დადგენა, თუ ამის სურვილი თავად მას არა აქვს, მხოლოდ სპეციალური სამსახურების წარმომადგენლებს ძალუძთ. ხშირად ინტერნეტ-გამოცემის მფლობელს იმ რეგიონის დადგენაც კი არ შეუძლია, საიდანაც შეტყობინება გამოგზავნა. მკითხველებისა და ავტორების ურთიერთობის ასეთი ფართო შესაძლებლობები ხანდახან აფიქრებს მედია საშუალებებს, რადგან იწვევს თავისუფალი აზრის უკონტროლობას და, ბუნებრივია, კომპრომატების გავრცელების მისაწვდომ საშუალებადაც შეიძლება იქცეს.

მეორე მხრივ, ანონიმური ფორუმები ხელსაყრელია პროფესიული პიარისტის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზნით, რადგან შესაძლებელია საკუთარი აზრის რამდენჯერმე დაფიქსირება სხვადასხვა ექსპერტების სახელით.

ჰიპერტექსტური ბუნება ინტერნეტის საფუძველი და მისი უნიკალური თვისებაა. დიდი რაოდენობით ინფორმაცია ინტერნეტ ქსელში ბმულებით არის შეკრული და საკმაოდ ვრცელი მასალის დამუშავება ადამიანის თანამონაწილეობით ხდება. მომხმარებელი საკუთარი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს, თუ როგორ გამოიყენოს ან აითვისოს ესა თუ ის ინფორმაცია. ჰიპერტექსტურ რეჟიმში შესრულებული, მრავალმხრივ წყაროებზე მიმანიშნებელი ბმულები, ინფორმაციის დაზუსტების და გამრავალფეროვნების საშუალებას აძლევს რედაქციებს, მკითხველს კი ალტერნატიული წყაროების გამოყენების და ფაქტების დამოუკიდებლად ინტერპრეტირების შესაძლებლობას უქმნის. გამოყოფენ შიდა და გარე

ჰიპერბმულებს. შიდა ჰიპერბმულები ერთსა და იმავე საიტზე არსებულ ინფორმაციაზე მიუთითებენ და ამისამართებენ (არქივი, ავტორები, ნომრის სხვა მასალები). გარე ჰიპერბმულები ის ბმულებია, რომლების საიტის მიღმა არსებზე (სხვა მედია საშუალებებზე, ენციკლოპედიებზე და თემატურ საიტებზე მიუთითებენ).

მულტიმედია. მულტიმედია ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალების – პერიოდული პრესის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის და ინტერნეტის ერთ მთლიანობაში შერწყმას გულისხმობს, ანუ ვერბალური, გრაფიკული, ფოტო, აუდიო თუ ვიდეო ინფორმაციის ვებ-გვერდზე ერთობლიობაში გამოყენების შესაძლებლობას. ამგვარად, ჰიპერტექსტური კავშირების – ბმულების გამოყენებით, მულტიმედია უზრუნველყოფს ერთ საიტზე ტელევიზიის (დინამიური გამოსახულება), რადიოს (აუდიო) და პრესის (ტექსტები, სურათები) ამსახველი საშუალებების დაკავშირებას. ჩვენს დროში ინტერნეტ მედიის ეს თვისება სრულად გამოყენებული არ არის საქართველოში, რასაც აფერხებს ჯერ კიდევ გაუმართავი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა და მონაცემთა გავრცელების სწრაფი არსების არარსებობა.

არაფიქსირებული მოცულობა. ელექტრონული კომუნიკაციური სივრცე, ბეჭდურისა და საეთეროსაგან განსხვავებით, პრაქტიკულად შეუზღუდავია. აქ შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის ინფორმაციის განთავსება, რომლის მოცულობაც არ შეიზღუდება გადაცემის საეთერო დროის ჩარჩოთი თუ ბეჭდური ნიშნების რაოდენობით.

დაბალი თვითღირებულება. ქსელური გამოცემები, ბეჭდურთან შედარებით, ბევრად იაფია საწარმოებლად და გასავრცელებლად. მათ განასხვავებს წარმოების დაბალი თვითღირებულება, დამუშავების და ინფორმაციის ტირაჟირების სიმარტივე, რაც ხელს უწყობს ქსელური მედიის იოლად დამკვიდრებას ინტერნეტ მედიაბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Акопов А. И. Взгляд на проблемы сетевой журналистики изнутри и снаружи Интернета.// <http://www.relga.ru/Environ/>
2. Березин В.М. Массовая коммуникация: сущность, каналы, действия. М.: РИП- холдинг, 2004
3. Калмыков А. А., Коханова Л. А. Интернет-журналистика М.:Юнити-Дана,2005
- 4.Машкова С. Г. Интернет-журналистика, <http://www.twirpx.com/file/>

Основные особенности интернетжурналисти

Тинатин Закарашвили

Стремительное проникновение инернет-технологий в систему средств массовой информации принципиально меняет как характер распространения информации, так и работу самих СМИ в глобальной сети. Интернет-медиа обладает целым рядом специфических свойств. В данной работе показаны те возможности и особенности, благодаря которым сетевые СМИ превратились в мощное информационное пространство, охватывающее в той или иной степени все аспекты общественной жизни.

Internet journalism special features

Tinatin Zakarashvili

The end of XX century is defined fast progress of global information technologies. Creating network technologies form the new space an internet. An internet becomes the source to receive and send information in the fastest regime. Internet journalism becomes more requested. Online journalism is defined with many special features. Due to the multimedia, that means verbal, graphical, audio-video and photo materials. Operativeness is the main priority of internet-journalism. Anyone can spread information with internet momentarily.

„უოტერგეიტის საქმე“ და მედიის კონტროლი აშშ-ში

ვიკა თოდუა

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77*

1973 წლის 7 იანვარს შენობაში შეჭრისა და ქურდობის ბრალდებით 7 პიროვნება მიეცა სამართალს: ხუთი ქურდი და ორი პრეზიდენტთან დაახლოებული პირი. **ჰოუარდ ჰანტი** – თეთრი სახლის კონსულტანტი, **გორდონ ლიდი** – პრეზიდენტის საარჩევნო კომიტეტის მრჩეველი. სასამართლოზე ერთ-ერთმა ქურდმა აღიარა, რომ ცრუ ჩვენების მიცემა აიძულეს და ხელი დაადო **ჯეკ მაგრუდერს** – ნიქსონის საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის მოადგილეს, მან კი, თავის მხრივ, გადააბრალა **ჯონ მიტჩელს**, საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელს. საგამოძიებო კომისიას დემოკრატები ჩაუდგნენ სათავეში, პრეზიდენტი ნიქსონი ბრალდებულად სცნეს, ხოლო **ნიქსონის** საგანგებო მრჩეველმა, დინმა დეპეშების გაყალბების ფაქტიც აღიარა. მთავრობამ "შაბათი საღამოს ხოცვა-ჟლეტა" მოაწყო, რაც პროკურატორების მასობრივ წმენდაში გამოიხატა. 1974 წლის 5 აგვისტოს მაგნიტოფირების შინაარსი გაიშიფრა, 9 აგვისტოს ნიქსონის იმპიჩმენტს 11 რესპუბლიკელმა სენატორმაც კი მისცა ხმა, რაც მისი გადადგომის მიზეზი გახდა. პრეზიდენტმა **ფორდმა** ნიქსონს "ამერიკელი ხალხის სახელით" დანაშაული აპატია [3, 28].

ეს ამბავი არც ისტორიაში შევიდოდა და ნიქსონიც გააგრძელებდა "საქმიანობას," რომ არა **ბობ ვუდვორდი** – "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი, რომელმაც ჟურნალისტური გამოძიება ბოლომდე მიიყვანა, რამაც "ნიქსონისეული ეპოქის" დასასრული გამოიწვია. გარდა იმისა, რომ ამ ისტორიას მიიჩნევენ წყაროს გაუცხადებლობის კლასიკურ მაგალითად, შეგვიძლია სხვა კუთხითაც განვიხილოთ იგი: ნიქსონის მთავრობის მაღალჩინოსანმა ჟურნალისტს შეატყობინა სრულიად საიდუმლო ინფორმაცია და მათმა ურთიერთ-კოორდინირებულმა მოქმედებამ მოცემულ შემთხვევაში "ამერიკული დემოკრატია" იხსნა. ჟურნალისტურ წრეებში ყველამ იცოდა, რომ პრეზიდენტი ნიქსონი "ყველაზე დიდ მტრებად მათ თვლიდა და მალე მოვიდოდა დრო, როცა "წიხლებქვეშ გაიგდებდა," თუმცა მოხდა საპირისპირო რამ და მედიამ სძლია პოლიტიკოსებს. ასეთი "მტრული ურთიერთობის" გვერდით დღეს სხვაგვარი კავშირებიც გვხვდება.

თანამედროვე ამერიკულ ჟურნალისტიკაზე მსჯელობისას აუცილებელია, ერთი მხრივ, ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა, მეორე მხრივ,

ცალკეულ სეგმენტებში სპეციფიკური გამოვლინების გათვალისწინება. ახალი ამბების ქსელი მეტად მასშტაბურია, თუმცა ამერიკაში თვითცენზურის სხვადასხვა მაჩვენებელი არც ისე შესამჩნევი. თვალშისაცემია ჟურნალისტიკის ბიზნეს-სფეროში გზის გაკვალვის ტენდენცია. კომეციული მედია-ბუმის პირობებში მის ტიპოლოგიას პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო განსაზღვრავს. მეოცე საუკუნეში კომერციულმა ჟურნალისტიკამ სწორედ შტატებში "გაიდგა ფესვები" [4, 101].

ამერიკული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ბირთვი ვაშინგტონშია. ამ "წყნარ ქალაქში" მედიის ცხოვრება რადიკალურად განსხვავდება სხვა შტატებში არსებული ყოფისგან. რასაც ვაშინგტონის ჟურნალისტი წერს, სწორედ ის ინფორმაციაა, რომელსაც თეთრი სახლის ადმინისტრაცია წარმოაჩენს, მაგრამ იმიჯის გამო არ ან ვერ აუღერებს. მედია ურთიერთობს "თეთრი სახლის" კულისებთან, უფრო სწორად, დასავლურ ჟურნალისტიკაში ასეთი შენაკადიც არსებობს.

"თეთრ ქალაქში" სამუშაოდ საგანგებოდ ნარჩევი ჟურნალისტები წლობით რჩებიან, რადგან "მეოთხე ხელისუფლების" როტაცია ვაშინგტონის ტრადიციაა. მაშინ, როცა მასმედიაში ახალი ამბის "გათამაშება" არამომგებიანია, მისი გაშუქება ჭიანურდება. ამ თამაშში ჟურნალისტი პოლიტიკური დასის წევრია. თუ ის ვაშინგტონში ახალბედაა, ნაკლებად ერკვევა "პოლიტ-სცენარისტების" საქმიანობაში და მიჰყვება დინებას. თუმცა, საკმარისია, დაუახლოვდეს ვიწრო წრეებს, საკუთარი დასკვნები გამოაქვს და როტაციის დროც ახლოვდება. თუ ოცი წლის წინ "ვაშინგტონ პოსტი" დეტალურად ინტერესდებოდა პენტაგონისა და დეპარტამენტების მუშაობით, დღეს დამაკმაყოფილებლადაც არ მიმოიხილავს მათ საქმიანობას. პოლიტიკოსების საქმიანობის შეფასება უინტერესო გახდა და წინ წამოიწია მათი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციამ [2, 23].

ვაშინგტონის ჟურნალისტი თვითცენზურას ემორჩილება, "პროტოკოლით" დადგენილია, თუ როგორ უნდა მოიქცეს პირველი ლედის მიღებაზე, საშობაო წვეულებებზე. "პროტოკოლს" მიღმა რჩება პასუხგაუცემელი შეკითხვები... თეთრ სახლში მედიასთან განსაკუთრებით გულდია ურთიერთობა პრეზიდენტ კენედის ჰქონდა, მაგრამ 1998 წლიდან თეთრ სახლში მედიასთან ურთიერთობა შეუვალი გახდა. ადმინისტრაციასთან დაახლოებულ რეპორტიორთა რიცხვი და მიღებაზე მათი რიგები შემცირდა. მედია ერთი მხრივ, ცდილობს თბილი ურთიერთობა შეინარჩუნოს მთავრობასთან, მეორე მხრივ, ობიექტურად შეაფასოს და საჭიროებისამებრ "გააკრიტიკოს" იგი.

თუ "უოლტერგეიტის სკანდალმა" ვუდვორდი ეროვნულ გმირად აქცია, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა ბილ კლინტონის იმპიჩმენტის დროს. ერთხელ კიდევ ბუნდოვნად გაიელვა მედიის წინააღმდეგ კონსპირაციულმა გეგმამ. თანამედროვე ექსპერტები ამ პროცესს განსხვავებული კუთხით განიხილავენ: კლინტონი-ლევინსკის სკანდალი თეთრი სახლის ადმინისტრაციის ინსპირირებულ-პროვოცირებული იყო. ყოველთვის, როცა პრეზიდენტი კლინტონი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე იწყებდა საუბარს, მასმედიაში "მონიკა ლევინსკის მორიგი ამბავი" ჩრდილვდა ყველა დანარჩენს. მედია აუტირებული იყო, თუმცა კლინტონის მობოდიშებამ წერტილი დაუსვა ამ ისედაც გაჭიანურებულ პროცესს. მას ტყუილი აპატია საკუთარმა ცოლმაც კი. სწორედ აქედან დაიწყო სენატორ ჰილარი კლინტონის იმიჯზე ზრუნვა, რომელმაც ოჯახი, რასაც ამერიკელებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არ დაანგრია. ამით მან თანამემამულეების ნდობა მოიპოვა. დემოკრატი სენატორი აქტიურად მონაწილეობდა 2008 წლის არჩევნების "პრაიმერში" და მოგვი-

ანებით ბარაკ ობამას ადმინისტრაციაც ჩაიბარა. თუ იმდროინდელ პერიოდულ პრესას გადავხედავთ, ორი წლის მანძილზე წამყვან გაზეთებშიც კი ყველაზე რეიტინგულ თემად იქცა და ნებისმიერი სხვა ამბავი “გადაფარა” ლევისკისა და კლინტონის ისტორიამ. თვით “ნიუ-იორკ ტაიმსმაც” კი ბულვარული გამოცემის შეუფერებელი ნიღაბი რამდენიმე წლით “მოირგო.” ამერიკის მთავრობამ სკანდალის პროვოცირებით მოახერხა ის, რომ პრესა დაეახლოვებინა და მედიას ნაკლები ყურადღება მიექცია მიმდინარე ცვლილებებისათვის კანონპროექტში, საგარეო და საშინაო პოლიტიკისა და საგადასახადო კოდექსისათვის. თეთრ სახლში მოწყობილი მიზანსცენები მეოთხე ხელისუფლებისთვის ბოლომდე დაფარული სულაც არაა. მასმედიასთან პირისპირ თამაშში ისევ იღანდებიან ლევისკის ტიპის მსახიობები თუ დუბლიორები. მედიის ცალკეულ და პატარა სეგმენტებში წარმოქმნილი დინებები ისევ ცდილობენ პროპაგანდის მძლავრ სტიქიასთან ბრძოლას. ამერიკის კონსტიტუციის “უფლებათა ბილით” უზენაესმა სასამართლომ შეიმუშავა შეფასების კრიტერიუმი: ხელისუფლებას შეუძლია პროპაგანდის რეგულირება და ადამიანის დასჯა იდეების გავრცელებისათვის, თუ დამტკიცდა, რომ პროპაგანდის მიზანი უკანონო ქმედებისაკენ მოწოდებაა. ხელისუფლებას უფლება აქვს დაუწესოს ზომიერი შეზღუდვა ინფორმაციის გადაცემის იმ საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ აზრის თავისუფალ გამოხატვას შეუშალონ ხელი. თუმცა ამ პროცესმა შესაძლოა მედიის განაწილება გამოიწვიოს, რასაც მთავრობა მეტად “უფრთხის.” ამის საუკეთესო მაგალითია ერაყის ომის პერიოდში განვითარებული მოვლენები: ამერიკული მედიის განცხადებით, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია მუდმივად ცდილობდა მედიისაგან დაემალა ერაყში მიმდინარე საომარი კამპანიის დეტალები. გასაიდუმლოებულმა დიპლომატიამ ჟურნალისტთა კორპუსი “მოვლენებს მიღმა დატოვა.” ინფორმაციული ვაკუუმში მოქცეულ მასმედიას მუდმივად გადაჰქონდა აქცენტი პრეზიდენტის საყვარელ ზმნაზე “ველოდები” (ეხპეცტ). მედიაგიგანტები აცხადებდნენ, რომ ჯორჯ ბუში ელის, როდის გათავისუფლებიან პალესტინელები არაფატიასაგან, როდის დათანხმდება თურქეთი მოკავშირეობას. პრესაში იბეჭდებოდა სტატიები სათაურით: “პრეზიდენტი ელის”...

თუ “**უოტერგეიტის სკანდალის**” შემდეგ ამერიკული მედია მუდმივი როტაციის ქვეშ იმყოფებოდა და თვითცენზურას ემორჩილებოდა, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის “სიჩუმემ” იგი იმდენად გააღიზიანა, რომ მასმედიაში დაიწყო მუდმივი დისკუსია – რას მოუტანდა ერაყის ომი ამერიკას? “ომი ერაყთან, თუნდაც წარმატებული მხოლოდ ერაყის პრობლემებს გადაჭრის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – აშშ-სას,” – ასეთია იმდროინდელი ამერიკული პრესის შეფასება.

ამასთანავე, თუ ამერიკის ისტორიას გადავხედავთ, უფრო მეტ ნიმუშს ვიპოვით იმისას, როცა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება პრესას უჭერდა მხარს, ვიდრე – პირიქით. დასავლეთში ამაყად აცხადებენ, რომ “შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მთავრობა პრესასთან მეგობრულ დამოკიდებულებას თავის მოვალეობად მიიჩნევს”.

რატომ ჩამოყალიბდა მედიასა და მთავრობას შორის ასეთი ურთიერთობა?

სბს-ის საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი, **დენ რეზერი** ამბობს, რომ “მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა საინფორმაციო განყოფილებაში შიშის სხვადასხვა სახეობა დაძრწის, მაგრამ ერთი მათგანი საყოველთაოა – თუ ჩვენ არ გავაკეთებთ ამას, სხვები მოიპოვებენ ცოტათი მეტ მკითხველს,

უფრო მეტ მსმენელს, ჩვენზე მეტ მაყურებელს. ესაა ახალი ამბების პოლიფუნქციანობა" [1, 58]. ხდება ისე, რომ ნებით თუ უნებლიედ, ჟურნალისტი მკითხველს იმას უყვება, რისიც თავადაც ნაკლებად სჯერა: პრიორიტეტული ინფორმაციის ნიღაბი კარგად მოერგება ხოლმე, ერთი შეხედვით სენსაციურ, მაგრამ ნაკლებად ღირებულ ინფორმაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Andrew Heywood, Politics, third edition, Palgrave foundation, 2007.
2. მარიამ გერსამია – "ვაშინგტონის ჟურნალისტიკა და მედიის კონტროლი", "ჟურნალისტური ძიებანი", ტომი 7, თბილისი, 2005 წელი. გვ. 19-25.
3. ჯანდა ქ., ბერი ჯ.მ., გოლდმენი ჯ., "ამერიკული დემოკრატია (აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი)", თბილისი, 1995 წელი.
4. ენდრიუ ჰეივუდი "მედია, დემოკრატია, მართვა", თბილისი, 2007 წელი.

The Watergate story and control of media in USA

V. Todua

In the 21th century the American media claims that the road of the democracy and the freedom, which crosses the whole world, with the political threads are connected to the Western society. The scandal of "Watergate" confirmed, that the journalism can even dismiss the president and "save the democracy" if necessary.

It should be noted that the so-called "serious journalism" is more interested in government and its use of practical issues. The information process is mainly controlled by "Mediocracy"-in such conditions the people are getting sovereign and their roles are changing. It is important for people not to vote, but also their opinion in the society.

Triangle is formed: Government-Media-Society.

"Уотергейтское дело" и контроль меди в США

V. Todua

В начале XXI века утверждает американская медиа, пути демократии и свободы, прежде «переплетенных в политической ткани» западных обществ, во всей большой степени расходятся повсюду в мире. «Уотергейтский скандал» утвердил, что журналистика может заменить президента и этим спасти демократию.

Надо отметить, что т.н. «Серьезная журналистика» очень заинтересован правительством, а также, как можно употреблять практические вопросы. Информационный процесс более и менее контролирует »медиократия». В это время люди становятся суверенными и их голос имеет большое значение. Делается треугольник, который состоит из: правительство, массмедии и общества.

მასობრივი კომუნიკაცია და მისი გავლენა სულიერი სიმდიდრის შექმნის პროცესზე

ბ. იმნაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას 77*

სოციალური ორგანიზმი ისეთ სისტემას წარმოადგენს, რომლის ცალკეული ელემენტების ურთიერთმოქმედება განპირობებულია ინფორმაციული ნაკადებით და შესაბამისად მათი ჩამოყალიბების და განაწილების წესებით. ეჭვგარეშეა ისიც, რომ ინფორმაციული ნაკადების დონე ეკონომიკურ ურთიერთობის ზედაპირზე მდებარეობს, სწორედ ისაა მისი ბაზისი, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენები, რომელთაც ადგილი ამ დონეზე აქვთ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კონკრეტულ სოციალურ პროცესებსა და მოვლენებზე, რის გამოც განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ.

მასობრივი კომუნიკაციის სფეროა სწორედ ის არე, რომლის ჩარჩოებში ადგილი აქვს გარკვეული ხერხით ორგანიზებულ საინფორმაციო ნაკადების ისე ჩამოყალიბებას და განაწილებას, რომ ეს არე აერთიანებდეს მასში ერთდროულად ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის თვისებებს.

ჩვენ ვეცდებით მასობრივი კომუნიკაციების პრობლემა სულიერი სიმდიდრის შექმნის სოციალურად მნიშვნელოვანი კუთხით განვიხილოთ, ამიტომ კვლევის ობიექტი აქ იქნება მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირების მხოლოდ ის ასპექტები, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საერთოდ სპეციფიკურ კულტურების სინთეზის ზოგად პროცესთან ახალი ცოდნის წარმოქმნის პროცესთან. ვამბობთ რა, მასობრივი კომუნიკაციის სფერო (არე), ვგულისხმობთ ზოგადი მასობრივი კომუნიკაციის არეს (სფეროს), რომელშიც შედის ტელევიზია, რადიო, ბეჭდვითი ორგანოები ანუ პრესა, კომპიუტერი და სხვა: მასობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური არე, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას მოიცავს.

ჩვენ უკვე გაგვაჩნია ზოგადი დანიშნულების მასობრივი კომუნიკაციის სემანტიკის თავისებურებათა შესწავლის დამუშავების გარკვეული გამოცდილება, სადაც არგუმენტირებულია მითითება მასზედ, რომ ისევე როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროში თავს იჩენს თხრობის ენის გამარტივება, რასაც იწვევს საკვანძო ინფორმაციის მატარებელი სემანტიკური რეალიები, რის შედეგადაც რაოდენობაში შეზღუდულია სემანტიკური რეალიები, რომელთა მეშვეობით საკვანძო ინფორმაცია გადმოიცემოდა, იწვევს თავისებურ ეტალონურ ერთეულების ინფორმაციის როლის თამაშს.

იგულისხმება, რომ ამ ეტალონების რიცხვი ლიმიტირებულია მომხმარებლის საშუალო სტატისტიკური დონით და იმ უნარით, რომელიც გააჩნია მას ზოგადი ინფორმაციის გასაფართოებლად მისთვის ცნობილი სემანტიკური რეალიების ანბანის მეშვეობით. აღნიშნული შეზღუდვა იწვევს იმას, რომ კოდირების პროცესში, რომელსაც ადგილი აქვს ტექსტის გენერაციის პროცესში, მოვლენების რეალური სიმრავლე აირეკლება მეტად მცირე მაკოდირეთა ანბანის ერთეულებით. თუმცა, მასობრივი კომუნიკაციის შესახებ ლიტერატურაში როგორც წესი აღინიშნება, რომ გამოცემათა ფართე სპეციფიკაციის შედეგად ეს ეფექტი მნიშვნელოვან წილად მცირდება, ისე რომ

იგი თავს იჩენს ძირითადად, როგორც ტენდენცია და მაინც, მასობრივი კომუნიკაციის ეს ეფექტი იმდენად, რამდენადაც იგი არსებობს გარკვეულ გავლენას ახდენს ინტელექტუალურ საქმიანობაზე, ასწორებს რა ინტელექტუალურ სტერეო ტიპებს გარკვეული ნიმუშების, ანუ სტანდარტების მიხედვით. ქვემოთ, ჩვენ შევეცდებით მასობრივი კომუნიკაციის ზემოქმედების სწორედ ამ ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი აქტუალურია მეცნიერების და კულტურის განვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე შევეცდებით გავაშუქოთ ინტელექტუალური სტერეოტიპების დაახლოების ის წყაროები, რომელნიც უკავშირდებიან მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირებას.

აქვე დავძენთ, რომ ინტელექტუალური სტერეოტიპების ნორმირების ყველა ასპექტი როდი ახდენს უარყოფით გავლენას; ქცევის სოციალიზაცია შეუძლებელია დაკანონებული ნიმუშების გარეშე, იგი მოითხოვს სოციალური ქცევის გარკვეულ განწყობას. მაგრამ, მეცნიერულ და კულტურულ შემოქმედების ვიწრო არეში ინტელექტუალური სტერეოტიპების ნორმირება შესაძლოა მეტად საზიანო აღმოჩნდეს. ინტელექტუალური სტერეოტიპების ნორმირება შეიძლება ხდებოდეს:

- ოპერატიული ერთეულების ანბანის ნორმირებით,
- საკვანძო სემანტიკური რეალიების შეზღუდვა-გაფართოებით, ანუ იმ მნიშვნელობათა ანბანის შეზღუდვით, რომლებითაც მოქმედებს ინდივიდი;
- ფუნქციონალური სტილების ნორმირებით;
- იმ პირთა შეზღუდვა, რომლებიც ტექსტს მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში აყალიბებენ.
- ქცევის ნორმირება პასიურ და აქტიურობის თვალსაზრისით.

ინფორმაციულ მნიშვნელობით კონკრეტული სემანტიკური რეალია იმისდამოუხედავად გამოიყენება იგი როგორც სემანტიკური ელემენტი თუ არა, არაა ყველაზე მარტივი შენაქმენი. უფრო მარტივი შენაქმენია ზემოაღნიშნული აღქმის ოპერატიული ერთეული და ინტელექტუალური ქცევის ჩამოყალიბება. აღნიშნული ცნება ჩვენ შემოგვაქვს იმ მნიშვნელობით, რომელიც მან მიიღო ფსიქოლოგიაში ჩატარებული ხედვითი აღქმის კვლევების შედეგად, ეს კი მკვეთრად დააკავშირებული ინტელექტუალური აქტივობის აღქმის პროცესთან.

ოპერატიული ერთეული შეიძლება მხედველობითი თვალსაჩინო ნიმუშის ეტალონი იყოს და ამავე დროს ეტალონი იყოს განზოგადებული ნიშნის ან დამოკიდებულებისაც. ნებისმიერი ადამიანი აღქმისა და ინტელექტუალური აქტივობის პროცესში იყენებს აღნიშნული ოპერატიული ერთეულების მეტნაკლებად ფართე ანბანს.

მაგალითად “ნიმუში” შეიცნობა მის შემადგენლობაში შემავალ ოპერატიულ ერთეულების იდენტიფიცირების საფუძველზე და მათი ინტელექტუალური ერთეულების აქტივობის შემეცნებით. თუ აღნიშნულ ანბანში არაა კონკრეტული ნიმუშის ეტალონი, მაშინ აღნიშნული გაგებით მისი სახე არ შეიცნობა. მაგალითად, დადგენილია, რომ ადამიანს პერსპექტივის მოპოვება შეუძლია მხოლოდ სასკოლო ასაკში, ბავშვობის დასრულებისთანავე. მაშასადამე მხედველობითი სახე შეესაბამება ოპერატიულ ერთეულთა განსაზღვრულ კომბინაციებს, ანალოგიურად აიწყობა ოპერატიული ერთეულების ნებისმიერი მნიშვნელობა.

რამდენადაც გაგვაჩნია აღქმის ოპერატიული ერთეულები და ინტელექტუალური აქტივობა, რათა გავაცნობიეროთ კონკრეტული შინაარსის მქონე ნიშნები შეიძლება ლაპარაკი აღქმის საკუთარი ოპერატიული ერთეულების შესახებ. და თუ გაგვაჩნია ოპერატიული ერთეულები, რომელნიც გამოაფლენენ და იდენტიფიცირებენ აბსტრაქტულ ნიშნებს და ურთიერთქმედებებს, რაც გონების მიერ კონტროლირდება, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ ნამდვილად ინტელექტუალური აქტივობის ერთეულებზე. ერთნიც და მეორენიც ერთსა და იგივე ანბანს მიეკუთვნებიან და მაინც ამ ანბანის ელემენტები არ არის განლაგებული უბრალო სიმრავლით, ისინი ჰქმნიან ისეთ სტრუქტურას, სადაც ქვედა სართულები შეესაბამებიან აღქმის ოპერატიულ ერთეულებს, ხოლო ზედა–ინტელექტუალური ქცევის ოპერატიულ ერთეულებს, ანუ ინტელექტუალურ აქტივობას. ჯერ ამ სტრუქტურის ზემო სართულები ყალიბდება, შემდეგ ზედნაშენის სახით ქვედები. ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება იდენტიფიცირებული იქნეს იმ ოპერატიული ერთეულების მეშვეობით, რომლებიც ამ სტრუქტურის სხვადასხვა სართულებზე არიან განლაგებულნი. შესაბამისად ერთსა და იგივე ობიექტს შეესაბამებიან განსხვავებული მოსაზრებები.

ინფორმაციული აზრით აღქმის ოპერატიული ერთეული ყველაზე უბრალო ელემენტია, ხოლო ინტელექტუალური აქტივობის ოპერატიული ერთეული ერთგვარად უფრო რთული ელემენტია; მნიშვნელობა ან სემანტიკური სინამდვილე თავისი ინფორმაციული შემადგენლობით კიდევ უფრო რთულ ერთეულს წარმოადგენენ. ფუნქციონალური სტილი, რომელიც აღინიშნება ოპერატიული ერთეულების უფრო რთული კომბინაციით შეიძლება განაწილებული იქნას ცალკეული მნიშვნელობებით, უთუოდ საქმე გვაქვს უფრო რთულ საინფორმაციო ჯგუფთან, რომელიც აყალიბებს საინფორმაციო ნაკადს და შეიძლება განხილულ იქნას როგორც სემანტიკური ელემენტი, ამ ელემენტის ინდივიდუალურობა განისაზღვრება ოპერატიული ერთეულების იმ სემანტიკური თვალსაზრისით, რომელსაც ეს ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს.

ახალი ცოდნის ჩამოყალიბის პროცესი ვარაუდობს შემდეგ პირობებს:

- აუცილებელი ინფორმაციის მიმოქცევა;
- შემოქმედებით ჯგუფს უნდა ჰქონდეს შეძლებისამებრ რაც შეიძლება მეტი აღქმისა და ინტელექტუალური აქტივობის ოპერატიული ერთეული.
- ახალი ოპერატიული ერთეულების გენერაციის უნარი
- სხვა შემოქმედებით ჯგუფთან ოპერატიული ურთიერთობის შესაძლებლობა და შემოქმედებითი ჯგუფებისათვის კომუნიკაციის ორგანიზაციის დამყარება.

განვიხილოთ, თუ რაოდენ ეგუება ამ პირობებს თანამედროვე მასობრივი კომუნიკაცია. რადიო და ტელევიზია უდავოდ უარყოფითად ეგუება მეორე და მესამე პირობების შესრულებას: თვალსაჩინოება და ინფორმაციის მიწოდების კონკრეტულობა ზოგადი ინფორმირების ამოცანას წყვეტენ, მაგრამ სწორედ კონკრეტულობასა და თვალსაჩინოებაზე დაყრდნობა შემდგომში იწვევს უმაღლესი დონეების ოპერატიული ერთეულების აღქმის გამოყენების მოთხოვნის შესუსტებას. რადიო და ტელევიზია ფაქტიურად არ ჰქმნიან მოთხოვნის გამოიყენონ განყენებული ოპერატიული ერთეულები და მათ სტიმულსაც კი არ ჰქმნიან. უარესიც, ინფორმაციის მომხმარებლის სრული პასიურობა საინფორმაციო ნაკადებისადმი ატროფიას იწვევს ახალი ოპერატიული ერთეულების შექმნისადმი და საერთოდ აჩლუნგებს ინტელექტუალურ აქტივობას. ყველა ეს უარყოფითი მხარე განსაკუთრებით ტელე-

ვიზიაში იჩენს თავს. ეს იმიტომ ხდება, რომ ფაქტის მიწოდება გამოსახულების მეშვეობით აღქმის პროცესში უფრო მეტ კონკრეტულ ოპერატიულ ერთეულს მოითხოვს, ვიდრე იგივე ფაქტის სიტყვის მეშვეობით მიწოდება. შემდგომ კი, ფაქტის გამოსახულების მიწოდება წარმოსახვას აზიანებს.

ბეჭდვითი სიტყვა ამ მხრივ უფრო მომგებიანია, რადგან კითხვისას აღქმის ოპერატიული ერთეულების უფრო ფართე სპექტრია ინტელექტუალური აქტივობისათვის მობილიზებული.

ზოგადი ინფორმაციის გარჩევისას საჭიროა კიდევ ერთი მოვლენა განვიხილოთ, კერძოდ, გამოცემათა რაოდენობის შეზღუდვაზე, რომელნიც ფაქტიურად უზრუნველყოფენ მოთხოვნილებათა ძირითად მასას ზოგად ინფორმაციის მოთხოვნისადმი, ეს ავტომატურად ამცირებს ავტორთა ოდენობას და ზღუდავს ავტორთა გამოსვლების სიხშირეს. დროთა განმავლობაში ყოველივე ამას ავტორთა აქტივში მიყვევართ პროფესიული უნარის დაქვეითებისაკენ.

მასობრივი კომუნიკაცია საშუალებას იძლევა მწვერვალები ყველა მხრიდან ვიხილოთ, მაგრამ მას ისიც შეუძლია, თუ არ მივიღებთ სათანადო ღონისძიებებს, დაარღვიოს ის ფუნდამენტი, საიდანაც ეს მწვერვალები იზრდებიან.

მასობრივი კომუნიკაცია ბოლო ათწლეულებში მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროშიც დამკვიდრდა. მასობრივი კომუნიკაციის ამ სფეროში ჩამოყალიბება უთუოდ კავშირშია მეცნიერთა რიცხვის გაზრდასთან. ამ ზრდის შედეგად გამოვლინდა წინათ უცნობი პრობლემები, ამან გადატვირთა სერიოზული სამეცნიერო ჟურნალები და პროდუქციამ ინტერნეტში გადაინაცვლა, რამაც მომხმარებელი მეტად ინერტული გახადა, ხოლო ნამდვილ მეცნიერთა შრომის პროდუქტულობა დაეცა. ჩვენ მხედველობაში ახალი პროდუქციის შექმნა კი არ გვაქვს, ანუ ის მეცნიერები ვინც პროდუქციას ჰქმნის, არამედ ისინი, ვინც ახალ იდეებს გვთავაზობს. ჩვენი აზრით ეს გარემოება უკვე უარყოფითად მოქმედებს მეცნიერების განვითარების ტემპებზე.

დღეს, სამწუხაროდ, უამრავი ღონისძიებანი მიმართული მეცნიერული ინფორმაციის გაუმჯობესებისაკენ, ძირითადად მიმართული არიან რომ გაიზარდოს საჭირო ცნობების ამოღება ზღვა პუბლიკაციებიდან. ეს კი უკეთეს შემთხვევაში, არასაკმარისია, ვინაიდან საჭიროა შეიქმნას ურთიერთკავშირი და გამოცემათა ოპერატიულობა. საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების სისტემის შექმნას უთუოდ შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ავტომატიზირებულ სისტემას, რომელსაც ძალუძს ინფორმაციის სისტემის შექმნა სხვადასხვა განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით, და სასარგებლო იქნება მეცნიერული ინფორმაციის მისაღებად. ამგვარი სისტემის შექმნა, პირველ რიგში იქნება წინგადადგმული ნაბიჯი ჩვევების ინდივიდუალიზაციის მხრივ, ანუ ბევრად გაადვილებს მეცნიერული ინფორმაციის მიღება-თვისებას, რაც ვფიქრობთ შეამცირებს დუბლირებული ინფორმაციის ადგილს ზოგად საინფორმაციო ნაკადში.

ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ კლასიფიცირებისა და სისტემატიზირებისათვის ფორმალური კრიტერიუმების დამუშავება ავტომატიზირებული სისტემების შექმნის აუცილებელი პირობაა, რომელსაც ძალუძს ინფორმაციის უფრო ეფექტური მოპოვება, ისეთი რთული წყაროდან რომელსაც მეცნიერული შრომა წარმოადგენს. ავტომატიზირებული სისტემების ნაკლს კი ამ შემთხვევაში მეტად დაქუცმაცებული ფუნქციონალური სტილების წარმოშობა ქმნის. ყოველი ფუნქციონალური სტილი წარმოიშვება კონკრეტული კვლევის პროცესში, რომელიც მოთხოვნილებაა მკვლევარის ინტელექტუ-

ალური საქმიანობის განსაზღვრულ მოთხოვნაში. ამ შემთხვევაში კი ნებისმიერი ფუნქციონალური სტილი წარმოიშობა სრულიად გონივრულ საფუძველზე და მისი გამოყენება კონკრეტულ ჩარჩოებში გამართლებულია, მაგრამ ფუნქციონალურ სტილს ერთი დეფექტი გააჩნია: იმ შემთხვევაში თუ იგი გამოიყენება როგორც მეცნიერის აზროვნების ეტალონი, მაშინ უკანასკნელი კარგავს საჭირო მოქნილობას. ფუნქციონალური სტილის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვსურს დავამტკიცოთ, რომ მეცნიერი მიეკუთვნება გარკვეულ მეცნიერთა ჯგუფს. ამრიგად, მეცნიერული ინფორმაციის განმეორები კვლავწარმოება შეუძლებელი იქნებოდა ფუნქციონალური სტილების მრავალფეროვნების გარეშე, ამასთანავე ფუნქციონალური სტილი წარმოადგენს რა ისეთ მოვლენას რომელიც დამახასიათებელია იმ პირთა ჯგუფებისათვის, რომლებიც აყალიბებენ ყოველგვარ მასობრივი ინფორმაციის მიწოდებას მასობრივ კომუნიკაციაში, ე.ი არა მხოლოდ მეცნიერულ სფეროში, არამედ ნებისმიერი შეტყობინების პირობებში.

და ბოლოს, როდესაც საქმე გვაქვს მასობრივი ინფორმაციის სტერეოტიპების მიწოდებასთან აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ ეს გარემოება ინტელექტუალური შრომის პირობისთვისაა საზიანო, რადგან განყენებული მნიშვნელობის ოპერატიული ერთეულები საკუთარი თვით წარმოშობის წესით, როგორც კონკრეტული ოპერატიული ერთეულების ზედნაშენისა აღიქმებიან ძლიერი სისტემური კავშირებით, ამ უკანასკნელთა მოქმედება კი ოპერატიულ ერთეულთა შორის ინტეგრირებას ახდენს და კომპლექსებად აქცევს.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების შეჯამება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ:

- მასობრივი კომუნიკაცია მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება უარყოფითად იყოს აქტუალიზირებული ახალი მეცნიერული და კულტურული ფასეულობათა მეცნიერული სინთეზის პროცესისადმი.
- დიდია მოთხოვნილება სოციალური კვლევებისადმი, განსაკუთრებით კულტურის და მეცნიერულ მოთხოვნილებათა სფეროში.
- მეცნიერული ინფორმაციის არსებულ სისტემას გააჩნია მასობრივი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები, კერძოდ მასობრივი ინფორმაციის სისტემის ხარისხი წარმოადგენს აზროვნების სტერეოტიპის წყაროს და ჰქმნის სტიმულირებას ინფორმაციის დუბლირების უარყოფისათვის.

Влияние массовой коммуникации на процесс создания духовных ценностей

Б. Имнадзе

*Грузинский технический университет
Тбилиси, Костава77*

Сфера массовой коммуникации – это та сфера, в рамках которой осуществляется организованное формирование и распределение информационных потоков, так, что эта сфера объединяет в себе сразу свойства и центральной и периферийной нервной системы. В статье рассматриваются происходящие при этом процессы

Influence of mass communications on the process of formation of spiritual values

B. Imnadze

Georgian Technical University

Tbilisi, Kostava str. #77

Informational streams are formed, organized and distributed in the field of mass communications. This field has the properties of central and peripheral nervous system at once. The article considers the accompanying processes.

როგორ ახდენს მასმედია ჩვენი საზოგადოების დამუშავებას

მარიამ მჭედლიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, კოსტავას 77

მასმედია დღეს წარმოადგენს არა ინფორმაციის, არამედ იდეოლოგიის ინსტრუმენტს. რაც უფრო კარგად შეიცნობს ხალხი შექმნილი ტექნოლოგიებით ზემოქმედების არსს, მით უფრო თვალსაჩინოა, რომ ისინი მიხვდებიან მათ დანიშნულებას და მითუმეტეს მათ გამოყენებას ჩვენ სინამდვილეში.

პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების ხრიკების სააშკარაოზე გამოტანა მიმზიდველი ინტელექტუალური სპორტივითაა. თუ კი უნდა ვუყუროთ ტელევიზიას და ვიკითხოთ გაზეთები, ზოგჯერ ამის კეთება, თუნდაც პროფილაქტიკის მიზნით ღირს, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ რომ ჩვენ, ჯერ კიდევ ჩვენ ვართ. ე.ი. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადავქცეულვართ “ელექტორატად” ან “საბაზრო სეგმენტად.”

პროპაგანდისაგან “ტვინის გამორეცხვის” წინააღმდეგ მიმართული ყველაზე კარგი, მარტივი ფსიქოლოგიური მაგალითია ის, რომ შეგნებულად გავეწყვიტოთ კონტაქტი საინფორმაციო წყაროებთან. მაგალითად, საკმარისია დროდადრო შევწყვიტოთ ტელევიზორის ყურება ერთი ორი კვირით, რომ მოხდეს ცნობიერების აღდგენა-გაჯანსაღება. ტელევიზიის მიერ მართვადობის ზემოქმედება გაივლის. ამის შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდება დაკვირვების უნარი. ადვილად შესამჩნევი გახდება რომელი ტელევიზიის გადაცემებიდან “იხედნება ყური.”

მასმედიის მიერ ყველაზე ხშირად შეცდომაში შეყვანის ფანდი გამოიყენება, რაც გულისხმობს ეგრეთწოდებულ რუს პროპაგანდას. დიდი ხანია დამტკიცდა, რომ ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია “ანონიმური ავტორიტეტისადმი” მიმართვა. ასეთი შეიძლება იყოს რელიგიური, პოლიტიკური ფიგურა, მეცნიერი და ა.შ. ამ დროს ავტორიტეტის სახელი და გვარი არ ხმაურდება. ამასთან ერთად, შეიძლება ხორციელდებოდეს დოკუმენტების ციტირება, ექსპერტების შეფასებები, დამოწმებული ანგარიშები და სხვა, რომლებიც დამაჯერებლობისთვისაა მოტანილი. მაგალითად: “მეცნიერებმა მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დაადგინეს;” “მეცნიერები გვაძლევენ რეკომენდაციას;” “პრეზიდენტთან დაახლოვებულ პირზე დაყრდნობით, რომელმაც ისურვა უცნობად დარჩენა.” ასეთი სახით მოწოდებული ინფორმაცია უმეტესწილად სიცრუეა. არარსებული ავტორიტეტის დამოწმება

ინფორმაციას სოლიდურობის ელფერს აძლევს. ამ დროს არ ხდება წყაროს მომწოდებლის იდენტიფიკაცია და პასუხისმგებლობაც არავის ეკისრება.

“ყოველდღიური ამბების” თხრობა, ნეგატიური ინფორმაციის მიმართ ადამიანის შეგუებისათვისაა გამიზნული. როდესაც უნდათ ადამიანები შეაჩვიონ ძალადობას, სისხლს, მკვლელობას, ყოველგვარი ბოროტების ჩადენას, მაშინ მშვიდი გამომეტყველების წამყვანი აუდელოვებელი ხმით ყოველდღიურად გვაცნობს ყველაზე მიძიმე დამაშაულობებს, თითქოს ეს მორიგი, ჩვეულებრივი ამბავია. მკვარი დამუშავებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოსახლეობა ეჩვევა და აღარ რეაგირებს ყველაზე მხეცურ დანაშაულობებზეც კი, როგორცაა მასიური მკვლელობები. ამგვარი მეთოდები გამოიყენებოდა, სახელმწიფო გადატრიალების დროს – ჩილეში 1973 წელს. მაგალითად, მიმდინარეობს მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელსაც დაშლის “ომონი” ხელკეტებისა და ცრემლსადენი გაზის საშუალებით. დაუნდობლად სცემენ ყველას, მათ შორის ქალებსა და მოხუცებს, პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებს კი აპატიმრებენ. მეორე დღეს ჟურნალისტები ჩვეულებრივი, საქმიანი ტონით, ყოველგვარი ემოციის გარეშე სხვათაშორის გვამცნობენ, რომ ახლახანს მოეწყო მირიგი საპროტესტო აქცია. სამართალდამცავები იძულებულნი იყვნენ გამოეყენებინათ ძალა. დაპატიმრებულია რამდენიმე საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი, რომელთა წინააღმდეგაც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სისხლის საართლის საქმე აღიძრა. ამგვარი მაგალითები მასმედიას საშუალებას აძლევს შექმნას და შეინარჩუნოს მოვლენების ობიექტურად გაშუქების ილუზია. ამავე დროს ახდენს ამ მოვლენათა მნიშვნელობის დევალვაციას.

“მეტისმეტად ხშირი ხსენება” ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც სურთ რაიმე მკვლენისა და საკითხის გაუფერულება. ამ მეთოდის გამოყენებით წარმატებით შეიძლება მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა. მუდმივად ქებადიდების შესხმა, არის თუ არა ეს საჭირო. ამ შემთხვევაში გამუდმებით ისმის მისი სახელი, გაზვიადებულია მისი ღვაწლი. ეს ყველაფერი მალე ბეზრდება მსმენელს და მისი სახელის ხსენებაც კი გაღიზიანებას იწვევს. ეს მეთოდი არჩევნების დროს აქტიურად გამოიყენება, საინფორმაციო “გარღვევის” სახით, მასირებული “კომპრომატის” გაშვებით. მიზანი ერთია – გამოიწვიოს საზოგადოების გადაღლა, გაუქროს ამომრჩეველს სურვილი თუ რა იმალება სინამდვილეში ამა თუ იმ კანდიდატის მიღმა.

“ემოციური რეზონანსი” შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთ-ერთი ხერხი თუ როგორ შეუძლია ფართო აუდიტორიას შექმნას გარკვეული განწყობა და მასთან ერთად ჩართოს პროპაგანდისტული ინფორმაცია. ემოციური რეზონანსი საშუალებას იძლევა მოვხსნათ ფსიქოლოგიური დაცვის უნარი, რასაც ადამიანი აზროვნების დონეზე იყენებს. შეგნებულად ცდილობს თავი შემოიხდუდოს პროპაგანდისა და რეკლამის ზემოქმედებისგან. განსაკუთრებით ძლიერია ემოციური გადამდებობის ეფექტი ხალხში სიტუაციურ თავყრილობებზე, რომელსაც ერთმანეთთან არ აკავშირებს შეგნებული მიზანი. ხალხს ახასიათებს ემოციური მდგომარეობის მსგავსება მის წევრთა შორის. ამ დროს ხალხში ხდება ემოციების “ურთიერთგადამდებობა”. მის შემდეგ კი მისი ინტენსივობის გამოწვევა. ხალხს უქრება ინტელექტი, პასუხისმგებლობა და ჰიპერტროფირებული ჩაგონებით ადვილადსამართავი ხდება. მასმედია ყოველთვის ცდილობს ფართო მასებში გამოიწვიოს ძლიერი ემოციური რეზონანსი და თუ აუცილებელია ეს ემოციები მიჰყავთ აკანკალებამდეც (ფსიქოლოგიური შოკი).

“ემოციური რეზონანსის” უფრო რთული მაგალითია მრავალრიცხოვანი ტელესერიალები, ასევე, გასართობი, რეალითი და ტოკ-შოუები. გმირები მუდმივად არკვევენ ერთმანეთში ერთიერთობას დაძაბულად, ხმამაღლა, ბიბოქარი ემოციებით. ასეთი ფილმების სიუჟეტები გამიზნმიზნულია იმისთვის, რომ მაყურებელი ემოციურად მუდმივად დაძაბული იყოს და ფიქრობდეს: „აბა რა იქნება შემდეგ?“ მიზანი ერთია – ტელეაუდიტორიის „ემოციურად დაქოქვა“, აბობოქრება. მასმედიის ზომბები, როგორც ნებისმიერი ნარკომანი, განუწყვეტლივ მუდმივად იზრუნებენ შეინარჩუნონ თავისი „კაიფი.“ ეს იმას ნიშნავს, რომ თავშეუკავებლად გადაყლაპონ ახალ-ახალი ტელეპროდუქცია, რომელიც გაზავებული იქნება კომერციული და პოლიტიკური რეკლამებით.

„ბუმერანგის ეფექტის“ შემთხვევაში კი საწინააღმდეგო ეფექტი მიიღება. მაგალითად, როდესაც ოფიციალური მედია ერთხმად თავს დაატყდა ელცინს, მოხდა საწინააღმდეგო. ელცინი ნაციონალური გმირი გახდა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა 1991 წლის არჩევნებში. შემდეგ მუდმივი დაცინვის საგანი გახადეს ჟირინოვსკი და სწორედ ეს გახდა დუმაში მისი ხმაურიანი გამარჯვების მიზეზი.

მსგავსი მოვლენები განიხილებოდა ამერიკელი პიბლიცისტების, მიერ ჯერ კიდევ, ნახევარი საუკუნის წინ, საპრეზიდენტო არჩევნებში რუზველტის გამარჯვების შემდეგ. დასკვნა ერთია, თუ თქვენ გინდათ პოპულარობა მოიპოვოთ ფართო მასებში, შეიქმენით სამართლიანობისათვის მეტროლის იმიჯი რომელსაც ებრძვის ხელისუფლება.

„ბუმერანგის ეფექტი“ მაშინ მიიღება, როდესაც ხელისუფლების მქონე ჯგუფები მუდმივად უტყვენ და „მიწასთან ასწორებენ“ თავის ოპონენტს. ამიტომ შედეგიც საპირისპიროა. პიროვნება ფართე აუდიტორიის სიმპატიას და თანაგრძნობას იმსახურებს. იგივე ხდება, როდესაც ხელისუფლება ცდილობს საზოგადოებაში ნეგატიური ჭორების გავრცელებას. ხალხში, ამ ჭორებისადმი სანდოობა მატულობს.

“პირველობის ეფექტი.” დოქტორმა გებელსმა თანამედროვე პროპაგანდაში შეიტანა ერთ-ერთი მთავარი პრინციპი: „ადამიანი რომელიც მსოფლიოს პირველი ეუბნება სიტყვას – ყოველთვის მართალია.“ მოგვიანებით ფსიქოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ის კანდიდატი, რომელიც პირველი წარადგენს საკუთარ თავს და დამაჯერებლად დაარწმუნებს თავის გამარჯვებაში, ხალხის ცნობიერებას ამასვე იჯერებს და ამასვე აკეთებს. მეცნიერებმა გამოიკვლიეს და დადგინეს, რომ პროპაგანდის წარმატება უმეტესად განპირობებულია იმით, თუ ვისმა ინფორმაციამ მიაღწია საზოგადოებამდე უფრო ადრე, მისმა ინფორმაციამ თუ – მისი მოწინააღმდეგისამ. აქ უკვე მუშაობს პირველად აღქმის ეფექტი. გადამოწმება ვერ ხერხდება და ამიტომ პირველად აღქმულის, ცნობიერებაში უკვე ფორმულირებული შეცვლა ძნელი ხდება. მოცემულ ეფექტს ითვალისწინებენ „მასიური კომპრომატების“ შემოდინებისას. ის რჩება მტყუანი, ვისაც ტალახი ესროლეს, რადგან მისი ჩამორეცხვა ხომ მას უწევს?! „თუ თავს იმართლებს, ესეიგი – დამნაშავეა. ჰიტლერი ამბობდა, რომ: „პუბლიკა ყოველთვის აღიარებს 90%-ით დაუმტკიცებელ ბრალდებას, ვიდრე მის უარყოფას თუნდაც ის 100%-ით მართალი იყოს.“

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ვინც პირველი აწვდის ინფორმაციას უპირატესობა და პრიორიტეტიც მას ეკუთვნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Владимир Сороченко: „ Энциклопедия методов пропаганды“
2. ენდრიუ ჰეივუდი „მედია, დემოკრატია, მართვა.“

How the mass media treats our society

M. Mchedlidze

The beginning effects of massive communications is considered in 1920-years, when by the order of Phane's fond investigation of films on children. By this investigations was found that mass communications didn't work on audience spontaneity, equally and straight. Influence on audience is made by different methods and effects: **By calling anonymous authority, Daily news, Mentioned too often, Emotional effect, Boomerang effect, First place effect.**

By using different effects massmedia reaches its aim – “emotionally come into being” and “makes society to work”. After working on society the audience support ideology, which is offered.

Как обрабатывает масс-медия наше общество

M. Мчедлидзе

Начала изучения коммуникации массового эффекта считается 1920-ые годы, когда по заказу фонда Пени были проведены воздействие фильмов на детей. После чего было установлено, что массовые коммуникации не действуют на аудиторию непосредственно, одинаково и прямо. Воздействие на аудиторию происходит разными методами и эффектами: приглашением анонимного авторитета, ежедневными новостями, частым поминанием, эмоциональным резонансом, эффектом бумеранга, эффектом первенства.

Использованием разных эффектом массмедиа достигает цели – "эмоционально заводит" и "заставляет работать общество." После обработке аудиторий поддерживает ту идеологию которую ей предлагают.

რეკლამის კვლევები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

ივ. ჯაგოდნიშვილი

სრული პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, კოსტავას 77

მასკომუნიკაციის სოციოლოგიაში რეკლამის კვლევებს უპირველესად განეკუთვნება რეკლამის ეფექტურობის გაანგარიშება. შემკვეთს ასეთ შემთხვევაში წარუდგენენ გაანგარიშებაში გამოყენებულ პარამეტრებსა და ალგორითმს. შესაძლებელია ასევე რეკლამისა და სარეკლამო კამპანიების ეფექტურობისადმი მიძღვნილი ცალკეული ინფორმაციული პროდუქციის გამოშვება, მედიადაგეგმარების კომპიუტერული პროგრამების გამოყენების საფუძველზე. რეკლამის ეფექტურობა რეკლამის დამკვეთსა და მკვლევრებს სხვადასხვაგვარად ესმით. რეკლამის დამკვეთთათვის ეფექტურობა გაყიდვის მოცულობათა გაფართოების სტიმულირებაში მდგომარეობს, თუმცა სოციოლოგიაში ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობის შესწავლისადმი მიდგო-

მის სხვა ფორმებიც არსებობს. ისინი განისაზღვრება ოპტიმალური შეფარდებით მიზნობრივი აუდიტორიის კონტაქტების მაქსიმალურ სიხშირესა და დაბეჭდილი სარეკლამო ტექსტის მინიმალურ დანახარჯებს შორის. ასე რომ, აქ კვლევებში საჭიროა რაოდენობრივი (კომუნიკაციური) და ხარისხობრივი ნაწილების გამოყოფა.

კომუნიკაციური ნაწილის განსაზღვრაში კარგ შედეგს იძლევა კვლევით პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული რეკლამის ეფექტურობის გაანგარიშებათა ინდექსები. ამასთან ისეთი მანკვნილებები გამოიყენება, რომელთა განსაზღვრაც აუდიტორიის მასობრივი კვლევის გარეშეც არის შესაძლებელი. მაგალითად, პერიოდიკის ინდექსის გაანგარიშების დროს აუცილებელია ამა თუ იმ გამოცემის (სარეკლამო შეტყობინების) აუდიტორიის მოცულობისა და მასში რეკლამირებული საქონლისა და მომსახურებათა მომხმარებლის წილის ცოდნა.

ხარისხობრივი ეფექტურობის შესწავლა გულისხმობს უკვე სხვა მეთოდების გამოყენებას, მაგალითად, ისეთებისა, როგორცაა ტესტირებები ფოკუს-ჯგუფებში და ა. შ.

რეკლამის დამკვეთებთან ურთიერთობაში წარმატების მიღწევა, ანუ რაც შეიძლება მეტი რეკლამის დამკვეთის მიზიდვა, შესაძლებელია მედიასაშუალებაში საკუთარი პროდუქციის რეკლამის განთავსების **მოტივაციის** შესწავლითაც. თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ირაციონალურად მიიღება. რეკლამის დამკვეთი პირადი განწყობილებებით ხელმძღვანელობს, მედია საშუალების მომხმარებელთა მიზნობრივ ჯგუფში პოპულარობის სუბიექტური წარმოდგენების საფუძველზე.

მოტივაციის განსაზღვრა მართლაც ძნელი იქნებოდა, რეკლამის დამკვეთი რეკლამის განთავსების საკითხს ერთპიროვნულად რომ წყვეტდეს. მაგრამ ამჟამად გაბატონებულია მართვის რაციონალური, დემოკრატიული სტილი, რომელიც გულისხმობს ჯგუფურ განხილვას და შესაბამისი რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას. რეკლამის განთავსების მოტივებს შორის სპეციალისტები ასახელებენ: პუბლიკაციის ტარიფის ოდენობას, შედავათების მოქნილ სისტემას, მედია საშუალებათა ტირაჟს და რეიტინგს, მომხმარებლის მიზნობრივი ჯგუფის წილს აუდიტორიის შემადგენლობაში, შეტყობინებათა გაფორმების თავისებურებებს, პირადი კავშირების არსებობას რედაქციებსა და ჟურნალისტებთან, სარეკლამო სააგენტოების მუშაკთა რეკომენდაციებს, სხვა რეკლამების დამკვეთთა გამოცდილებას და ა. შ. კვლევის ამოცანები იქნება მოტივთა იერარქიის დადგენა საქონლისა და მომსახურების, მედია საშუალებათა ტიპების, ერთობლივი აუდიტორიის შიგნით მიზნობრივ ჯგუფებზე დამოკიდებულებით.

კონკურენტი მედია საშუალებების სარეკლამო ბაზარზე საქმიანობის კვლევებს დიდი პერსპექტივები აქვს. ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად პირველ რიგში საჭიროა გამოცემის ან, მაგალითად, მუსიკალური რადიოსადგურების ტიპოლოგიური მსგავსების განსაზღვრა. ტელევიზიისა და რადიოსათვის უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრანსლაციის დროის ფაქტორი, რადგან აუცილებელია აუდიტორიის სხვა არსებზე გადასვლის შესაძლებლობა.

ტიპოლოგიური ანალიზის მაგალითად ჟურნალისტიკის სოციოლოგიის სახელმძღვანელოებში პერიოდულ გამოცემებში რეკლამის მონიტორინგის¹ ასეთი მაგალითია წარმოდგენილი:

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სარეკლამო ინფორმაცია, რომელიც მოიცავს „რეკლამის უფლები“ პუბლიკაციებსაც ისეთ პერიოდულ გამოცემებში, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიაზე ვრცელდება.

მონიტორინგის ამოცანები იხსნება:

- მონაცემთა ბაზის შექმნა რეკლამის დამკვეთთა შესახებ;
- სარეკლამო კომპანიების ეფექტურობის გაზომვა აუდიტორიის სამომხმარებლო მოთხოვნილებების გათვალისწინებით;
- სხვადასხვა საქონლისა და მომსახურებათა რეკლამების ტიპებისა და მოცულობის, აუდიტორიის მონაცემთა ბაზის შექმნა;
- კონკურენტ მედია საშუალებებში სარეკლამო კამპანიების თაობაზე ინფორმაციის მოპოვება.

საანალიზო პარამეტრები იქნება:

მედია საშუალების რეკლამის დამკვეთი; ნომრის გამოსვლის თარიღი; რეკლამის დამკვეთი (ფორმის სახელწოდება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი); რეკლამირებული საქონლის (მომსახურების) ტიპი; გამოყენებული სარეკლამო ფართი; რეკლამის განთავსების ღირებულება; გვერდის რიგითი ნომერი (ყდის მხარეები); რეკლამის ადქმის ფსიქოლოგიური თავისებურებების ანალიზი; ფერის გამოყენება; რეკლამის ელემენტები (ნახატი, ფოტო, ლოგოტიპი, სლოგანი, გრაფიკა, შრიფტები); რეკლამის ადგილი გვერდზე (ზემოთ, ქვემოთ, მარჯვენა-მარცხენა მხარეს და ა. შ.); რეკლამის ტიპი მიზნებისა და სტილის მიხედვით, რისთვისაც საჭიროა ან რეკლამის ანალიზის ტიპოლოგიური სქემის დამუშავება, ან უკვე არსებული მიდგომების გამოყენება პარამეტრებისა და მათი ინდიკატორების გამოსაყენებლად; აუდიტორიის მახასიათებლები (აუდიტორიის მოცულობა, მომხმარებელთა მოზნობრივი ჯგუფის წილი აუდიტორიაში და ა. შ.).

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული ინფორმაციული პროდუქციის გამოშვება, ინდივიდუალური შეკვეთების გაანგარიშებათა შედგენა, მედია დაგეგმარებისათვის მონაცემთა ბაზის გაფართოება [ბლოხინი 2004: 270].

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ინფორმაციული ბაზრის შესწავლა მოითხოვს: კვლევების მეთოდური ბაზის გაფართოებას სხვადასხვა მეთოდების კომბინირებით, ოპტიმალური მოდელებისა და ალგორითმების განსაზღვრის გზით; ამასთან საჭიროა ინფორმაციული პროდუქციის ადაპტირება შემკვეთთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის, მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ინტერესი, შესაძლოა, გამოიწვიოს ინფორმაციული ბაზრის ისეთი ელემენტების ანალიტიკურმა კვლევებმა, როგორცაა სარეკლამო სააგენტოები, რეკლამის დამკვეთნი და საკუთრივ მედია საშუალებათა ახალი სტრუქტურები და ტიპები.

ქართული სარეკლამო ბაზარი სოციალური შესწავლის თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი. არადა იგი ჟურნალისტიკის სოციოლოგიის აქტუალურ და გადაუდებელ პრობლემებს განეკუთვნება.

¹ მონიტორინგი – კვლევითი პროექტი, რომელიც ერთიანი პროგრამითა და სისტემურობით სრულდება.

ვიზუალურად, დაკვირვებათა დონეზე კი ვითარება არც თუ სახარბიელოა. სარეკლამო ბაზრის განუვითარებლობას ცხადყოფს სარეკლამო ტექსტების არაეფექტურობა, უგემოვნობა, აზროვნების პროვინციალიზმი, რაც უცხოეთის უნიჭო და მეტიწრულ მიმბაძველობაში ვლინდება, რაც ასევე თავს იჩენს სარეკლამო საქონლისა და მოამსახურებათა სახეობებისათვის უცხოურ სახელთა დარქმევაში და ა. შ.

ჟურნალისტიკის სოციოლოგიის აქტუალური ამოცანებია აღნიშნული ვითარების შესწავლა და საზოგადოებისათვის დროის შესაფერისი დასკვნების შეთავაზება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Блохин И. Н., «Социологические исследования аудитории СМИ». в книге: Социология журналистики, М., 2004.

Исследования рекламы в СМИ

Иване Джагодნიшвили

В статье рассматриваются некоторые аспекты исследования рекламы в СМИ. Указывается, что к таковым, в первую очередь, относятся расчеты эффективности рекламы, для чего необходимо выделение количественных и качественных параметров эффективности распространения информации.

Advertising Research in Mass Media

Iv. Jagodnishvili

In article is discussed some aspects of advertising research in mass media. The first is concerned the effectiveness of advertising valuation, for this purpose it is necessary to allocate the quantities and qualitative parameters for effective dissemination of information.

ფილოლოგია – Филология – Philology

like სუფიქსიანი ზედსართავები, რომლებიც აღნიშნავენ მიმსგავსებას

*ნანული გუნია, ნათელა დოღონაძე, მარინა ზორანიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას ქ. 77.*

მიმსგავსების კატეგორიის ლექსიკურ-მორფოლოგიურ სტატუსს ბევრი საერთო აქვს კარიტიულობის კატეგორიასთან. ამ კატეგორიის არსებობა ანალოგიურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული: მიმსგავსების მნიშვნელობა გამოიხატება მხოლოდ ადექტიურ რეპრეზენტაციაში, სუბსტანციურში კი იგი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში უფლებამოსილი ვართ ვამტკიცოთ მიმსგავსების კატეგორიის არსებობა, რომლის ოპოზიციის არამარკირებულ წევრად ითვლება არსებითის ეგზისტენციალური ფუძე, ხოლო მარკირებულად – ზედსართავი მიმსგავსების მნიშვნელობით – like. ორი კატეგორიალური ფორმის (არსებითი-მიმსგავსება) ოპოზიცია ახდენს ზოგადი ცნების ლექსიკურ-მორფოლოგიური კატეგორიის, როგორც ზოგადი ცნების მუდმივი რეალიზაციის კონსტიტუირებას ორ კატეგორიალურ ფორმაში, რომლებიც ერთმანეთთან დაპირისპირებულნი არიან გარკვეული ნიშნის მიხედვით, მაგრამ იგივენი არიან ფუძით table –table like, life – life-like, needle – needle-like. ეს კატეგორია ყველა დანარჩენისაგან იმით გამოირჩევა, რომ – like სუფიქსიანი ზედსართავებს აქვთ ძლიერ მკაფიო და გამჭვირვალე აზრობრივი სტრუქტურა, ცუდად ექვემდებარებიან სემანტიკურ იზოლაციას, ლექსიკალიზებას. მათი მნიშვნელობა ადვილად და მარტივად გამოდის კომპონენტების მნიშვნელობათაგან: -like-მსგავსი, -სებური. ეს თავისებურება დაკავშირებულია სუფიქს – like-ის სპეციფიკური მდგომარეობით, რომელიც ინარჩუნებს კავშირს დამოუკიდებელ სიტყვასთან –like-მსგავსი, ერთნაირი (ეს კერძოდ მუდგანება ორთოგრაფიაში), რაც დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას –like-ის სტატუსთან დაკავშირებით (სუფიქსი, ფუძისეული მორფემა-რთული სიტყვის კომპონენტი, ნახევარსუფიქსი. სახელდობრ ამ თავისებურების შედეგია ის ფაქტი, რომ –like სუფიქსიანი ზედსართავები ასე ნაკლებად არის რეგისტრირებული ლექსიკონებში: სასწავლო ლექსიკონში ჰორნბი –cr სუფიქსიანი მოქმედი პირის 300-მდე დასახელებაა, -less სუფიქსიანი 135 ზედსართავი და სულ 26 ზედსართავი –like სუფიქსით. ლონგმენის ლექსიკონში რეგისტრირებულია 18 წარმონაქმნი სუფიქსით –like.

–like სუფიქსიანი კომპლექსების ორთოგრაფია გარკვეულწილად შეიძლება იყოს კლიშირების მაჩვენებელი. ზედსართავები სუფიქსით –like იწერება ხან შერწყმულად, ხან დეფისით. სუფიქს –like-ით შერწყმული დამწერლობა, როგორც ჩანს, მოწმობს კლიშირების კატეგორიის რეალიზაციის მაღალ ხარისხს, მაგრამ ორთოგრაფიის რაიმე წესებზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში ძნელია, ვინაიდან –like სუფიქსიანი ერთი და იგივე სიტყვის დამწერლობა სხვადასხვა ლექსიკონში სხვადასხვაა. –like სუფიქსიანი წარმონაქმნების დამწერლობის შერწყმულად თუ განცალკევებით დამწერლობა მნიშვნელოვანწილად თავისუფალია და არ არსებობს მართლწერის მკაცრი წესები.

ვინაიდან ლექსიკონში რეგისტრირებული –like სუფიქსით ნაწარმოები სიტყვების რაოდენობა მცირეა, მოცემულ შემთხვევაში კლიშირებულობის განსაზღვრის ეს მეთოდი უვარგისია. კლიშირებულობის კატეგორია აგრეთვე მჭიდროდაა დაკავშირებული სოციოლინგვისტურ ასპექტთან, ვინაიდან ყოველგვარი მიმსგავსება ექსტრალინგვისტურად არის განპირობებული. ამგვარი ტიპის სიტყვათა მნიშვნელობის სრული გაგებისათვის აუცილებელია ფონური ცოდნის ქონება. –like სუფიქსიანი წარმონაქმნების არც თუ დიდი რაოდენობა ახდენს იდიომატურობის კატეგორიის რეალიზაციას. იდიომატურობის კატეგორია ახასიათებს ძირითადად ლექსიკალიზებულ სიტყვებს: life like – თითქოს ცოცხალი, ძლიერ დამსგავსებული, Work manlike – ხელოვნური.

როგორც წესი, მიმსგავსების ობიექტი (ანუ ის, რასაც ედრება განსაზღვრებადი არსებითი სახელი, ის, რასაც ამსგავსებენ), რომელიც გამოხატულია არსებითის ფუძით –like სუფიქსიანი ზედსართავში, წარმოადგენს ან ფართოდ გავრცელებულ, ყველასათვის ცნობილ სიტყვებს ლექსიკის საერთო სახალხო ნაწილად (needle, warm, ring, hair), ან სპეციალური საგნებისა და ცნებების დასახელებას, რომლებიც მეცნიერების მოცემული სფეროს საკვანძო სიტყვებია და მხოლოდ სპეციალისტებისათვის არის ცნობილი. სამეცნიერო სტილის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეცნიერების ყოველი სფერო თავისი კვლევის საგნის აღწერისას ჩვეულებრივ იყენებს მიმსგავსებას იმ სპეციალური ობიექტებისა და ცნებებისადმი, რომლებიც შეადგენენ მოცემული მეცნიერების შესწავლის საგნის საფუძველს.

The young larvae crawl under bark-scales; spin **cocoon-like** shelters and overwinter; they have bulging, **raspberry-like** eyes, short antennae with **leaf-like** sections and weak mouthpart.

Light is a **wave-like** form of energy that normally vibrates in all planes perpendicular to its direction of travel.

Allanite is an epidote-like mineral containing rare earth elements, and sometimes uranium and thorium (making it slightly radioactive).

ამრიგად, მიმსგავსების კატეგორიის რეალიზება აშკარად ხდება სამეცნიერო სტილში, რაც შეიძლება მოგვეჩვენოს ზემოთ გამოთქმული (მოქმედება-მოქმედი პირის, ხარისხის, კარიტიულობის კატეგორიების მასალით დამტკიცებული) მოსაზრებების საპირისპიროდ, იმის შესახებ, რომ მთლიანად შეტყობინების ფუნქციის დაქვემდებარებულ ტექსტებში, რომელთა მიზანია მაქსიმალურად მკაფიოდ, ნათლად და ობიექტურად, ასახოს კონკრეტულ-მეცნიერული ფაქტები, პრაქტიკულად არ ხდება ლექსიკურ-მორფოლოგიური კატეგორიების რეალიზება, რამდენადაც მათ რეალიზაციას თან სდევს სტილისტური კონოტაციების აღმოცენება. მაგრამ თუ შევადარებთ –like სუფიქსიანი წარმონაქმნებს სამეცნიერო სტილში ანალოგიურ ლექსიკურ შენაერთებთან მხატვრულ სტილში, ნათელი გახდება, რომ უკანასკნელში ისინი შექმნილნი არიან უფრო მეტი გამომხატველობის, მიღწევის მიზნით და ასრულებენ ზემოქმედების ფუნქციას, ხოლო პირველში –like სუფიქსიანი ზედსართავები წარმოქმნილნი არიან სრულიად სხვა მიზნით. მათი დახმარებით სამეცნიერო ტექსტის ავტორი ენის აღმქმელს ატყობინებს რაღაც ახალს, უცნობს, ხსნის რა ყოველივე ამას ძველთან, უკვე ნაცნობთან მიმსგავსების საშუალებით. ასე მაგალითად, სამეცნიერო ტექსტის ავტორი ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ ლავის გაცივების ერთ-ერთი სახის აღწერისას თხრობის მაქსიმალური თვალსაჩინოებისათვის იყენებს ზედსართავს skin-like ან ანვითარებს ამ მიმსგავსებასაც: It can either form a thin, Skin-like layer of solid lava over the liquid, rather like skin that develops on custard or boiled milk...

-like სუფიქსიანი წარმონაქმნები სამეცნიერო სტილში არიან ოპტიმალურები კომპაქტურობისა და სიცხადის აზრით, ახალი ცნებების განმარტების ფორმით, ახალი ფორმებისა და სახეების აღწერით.

ამრიგად, სამეცნიერო სტილის განმასხვავებელი ნიშანია კონოტაციურობისა და გლობალური კლიშირების ტენდენცია. ამასთან ამ სტილის სინტაგმური თავისებურებანი განისაზღვრება მასში შეტყობინების ფუნქციის მოჭარბებით. აქედან გამომდინარეობს, რომ სამეცნიერო სტილის ლექსიკური სინტაგმის თავისებურებანი განისაზღვრება მისი ძირითადი ამოცანით – ზოგიერთი შედარებით მნიშვნელოვანი შინაარსის გაფორმებისა და გადმოცემის აუცილებლობით შედარებით განყენებული, განზოგადებული, თითქოს უპირო-ობიექტირებული სახით.

ყველა ენობრივი საშუალება, რომელიც ხელს უშლის ამ ამოცანის გადაწყვეტას, საერთოდ არ გამოიყენება სამეცნიერო სტილში (მოქმედი პირის, ხარისხის, კარიტიულობის კატეგორიები ფუნქციური სტილისტიკის ასპექტში და მოქმედების შესრულების საშუალებები პრაქტიკულად არ ხორციელდება), ან „ფუნქციურად გარდაიქმება“ (მიმსგავსების კატეგორიის რეალიზება ხდება, მაგრამ სხვა მიზნებით და გარკვეულ სამეტყველო სიტუაციებში: ახალის ახსნისას ძველის მეშვეობით, უცნობისა – ცნობილით), მორფემის თავისუფალი თანაწყობა ნაწარმოებ სიტყვაში სამეცნიერო სტილისათვის საერთოდ ტიპური არ არის, რამდენადაც „თავისუფლება“ რთულდება სტილისტური კონოტაციებით, ხოლო კონოტაციურობა ამ სტილისათვის არ არის დამახასიათებელი, ვინაიდან იგი ხელს არ უწყობს ინფორმაციის მაქსიმალურად ზუსტ განზოგადებას და ობიექტურ გადაცემას.

ამრიგად, სამეცნიერო სტილში ძირითადად გამოიყენება ლექსიკალიზებული სიტყვათწარმომქმნელი სინტაგმები, ანუ ლექსიკურ მორფოლოგიური კატეგორიების ის რეალიზაციები, რომლებიც უკვე შევიდნენ ენაში, ლეგისტირირებულნი არიან ლექსიკონებში და მოითხოვენ განმარტებას.

ლიტერატურა:

1. Текстология английской научной речи (Под. ред. М. М. Глушко, Ю. А. Карулина. – М. – 1978.
2. Кожина М. Н. О специфике художественной и научной речи в аспекте функциональной стилистики. Пермь. – 1966.
3. ნ. დოღონაძე, მ. ზორანიანი, ნ. გუნია. ნაწარმოები სიტყვა სამეცნიერო თხრობის სტილში, თბილისი, 1995.

Adjectives with suffix -like, which determine simulation

N. Gunia, N. Dogonadze, M. Zoronian

Georgian Technical University, Kostava str. 77, Tbilisi.

The task of the article is to analyse the teaching problems of the word-formation in scientific narrative style, namely, productive, suffix word-building in modern English

Прилагательные с суффиксом *-like* обозначающее сходство

Н. Гуниа, Т. Догонაძე, М. Зоронян

Грузинский технический университет, Тбилиси, Ул. Костава 77.

В статье рассматриваются проблемы изучения работы речи, стиль научного повествования или более конкретно-продуктивно суффиксное словообразование в современном английском языке.

ფრაზეოლოგიური სინონიმები ქართულ და რუსულ ენებში და მათი თარგმნის თავისებურებები

ასმათ ევსაია

*ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
რუსთაველის 193*

ფრაზეოლოგიზმი არის ორი ან მეტი სიტყვის შეკავშირებისგან წარმომდგარი დაუშლელი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობაც არ უდრის მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. შესამებაში შემავალ სიტყვებს არა აქვთ დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა.

ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიური სისტემის სპეციფიკის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი მისი სტრუქტურული შემადგენლობაა. ქართულ და რუსულ ენებში გვხვდება როგორც ფრაზეოლოგიზმი-შესიტყვებები (თითით საჩვენებელი, ორშაბათის ყენი, დიდი ზურგი, ამბავი ტარიელისა; широкая натура, развязывать руки, бросать тень, печальной памяти), ასევე ფრაზეოლოგიზმი-წინადადებები (თავი მოაქვს, ოქროს მადანი აქვს, როცა ვირი ხეზე ავა, პურის კუტი ენატრება, ენა აღარ ერჩობა, გველი შემიწვა; мороз по коже продирает, сделай одолжение, хоть плачь), მაგრამ ეს უკანასკნელნი ქართულში ბევრად მეტია, ვიდრე რუსულში.

ქართული ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელი ნიშანია მასდარი + არსებითი სახელი მოდელის სიხშირე: პირის ქცევა, სულის წადება, საფლავში ჩაყოლება, სულის ცვენა შიშით, ნახტომის გაზომვა დას ხვ. რუსული ფრაზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელია შემდეგი სახის მოდელები: ზმნა + დამოკიდებული არსებითი სახელი (не видеть света(белого), владеть пером, распахнуть душу, исчезать из вида, впасть в детство); არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი (бездонная бочка, важная птица, выжатый лимон, китайская стена, мышьяная возня), არსებითი სახელი + არსებითი სახელი (из уст в уста, до конца дней, с руками и ногами, капля в море); რუსული ფრაზეოლოგიზმები ზოგჯერ გართულებულია განსაზღვრებებითა და გარემოებებით (гнуть бараний рог, не из трусливого десятка, шито белыми нитками, держать язык за зубами).

ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებს შორის განსხვავება ბევრად უფრო მკაფიო და საინტერესოა ხალხის შეხედულებებისა და შეფასების თავისებურებების თვალსაზრისით, რომლებიც ტიპური სიტუაციის მიხედვით ვლინდება. თითოეულ ენაში ისინი განსაკუთრებული და კილორიტულია, მაგრამ მათ შორის გარკვეული სიახლოვე მაინც შეინიშნება.

ფრაზეოლოგია ყოველი ენის ლექსიკური ფონდის ის ნაწილია, რომელიც სიტყვასიტყვით არ ითარგმნება, ვინაიდან მისი შემადგენელი ნაწილების ჯამი არ ემთხვევა სხვა ენაზე მოძებნილი იმავე სიტყვების ჯამს. ერთმანეთისაგან ზედმიწევნით განსხვავებულ ენებშიც კი გვხვდება ფრაზეოლოგიზმების დამთხვევის მაგალითები, მაგრამ ფრაზეოლოგიზმების უმეტესობას სხვადასხვა ენაში სემანტიკური საფუძველი აქვს და მისი სიტყვასიტყვით გადმოტანა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში თითქოს ერთადერთი გზა ამა თუ იმ უცხო ფრაზეოლოგიზმებისათვის ქართული შესატყვისის პოვნაა, მაგრამ შინაარსით ტოლფასოვანი ფრაზეოლოგიზმები ხშირად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან სტილური ელფერით. ამიტომ, როცა ნათელია მოტივაცია, აუცილებელი არ არის ფრაზეოლოგიზმს მაინც-დამაინც მოეძებნოს ქართული შესატყვისი, ასეთ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება შესაფერისი ფორმით იმავე მოტივაციის შენარჩუნება.

თარგმანის ენა ორიგინალური ნაწარმოების ენისაგან განსხვავდება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილებისა და მით უმეტეს, სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე სალიტერატურო შრეებთან თავისი დამოკიდებულებით. კერძოდ, ქართული თარგმანის ენა თარგმანის ბუნების გამო სრულიად ვერ იყენებს საერთო-სახალხო ენის მთელ რესურსებს, მას ხელს უშლის თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით ხორცშესხმულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა. ამ დაძაბულობის წინააღმდეგობაში გადაზრდის მიზეზად შეიძლება იქცეს თარგმანში შექმნილი გადაჭარბებული ქართული კოლორიტი.

სალიტერატურო ენის ფარგლებში მოქცეული ენობრივი საშუალებებიდანაც თარგმანის ენისათვის განსაკუთრებული სიფრთხილითა და ტაქტით უნდა შეირჩეს წმინდა ქართული კოლორიტით აღბეჭდილი გამოთქმები, ვინაიდან ყველაზე უფრო მკვეთრად ენის ნაციონალურ სპეციფიკას ამა თუ იმ ხალხის ყოფასთან და ისტორიასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური და ლექსიკური ერთეულები ქმნის, უნივერსალური ენობრივი საშუალებების ეკვივალენტების დაძებნა კი არც ერთ კულტურულ ენაში არ არის ძნელი. ზოგიერთ ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე შესატყვისი რუსულ ენაში და პირიქით. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ფრაზეოლოგიზმს აქვს რამდენიმე სტილური ელფერი, სხვადასხვა აზრობრივი მნიშვნელობა, როდესაც მისი ერთ-ერთი კომპონენტი შეიცვლება სინონიმით, ან როდესაც სიტუაციის შესაბამისად ეს თუ ის ფრაზეოლოგიზმი შეიძლება გამოიხატოს ნაირგვარი რუსული (ან შესაბამისად ქართული) შესაფარდით.

ფრაზეოლოგიური სინონიმები ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებია, რომლებსაც აქვთ ერთი მნიშვნელობა, მაგრამ სხვადასხვა ხატოვნება და ლექსიკური შედგენილობა. სინათლე დაეღვეა – (ვისიმე) დღეები დათვლილია – წინ ორი პარასკევი აღარ უდევს – (ვისიმე) წილი ერბო დაქცეულა – წირვა გამოსვლია – პირიქითა ქვეყნისკენაა მოქცეული – საამქვეყნო პირი აღარ უჩანს – სული კბილით უჭირავს – აღსასრული მოახლოვდა, დადგა (სიკვდილის მოახლოვება):

-სამართლის ძებნაში ან *მე დამელევა სინათლე*, ან უსამართლობას მოსტყდება კისერი (მ.ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი).

В поисках правды или *погаснет свет очей моих*, или несправедливости будет сломлена шея.

თვითონ საცოდავ დედაკაცსაც (ბაბაღეს) გულმა შეუტყო, რომ *დღენი* მისი *დათვლილია* (ი.ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი).

И сердце самой несчастной женщины (Бабале) чуяло, что *дни её сочтены*.
- რას ამბობს? “ბოდავს თავისთვის”. – მაშ საწყალი, ჩქარა მოკვდება, თუ ჭლექია?

“*ორი პარასკევი აღარ უდევს წიბ*” (შ. არაგვისპირელი, “მიწაა”).

- Что он говорит? – «Он бредит». – Он скоро умрёт, если у него чахотка? «*Его дни сочтены*».

- ეჰ, სადაც უნდა გამგზავნონ! მე ხომ *სამი პარასკევი აღარ მიდევს წიბ* (შ. არაგვისპირელი, “მიწაა”).

- Эх. пусть сошлют куда хотят! Мне уж *скоро собираться на тот свет*.

“*მე ვგრძნობ, რომ სააქოს პირი აღარა მაქვს*” (რ. ერისთავი, ნინო).

«*Чувствую, что не жилец я на этом свете*»

- აქვე ბორანთან. უჭირს, ბაბუ, *სული კბილით უჭირავს*. მივხედოთ, თორემ წახდება კაცი (კ. ლორთქიფანიძე, ისევ ცხენი).

- Здесь же, у паромы. Плохо ему, дед, *эле-эле душа в теле*, присмотреть надо, пропадёт там.

- ჩემს ვინაობას არ გეტყობი, თუ ჩემი *აღსასრული* არ *მოახლოვებულიყო* (ი. ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი).

- Я бы ни за что не открылся тебе, если бы не чувствовал, что *близок мой конец*.

შევადართ ორი სინონიმური რიგი – რუსული და ქართული, რომლებიც ერთად აღებული შეადგენენ ენათშორის სინონიმურ რიგს: სული განუტევა – შავი მიწა წაიღებს – სული აღარ უდგას – სული დაღია – პირის კომლი გაუწყდა – ძვლები სამარეს მიაბარა – პაპაჩემის მოსაკითხავად წავიდა – საიქიოს გაემგზავრა – წუთისოფელს გამოესაღმა – ფეხები გაფშკა, გაჭიმა – ღმერთს მიაბარა სული – თქვენი ჭირი წაიღო – სული გააცხო – სული გააყრევინა – სულის გაფრთხობა – სული ხორციით გაყრება. Взяла сырая земля – испустил дух – отдаст богу душу – отлетела душа – остались считанные часы – отправится к праотцам – настал мой час – ножки протяну – оставил мир – душа рассталась с телом.

“*წაიღო შავმა მიწამ ჩემი თვედორე ... წამოგექცა ოჯახო, დედაბოდი...*” (ი. ჭავჭავაძე, ოთარაანთ ქვრივი).

«*Взяла сырая земля моего Тевдоре!... Подломилась опора твоя, мой дом*

როცა ისინი მოცვივდნენ, ეკოციმილის მეუღლეს უკვე *სული აღარ ედგა* (შ. დადიანი).

Когда они прибежали, жена Экоцимили уже *испустила дух*.

სანამ ტურას გაიცნობდნენ, *სული ხორციით გაეყარათ* (ა. წერეთელი).

Пока бы познакомились с шакалом, у них *отлетела душа*.

ჭირიმია ერთი წლის თუ იქნებოდა, როცა აღათაიმ *სული განუტევა* (ლ. ქიაჩელი, გვალი ბიგვა).

Чиримие ещё и года не было, когда Агатия *отдала богу* душу.

მშვიდობით, ჩემო გაბრიელ! აღსასრული ჩემი მოვიდა, *მე სულსა ვლევ* (ი. ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი).

- Прощай, мой Габриэль! Пришёл мой час, *душа отлетает*.

ახლა ყველა ხედავდა, რომ გიგოია რამდენიმე საათის განმავლობაში *დაღვედა სულს* (ე. ნინოშვილი, სიმონა).

Всем было ясно, что жить ему *остались считанные минуты*.

დამახინჯებული, დაფლეთილი შეაგდეს ერთს ოთახში, სადაც ჩქარა სული დალია უბედურმა საშინელს ტანჯვასა და სულის ბრძოლაში(ა. ყაზბეგი, მამის მკვლეელი).

Истерзанного, изуродованного старика втокнули в камеру, где он вскоре *испустил дух* в тяжёлых мучениях.

მე დამბახა დაეცალე, იმან კი თურმე შუბლი შეუშვირა ტყვიას და *პაპახეძის მოსაკითხად წავიდა* (მ.ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი).

Я разрядил пистолет, а он, оказывается, подставил лоб и *отправился к праотцам*.

ერთ ამხანაგს რომ ხელი არ ეტაცნა თოფზე, ის იყო ბესია *გაისტუმრებდა* ივანეს *საიქოს* (ე.ნინოშვილი).

Если один из товарищей не схватил бы ружья, то ещё мгновение и Бессия *отп равил* бы Иване *на тот свет*.

შიშისგან ტანში ურუანტელმა დაუარა, იფიქრა, ეგ არის, უნდა *გამოვესალმო წუთისოფელსაო* (ვაჟა-ფშაველა).

От страха у него мороз по коже пробежал, подумал, *настал мой час*.

- მძახალმა ამასობაში ეგებ *ფეხებიც გაჭიმოს!* (დ. კლდიაშვილი, სოლომონ მორბელაძე).

- А свекор за это время авось и *ноги протянул*.

- დიდმა ბატონმა *თქვენი ჭირი წაიღო* (ი.ჭავჭავაძე, გლახის ნაამბობი).

- Старый господин *приказал долго жить*.

მართა მხოლოდ ერთხელ იყო საგანგაძის ოჯახში, ისიც მაშინ, როცა ელისაბედის მამამთილმა *თქვენი ჭირი წაიღო* (კ. ლორთქიფანიძე, იმერეთი).

Марта только раз была в семье Саганелидзе, и то тогда, когда свекор Елизаветы *оставил мир*.

სინონიმური წყვილებისა და სინონიმური რიგის წევრთა მნიშვნელობის ტოლფასობის ფონზე თოთოეულ ერთეულს გააჩნია განსაკუთრებული ნიშანი (სტილური ელფერი, გამოყენების სფერო), რომელიც განასხვავებს მას სხვა სინონიმური გამონათქვამებისგან. სინონიმურად არ ითვლება ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც მნიშვნელობა ერთი აქვთ, მაგრამ ლექსიკური შედგენილობით განსხვავებულნი არიან, გამოიყენებიან სხვადასხვა კონტექსტში. მაგალითად: თქვენი ჭირი წაიღო, ჭირი მოგჭამა.

1. გარდაიცვალა;

- ოთარის ცოლმა *თქვენი ჭირი წაიღო* (გ. წერეთელი, მამიდა ასმათი).

- Жена Отара *отдала богу душу*.

2. დათმობის, თანხმობის გამოხატვა შემდეგი მნიშვნელობებით: კარგი, იყოს ასე, (იტყვიან დაკარგულის შესახებ)

- ჩემს შვილს ჩაუცვამს რაღაც ქაჯურად, იპრანჭება და სამუშაოდ ხელს არ ანძრევსო. ამან ყოლიფერმა კიდევ *თვენი ჭირი წაიღოს*, მაგრამ ერთი მისთანა საქმე ჩაიღინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენს სოფელსაცო...(ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი).

- (Мой сын) несуразно одевается, кривляется и совсем перестал работать. Но *чёрт со всем этим*, он ещё такое натворил, что опозорил и семью и всю нашу деревню.

ფრაზეოლოგიური სინონიმების კატეგორია ძალზე პროდუქტულია ყველა ენაში; აშკარაა სინონიმური რიგების ზრდის ტენდენციაც. ქართული ფრაზეოლოგიური სინონიმები რუსულ ენაზე უნდა ითარგმნოს ნაწარმოების

მთელი კონტექსტის შესაბამისად. ეს საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ ენის რომელ ფენას ეკუთვნის ესა თუ ის ფრაზეოლოგიური ერთეული, განისაზღვროს მისი სემანტიკური თავისებურებანი, ექსპრესიულ-ემოციური მხარე, ქართულ ენაში არსებითი სახელების სქესის კატეგორიის უქონლობის პირობებში, სწორად ითარგმნოს რუსულად ქართული ნაცვალსახელები და ზმნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ნ. გამრეკელი, ე.ა. მგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბ.1996.
2. დ. ფანჯიკიძე, ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბ. 1999
3. გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმნის თეორიის საკითხები. თბ. 1959
4. ქ. ბურჯანაძე, XIX საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ. თსუ გამომცემლობა, 1992
5. Д.Э. Розенталь, И.А. Голубь, М.А. Теленкова, Современный русский язык, М.,1998.
6. М.И. Дубровин, Б.С. Жаров, Русские фразеологизмы, М., 1988.
7. Русские пословицы, поговорки и крылатые выражения под редакцией Е.М. Верещагина и В.Г.Костомарова. М.,1979.

Фразеологические синонимы в грузинском и русском языках и особенности их перевода

Асмаტ Евсаია

Ахалцихский Государственный учебный университет

В статье сопоставляются фразеологические синонимы грузинского и русского языков на основе общего анализа и особеннсти перевода; даны характерные особенности их перевода.

Phraseological synonyms in georgian both russian laanguages and feature of their transfer

Asmat Evsaia

The teacher of russian of Akhaltsikhe state educational university

The article describes comparative description of Georgian and Russian thematic phrasal synonyms and the conditions of their translation.

შეცდომები სახელობითი შესიტყვების ფორმებში

ოლღა კალანდარიშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77*

სტუდენტების მართლწერის დონის ამაღლება რუსული ენის პრაქტიკული კურსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა გვექონდეს მონაცემები იმის თაობაზე, თუ ენის რომელ დონეებზე გვხვდება

შეცდომების განსაკუთრებით დიდ რაოდენობა. ეს მონაცემები დაგვეხმარება მივაქციოთ ყურადღება კონკრეტული შეცდომების აღმოფხვრას, და შევიმუშავოთ სისტემა ამ შეცდომების დასაძლევად. შეცდომების გათვალისწინების თეორიული ცოდნის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ დ.ვ. შჩერბა [1, 57-76].

ყველაზე ხშირია შეცდომები სახელობითი შესიტყვებების ფორმებში. განვიხილოთ შეცდომები ზედსართავი სახელების არსებითთან შეთანხმებისას, რაც გამოწვეულია პრეპოზიტიური განსაზღვრების მთავარ სიტყვასთან სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში არასწორი შეთანხმებით:

1. მამრობითი სქესის მხოლოდობითი რიცხვის ზედსართავის ხმარება მდედრობითი სქესის ირიბ ბრუნვაში მყოფ არსებით სახელთან (на конный тяге);
2. მდედრობითი სქესის გამოყენება საშუალო და მამრობითი სქესის მახვილის გარეშე დაბოლოებების მქონე არსებით სახელთან (единственная богатство, в соседней дворе);
3. საშუალო სქესის ფორმების ხმარება მდედრობითი და მამრობითი სქესის არსებითებთან (удивительное повесть, глубокое колодец);
4. მრავლობითი რიცხვის გამოყენება მხოლოდობით რიცხვში მყოფ არსებით სახელთან (отрадные воспоминание, суровые безмолвие);
5. მხოლოდობითი რიცხვის ხმარება მრავლობით რიცხვში მყოფ არსებითთან (эстетический вкусы, острый иглы);
6. წოდებითი ბრუნვის გამოყენება მოქმედებით ბრუნვაში მყოფ მამრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან (со старшем братом, с северном растением); იგივე ბრუნვის ხმარება მიცემით ბრუნვაში მყოფი მდედრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის არსებით სახელთან (по непроходимом улицам);
7. მოქმედებითი ბრუნვის ხმარება წოდებით ბრუნვაში მყოფ არსებით სახელთან (при повторным крике, на всемирным конгрессе).

ზედსართავი სახელების ბრუნვის ფორმებში შეცდომების გარკვეული რიგი გამოწვეულია იმით, რომ სტუდენტებს უჭირთ მაგარი და რბილი ფუძეების გარჩევა. ამის გამო ხშირია მაგარფუძიანი ზედსართავი სახელების დაბოლოებების ხმარება რბილფუძიანი დაბოლოებების ნაცვლად, რაც უხეში შეცდომაა (в соседной аудитории, с древных времён) და პირიქით მაგარფუძიანი დაბოლოებების ნაცვლად რბილფუძიანი დაბოლოებების გამოყენება (в безвыходном положении, к северным странам);

ზმნის ფორმებში შეცდომების ყველაზე ხშირი შემთხვევები მოდის ზმნა-შემასმენლის ქვემდებარესთან პრედიკატიული კავშირის დარღვევისას. მაგალითად ასეთი ტიპის: მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებით სახელებთან საშუალო სქესის ზმნის ფორმების წარსულ დროში ხმარება (обстановка изменилось, деятельность развернулось, любовь закончилась); წარსული დროის მამრობითი სქესის ზმნების გამოყენება მდედრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან (бился сердце, задрожал земля); მხოლოდობითი რიცხვის ზმნის ფორმების მრავლობითი რიცხვის არსებით სახელებთან ხმარება (начинается болезни, кончается уроки) და მრავლობითი რიცხვის ზმნის

ფორმების მხოლოდობითი რიცხვის არსებით სახელებთან გამოყენება (холод загоняют, машина спускались).

მნიშვნელოვანი შეცდომების რაოდენობა მოდის თვით ზმნების ფორმების მართლწერაზე: ინფინიტივის და მე-2 პირის მხოლოდობითი რიცხვის ზმნებში (ხ) რბილი ნიშნის გამოტოვება, ასევე უკუქცევით ზმნებში «с»-სთან «ხ» (რბილი ნიშნის) გამორჩენა (мечтал овладет, стало появляться, улыбаешься, берус за дело), «е» და «и» სმოვნების არევა ზმნის პირის უმახვილო დაბოლოებებში (дремлит тюлень, хочишь полететь, увидеешь землю, читаишь книгу). რბილი ნიშნის «ხ» უადგილოდ ხმარება (дома горять, доноситься голось, приказаль подписать).

ამას გარდა, უქვემდებარო წინადადებებში წარსულ დროში ნაცვლად საშუალო სქესისა გვხვდება მდედრობითი სქესის ზმნა მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში (стал светать, была жарко, нам были тепло), რაოდენობითი რიცხვითი სახელით და არსებითი სახელით გამოხატულ ქვემდებარესთან საშუალო სქესის ზმნის ნაცვლად მდედრობითი სქესის წარსული დროის ზმნების ხმარება შეთანხმებისას (была семь километров, исполнилась 30 лет, прошла 2 года).

ძალიან ხშირია შეცდომები შესიტყვებების ფორმებშიც პრეპოზიტიურ და პოსტპოზიტიურ მიმდებარესთან, რაც გამოწვეულია სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში განსაზღვრების შეთანხმების დარღვევით.

პრეპოზიტიური მიმდებარის შესიტყვების ფორმებში შემდეგი შეცდომები შეინიშნება:

1. მამრობითი სქესის მხოლოდობით რიცხვში ხმარება მდედრობითი და საშუალო სქესის ირიბ ბრუნვაში მყოფ არსებით სახელებთან (приближающийся осени, на качающемся лодке, по опустевшем полям);
2. მდედრობითი სქესის მხოლოდობით რიცხვში გამოყენება მამრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან ირიბ ბრუნვებში (плывущая облака, незаметной след);
3. მრავლობითი რიცხვის ხმარება მხოლოდობითი რიცხვის არსებით სახელთან (открытые небо, показавшиеся солнце, недоваренные мясо);
4. საშუალო სქესის გამოყენება მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებით სახელებთან ირიბ ბრუნვებში; (негреющее лучи, на плывущееся лодке).

შესიტყვებებში პოსტპოზიტიური მიმდებარის ფორმებში გვაქვს შემდეგი ტიპის შეცდომები:

1. მამრობითი სქესის მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ხმარება ყველა სქესის ირიბ ბრუნვაში (Кипарисов, пахнувший смолой; Больницы, расположенный близ госпиталя, Актрисе, исполнявший роль);
2. მდედრობითი და საშუალო სქესის მხოლოდობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში გამოიყენება მამრობითი სქესის არსებით სახელებთან ირიბ ბრუნვებში (Венок сплетенное раньше, Дождь, падающая на землю);

3. მრავლობითი რიცხვის ხმარება მხოლოდითი რიცხვის არსებით სახელებთან ირიბ ბრუნვებში (человека, покаяющие природу, к профессору, закончившие лекцию).

შეცდომები ნაცვალსახელების და რიგობითი რიცხვითი სახელების ბრუნვის ფორმებში გვხვდება პრეპოზიტიური დამოკიდებული სიტყვით გამოსატულ შესიტყვებებში, რაც გამოწვეულია ნაცვალსახელთა და რიგობითი რიცხვითი სახელით გამოსატული განსაზღვრების განმსაზღვრელ სიტყვასთან არასწორი შეთანხმებით. ამ ტიპის შეცდომებია:

1. მდედრობითი სქესის ხმარება მამრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან ირიბ ბრუნვებში (по той пути, в своей деле, на пятой месяце);
2. მამრობითი სქესის მხოლოდითი რიცხვის ხმარება მდედრობითი და საშუალო სქესის არსებით სახელებთან ირიბ ბრუნვებში (своего собаку, в это время);
3. მრავლობითი რიცხვის გამოყენება მხოლოდითი რიცხვის არსებით სახელებთან (в нашем лесу, свои богатство, эти название);
4. მხოლოდითი რიცხვის გამოყენება მრავლობით რიცხვში მეოფ არსებით სახელებთან (нашем растениям, третью сутки);
5. ბრუნვის ნიშნების არევა (на одном острове, первая мая, при первым взгляде).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Имнадзе Б.Л. Основы методики русского языка в неязыковых вузах. Тб. 1997 г.
2. Русская грамматика. М. Наука. 1980 г.
3. Щерба Л.В. Преподавание иностранных языков в средней школе. М. 1947г.
4. კვაჭაძე ლ. ქართული ენა, ნაწილი I, თბ. 1961 წ.

Ошибки в именных словосочетаниях

Каландаришвили Ольга
ГТУ

В статье «Ошибки в именных словосочетаниях» кратко рассмотрены наиболее характерные фонетические и грамматические ошибки в области именных словосочетаний в речи студентов грузин. Статья поможет преподавателю правильно расположить подлежащий обучению материал, что облегчит студентам изучить наиболее сложные формы именных словосочетаний и развить устную речь.

Errors in nominal subjunctive word combinations

Kalandarishvili Olga
Technical University of Georgia

In the article the most typical phonetic and grammatical errors are considered shortly in the field of nominal word combinations in Georgian students' speech. The article will help a teacher to arrange

correctly a material subject for training that will help students' to study the most difficult forms of nominal word combinations and develop oral speech.

**კომიზმის ნაკადი და მისი გამოსახვის ძიების პროცესი
ვაჟა - ფშაველას პროზაში
(მოთხრობა „ჩვენი მამლის“ მიხედვით)**

ნანა კუპრაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას ქ. 77*

1. შესავალი

ვაჟა - ფშაველამ როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც მრავალფეროვანი მხატვრული ინტერესები გამოავლინა. მეტად ფართო და ღრმაა ვაჟას პროზაულ თხზულებათა ემოციური სამყარო. აქ ერთმანეთს ერწყმის და ავსებს გრძნობა სიყვარულისა, წუხილის, სიხარულის, სიბრალულის, შიშის. მისი შემოქმედების მკვლევარნი ერთხმად აღიარებენ, რომ მწერლის შემოქმედებითი ნიჭი და ალლო განსაკუთრებით იმ მოთხრობებში გამოვლინდა, რომლებიც უტყვი გუნების თემაზეა შექმნილი.

სპეციფიკური ვაჟას პროზისათვის „შელის ნუკრის ნაამბობის“, „იას“, „ფესვების“, „მთის წყაროს“, „ქუჩის“, „ხმელი წიფლის“ მსგავსი მოთხრობები, თუმცა მათ გვერდით იკვეთება მოთხრობათა სხვა რკალი: სახუმარო - იუმორისტული მიდგომით დაწერილი მოთხრობები, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ჩვენი მამალი“, „მელია კულიგრძელია“, „ჩხიკეთა ქორწილი“, „ბუნების მგოსანები“.

2. ძირითადი ნაწილი

კომიზმის გამოხატვის თვალსაზრისით ვაჟა - ფშაველას პროზაულ თხზულებათაგან გვინდა გამოვყოთ მოთხრობა „ჩვენი მამალი“. ის გარკვეული ისტორიის მქონე ნაწარმოებია. „ჩვენი მამალი“ დაიბეჭდა 1890 წელს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ (№2), იმავე წელს გაზეთ „Новое обозрение“ -ში (21. I. №2096). ეს მოთხრობა აკაკი წერეთლის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად, კრიტიკულად შეაფასა ქართული საზოგადოებრივი აზრის ისეთმა დიდმა წარმომადგენელმა, როგორც ნიკო ნიკოლაძე იყო. რეცენზენტმა თუ სხვა ქმნილებებზე კრიტიკული შენიშვნები წარმოადგინა, ვაჟას ეს ნაწარმოები იმდენად სუსტად ჩათვალა, რომ ის განხილვის ღირსადაც არ მიიჩნია. ნიკო ნიკოლაძის საპირისპიროდ, 1890 წელსვე, გაზეთ „თეატრში“ (№8; №10), გამოქვეყნდა ქართველთა სათაყვანებელი მგოსნის, აკაკი წერეთლის სტატია „წერილები ჩვენს მწერლობაზე“, სადაც დიდებული პოეტი არა მხოლოდ უარყოფითად აფასებს თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამოაზრის - ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული განხილვის მანერას, არამედ თვლის მას ლიტერატურული მასალისადმი სქემატური მიდგომის გამოხატულებად. აკაკი წერეთელი მაშინდელ ქართველ მწერალთაგან პირველია, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველას ნიჭს, კერძოდ, მოთხრობა „ჩვენს მამალს“, როცა აღნიშნა: „ჩვენი მამალი“ ისე

ხელოვნურად არის დაწერილი და თუ არ გაზვიადებული ოცნება, ტენდენციას არც ვერავინ წარმოიდგენსო“ (გაზეთი „თეატრი“, 1890, №16, 4 მარტი).¹

თუ როგორია ეს მოთხრობა კომიზმის გამოხატვის თვალსაზრისით ეს არის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო. „ხუმრობა, ფსიქოლოგიური თამაშია, რომელსაც დაცინვის ფორმა აქვს, მაგრამ შინაარსით, ობიექტისადმი სიყვარულს შეიცავს. თავისი ბუნებით იგი უფრო გულუბრყვილობას ეფუძნება და არასოდეს ამჟღავნებს ფაქტთან ანალიზის გზით მისვლის ტენდენციას. იგი ირეალურის რეალურად წარმოდგენასთან მტკიცე კავშირშია, ამის გამო ხუმრობა უფრო მეტი სიმსუბუქით გამოირჩევა, და თუ შეიძლება ასე ითქვას, „წმინდა სიამოვნების წყაროა“.²

ლიმილის მომგვრელია თვითონ ის ფაქტი, რომ მოთხრობის პერსონაჟები არიან არა ადამიანები, არამედ ფრინველები, რომლებიც ადამიანების მსგავსად მოქმედებენ, გრძნობენ, განიცდიან, ფიქრობენ.

„ჩვენი მამალი“ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი, გროტესკული მიდგომით არის შესრულებული.

გროტესკული ცნების ძირითად ნიშნებს მწვავე სარკაზმისა და კეთილშობილური იუმორის, რეალურისა და ფანტასტიკურის, ტრაგიკულისა და კომიკურის შეხამება ქმნის. გროტესკი, სინამდვილის კომიკურად წარმოსახვის უკიდურესი სახეობაა, რომელიც მოვლენას, საგნებსა და ადამიანებს უჩვეულოდ გაზვიადებული, ძალზე პირობითი, კომიკური სახით გამოხატავს. აქ მოქმედება და მისი არეალიც გულუბრყვილობითაა მოცული.

მოთხრობის პირველივე სტრიქონებიდან ვეცნობით მამალს. ის ყოჩაღი, ამაყი, მზრუნველი და თავმომწონეა. გროტესკული იუმორითაა აღსავსე მისი პორტრეტი. „ეხოში მედიდურად დადის, დროგამოშვებით შედგება და დაიყვივლებს; ჯიბლიბო გვერდზე გადაუგდია, როგორც თავმომწონე ბიჭი გადაიგდებს ხოლმე ქუდსა. საყვირები ხმლებით ბოლოდა უკანა აქვს გადაშვებული, თითქმის მიწაზე მიათრევს. მტრის მოსაგერი დეხები შემოკაუჭებული აქვს. ეს დეხები შუბი და ლახვარია, მტრის გასაგმირად გამზადებული“.³ ეს სურათი კონსტრასტულია მოთხრობის ბოლო ნაწილში მოცემული პორტრეტისა, სადაც ინდაურებისაგან ნაცემი მამალი შერცხვენილი და დაუძღურებულია: „მამალი თითქმის სულ გაატიტვლეს ინდაურებმა: საწყაღს მხრის ძირებში და ორ-სამგან გვერდებში თუ ეკრა ბუმბული, თორემ დანარჩენილი ტანი მთლად გაუშიშვლეს, ჯიბლიბო ნახევარი გააფცქენეს, საყვირები და თითქმის მთელი ბოლო მოაკვინტეს“.⁴

მამალის პორტრეტის კონტრასტულობა გროტესკულ სურათს ქმნის.

ნაწარმოებში თხრობა მესამე პირითაა გადმოცემული. საგულისხმოა, რომ მამლის მხატვრული სახე ძირითადად მწერლის, გარშემომყოფთა დახასიათებით და პერსონაჟის მოქმედებითაა გადმოცემული. ეს ხერხი პერსონაჟის მხატვრული სახის წარმოჩენას ემსახურება და მოთხრობის სტილურ თავისებურებას წარმოადგენს.

¹ აკაკი წერეთლის დასახელებულ წერილს პირველად შეეხო ი. ევგენიძე წერილში „აკაკი წერეთლის კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების ერთი ნიმუში (მივიწყებული პუბლიკაციის გამო)“, აკაკის კრებული, I, თბ., 1999 წ., გვ. 68-95.

² ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989, გვ. 456

³ ვაჟა - ფშაველა, თხზ. ტ. V, თბ., 1964, გვ. 147

⁴ იქვე, გვ. 150

როგორც აღვნიშნეთ, „ჩვენს მამალში“ ბუნების საგნებისა და მოვლენების წარმოდგენა, გაიგივებულია ადამიანის ქცევასთან. ეს გროტესკული ანთროპომორფიზაციის გამოსატყულებაა. მივყვით ტექსტს.

დედლებს ახსენდებათ ერთი შემთხვევა, როცა მათი მამალი თავდაუზოგავად ეკვთა მტერს და დაამარცხა. „ერთად შეგროვილი დედლები ან წლებში, ღოღოებში ან ჭინჭრებში გულის ფანცქალით თვალს ადევნებენ ამ ორი გმირის ბრძოლას, ხანდახან აკუტკუტდებიან, ღმერთს ევედრებიან:

- „ღმერთო, შენ გაამარჯვებინე ჩვენს მამალს, დაამარცხებინე ეგ ვიღაც უცხო მამალი მოთრეულა; აქ, ჩვენ თვალწინ, ჩვენს ეზოში პამპლშუობობს და ჩვენზე გაბატონება მოსწადება“.⁵

სხვა შემთხვევაში მამალმა ვერ აიტანა ინდაურების „ფარფაში“ ეზოში და ადამიანური მეტოქეობის გრძნობა დაეუფლა.

„განა მამალი იმიტომ იჭიმება, რომ სხვა ფრინველი გამობრძანდეს ეზოში და გაუჭიმავად თითქმის ორჯერ მეტი სჩანდეს მამალზე?! ამას მამლის გული ვერ აიტანს...“⁶

ამ ადამიანურ თვისებათა გამოვლენა კონტრასტულ ფრინველთა მიერ, სიცილის განწყობილებას ბადებს.

კომიზმის გამოსატყვას ემსახურება მოთხრობაში მომარჯვებული ტროპული მეტყველების ნიმუშებიც.

მწერლის სიტყვით, „სასიკვდილო შეებრძოლება ჩვენი მამალი მტერსა. გაიმართება მამლებს შორის ფარ-ხმლის ტრიალი: ქვეყანა შეიძვრის იმათ ბრძოლისაგან, მზე დაბნელდება მამლების ფეხთა ანადენი მტერისაგან“.⁷ ასეა გაზვიადებული მამლის ფიზიკური ძალმოსილება. ეს ჰიპერბოლა ღიმილის მომგვრელია, რადგან ფრინველთა „შესაძლებლობების“ წარმოჩენას ემსახურება.

ფიქსირებულ ფორმათა განმეორების ტენდენციას მიანიშნებენ ის უხვი სინონიმები, რომლებიც გაბნეულია ტექსტში და რომლებიც გროტესკულად წარმოაჩენენ პერსონაჟის მხატვრულ სახეს. მოთხრობაში ვკითხულობთ: „დღეს ამ ყოფაშია მამალი. საბრალო სანახავია სწორედ ეს ოდესმე ახოვანი, გულოვანი და ტანოვანი ვაჟკაცი“.⁸ ღიმილთან ერთად თითქოს თანაგრძნობასაც აჩენს შემდეგი სიტყვები: „მანამ მკლავში და მუხლში ძალა ჰქონდა მამალს, იბრძოლა და როცა დაიღალა, დაოსდა, არაქათი გამოეღია, გატყდა, რაცრაცით და ბარბაცით გასწია დასამალად, დედლებმა არ დამინახონ შერცხვენილი, თავლაფდასხმული“.⁹

მოთხრობის სიუჟეტი გარკვეულწილად ჩვენი სამშობლოს-საქართველოს ისტორიის ერთგვარი სიმბოლური ქვეტექსტია. თითქოს ლოცვის ინტონაციას შეიცავს ის სტრიქონები, რომლითაც მთავრდება ნაწარმოები: „ღმერთო, შენ უშველე ჩვენს მამალს, მოარჩინე, გაათავისუფლე წყლულებისაგან, რომ მტრების ჯავრი ამოიყაროს“.¹⁰

ვაჟა-ფშაველას თითქმის ყველა პროზაული თხზულებიდან ჯანსაღი ოპტიმიზმის სხივი გამოკრთის. ამას მოწმობს ის სტრიქონები, ჩვენი

⁵ ვაჟა-ფშაველა, დასახ. კრებული. გვ. 147

⁶ იქვე, გვ. 149

⁷ იქვე, გვ. 147

⁸ ვაჟა-ფშაველა, დასახ. კრებული, გვ. 150

⁹ იქვე, გვ. 150

¹⁰ იქვე, გვ. 150

ეროვნული სვებედის ასოციაციას რომ იწვევს და რომლითაც მთავრდება მოთხრობა:

„არა უშავს რა, მამალი
მაინც გმირია, მაინცა,
თუმცა კი, მტრისა სიმრავლით
მისი დიდება დაიქცა...“

ერთხელაც იქნება მორჩება,
ყელს მოიდერებს გმირია,
საგათენებოს იყივლებს:
„ყველამ დავიფრთხოთ ძილია!“

მთა-ბარსაც აათამაშებს
მამლის ქამანჩა-სტვირია:
„ადეგით, აიშალენით
და დაიბანეთ პირია!“

მითქვამს და კიდევაც ვიტყვი:
მამალო, რასა სტვირია?!
ინდაურების სკერტვამა ¹¹
როგორ გაგტეხა გმირია?“

3. დასკვნა

იმედი ასულდგმულებს კაცობრიობას. იმედით ცხოვრობდა ჩვენი სასიქადულო მწერალიც. ფაქიზი ხუმრობა-იუმორის ფონზე, სევდანარეკ განცდებთან შერწყმული იმედიანი განწყობილების შუქიც იჭრება მოთხრობაში. „ჩვენს მამალში“ დაღვრილი ღიმილი სიცოცხლის უშრეტი ენერჯის ნიშანია. ეს თვისება სამყაროს სიყვარულს მოიცავს და ვაჟა-ფშაველას ამ მშვენიერი მოთხრობის გული და შინაარსია.

საკვანძო სიტყვები:

კომიზმი, გროტესკი, ანთროპომორფიზაცია, ფიქსირებულ ფორმათა განმეორება, ტროპული მეტყველება, სინონიმები, ჰიპერბოლა.

ლიტერატურა

1. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
2. ი. ევგენიძე, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1989.
3. აკაკის კრებული, I, თბ., 1999.
4. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1964.

¹¹ ვაჟა-ფშაველა, დასახ. კრებული, გვ. 151.

**FLOW OF COMIC AND ITS IMAGE IN THE
PROSE VAJA-PHAVELA
(According to the story "Our cock")**

NANA KUPRADZE

*Georgian Technical University,
77 Kostava ave., Tbilisi*

Vaja - Pshavela creative scholars unanimously recognize that the writer's creative talent and instinct especially the stories revealed that silent nature theme is the specific Vaja prose for "Roe-buck narrated", "Violet", "Roots", "River hill" and similar story's, but the other side of the arc intersect story's: humorous - humorous, very cynical approach, moral stories, including "Ours cock".

The main peculiarity of this story is a grotesque antrohomopizacy. Separate reader - are not separately perceived by the human sense of prisoner birds and proper person, but as one whole.

Comicality is followed by the expression of the story serves tropil collected samples of speech as well.

**Место комизма в прозе ВАЖА-ПШАВЕЛА
(рассказ "Наш петух")**

НАНА КУПРАДЗЕ

*Грузинский Технический Университет,
Тбилиси, ул. Костава 77*

В статье рассматривается комическое произведение Важа-Пшавела

**Intentionality
A Lecture in Text Linguistics**

Tamar Mebuke

Technical University of Georgia.

Intentionality is among the seven standards of textuality (cohesion, coherence, intentionality, acceptability, informativity, situationality, intertextuality) which should be satisfied for a text to be communicative. Cohesion and coherence are text-centred notions, designating operations directed at the text materials. The other standards are user-centred notions which are brought to bear on the activity of textual communication at large, both by producers and by receivers. The cohesion of surface texts and the underlying coherence of textual worlds are the most obvious standards of textuality. They indicate how the component elements of the text fit together and make sense. (Beaugrande R.-A. de; Dressler W.: 1987) Even so, they cannot provide absolute borderlines between texts and non-texts in real communication. People can and do use texts which, for various motives, do not seem fully cohesive and coherent. There should therefore be included the attitudes of text users among the standards of textuality. A language configuration must be intended to be a text and accepted as such in order to be utilized in communicative interaction. These attitudes involve some tolerance toward disturbances of cohesion or coherence, as long as the purposeful nature of the communication is upheld. The production and reception of texts function as discourse actions should be relevant to some plan or goal.

Intentionality concerns the text producer's attitude that the set of occurrences should constitute a cohesive and coherent text instrumental in fulfilling the producer's intentions, e.g. to distribute knowledge or to attain a goal specified in a plan. To some degree, cohesion and coherence could themselves be regarded as operational goals without whose attainment other discourse goals may be blocked. The notion of intentionality was introduced to subsume the intentions of text producers. In the most immediate sense of the term, the producer intends the language configuration under production to be a cohesive and coherent text. Some situations may place such limits on time and processing resources that this intention is not fully realized by the presentation. The inconsistent surface structures (whose use would be called "anacoluthon" in classical rhetoric) signal the influence of such situational factors.

The word *anacoluthon* is a transliteration of the Greek ἀνακόλουθον (*anakólouthon*), which derives from the privative prefix ἀν- (*an-*) and the root adjective ἀκόλουθος (*akólouthos*), "following". This, incidentally, is precisely the meaning of the Latin phrase *non sequitur* in logic. However, in Classical rhetoric anacoluthon was used *both* for the logical error of *non sequitur* and for the syntactic effect or error of changing an expected following or completion to a new or improper one. An **anacoluthon** is a rhetorical device that can be loosely defined as a change of syntax within a sentence. More specifically, anacoluthons (or "anacolutha") are created when a sentence abruptly changes from one structure to another. Grammatically, anacoluthon is an error; however, in rhetoric it is a figure that shows excitement, confusion, or laziness. In poetics it is sometimes used in dramatic monologues and in verse drama. In prose, anacoluthon is often used in stream of consciousness writing, such as that of James Joyce, because it is characteristic of informal human thought.

In its most restrictive meaning, anacoluthon requires that the introductory elements of a sentence lack a proper object or complement. For example, if the beginning of a sentence sets up a subject and verb, but then the sentence changes its structure so that no direct object is given, the result is anacoluthon. Essentially, it requires a change of subject or verb from the stated to an implied term. The sentence must be "without completion" (literally what "anacoluthon" means). A sentence that lacks a head, that supplies instead the complement or object without subject, is *anapodoton*. As a figure, anacoluthon directs a reader's attention, especially in poetry, to the syntax itself and highlights the mechanics of the meaning rather than the object of the meaning. It can, therefore, be a distancing technique in some poetry. E.g. William Shakespeare uses anacoluthon in his history plays such as in this (*Henry V* IV iii 346-6): "*Rather proclaim it, Westmoreland, through my host, / That he which hath no stomach to this fight, / Let him depart.*"

Additionally, Conrad Aiken's "*Rimbaud and Verlaine*" has an extended anacoluthon as it discusses anacoluthon: "*Discussing, between moves, iamb and spondee / Anacoluthon and the open vowel / God the great peacock with his angel peacocks / And his dependent peacocks the bright stars...*"

The term "anacoluthon" is used primarily within an academic context. It is most likely to appear in a study of rhetoric or poetry. For example "*The King's English*", an English style guide written by H.W. Fowler and F.G. Fowler (1999) mentions it as a major grammatical mistake: "We can hardly conclude even so desultory a survey of grammatical misdemeanours as this has been without mentioning the most notorious of all. The anacoluthon is a failure to follow on, an unconscious departure from the grammatical scheme with which a sentence was started, the getting switched off, imperceptibly to the writer, very noticeably to his readers, from one syntax track to another."

Such discontinuities and shifts are usually tolerated when they do not disturb communication, especially if their causes are readily apparent. The same point can be made regarding reduced coherence. Text producers may become confused and inconsistent if the situation is in some way disorienting:

"Well, sir, " said the constable, "he's the man we were in search of, that's true; and yet he's not the man we were in search of. For the man we were in search of was not the man we wanted, sir, if you understand my everyday way." (Hardy 1977: 30)

This illogical series of assertions arose from a case of mistaken identity. On occasion, a text producer may deliberately impair coherence for special effect. When Sherlock Holmes is pretending to be deliriously ill, his plan calls for deceiving Watson by appearing incoherent:

“You will convey the very impression which is in your own mind a dying man a dying and delirious man. Indeed, I cannot think why the whole bed of the ocean is not one solid mass of oysters, so prolific the creatures seem. Ah, I am wandering!” (Conan Doyle 1967: 444)

Of course, Holmes is careful to maintain the intended topic in spite of the picturesque ramblings about ‘oysters’, so that the superior goal of his long-range plan is upheld. This kind of intentionality attaining goals through deception is not widely dealt with in philosophical discussions.

One of the main principles of intentionality is co-operation which states as “make your conversational contribution such as is required, at the state at which it occurs, by the accepted purpose or direction of the talk exchange in which you are engaged”. Co-operation would be clearly demanded in situations where someone is in need of advice or assistance. The following dialogue shows violations of the maxim:

“How am I to get in?” she repeated aloud. “I shall sit here,” the Footman remarked, “till to-morrow or the next day, maybe.” “How am I to get in?” asked Alice again in a louder tone. “Are you to get in at all?” said the Footman. “That’s the first question, you know ... I shall sit here,” he said, “on and off, for days and days.” “But what am I to do?” said Alice. “Anything you like,” said the Footman, and began whistling”.

Here, Alice’s intentions are blocked by the Footman’s refusal to accept her plan of ‘getting in’; instead he muses over his own rather goalless plans.

The interdependence of cohesion and coherence with intentionality can lead to complicated situations. In a wider sense of the term, intentionality designates all the ways in which text producers utilize texts to pursue and fulfil their intentions. Linguistics has been most profoundly affected by the philosophical approach, labouring over the question of how intentions are in fact correlated with the format and sense of utterances. Searle builds upon Austin’s (1962) work to develop the notion of “speech acts”, i.e. actions which the utterance of a text intentionally or conventionally performs. He distinguishes: (a) *utterance acts* as the simple uttering of words or sentences; (b) *prepositional acts* as the use of content and reference; (c) *illocutionary acts* as conventional activities accomplished by discourse, e.g. promising, threatening, etc.; and (d) *perlocutionary acts* as the achieving of effects on text receivers, e.g. alarming or convincing them. He undertakes to state the conventions which apply to the illocutionary acts. For example, *promising* entails stating your future action which the text receiver desires and which you would not do otherwise in the normal course of things; to be “sincere”, you must really intend to do the action and to place yourself under the obligation to do it.

A Locutionary act is a term in linguistics introduced by John L. Austin in investigations concerning what he calls 'performative' and 'constative utterances'. According to Austin's original exposition in “How to Do Things With Words”(1962) an illocutionary act is an act (1) for the performance of which I must make it clear to some other person that the act is performed (Austin speaks of the 'securing of uptake'), and (2) the performance of which involves the production of what Austin calls 'conventional consequences' as, e.g., rights, commitments, or obligations. For example, in order to successfully perform a promise I must make clear to my audience that the promise occurs, and undertake an obligation to do the promised thing: hence promising is an illocutionary act in the present sense. Austin introduced the illocutionary act by means of a contrast with other kinds of acts: the illocutionary act, he says, is an act performed *in* saying something, as contrasted with a locutionary act, the act *of* saying something, and also contrasted with a perlocutionary act, an act performed *by* saying something. But it may be misleading to distinguish between 'kinds' of acts, for these are not separate categories of speech, but instead describe different levels on which speech might work. Any one particular speech event may have any combination of locutionary, illocutionary or perlocutionary effects.

Still another conception of an illocutionary act goes back to Schiffer's famous book 'Meaning' (1972, 103), in which the illocutionary act is represented as just the act of meaning something. According to the conception Bach and Harnish adopt in 'Linguistic Communication and Speech Acts' (1979), an illocutionary act is an attempt to communicate, which they again analyse as the expressing of an attitude. According to a widespread opinion, an adequate and useful account of "illocutionary acts" has been provided by John R. Searle (e.g., 1969, 1979). Searle (1975) set up the following classification of illocutionary speech acts: **assertives** = speech acts that

commit a speaker to the truth of the expressed proposition, **directives** = speech acts that are to cause the hearer to take a particular action, e.g. requests, commands and advice, **commissives** = speech acts that commit a speaker to some future action, e.g. promises and oaths, **expressives** = speech acts that expresses on the speaker's attitudes and emotions towards the proposition, e.g. congratulations, excuses and thanks, **declarations** = speech acts that change the reality in accord with the proposition of the declaration, e.g. baptisms, pronouncing someone guilty or pronouncing someone husband and wife. If we adopt the notion of illocutionary *force* as an aspect of meaning, then it appears that the (intended) 'force' of certain sentences, or utterances, is not quite obvious. If someone says, "It sure is cold in here", there are several different illocutionary acts that might be aimed at by the utterance. The utterer might intend to describe the room, in which case the illocutionary force would be that of 'describing'. But she might also intend to criticise someone who should have kept the room warm. Or it might be meant as a request to someone to close the window. These forces may be interrelated: it may be by way of stating that the temperature is too cold that one criticises someone else. Such a performance of an illocutionary act by means of the performance of another is referred to as an *indirect speech act*.

Another notion Searle and Vanderveken use is that of an 'illocutionary negation'. The difference of such an 'illocutionary negation' to a 'propositional negation' can be explained by reference to the difference between "I do not promise to come" and "I promise not to come". The first is an illocutionary negation - the 'not' negates the promise. The second is a propositional negation. In the view of Searle and Vanderveken, illocutionary negations change the type of illocutionary act.

A **perlocutionary act** (or **perlocutionary effect**) is a speech act, as viewed at the level of its psychological consequences, such as persuading, convincing, scaring, enlightening, inspiring, or otherwise getting someone to do or realize something. This is contrasted with locutionary and illocutionary acts (which are other levels of description, rather than different *types* of speech acts). The term was introduced by J. L. Austin in his work "*How to Do Things With Words*"(1962). Unlike the notion of locutionary act, which describes the linguistic function of an utterance, a perlocutionary effect is in some sense external to the performance. It may be thought of, in a sense, as the effect of the illocutionary act. Therefore, when examining perlocutionary acts, the effect on the hearer or reader is emphasized. As an example, consider the following utterance: "By the way, I have a CD of Debussy; would you like to borrow it?" Its illocutionary function is an *offer*, while its intended perlocutionary effect might be to impress the listener, or to show a friendly attitude, or to encourage an interest in a particular type of music.

Though speech-act theory has made impressive contributions to the study of pragmatics, it has some inherent limitations. There is a vast difference between relatively well-defined acts such as "promising" or "threatening" and extremely diffuse acts such as "stating", "asserting", "describing", or "questioning"; yet all of these are grouped together as "illocutionary acts". There is no obvious way to set down the conditions and intentions which must be given in order to "state" or "describe" according to criteria as exact as those provided for the action of "promising". If someone says:"I promise", or "I apologize" the action is transparent enough, because the *uttering is itself the action*. The verbs for such actions are often called PERFORMATIVES, and their use is common in legal and parliamentary transactions:"I hereby adjourn the meeting" or "I now pronounce you man and wife". Everyday communication is far more diversified and far less transparent. Many commonplace intentions are hardly ever made explicit.

A more general approach has been worked out by Paul Grice (1975, 1978). He offers a set of "maxims" that the producers of texts normally follow in conversation. The "maxims" are merely strategies and precepts, not "rules" as envisioned by Searle. We illustrate below the maxims as quoted from Grice (1975: 45ff).

1. The maxim of QUANTITY is given as "Make your contribution as informative as (but not more informative than) is required."

2. The maxim of QUALITY is concerned with truthfulness: "Do not say what you believe to be false, or that for which you lack adequate evidence." This standard is more rigorously applied to scientific texts than to conversation, but even in the latter, it is generally regarded as a social obligation. Disregard for truthfulness may be motivated by the intention of concealing one's own actions.

3. The maxim of RELATION is simply “be relevant”. Relevance could have at least two aspects: (a) what kinds of knowledge are related to a given topic; or (b) what kinds of knowledge would be useful in attaining some goal.

4. The maxim of MANNER includes several ways to arrange and deliver texts. “Be perspicuous” has been restated as “be such that the intentions you have for what you say are plainly served”. The maxim of manner includes another injunction, namely to “avoid obscurity of expression”. Here, the potential obstacle to communication lies in the phase of mapping already selected and organized content onto surface expression, rather than in making the selection itself. A third part of the maxim of manner is “avoid ambiguity”. Although many natural language expressions could have different senses under different conditions, ambiguity obtains only when it cannot be decided which sense is actually intended. If multiple senses are in fact intended, we would use the term “polyvalence”. While the processing of polyvalence is no doubt arduous, ambiguity has the additional annoyance of expending effort on materials neither intended nor useful. Consequently, participants hasten to eliminate ambiguity by regulative action, usually by paraphrasing the content into a non-ambiguous format. The fourth part of the maxim of manner is “be brief”. While the maxim of quantity concerns how much you say, brevity concerns how much you take to say it.

By following the maxims, text producers are not committing themselves to performing special actions under conventionally established conditions; they are merely trying to communicate with a minimum of needless effort and disturbances. The application of the maxims would be a case of procedural attachment: the current materials of the discourse would be managed according to general procedures. However, producers’ intentions may lead them to violate the maxims when it seems expedient a factor suggesting that the “sincerity” criteria of speech act theory are not a satisfactory account for discourse actions.

In behaviourism theory the human organism figures as a mechanism continually “responding” to the “stimuli” of its environment. Theories of language and meaning were set forth in these terms. One of the many human capacities ignored or even abrogated by this approach is planning: the ability to envision alternative future states and to work toward a particular desired one. Of course, human planners are not all-knowing or all-powerful, and hence one must also notice and react to environmental conditions. Yet even then, the “stimuli” being encountered are often understood in terms of their implications for one's plans.

The human mind is presumably endowed with what might be called a threshold of plan activation. This threshold would be the degree of awareness of possible future states that is required to start developing a plan. When a desired future state appears uncertain enough that its attainment might well fail, the planner has a problem. Hence, planning is an elaborated, comprehensive type of problem-solving applied to advancing the planner's own state toward a goal in an evolving situation. The plan might begin at the current state (the moment of making the plan) or at an initial state where the plan will start running later on. As a default, we could assume that the goal state should be desirable from the planner's standpoint.

The amount and intensity of planning would vary according to several factors: (a) the probability or improbability of attaining the goal; (b) the presence or absence of stabilized social conventions for attaining the goal; (c) the possible interference of counter-planners (other agents whose goals conflict with one's own); and (d) the required range of planning, i.e. short-term vs. long-term (the number of steps needed to carry out the plan. The discourse action, which changes a situation, would be plan-directed whenever the text producer is trying to steer the situation toward some goal. The term “situation management” can designate this activity, while the simple reaction to a situation by describing or narrating the available evidence would be “situation monitoring”.

Since discourse is definable as a situation or event sequence in which various participants present texts as discourse actions, we can consider communication through discourse as an

instance of interactive planning. For example, your plan might require inducing beliefs in others such that they will be helpful in bringing about your goal. This plan would be problematic if those beliefs were contrary to available evidence, or not based on evidence at all.

A strategy of discourse action bears upon how situations are monitored. According to this strategy, if a monitoring is rejected or disapproved of, it could be replaced with a less mediated version, i.e. a version based more directly on the available evidence.

Cited Literature:

- Aiken, Conrad (1970) U.S. poet, novelist. *Twentieth Century Poetry; American and British (1900–1970)*. John Malcolm Brinnin and Bill Read, eds. (1963, rev. ed., 1970) McGraw-Hill Book Company.
- Austin, John L. (1962) *How to do Things with Words: The William James Lectures delivered at Harvard University in 1955*. Ed. J. O. Urmson, Oxford: Clarendon.
- Beaugrande, Robert-Alain de; Dressler, Wolfgang (1987) Introduction to Text Linguistics. XIV Congress of Linguists, Berlin
- Brown, Huntington and Albert W. Halsall.(1993) "Anacoluthon" in Alex Preminger and T.V.F. Brogan, eds., *The New Princeton Encyclopedia of Poetry and Poetics*. Princeton, NJ: Princeton University Press: 67-68.
- Carroll, Lewis (1995). *The Complete, Fully Illustrated Works*. New York: Gramercy Books. ISBN 0-517-10027-4.
- Conan Doyle (2007). *The Adventures of Sherlock Holmes*. Free Press.
- Fowler H.W. (1999) *The King's English. Second Edition*. New York: Bartleby. Com.
- Grice, Paul (1975) Logic and conversation. In Cole, P. and Morgan, J. (eds.) *Syntax and semantics*, vol 3. New York: Academic Press.
- Locutionary Act.(2005) *The Oxford Dictionary of Philosophy*. Copyright © 1994, 1996, 2005 by Oxford University Press.
- Searle, John R. (1969) *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*. Columbia University Press
- Searle, John R. (1979) *Expression and Meaning: Studies in the Theory of Speech Acts* (essay collection) Cambridge, Mass.: MIT Press
- Searle, John R. (1983) *Intentionality: An Essay in the Philosophy of Mind*. Cambridge University Press.
- Shakespeare, William. *Henry V*. (1982) Gary Taylor, editor. Oxford: Oxford University Press.
- Schiffer, Stephen (1972) *Meaning*. Oxford University Press.
- Schiffer, Stephen (2003) *The Things We Mean*. Oxford University Press.

Интенциональность (лекция по лингвистике текста)

Т. Мебуке

Статья является лекцией по курсу лингвистика текста и посвящена вопросу интенциональности как одному из основных параметров текстуальности

ინტენციონალობა (ლექცია ტექსტის ლინგვისტიკაზე)

თ. მებუკე

მოსხენება წარმოადგენს ლექციას ტექსტის ლინგვისტიკაში და ეძღვნება ინტენციონალიზმს, როგორც ტექსტუალობის ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს.

სვანური საისტორიო სიტყვიერების თემატიკა ტყვეობის ამსახველი გადმოცემები

ო. ონიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სვანური საგმირო-საისტორიო გადმოცემები გამოირჩევიან თემატიკური სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. მათში მთელი სისრულითა და მაღალმხატვრული ოსტატობით აისახა და წარმოჩნდა კუთხის ყოფიერებისათვის დამახასიათებელი უმთავრესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები-უძველესი დროიდან დღემდე. ცხადია, მათი საფუძვლები ზოგად ქართულ ძირებშია საძიებელი, მაგრამ სვანეთი მნიშვნელოვნად ორიგინალური ტომობრივი ერთეულია საქართველოსი, მისი ისტორიული თავგადასავალიც სპეციფიკურია. აქ მოძიებული ფოლკლორული მასალა, კერძოდ, საისტორიო გადმოცემები არქაულია. თავდაპირველად საფეხურებამდე მიყვავართ, ისინი საზოგადოების განვითარების შორეულ წარსულში გვახედებენ, თითქმის, რომლის კვალი საქართველოს სხვა კუთხეებში მთლიანად გამქრალია, სვანურში კი თავდაპირველი მყოფობითაა შემორჩენილი. ამდენად, მათი შესწავლა აუცილებელია... ა.შანიძე ახასიათებს რა ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანი) მოღვაწეობას, მის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ წერილებს, საგანგებოდ მიუთითებს, რომ მათი მნიშვნელობა “იგივეა სვანეთისათვის, რაც ვაჟა-ფშაველას “ფშაველი და მისი წუთისოფელი” ფშავისათვის. რასაკვირველია, სვანური საგმირო-საისტორიო სიტყვიერების შესწავლასაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს მკითხველი საზოგადოებისათვის, როგორც საქართველოს ნებისმიერი კუთხისას. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სვანურ ზეპირ-სიტყვიერებაში მოძიებული მასალა კიდევ უფრო ამდიდრებს, აფართოებს და ახალი შინაარსით ავსებს ზოგად ქართულ საისტორიო სიტყვიერების თემატიკურ სამყაროს და გარკვეულად მეტ სისრულეს, სიახლესა და დამაჯერებლობას მატებენ მას...

იბადება კითხვა: მაინც რით არის საინტერესო სვანური საისტორიო გადმოცემები? როგორია ამ გადმოცემების თემატიკური სამყარო? რანაირი შინაარსის? რას შეიცავენ, გვეუბნებიან ეს გადმოცემები ისეთს, რომელიც გამოკვეთილად გამოარჩევს მათ საქართველოს სხვა კუთხის საისტორიო გადმოცემებიდან? რამდენად ფასეულია მათი შესწავლა კვლევა-ძიების დღევანდელ ეტაპზე? პასუხისათვის იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ მასალა ძალზე ორიგინალურია. მათში სრულადაა წარმოჩენილი ტომის შიგნით მიმდინარე პროცესების თავისებურებები, კერძოდ, გვარების, სოფლების, თუ ცალკეულ მოსახლეთა შორის ტყვედ გატაცება, რომელიც საქართველოს არცერთ ისტორიულ კუთხეში არ დასტურდება. ჩვენი კვლევის საგანიც ეს არის, ტყვედ გატაცების შემთხვევები, უფრო ზუსტად ტრადიცია, რომელიც მხოლოდ სვანთა ყოფიერებისათვის არის დამახასიათებელი. ცნობილია, რომ ძველად გვართა შორის ურთიერთობები ძალმომრეობაზე იყო დაფუძნებული, ოღონდ არა მარტო გვართა შორის. აქ განმარტებაა საჭირო: ზოგჯერ თვით გვარშიც ადგილი ჰქონდა ძმათა შორის მკვლელობებს, დაზარალებულის სახლ-კარის დაპატრონებას, ასევე სახნავ-სათესი მიწებისა და საქონლისაც. ამ აზრით საინტერესოა საისტორიო წყაროებში კარგად ცნობილი საგვარეულოს დადემქვლიანების ისტორია... დავსძენთ, რომ გვართა შორის

ბრძოლა, მტრობა პირველობისათვის ხშირად ერთ-ერთი გვარის სრული ამოწყვეტით მთავრდებოდა. ადამიანის ტყვედ გატაცება სისხლის საფასურის ტოლფასი იყო. ცხადია დაზარალებული ვერ ეგუებოდა დამცირებულ მდგომარეობაში ყოფნას, იგი მთელი საგვარეულოსათვის იყო სირცხვილი, ამიტომ ურთიერთობები რთულდებოდა. ვიდრე მიზეზებზე დავიწყებდეთ მსჯელობას, იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ სვანური საისტორიო გადმოცემების მნიშვნელობა არ შემოისაზღვრება მხოლოდ წმინდა ფოლკლორის-ტული ინტერესებით. ისინი ერთ-ერთ სანდო ისტორიულ წყაროდ არიან მიჩნეული თვით ისტორიკოსების მიერ. მხედველობაში გვაქვს გ.გასვიანის ძალზე საინტერესო მონოგრაფიული ნაშრომი “ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან” (გასვიანი 1991-18) ნაშრომში საისტორიო წყაროებითან ერთად დამოწმებულია დიდძალი ფოლკლორული მასალა, როგორც სვანური პროზაული ტექსტებიდან, ისე პოეზიიდან. წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერ ძეგლებში რეალური სინამდვილეა ასახული, ისტორიულად დადასტურებული. ასე რომ, ისინი ყოველმხრივ სანდო ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ, მათი მნიშვნელობაც განსაკუთრებულია...

პრობლემა საკმარისად რთულია და ალბათ საჭიროა იმის ჩვენება, თუ როგორ ხდებოდა შიგნით, სვანურ ყოფიერებაში ტყვედ გატაცების შემთხვევები. რა იყო ამ ყოველად გაუმართლებელი ქმედების მიზეზი, საფუძვლები. რასაკვირველია, დღევანდელი გადასახედიდან გაჭირდებოდა მისი სრული გაგება თუ ახსნა. სირთულეები ძალიან ბევრია, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო... უამრავ მიზეზთაგან ერთ-ერთი, ალბათ, ადამიანთა კარჩაკეტილი, შეზღუდული ცხოვრება, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველ დროში ადამიანებს და სოფლებს შორის კონტაქტები, ურთიერთობები, ნეკლები იყო, ეჭვისა და უნდობლობის ერთ-ერთი საფუძველი აქედან იღებდა სათავეს და ბევრი სხვაც. თუმცა სვანეთი, როგორც ამას ისტორიკოსებიც ადასტურებენ, არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი ბართან ურთიერთობას, მას არცერთ დროს არ უცხოვრია თვითკმარი ცხოვრებით. მიუხედავად ამისა ფაქტი ფაქტად რჩება, გვაროვნული დამოკიდებულებები თავის დაღს ასვამდა საზოგადოების განვითარებას. სოფლებს შორის არც თუ ისე მეგობრული ურთიერთობები არსებობდა, ამიტომ ადამიანები ფრთხილობდნენ, ერიდებოდნენ მარტო სიარულს მეზობელ თუ შორეულ სოფლებში, მხოლოდ ჯგუფურად, კოლექტიურად დადიოდნენ თვით სამუშაოზე და სხვა რამ საქმეზეც. რასაკვირველია გამონაკლისი შემთხვევებიც იყო. სოფელში გამოერეოდა განსაკუთრებით ძლიერი (ფიზიკურად), ამასთანავე ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც მარტო, ამხანაგის გარეშე დადიოდა ყველგან, ახლო თუ შორეულ სოფლებში, მაგრამ ეს იყო იშვიათობა და ამგვარ გამორჩეულ პიროვნებაზე ლეგენდებიც კი იქნებოდა. ცხადია ამგვარი პიროვნება ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ "მვირად უღირდა თემს", სოფელს, მთელ ხეობას ამ სიტყვის ფართო გაგებით. იგი ბევრ მძიმე საქმეებს აგვარებდა, მოწინააღმდეგეთა შორის მედიატორობდა. არსებითად ამგვარი რჩეული ადამიანების ხვედრი იყო სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ გვართა, სოფელთა, თუ პიროვნებათა შორის საქმის კეთილად მოგვარება.

ტყვედ გატაცების შემთხვევებთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზები ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც ერთგვარად ამსუბუქებდა და ხელს უწყობდა ადამიანთა შორის მეგობრულ სიახლოვესა და ერთიანობას. ეს იყო რელიგიური დღესასწაულები. აქ ადამიანები ძალიან

მოკრძალებულად ქმედობდნენ, ღმერთის რისხვას ყველა ერიდებოდა, თუმცა აქაც თითოეულ გვარს, თუ სტუმარს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. დღესასწაული ყოველთვის მშვიდად, მხიარულად და კეთილი განწყობით მთავრდებოდა, მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება, ტყვედ გატაცების შემთხვევები არსებობდა, ამიტომ უმჯობესი იქნება ტექსტებზე უშუალო დაკვირვება. გადმოვცემთ ერთერთი გადმოცემის "ტყვეს როგორ იჭერდნენ" შინაარსს: "ძველად ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასვლას მარტო (ამხანაგის გარეშე) იშვიათად თუ ვინმე გაბედავდა – იმიტომ, რომ სხვა სოფლები იჭერდნენ და სანამ დაზარალებული საფასურს არ გადაიხდიდა, მანამდე დატყვევებულს არ გაათავისუფლებდნენ. მდიდარს მეტი უნდა გადაეხადა, ღარიბს ნაკლები. საფასურს, გადასახდელს ის მოსახლე დაადგენდა, რომელმაც დაიჭირა, რომელთანაც ტყვე იმყოფებოდა. ტყვე ადამიანის განთავისუფლებისათვის გადასახდელი სისხლის საფასურის ტოლფასი უნდა ყოფილიყო – დაზარალებულს სახნაგ-სათესი მიწები უნდა გადაეხადა, ქონების გარკვეული ნაწილი, საქონელი, განძი. როცა მოსახლე ტყვეს დაიჭერდა, ფეხებს "პულში", სპეციალურად გაკეთებულ ხის ბორკილში ჩაუსვა მდნენ, რომ ვერ გაქცეულიყო და ციხე-კოშკის დილეგში დაამწყვდევდნენ, ზედ ფიქალ ქვას დააფარებდნენ, რომ სინათლე არ შესულიყო. ამ დილეგს სატყვეოს ეძახდნენ. ტყვესო დღეში ერთ პატარა "კოკორს" ჩაუგდებდნენ ძაღლივით და ცივი წყლის მაგიერ თბილ წყალს ასმევდნენ. თუ ტყვე შედარებით კარგ მოსახლესთან მოხვდებოდა, შინ ჰყავდათ, სახლში, სანამ საფასურს არ გადაიხდიდნენ. ზოგჯერ ადამიანს ტყვედ მთელი სოფელი იჭერდა. ასეთ შემთხვევაში, ბორკილებში ჩასმის შემდეგ ერთი მოსახლედან მეორე მოსახლეში გადაჰყავდათ და ასე დაატარებდნენ მოსახლიდან მოსახლეში. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლე საფასურს ვერ გადაიხდიდა, მაშინ დააგლებდნენ ტყვეს ხელს და საქონელში გაყიდნენ ოსეთში (ჩრდილო კავკასიაში). დატყვევებული ოჯახს ქმნიდა, თუ სარწმუნოებას შეიცვლიდა და მრავლდებოდა კიდევ. მათი ჩამომავლები ახლაც ბევრია ყარაჩაში, ყაბარდოში, ბაღყარეთში და სხვა. ზოგიერთი გვარის ადამიანები გადმოდიან სვანეთში, ეცნობიან თავიანთ ნათესაებს. აქედანაც გადაიპატიუებენ და ამნაირად აქვთ ურთიერთობები" [სვანური 1978: 70].

გადმოცემა მრავალმხრივადაა საინტერესო. როგორც შინაარსიდან ირკვევა ტყვედ გატაცება სხვადასხვანაირი იყო: ინდივიდუალური და კოლექტიური. პირველი, როცა კონკრეტულად მოსახლე დაატყვევებდა ვინმეს. ასეთ შემთხვევაში მოლაპარაკებაც ინდივიდუალური იყო. ცხადია, ამ გაუმართლებელ ჩვეულებას (ადამიანის დატყვევება) თან ახლდა მტრობა, ამიტომ საფასურის გადამხდელს ფიცი უნდა დაედო, რომ შურს არ იძიებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვეს არ უბრუნებდნენ თავისიანებს. დაზარალებული საბოლოოდ იძულებული იყო დამტყვევებელს ყველა პირობებზე დათანხმებოდა. სულ სხვაგვარი იყო მოლაპარაკება, როცა პიროვნებათა გარკვეული წრე დაატყვევებდა ვინმეს...

მრავლისმეტყველია ისიც, რომ კოშკში დატყვევებულისათვის ცალკე დილეგი იყო გამოყოფილი – სატყვეო. გადმოცემიდან ვგებულობთ, რომ ტყვედ გატაცებას კოლექტიური, ჯგუფური ხასიათი ჰქონდა. სამწუხაროდ ადამიანის დატყვევებას ზოგჯერ სოფელიც მხარს უჭერდა და გამტაცებლებს მფარველობდა კიდევ. ეს კი ძაბავდა ურთიერთობებს და ართულებდა მოლაპარაკებას. მხოლოდ სოფლის თავკაცების, გვარის, ოჯახის "მახვშების" – უფროსების და მთელი ხეობის ძალისხმევით ხერხდებოდა შერიგება... სწორედ

ამ აზრითაა საინტერესო გადმოცემა "ჯაბას და სანჯახათის" შეპყრობა. "იფარელებს ადრე სვიბიშერების ბიტილი დაუჭერიათ. დამჭერები ხვისტანები ყოფილან. სვიბიშერებს იფარის წმ. გიორგისათვის ხარი მიუყვანიათ. მოსულა სოფელი და სვიბიანთ ბიტილი გაუთავისუფლებიათ. შემდეგ ლატალებს ჯაბა და სანჯახათი დაუჭერიათ. სანამ საფასური არ გადაუხდიათ, არ გაუთავისუფლებიათ. ამის შემდეგ იფარელები ყოველთვის ცდილობდნენ ლატალებს დაჭერას (ვინმეს), მაგრამ ვერავინ მოუხელთებიათ... მაშინ საქონლის ჯოგი წაურთმევიათ ლატალებსათვის. ლატალებს უნდოდათ ჯოგის წართმევა, მაგრამ სანამ ჯაბასი და სანჯახათის საფასური არ დაუბრუნებიათ, მანამდე არც იფარელებს დაუბრუნებიათ ჯოგი..." [სვანური 1978: 70].

ამ გადმოცემიდან აშკარაა, რომ სოფელი თავის სოფლის მაცხოვრებლის ინტერესებს იცავდა, ეს კი მწვავე დაპირისპირებას იწვევდა. ასეთ შემთხვევაში ხალხი კოლექტიურად ჯგუფურად დადიოდა ყველგან. ტექსტში აქცენტირებულადაა თქმული, რომ იფარელები ყოველთვის ცდილობდნენ ლატალებს დაჭერას, მაგრამ ვერავინ მოიხელთეს. რასაკვირველია, დაზარალებული სოფელი ვერ უგუვდებოდა სირცხვილს, ყოველთვის ცდილობდა სამაგიეროს გადახდას. გადმოცემა გვაუწყებს, რომ იფარელებმა სხვა ხერხს მიმართეს. საქონლის ჯოგი წარსტაცეს ლატალებს და სანამ ჯაბას და სანჯახათის დახსნაში გადახდილი საფასური არ დაუბრუნეს უკლებრივ, მანამდე არც ჯოგი დაუბრუნეს ლატალებს. საბოლოოდ ყველაფერი შერიგებით დამთავრდა. ასე, რომ ტყვედ გატაცებას შიგნით სვანურ ყოფიერებაში დიდი დაძაბულობები ახლდა.

დაიძებნება ისეთი გადმოცემებიც, სადაც ტყვედ გატაცება ურთიერთ-შელაპარაკების გამოც ხდებოდა. ასე მაგალითად გადმოცემაში "უშგულელის დატყვევება" მოთხრობილია ერთ-ერთი მონადირის თავგადასავალი. "სანადიროდ წასულმა უშგულელმა ჯიხვი მოკლა. იფიქრა: სად, ვისთან მისატანად ემჯობინება ეს ჯიხვი? დიდი ხანია მათი გაზრდილი გელახსანი (ყანსავისანი) არ უნახავს. მენატრება და ეს ჯიხვი კარგი ძღვენი იქნება შემოდგომა დღეს. ასეც გააკეთა. წამოიკიდა ჯიხვი და მოაქვს მესტიაში. გზაში შეხვდნენ კალელები და ხალდელები, აუმიზეზდნენ, ჩხუბი დაუწყეს. უშგულელი დაიჭირეს, ჯიხვი წაართვეს. ეს უშგულელმა გაიგეს და დაერივნენ ერთმანეთს საჩხუბრად. ამ დროს გამოჩნდა აგულაანთ გეგი და შერიგებისაკენ მოუწოდა. ეს საქმე ყანსავთან გადავწყვიტოთო, დაიწყეს საქმის გარჩევა, "მოურავობა": კალელებს და ხალდელებს ნახევარი სისხლის საფასურის გადახდა გადაუწყვიტეს, მაგრამ გადასახდელის ნახევარი ყანსავმა გადაიხადა, ვინაიდან არეულობა მის გამო მოხდა, დანარჩენი კალელებმა და ხალდელებმა: მათ თითო ძროხა უშგულელებს გადასცეს.

განხილული გადმოცემიდან გაირკვა, რომ ტყვედ გატაცების შემთხვევები სხვადასხვანაირი იყო... თუ გატაცებული ტყვე შორეული სოფლიდან, რეგიონიდან იყო, მაგალითად მესტიიდან ლენტეხელი, ლაშხელი (ქვემო სვანეთიდან) გატაცებული, ან პირიქით, მაშინ მოლაპარაკება კიდევ უფრო რთული იყო. საბოლოოდ გამოინახებოდა საერთო ნაცნობი, იგი აუწყებდა დაზარალებულ ოჯახს, რომ მათი შვილი უმძიმეს პირობებშია, იხვეწება გათავისუფლებას, ნიშნად გადასცემდა შვილის თმას ნაჭერში შეხვეწულს. ესეც მუდარის ნიშანი იყო, რომ შველას ითხოვდა. დედა თმის ნაჭერს საგანგებოდ ინახავდა. დაზარალებულს იმასაც აუწყებდნენ, რომ თუ შვილს ვერ დაიხსნიდნენ, ტყვედ გაყიდვას უპირებენ ოსეთში, ჩრდილო კავკასიაში.

თუ დაზარალებული ვერ გადაიხდიდა საფასურს, ტყვეს გაყიდნენ. დედა ხშირად გამოიტანდა შვილის თმას და დასტიროდა.

ტყვეობის ამსახველი ზეპირსიტყვიერი მასალა საკმარისადა ბევრია ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, მაგრამ ვიმეორებთ, არცერთ კუთხეში, თვით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში: ფშავსა და ხევსურეთში არ დასტურდება გვარებს, სოფლებს შორის ტყვედ გატაცების შემთხვევები. იგი მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაშია შემორჩენილი.

გამოყენებული ლიტერატურა;

გასვიანი 1991: გასვიანი გერონტი, ნარკვევები შუასაუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ. „მეცნიერება“, 1991.

სიხარულიძე 1949: სიხარულიძე ქსენია, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თსუ გამომც. 1949.

სვანური ენის ქრესტომათია 1978: ტექსტები შეკრიბეს: ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, ა. შანიძისა და მ. ქაღდანის რედაქციით, თბ. 1978 წ.

Тематика сванских исторической словесности: предания о пленных и пленениях

О. Ониани
профессор, ТГУ

В статье представлены результаты исследования в сванских исторических преданиях мотивов взятия в плен; делается вывод, что этот мотив обнаруживается только в сванском фольклоре и этнографической действительности.

Subjects of svans historical literature: legends about captured and captives

O. Oniani
professor, TGU

The article deals with the motives of taking hostages in the historical speech expressions of the svans. The author concludes that these motives are typical only for the svans folklore and ethnography.

სვანური საისტორიო გადმოცემების თემატიკა

ო. ონიანი
პროფესორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სვანური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება ზოგად ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშან-თვისებებით წარმოგვიდგება. მის რეალური საფუძველი კუთხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით განისაზღვრება, ამიტომ პირველ რიგში ხალხურის ისტორიასთან მიმართების პრობლემაა გასარკვევი. მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ სინამდვილესთან ვერ გავაიგივებთ, თუმცა ასეთი გადმოცემებიც მოგვეპოვება... ქს.სიხარულიძის აზრით, “საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ბუნების გასარკვევად სხვადასხვა საკითხის განხილვისას საჭიროა სათანადო ადგილი დაეთმოს ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაციას, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე. ხალხური

ნაწარმოები ამ თვალსაზრისით მკაცრ ისტორიულ კრიტიკას მოითხოვს. იგი პირველ რიგში მხატვრული შემოქმედებაა ზეპირსიტყვიერების ყველა თავისებურებებით-კონტამინაცია-ციკლიზაციით, ანაქრონიზმებით, ტრადიციული მოტივების ეპიკური დამუშავებით და ტექსტის პოეტური ევოლუციით... ხალხურ ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილის ინტერპრეტაცია აუცილებელია, მისი იდეური მხარის გასათვალისწინებლად. სინამდვილის ისტორიული ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა მოხდეს აგრეთვე შემოქმედებითი პროცესის დადგენა; კერძოდ, საგმირო, ლირო-ეპიკისა და ეპოსის წარმოშობისა და განვითარების გზების გათვალისწინების". ამ აზრით, „საისტორიო განყოფილება მისი რეალური საფუძველის გამო ყველაზე ხელშესახებ მასალას იძლევა. (სიხარულიძე 1949: 8 ქსენია სიხარულიძე, ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება 1949-8). მკვლევარი იმასაც გვაუწყებს, რომ “ისტორიული ლექსი უკავშირდება ისტორიულ პირს, თუ მოვლენას”, ხოლო გადმოცემას არ განუცდია საგრძნობი პოეტური ევოლუცია და იგი ისტორიული ფაქტის აღწერას წარმოადგენს”. ამდენად, ამგვარი გადმოცემები ჭეშმარიტ ისტორიულ წყაროდაც შეიძლება მივიჩნიოთ... დამოწმებული თვალსაზრისი მრავალმხრივაა საინტერესო, მასში თეორიულადაა გააზრებული საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ბუნება, ჟანრული სპეციფიკა. ქს.სიხარულიძე პირველია ქართველი ფოლკლორისტებიდან, რომელმაც მდიდარ საარქივო და სამეცნიერო ექსპედიციებზე უშუალოდ მის მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით სრული სახით შეისწავლა და წარმოაჩინა ამ ჟანრის მდიდარი თემატიკური სამყარო და მოგვცა მისი ღრმა ანალიზი. დავსძენთ, რომ მის მიერაა შეკრებილი და გამოცემული სამი ტომი ტექსტებისა: “ქართული საგმირო საისტორიო სიტყვიერება”, მასში საქართველოს ყველა კუთხის მასალაა წარმოდგენილი, მათ შორის სვანურიდანაც...

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მცირე ექსკურსია აუცილებელი: სვანეთი თავისი ისტორიით, ყოფიერებით, ტრადიციებით, არსითა და ნიშანთვისებებით, როგორც სამეგრელო, საერთო ქართული ძირებიდან ამოზრდილი ტომობრივი ერთეულია, მნიშვნელოვნად რთული, თავისებური. მასში ეროვნული ძირებისათვის დამახასიათებელი არქაულობებია შემონახული როგორც ენობრივი თვალსაზრისით, ისე რწმენა-წარმოდგენებით, ზნე-ჩვეულებებით, საზოგადოების განვითარების თავისებურებებითა და მდიდარი ფოლკლორული ტრადიციებით, ასე რომ, რაიმე განსაკუთრებული ისეთი, რომელიც უცხო იქნებოდა ზოგადქართულისათვის არაა მოსალოდნელი და არც არის. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სვანურ ყოფიერებაში არაფერი იყოს ორიგინალური, განსხვავებული, მკვეთრად განსხვავებული, ახალიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში მისი საწყისი მაინც საერთო ქართულ ძირებშია საძიებელი. ამდენად, არსებული სპეციფიკურობანი ბუნაბრივად უნდა მივიჩნიოთ. იგი არასოდეს ეწინააღმდეგება და არ გამორიცხავს ზოგადქართულს და თუ უცხოურიდანაა შემოსული რაიმე მოტივი, ეპიზოდი ან სიუჟეტურ, გავლენასთან გვაქვს საქმე, იმას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს. აქ უკვე თავს იჩენს და გასათვალისწინებელია ხალხთა შორის ურთიერთობები, კავშირები გარესამყაროსთან. დაკვირვებული კვლევა –ძიება ამ მოვლენასაც შეამჩნევს... რაც შეეხება შიგნით, თვით ტომობრივი ყოფითი სხვაობების არსებობას, თავისი ახსნა ეძებნება კუთხის, ფართო გაგებით, ერის ისტორიაში. რასაკვირველია, ჩვენთვის ამოსავალია ისტორიკოსების აზრი, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე იყო დრო,

როდესაც მიმდინარეობდა დამოუკიდებელი ტომობრივი განვითარების პროცესები, რამაც განსაზღვრა როგორც ეთნოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური და სხვა, ისე ფოლკლორულ ჟანრთა ჩამოყალიბების და განვითარების გზების სპეციფიკურობანი, საფეხურებიც... სვანეთში გასული საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიან წლებამდე შემორჩა გვაროვნული ურთიერთობების არქაული გადმონაშთები, თვით ისეთი საზოგადოებრივი საფეხურისაც კი როგორც მატრიარქატა. ამიტომ აქ მოძიებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. საზგასმულია ისიც, რომ სვანეთში ზეპირსიტყვიერ ჟანრთა უჩვეულო თავმოყრასთან გვაქვს საქმე. კლასიკურ ხალხურ პროზას, მხარს უმშვენებს კლასიკური პოეზია თავისი ჟანრული მრავალფეროვნებით. ამ აზრით სვანური ფოლკლორი მკვეთრად გამორჩეული თავისთავადობაა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. საიდან, როგორ, თუ რანაირად, ძნელი საპასუხოა. იგი დამოუკიდებელ კვლევას საჭიროებს.

წარმოდგენილი თვალსაზრისების ფონზე ძალზე საინტერესოა სვანური საისტორიო გადმოცემები. რას მოგვითხრობენ ისინი? რით არიან საყურადღებო? აი, კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვენ. მარტივად რომ ვთქვათ, სვანურ საისტორიო გადმოცემებში კუთხის ისტორიულ თავადასავალთან ერთად მოთხრობილია გვარების, თვით სოფლებს შორისაც არსებული ძალზე რთული დაძაბული ურთიერთობები, რომელთა საფუძველი რეალური სინამდვილეა. აქ მოგონილი არაფერია. ისინი სანდო, ყოველნაირად სანდო ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ. ამ აზრით საინტერესოა გ. გასვიანის მონოგრაფიული ნაშრომი “ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. ცხადია შეფასებისაგან თავს ვიკავებთ, ვინაიდან ისტორიულ პრობლემებზე საუბარი ფოლკლორისტიკის მიზანს არ შეადგენს, ჩვენ ისტორიკოსთა მხოლოდ მონაპოვრები, დადგენილი თვალსაზრისები გვაინტერესებს, მაგრამ უნდა დავძინო, რომ გ. გასვიანის მონოგრაფიული ნაშრომი დაწერილია მაღალკვალიფიციურ დონეზე. ავტორის ყოველი მსჯელობა, თვალსაზრისი, დამყარებულია დიდძალ ფაქტობრივ მასალაზე. საარქივო თუ ცნობილ ისტორიულ წყაროებთან ერთად უხვადაა დამოწმებული და გაანალიზებული ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა. ისინი სამართლიანადაა მიჩნეული უტყუარ ისტორიულ წყაროდ. მართალია, ტექსტები ფოლკლორულია, მაგრამ მათში არ შეიმჩნევა არანაირი ცვლილება, ნამდვილი ამბავია მოთხრობილი, ასე რომ, ტექსტის რაიმე პოეტურ ევოლუციაზე საუბარი ზედმეტია. მხოლოდ სინამდვილეა აღწერილი ყოველგვარი შელამაზებისა და გადასხვაფერების გარეშე. გადმოცემები უკავშირდებიან გარკვეულ პიროვნებებს, საისტორიო წყაროებში კარგად ცნობილ საგვარეულოებს, მათ შორის ბრძოლებს გავლენის სფეროების გაფართოებისათვის. ასე რომ, გადმოცემებში მოგონილი არაფერია, არც რაიმე ფანტასტიკური... მასალა მრავალფეროვანია, იგი მონოგრაფიულადაა შესასწავლი. კონკრეტულ შემთხვევაში კი გვაინტერესებს კუთხის ისტორიაში და საერთოდ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ორი დიდი საგვარეულოს, რიჩგანებისა და დადეშქელიანების ბრძოლა პირველობისათვის. ეს ბრძოლა ძალზე სასტიკი და შეუბრალებელი იყო. მეტიც შეიძლება ითქვას, როგორც ეს გ. გასვიანს შესანიშნავად აქვს გამოკვლეული, ადგილი ჰქონდა თვით დადეშქელიანებში, შიგნით ძმათა მკვლელობის ფაქტებს, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს დასახელებულ გვართა დაპირისპირება, ბრძოლა. ამ აზრით განსაკუთრებით საყურადღებოა გადმოცემა “რიჩგანების ამოწყვეტა”. ასეთი

სათაური არაა შემთხვევით, სვანეთში მართლაც ჰქონდა ადგილი ცალკეული გვარების სრულ ამოწყვეტას. გადმოცემა გვაუწყებს, რომ რიჩგანები ძლიერი საგვარეულო ყოფილა. ისტორიული წყაროებიდანაც ირკვევა, რომ ისინი გარკვეულ პერიოდში დადემექელიანებზე ძლიერები იყვნენ, ამჯერად მათ საბინადრო ადგილზე მხოლოდ სახლებისა და ციხე-კოშკების ნანგრევებია დარჩენილი. თავის დროზე კი “რიჩგანების ერთი ნაწილი ლაზგარში სახლობდა, მეორე მაგირდს, მესამე ჩავას ციხე-კოშკში.

რიჩგანების მეორე ნაწილი უმეტესად ბეჩოსა და ფარში ცხოვრობდა. ისინი ყოფილან სოფ. ცხუმარის ბატონები. ეცერ-ცხუმარის სოფლებს საბატონოდ ერთმანეთს ეცილებოდნენ რიჩგანები და დადემექელიანები.

რიჩგანების უფროსს ერქვა გუგჩა, მის ცოლს იმახათი. გუგჩა გოლიათური აღნაგობის ვაჟკაცი ყოფილა, ახოვანი, შესამჩნევად ლამაზი. მოქმელის შენიშვნით უსწავლელი. მას თავის დასაცავად ზარბაზანიც ჰქონდა ნაყიდი ჩრდილოკავკასიაში, რონელიც ძალზე კარგად ისროდა მიზანში. სამი ციხე-კოშკის პატრონი იყო, თითოეულში 60 მცველი ეყენა.

ერთხელ გუგჩასა და მის ცოლს, იმახათს, ესტუმრა სოფ.ზაგრიდან გამოქცეული კაცი, რომელიც დიდხანს დარჩა სტუმრად. აქ მან ცოლ-ქმრის დიდი ნდობა დაიმსახურა, ფარულად კი ოთარ დადემექელიანთან დადიოდა.

ოთარმა მოისყიდა: - იმ ზარბაზანს თუ დაუშლი გუგჩასო. ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. სხვა ვერაფერი იღონა ზაგრელმა კაცმა და ერთ დღეს გუგჩას და მის ცოლს იმახათას უთხრა: - რატომ აჭმევთ ამდენ ადამიანს ესოდენ დიდ ქონებასო? დამაშლევინეთ ეს ზარბაზანი ისე, რომ ერთი კაცის სახმარი იყოს და ის მე ვიქნები, მე მარტო დავიცავ თქვენს საცხოვრებელსო.

გუგჩამ და იმახათმა გაიხარეს: - ეს მართალი უთქვამსო. ამის მჭედლები იყვნენ ბეჩოში, ბეჩოს რიჩგანებთან. ესენი გამოიყოლა გუგჩამ და დააწყებინა ზარბაზანის დაშლა. ამ ზარბაზანის დაშლას ერთი კვირა მოუნდა ოთხი კაცი და ასე ერთ დღეს გაისროლეს, მაგრამ ახლა თვით თვით კოშკსაც კი ვერ მოახვედრეს, მეორე სროლაზე კიდევ უფრო მეტად აცდა მიზანს. ზაგრელი კაცი ამ დროს გამოეპარა გუგჩას და ოთარ დადემექელიანთან მიიტანა ამბავი: - ასე და ასე, ეს ზარბაზანიო გავაფუჭებინეთ და დღეს მისი გამარჯვება არისო, იქნება.

ოთარმა ამხანაგები (მოსამსახურეები) გაიყოლა მდინარეზე ჭოკების გასადებად. ხიდებზე ყველაგან გუგჩას მცველები, ყარაულები იდგნენ. სამუშაოს მხოლოდ ღამით ასრულებდნენ.

გუგჩას მოუვიდა ამბავი, რომ ვიდაცეები მდინარეზე (იგულისხმება ენგური) ჭოკებს დებენო. იმახათს უთხრა გუგჩამ: ესო ოთარშერების ნამოქმედარია. მათი საქმე ცუდად არისო, ზარბაზანი გაფუჭებულიაო. იგიო მოკეთებთან წავა, თუ არა მარტო ისინი ვერაფერს გახდებიანო.

გუგჩა ლატალისაკენ გაემართა დახმარების სათხოვნელად. მოქმელი შენიშნავს, რომ ამ შემოდგომას გზები მოყინული იყო. გუგჩას ფეხი აუსხლტა და შუა რიონში (ენგურში) ჩავარდა.

ამ დროს ოთარი და მისი ამხანაგები მდინარეზე (ენგურზე) ჭოკებს დებდნენ. უცებ, ოთარის მსახურებმა წყალში დაინახეს, რაღაც შავი მოჰქონდა რიონს (ენგურს). ოთარის ამხანაგებს (მსახურებს) გაუხარდათ: მადლიანო უფროსო ღმერთო, ეს ნეტა გუგჩა იყოსო.

ასე ჩამოატარა მათ გასწვრივ, პარალელურად. დაუცაცხანა ოთარმა: - გამოიყვანეთო! გამოათრიეს ეს, გასინჯეს და ნამდვილად გუგჩა იყო. ოთარმა

თქვა: - დღეს ჩვენი საქმე კარგად არის: (დავითიანი, ქაღდანი, თოფურია 1957:81,82)

ოთარის ჯარი “ურას” ძახილით შეესია გუგჩას სახლსა და ციხე-კოშკებს. იმახათმა გაასწრო ლატალისაკენ. დარჩენილები სულ მთლიანად ამოწყვიტეს და ამიერიდან რიგვანების სამოსახლოს ოთარშერები (დადეშქელიანები) და-ეპატრონენ” გ. გასვიანის აზრით, “დადეშქელიანებსა და რიგვანებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა XVII-XVIII საუკუნეებში გაჩაღდა. XVII საუკუნის შუა ხანებამდე ცხუმარში რიგვანიები მძლავრობდნენ, ხოლო ეცერში დადეშქელიანები. ერთი-და-მეორეც თავგამოდებულ ბრძოლას ეწეოდა პირველობისათვის. ჩანს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, ცხუმარის გარდა რიგვანიები სახლობდნენ ფარისა და ბეზოს ზოგიერთ სოფელშიც... დადეშქელიანები, რიგვანიების გარდა, დანარჩენ პრივილეგირებულ გვარეულობებსაც დაუპირისპირდნენ, მაგრამ ერთიმეორესაც არანაკლებ ექიშპებოდნენო” (გასვიანი 1991: 15,16)

გვარების ამოწყვეტის შემთხვევები ძალიან ბევრია სვანეთის ისტორიაში და იგი ფართოდ აისახა როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერ ძეგლებში, კერძოდ, საისტორიო გადმოცემებში, ისინი მრავალმხრივ არიან საინტერესო. ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.

დამოწმებანი:

გასვიანი 1991: გასვიანი გ. ნარკვევები შუასაუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ. “მეცნიერება” 1991

სიხარულიძე 1949: სიხარულიძე ქს. ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. თსუ გამომც. 1949

შანიძე ა, ქაღდანი მ. ჭუმბურიძე ზ, სვანური ქრესტომათია 1978.

Сванские исторические предания

*О. Ониани
профессор, ТГУ*

Тематический мир сванских исторических преданий разнообразен. В них со всей полнотой отразились исторические явления, борьба с внешним и внутренним врагом, случаи пленения, обострение взаимоотношений между сёлами, кровавые схватки между родами, которые распространялись и на поколения и заканчивались полным истреблением одного из них.

Такие враждебные взаимоотношения описываются в предании «Истребление Ричгвианов». Из исторических источников известно, что между Ричгвианами и Дадешкелианами шла беспощадная война за первенство. В XVII-XVIII веках между ними разразилось решающее сражение, что закончилось истреблением Ричгвианов. Предание считается достоверным историческим источником. В нём совершенно точно описывается то, как смог Отар Дадешкелиани истребить (при помощи предательства) род Ричгвианов.

Historical Tales of the Svans

*O. Oniani
professor*

The article describes historical, folklore tales of the noble svans, as well as facts about wars between clans: The author concludes that these wars often led to the full annihilation of whole clans.

ქართული ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურის თანამედროვე ხედვა

ბ. ცხადაძე, თ. ჯაგოდნიშვილი

ასისტენტ პროფესორი, სრული პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, კოსტავას 77

როგორც ცნობილია, ენაში არსებობს მუდმივი და ცვლადი „სიდიდეები“ ანუ დონეები. ჩვენ აქ საგანგებოდ გვერდს ვუვლით „აქრონიას“ და „პანქრონიას“ [1]. ენა, როგორც შედეგი, გვაგვარაუდებინებს, რომ ენაში რაღაც მუდმივი (მისი ძირითადი სახის შემაპირობებელი) მონაცემის არსებობას, ისევე, როგორც ესა თუ ის ენა (ენობრივი) – შემოქმედება გულისხმობს ენაში ცვლილებათა და გარდაქმნათა სათანადო კანონზომიერების არსებობას [2, 58]. ამ რაკურსით დროთა ვითარებაში ენაში იცვლება არა მარტო ცალკეული ლექსემა, გრამატიკული კატეგორია, აქცენტუაცია, ფონემატური სტრუქტურა, არამედ ფრაზა-ფრაზეოლოგია, წინადადების სტრუქტურა (რესპ. სიტყვათგანლაგება), სიტყვის სემანტიკური მხარე. ასე რომ, ამ მხრივ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ამ საფეხურზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფრაზისა და ფრაზეოლოგიზმის განსაზღვრას, ფრაზეოლოგიური წარმონაქმნების დეფინიციას; და რაც მთავარია: დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება. აქვს თუ არა ცალკეულ სიტყვას ამა თუ იმ კონტექსტში ფრაზეოლოგიური დანიშნულება, სად იწყება და სად მთავრდება ფრაზეოლოგიზმის საზღვარი.

ამ თვალსაზრისით საერთო და მისაღები აზრი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საბოლოოდ გამოკვეთილი არაა. მიზეზი, ცხადია, ისაა, რომ ლინგვისტიკა, მუდმივ ძიებაშია. კვლავ გადასახედია სალექსიკონო და ფრაზეოლოგიური ერთეულის კრიტერიუმები, საჭიროა პრინციპების ხელახალი „განჩხრეკა“. ჩვენი მხრივ დაგვიჩნდა, რომ ერთობლივმა ძიებამ ერთ-ერთ პრობლემურ თემამდე მიგვიყვანა – შეგვესწავლა, დაგვედგინა და ლექსიკოგრაფიულ ნიმუშად წარმოგვედგინა **ქართული დერივაციული, კომპოზიტიური და სინტაგმატური სიტყვაფორმების ფრაზეოლოგიური თვისებები**, ხოლო შემდგომ მოგვეხდინა მათი **კომპიუტერული მოდელირება**. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ჩვენ მიერ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2010 წელს შიდასაგრანტო პროექტად წარმოდგენილი და შესრულებული ნაშრომი ზემოდასახელებული სათაურით.

სანამ უშუალოდ ჩვენეულ მიდგომას და დეფინიციას წარმოვადგენდეთ, მანამ ორიოდ სიტყვით შევეხებით ამ ენობრივ ერთეულთა (სინტაგმა, იდიომი, კომპოზიტი, აბრევიატურა, ფრაზეული გამონათქვამი, ფრაზეოლოგიზმი) გაგებას ფრაზეოლოგიზმთან მიმართებით.

სამწუხაროდ, ქართული ფრაზეოლოგიზმისა და მისი სტრუქტურის შემცველი მონოგრაფიებითა თუ ცალკეული სამეცნიერო სტატიებით ქართული ფილოლოგია მდიდარი არაა. ჩვენს ხელთაა მხოლოდ თედო სახოკიას ფუნდამენტური **960** გვერდიანი ნაშრომი [3], რომელშიც გვერდიგვერდ წარმოდგენილია როგორც იდიომატიკა, ისე ეთნოგრაფიული ხასიათის შემცველი ცნება-ტერმინები, ხალხური სიბრძნის ამსახველი ფრაზები, ანდაზები, აფორიზმები და სხვ.,

საინტერესო ცდა და მიდგომა აქვს პროფ. **ალ. ონიანს**, რომელმაც ფრაზეოლოგიზმთაგან ცალკე ოდენობებად გამოყო იდიომატური გამოთქმები [4].

მკვლევარმა ფრაზეოლოგიზმის შემცველ თედო სახოკიასეულ არაერთ ცნება-ტერმინზე უარი თქვა სხვადასხვა მოსაზრების გამო. იმისათვის, რომ აღ. ონიანს ეს პროცედურა მოეხდინა, საჭირო იყო ფრაზეოლოგიზმისაგან გამოეყო იდიომატიკა და განესაზღვრა იდიომის ცნება, აგრეთვე როგორი იყო მისი მიმართება სიტყვასთან და თავისუფალ შესიტყვებასთან.

როგორც ცნობილია, იდიომი (რომელიც ბერძნული სიტყვაა **იდი მა** და „თავისებურებას“ ნიშნავს) მინიმუმ ორ კომპონენტს (მაინც) შეიცავს. ამგვარად, ცალკე მდგომი სიტყვა, მარტივი თუ შედგენილი, იდიომატურ გამოთქმად, იდიომად არ მიიჩნევა, რაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ აგებულების მიხედვით, იდიომი მკვეთრად განსხვავდება სიტყვისაგან, მაგრამ ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებას (რესპ. სიტყვათშეხამებას).

ამგვარად, იდიომს აქვს საერთო ნიშნები როგორც სიტყვასთან, ისე თავისუფალ შესიტყვებასთან. ამავდროულად ის სიტყვისაგან განსხვავდება აღნაგობა-აგებულებით, მაგრამ უახლოვდება მნიშვნელობის მიხედვით. ხაზს ვუსვამდ: მას თავისუფალ შესიტყვებასთან აერთიანებს აგებულება, მაგრამ განასხვავებს მნიშვნელობა; ე. ი. იდიომი ფორმით შესიტყვებაა; იგი შედგება ორი ან მეტი გრამატიკულად გაფორმებული ელემენტისაგან, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ეს შესიტყვება ერთ სიტყვას უტოლდება, ასე რომ სემანტიკურად ის სიტყვის ეკვივალენტია. შეიძლება დავასკვნათ: იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. ამ მხრივ, ცხადია, მნიშვნელობა არ აქვს იმას, იდიომი სალიტერატურო ფორმაა თუ დიალექტური, ან კალკურ-კალკირებული, ჟარგონული თუ უცხოენათაგან სესხების გზით წარმოქმნილი. ჩვენი აზრით, მკვლევარმა არც ერთ ასეთ იდიომატურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულზე არ უნდა თქვას უარი, რადგან ისინი ქართული ენის ლექსიკური ფონდის ნაწილია და ფრაზეოლოგიზმის შინაარსისეულ სტრუქტურას ასახავს. ფრაზეოლოგიზმის შინაარსის მნიშვნელობით საინტერესოა ბარბარიზმები, რუსიზმები, სკაბრეზები, დიალექტური მასალა (ფრაზეოლოგიზმის შემცველი იმერული, გურული... ლექსიკა).

გარდა იდიომისა, ენაში განსაკუთრებული ადგილი ფრაზეოლოგიზმის შემცველ დერივაციულ ლექსემებსაც აქვს, როგორც იტყვიან, ძალიან დიდია მათი „ხვედრითი წონა“, ასეთი სიტყვები კი ენაში ასობითაა.

ამავე ფუნქციის მქონეა **კომპოზიტთა** (თხზული ანუ რთული შედგენილობის) კომპოზიტთა დიდი ნაწილი, ასევე ფრაზეოლოგიზმის შემცველი **სინტაგმები** (შესიტყვებები ანუ სიტყვათშეხამებები), მათი ფრაზეოლოგიური თვისებები უმდიდრეს ბაზას და საფუძველს ქმნის სამომავლოდ არაერთი საკითხის მონოგრაფიულად დამუშავებისა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი კომპლექსური მიდგომა ქართველოლოგიაში – ლექსიკოგრაფიასა და ლექსიკოლოგიაში ჯერ არავის უცდია. დიალექტური ლექსიკის შემოტანაც და მისი ლინგვისტური ანალიზი ჩვენმიერი კვლევის სიახლეა.

იმავდროულად ჩვენეულ ინოვაციურ მიდგომად და სიახლედ მიგვაჩნია ფრაზეოლოგიზმის ორ ძირითად ერთეულად დაყოფა: 1. როცა პირიანი ზმნით წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმის შემცველი დერივაციული სიტყვა ან წინადადება არ იცვლება უპირო ზმნით; 2. როცა მსგავსი წინადადება თავისუფლად იცვლება უპირო ზმნით.

სამსჯელო სურათი რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ:

აბედივით მოკიდება პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ცეცხლის უცებ, ადვილად დანთებას. გადატანითი შინაარსით – სახეზე აღმურის მოკიდებას, სიბრაზისგან ან სირცხვილისგან წამონთებას, აპილპილებას, გაბრაზებას. როგორც ცნობილია, აბედი ხის სოკოა, იგი კვესით სწრაფად იზიდავს ტალისა გან მოშორებულ ცეცხლის ნაპერწკლებს. „ცეცხლი ნასროლი იყო, იგი მოხვდა დამპალ ხესა და მაშინვე, როგორც აბედს, მოეკიდა“ (ილია). შდრ. სახეზე ცეცხლი [აბედივით] მოეკიდა.

აბელსავით მოკიდება ის. აბედივით მოკიდება.

აბელას ფეხების გაკეთება დაბლის განგებ ამალღება, ისეთი თვისებების მიკუთვნება მოჩვენების მიზნით, რაც მიმკუთვნებელს არ გააჩნია; ზემოხედი კაცი.შენიშვნა: აბელა საკუთარი სახელის კნინ. ფორმაა: მე-19 ს. 60-იან წლებში თავმალა კაცი აბელა რაჭიდან თბილისში ჩამოსულა, ხის მაღალ ოჩოფეხებზე შედგებოდა თურმე და ქუჩებში სასეიროდ დადიოდა. სამ ადლიან ოჩოფეხებზე შემდგარი ჩამოიფლიდა ანჩისხატის უბანში, ბაღლებს დღესასწაული დაუდგებოდათ – აუარება ხალხი უკან დასდევდა, როგორც ჯამბაზს, ფულსაც კი შოულობდა. რაჭიდან თბილისში ჩამოსული აბელა ეკლესიების შემკეთებელ-შემამკობელიც ყოფილა, თავზე ჯვრის დამსმელი; ეკლესიების გუმბათებზე ისე დადიოდა, თითქოს კუკიის ხიდზე დასეირნობსო [3, 6].

„ცრუპენტელა კაცი ყველგან ასეთია: რაკი საფანელი შემოაკლდება... მაშინ... ყალხუდ შედგება, აბელას ფეხებს გაიკეთებს, გაჰბუვდება, გადიდგულდება და უკვირს: რატომ ვერ მხედვენ, რა სიმაღლეზე ვდგევარო“ (ილია); „შუაში ბელადი იდგა, მაღალი, თითქო აბელა შემდგარა ხის ფეხებზედაო“ (ს. მგალობლ.);

ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენისას (სულერთია, ელექტრონული ვერსიით წარმოვადგენთ თუ ჩვეულებრივ ბეჭდურით), მსგავსი **შენიშვნები** ამა თუ იმ სიტყვასთან თუ ამა თუ იმ მკვლევრის განმარტებასთან დაკავშირებით, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია.

ცნობილია, რომ ქართული ენა, ისე როგორც მსოფლიოს სამწერლობო თუ უმწერლო ნებისმიერი ენა, მისი ლექსიკური ფონდი უცხოური და შეთვისებული ფრაზებისა და ლექსემებისგანაც შედგება (შეურეველი ენა რეალურად სამყაროში არც არსებობს, თვით აფრიკისა და ბრაზილიის ჯუნგლებშიც კი). ძირძველ ქართულ ენაში კი ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ქართულ ენაში, ასეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, არაიშვიათად მონაწილეობს წარმოშობით სპარსული, არაბული, თურქულ-აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული, რუსული და მისთ. სიტყვაფორმები, ზოგჯერ მთელი ფრაზეოლოგიური გამონათქვამიც მთლიანად უცხოურია (მაგ., „ჯანდაბა“, „ჯანდაბა და დოზანა“..., „დურაკ-საბაკ“ (იმერ. ჩვენი მასალ. ბ. ცხ.).

ქართულ ენაშიც, ისე როგორც აზერბაიჯანულსა და თურქულში, გვაქვს არაერთი მსგავსი ფრაზეოლოგიური გამოთქმა-იდიომი, რომელთა თავმოყრა-შეჯერება, მეცნიერული შესწავლა, სიტყვათა სესხებისა თუ კალკირების დადგენა.. არაერთ ლინგვოკულტუროლოგიურ ფაქტს გამოგვაველენინებს. ლინგვისტური კონტაქტები, ამ შემთხვევაში, მაგ., აზერბაიჯანულ-ქართული (ან სომხურ ქართული) ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტურული ერთობის ზედმიწევნით დადგენა-შესწავლა, ფრაზეოლოგიზმის კუთხით, ქართული ენის ყველა დიალექტური მასალის გათვალისწინებით, საშური

საქმეა, რადგან ფრაზეოლოგიზმი კულტურას, ისტორიულ-ყოფით მოვლენას ერთნაირად იტევს და ითავსებს...

ზემოთქმულის ნათელსაყოფად ფრაზეოლოგიზმის შემცველი სინტაგმის (შესიტყვების) კიდევ ერთ ნიმუშს დავიმოწმებთ:

ალაიაში გატარება ქართულ ენაში, ასევე ქართული ენის გურულ კილოში (რომელიც ქართული ენის აჭარულ კილოსა და თურქულ ენას ემეზობლება) დღესაც მოქმედი იდიომატური გამოთქმაა, რომლის ფესვები მრავალ საუკუნეს ითვლის. წყარო კი, როგორც ჩანს, თურქული ენაა:

ალაიაში გატარება შერცხვენა, საჯაროდ გალანძვვა, გაქიაქება, გაბი-აბრუება, სახელის გატეხა, გამასხარავება. ალაი თურქულად რაზმს, წყებას ნიშნავს (ასევე: ხუმრობას, შერცხვენას, დამორჩილებას). ჩანს, ეს თურქული ჩვეულება დასავლეთის ქართველობასაც გადაუღია. დამარცხებულთ ალაიაში ატარებდნენ, აქედან წარმოდგა ფრაზეოლოგიზმად ქცეული გადატანითი მნიშვნელობა; ტყვე ჯარისკაცის ჯერ ცემა, მერე შერცხვენა.

შენიშვნა: თუ თურქეთსა და საქართველოში ტყვე ჯარისკაცს ალაიაში ატარებდნენ, სპარსეთში ტყვე ჯარისკაცების თვალის დათხრაც სცოდნიათ. მაგ., ცნობილი ირანელი მწერლისა და მკვლევრის **სადეყ ჰედაიათის** მოთხრობის გმირი, 80 წელს გადაცილებული ბებერი, 8-ცოლიანი ჰაჯი-აღა თავს იწონებს თავისი მამის საქმიანობით. იგი მოგვითხრობს: „განსვენებული მამაჩემი დიდ აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. ყანდაარის ბრძოლაში მან გასცა განკარგულება ტყვეებისათვის თვალები დაეთხარათ, თანაც ისე, რომ მთელი თვალი კი არა, თვალის სამი მანი და ერთი ჩარექი ამოეგლიჯათ მხოლოდ. შინ მობრუნებისას გამარჯვებულ მამაჩემს ჰაჯი მირზა-აღასი მხარზე ეამბორა და საპატიო ორდენი და სამხრე უბოძა. მამაჩემი წინანდელი შაჰის ჯილავდარად ითვლებოდა; მუდამ თან ახლდა ნადირობისას“... [5, 13].

ალაიაში გატარება რომ ძველ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, გვამცნობს საამისო სპეციალური ქართველოლოგიური ლიტერატურაც, რომელშიც თვალნათლივ ჩანს ფრაზეოლოგიზმის არსი: მამაჩემისგან გამიგონია, რომ გურულებს ჩვეულება აქვთ, მტერს რომ დაიმორჩილებენ, თოფებს ქვეშ გააბვრენენ, და შემდეგ მისცემენ თავის „თოფებს ქვეშ გაბვრენას ალაია ჰქვია თურმე იმათებურად, – ვითამ-და ალაიაში გააბვრინესო“ (ეგნატე ნინოშვილი); „ალაია გურულ-იმერულია, ორ წყებათ დაწკაპულ (მწკრივათ დამდგარ) ადამიანთა შუა ადგილი. ალაიაში გატარება უწინ ნიშნავდა ადამიანის წკეპლით, ჯოხით ან მათრახის ცემით გატარებას ორ წყებათ დარაზმულ ჯარისგან. ახლა ნიშნავს საჯაროდ შერცხვენას“ [6, 2];

ვფიქრობთ, ასეთი შენიშვნებითა და კომენტარებით, ახსნა-განმარტებებით, წყაროებით, მეცნიერული წიადსვლებით უნდა იყოს დატვირთული ლექსიკო-ფრაზეოლოგიური ნაშრომი, რომელშიც სათანადო სალიტერატურო თუ დი-ალექტური მასალა სოლიდურად და თანაბარი დოზით იქნება წარმოდგენილი.

ჩვენივე დასკვნით, ამ პრინციპით (ყველა დიალექტის, ყოველი მწერლის, თანამედროვე თუ გარდაცვლილის, მხატვრული თუ მემუარული ხასიათის...) სამომავლოდ უნდა შედგეს ქართული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, რასაც ძირძველი ქართული ენა და ქართველი ერი ნამდვილად იმსახურებს. ცხადია, აქ ასეთ ფრაზეოლოგიურ მრავალტომელში, შევა როგორც საკუთრივ იდიომი, ისე დერივაციული, კომპოზიტური, სინტაგმატური თუ აბრევიატურული სიტყვაფორმა. ეს იქნება უნიკალური შემთხვევა ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში, რაც ცხადია, სპეციალიასტთა და სპონსორ-მეცენატთა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

შეიძლება დავასკვნათ: მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერ *არლი თაყაიშვილის* წიგნი გამოქვეყნდა, 50 წელი გავიდა. დრო კი არ ითმენს. სრული განმარტებითი ფრაზეოლოგიური ლექსიკონის შედგენა-მომზადება ჩანაფიქრად არ უნდა დარჩეს. აღსრულება-ჩანაფიქრი უნდა აღსრულდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **В. Брѐндаль**, Структуральная лингвистика, Хрестоматия по истории языкознания XIX-XX веков, составил **В.А. Звегинцев**, Москва, 1956
2. **ბ. ჯორბენაძე**, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, აკად. **შ. ძოდუჯორის** რედაქციით. თსუ გამომცემლობა, თბ., 1980
3. **თ. სახოკია**, ქართული საბოლოო სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1979
4. **აღ. ონიანი**, ქართული იდიომი, „ნაკადული“, თბ., 1966
5. **სადგუ ჰედაიათი**, *ჭაჭი-აღა* (მოთხრობა) **შ. მამაცაშვილის** წინასიტყვაობა, მისივე სპარსულიდან თარგმანი, საქართველოს მწერლების კავშირის გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1963 (ქართულ ენაზე).
6. **ი. ჭყონია**, სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, სანკტ-პეტერბურგი, 1910
7. **ა. თაყაიშვილი**, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, **გ. თოფურიას** რედაქციით. სმა გამომცემლობა, თბ., 1961

Современное видение структуры грузинских фразеологизмов

Б. А. Цхададзе

Т. И. Джагоднишвили

В совместной статье авторы предлагают инновационный подход, видение, некоторые принципы и критерии понимания фразеологизмов и составления как электронного, так и печатного грузинского фразеологического словаря.

The Modern View of Georgian Phraseologies Structure

B. Tsxadadze

T. Jagodnishvili

In this joint article the authors represent an innovation approach, the vision, some principles and criteria, how to understand phraseologies and how to write praseological dictionary in electronic and printed format.

არქიტექტურა – Архитектура – Architectura

დენოტაცია და კონოტაცია არქიტექტურაში

დავით ბოსტანაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175

განვიხილოთ მნიშვნელობათა წარმოქმნის და შეცვლის პროცესები არქიტექტურაში. მნიშვნელობა (ნიშანი) იქმნება, როდესაც გარკვეული აღმნიშვნელი გარკვეულ აღსანიშნს უკავშირდება. ხშირად (თუ ყოველთვის არა) ეს წყვილი თავად გადაიქცევა სხვა აღსანიშნის აღმნიშვნელად. ამ მეორად მნიშვნელობას კონოტაციას უწოდებენ, ხოლო თავდაპირველს – დენოტაციას. მაგალითად სიტყვა "ქვეყანა" და "სამშობლო" იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან რამდენადაც ამ უკანასკნელს გაცილებით დიდი კონოტაციური ველი აქვს. ხანძრის გამაფრთხილებელი სიგნალის ანთება (დენოტაცია - "ხანძარი"), იწვევს ადრესატის შიშს, აღელვებას სწორედ იმიტომ, რომ პირველად მნიშვნელობას თან ახლავს კონოტაციები "საფრთხე" და ა. შ.

მკაცრი გაგებით, კონოტაციაზე მაშინ ვსაუბრობთ, როდესაც მნიშვნელი სისტემის (ნიშანი) აღმნიშვნელი თავის მხრივ სხვა მნიშვნელი სისტემაა. ელმსლევის ფორმულით ამ მოვლენას ამგვარად ჩავწერთ:

(E R C) R C.

"კონოტაციური ფენომენები განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებენ. საზოგადოება უწყვეტად აწარმოებს პირველადი (ენობრივი) სისტემისგან მეორადი მნიშვნელობის მქონე სისტემებს. კონოტაციურ სისტემას თავისი აღმნიშვნელები, აღსანიშნები და მათი შემაკავშირებელი აქვს. კონოტაციის აღმნიშვნელებს კონოტატორები შეიძლება ვუწოდოთ" [1, 131].

აქვე მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ კონოტაციის დონეზე (კონოტაციური) აღმნიშვნელების მანიპულაცია რიტორიკაა, ხოლო მათი შესაბამისი აღსანიშნები იდეოლოგიის სივრცეში არიან - სემიოტიკური სისტემის გარეთ.

კონოტაცია	აღმნიშვნელი (რიტორიკა)	აღსანიშნი (იდეოლოგია)
დენოტაცია	აღმნიშვნელი	აღსანიშნი

ეს ყველაფერი არქიტექტურაზეც ვრცელდება. არქიტექტურული ობიექტი შეიძლება აღნიშნავდეს გარკვეულ ფუნქციას (დენოტაცია) და იგი თითქმის ყოველთვის თანააღნიშნავს უფრო მეტს (კონოტაცია).

გამოქვაბულმა, რომელმაც თავმესაფრის მნიშვნელობა მიიღო, დროთა განმავლობაში დაიწყო ისეთი რამეების აღნიშვნა, როგორცაა: "ოჯახი", კოლექტივი", "უსაფრთხოება" და ძნელი სათქმელია არის თუ არა ეს სიმბოლური "ფუნქცია" ნაკლებ "ფუნქციონალური", ვიდრე პირველი. სხვაგვარად გამოქვაბული აღნიშნავს გარკვეულ *utilitas*, რომელიც არის გამოქვაბულის ძირითადი დენოტაცია, მაგრამ კონოტაციები "უსაფრთხოება" და "თავშესაფარი" არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ფუნქციად შეიძლება მოვიხსენიოთ საგნის ყოველი კომუნიკაციური დანიშნულება, და ამავე დროს საზოგადოებისთვის “სიმბოლური” კონოტაციები არანაკლებ გამოსაძვარია, ვიდრე მისი ფუნქციონალური “დენოტაციები”.

დენოტაციას უმბერტო ეკო *პირველად ფუნქციას*, ხოლო *კონოტაციების კომპლექსს* მეორად ფუნქციებს უწოდებს.

დენოტაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის გულისხმობს ფუნქციის კომუნიკაციას, იმისდა მიუხედავად სრულდება თუ არა ეს ფუნქცია. კლასიკური არქიტექტურის მრავალი ელემენტი (თუ მთლიანად ორდერი არა) უსვამს ხაზს შენობის სტრუქტურულობას, წყობას, აგებულებას, მაგრამ რეალურად არ ასრულებს კონსტრუქციულ ფუნქციას (პილასტრები, ნიშები, ფასადის პროფილები). ამ მხრივ, დენოტაციის დონეზეც აშკარა ხდება მისი კომუნიკაციური ფუნქცია. გაცილებით მნიშვნელოვანი ხდება ფუნქციის დამოწმება, ვიდრე ფუნქციის შესრულება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფაქტი ფუნქციონალისტურ ”ახალ არქიტექტურაშიც” რჩება ძალაში. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ დიდი ამერიკელი არქიტექტორის მის ვან დერ როეს რამდენიმე ცათამბრჯენი, სადაც სახანძრო ნორმების გამო ლითონის კონსტრუქცია ბეტონშია შეფუთული და ფასადის ფოლადის პროფილები ასრულებენ იმ ფუნქციას, რომ დაამოწმონ შენობის სტრუქტურულობა, რაციონალურობა, და შესაბამისი კონოტაციებიც - თანამედროვეობა, პროგრესი და ა.შ. რაც შეეხება კონოტაციებს და მათ მიერ შეტყობინებული დამატებითი მნიშვნელობების კომპლექსებს, *ისინი განისაზღვრებიან კონკრეტული კონოტაციური ლექსიკოდებით* (კოდები, რომლებიც კონოტაციებს მართავენ), *რომლებიც ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის თუ ეპოქის კონვენციებს და მემკვიდრეობას ეყრდნობა.*

ხშირად კონოტაციები ისტორიის და კონტექსტის ცვლილების მიუხედავად იგივე რჩებიან და შემდეგ იმგვარ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ რომელიმე ფორმა ბუნებრივადაა გარკვეული იდეის გამომხატველი. მაგალითად ნიუ-იორკის წმ. პატრიკის გოთიკური ტაძარი გარშემორტყმულია მასზე გაცილებით მაღალი ცათამბრჯენებით, თუმცა მნახველთათვის მას არ დაუკარგავს ზესწრაფვის, ამალღების კონოტაციები, სწორედ რომ ერთხელ ჩამოყალიბებული და გაზიარებული კოდის წყალობით. არ არსებობენ არანაირი აუხსნელი, “ექსპრესიული” მნიშვნელობები, რომლებიც თითქოსდა თავად ფორმის ბუნებაში ძევნან. ”ექსპრესიულობა” აღმნიშვნელი და ინტერპრეტაციული კოდების ურთიერთობისას იბადება.

მცდარი იქნებოდა აზრი, რომ არქიტექტურაში, აღმნიშვნელი თავისი ბუნებით ყოველთვის უცვლელ პირველად ფუნქციას აღნიშნავს მაშინ, როცა მეორადი ფუნქციები ისტორიის მსვლელობისას იცვლებიან. სინამდვილეში, დროთა განმავლობაში, ზოგიერთი პირველადი ფუნქციები კარგავენ რა თავიანთ რეალურ მნიშვნელობას ადრესატის თვალში - რომელიც ადეკვატურ კოდს არ ფლობს - აღარაფერს აღარ ნიშნავენ. ისტორიის მსვლელობისას, პირველადი და მეორადი ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ცვლილებებს განიცდიან: ქრებიან და იბადებიან; პირველადი ფუნქციები მეორად ფუნქციებში გადადიან და პირიქით. ამ პროცესების კლასიფიკაცია ამგვარად შეიძლება გამოიყურებოდეს:

1) ობიექტი აღარ დენოტირებს, მაგრამ კონოტაციური (სიმბოლური) ფუნქციები ნაწილობრივ შენარჩუნებულია (მაგ. პართენონი); 2) საგანი, გამოიყენება, რა დანიშნულებისამებრ აგრძელებს ამ ფუნქციის დენოტირებას, მაგრამ დაკარგული აქვს კონოტაციები (საგნის სხვა კონტექსტში მოთავსები-

სას); 3) ობიექტის საწყისი დენოტაციები და კონოტაციები დაკარგულია, და ეს უკანასკნელი ახალი, გამამდიდრებელი კონოტაციებით ივსებიან (მაგ. პირამიდების დღევანდელი "სიმბოლური" წაკითხვები); 4) დენოტაციები კონოტაციებად გარდაიქმნებიან (ნივთი აღარ გამოიყენება, იგი სამხერ ობიექტად იქცევა); 5) თავდაპირველ დენოტაციას ახალი დენოტაცია ჩაენაცვლება, შესაბამისად მდიდრდება კონოტაციები (საგნის ახლებურად გამოყენება); 6) არქ. ობიექტს არ აქვს გამოკვეთილი დენოტაციები, ხოლო კონოტაციები ცვალებადია (ფორმა იმდენად უცხოა, რომ არაფერს აღნიშნავს - ამით იგი ან ხელოვნების საგნად იქცევა, ან ხდება ირონიული ეპითეტების სამიზნე).

ისტორია მნიშვნელობებით ავსებს და ცლის ფორმებს. **უცვლელი ფორმის და ისტორიის დინამიკის** ურთიერთობას, სტრუქტურის და რეალობის ურთიერთობას ეფუძნება ფორმების მოხმარების და ესთეტიკური ფასეულობების დაძველების პროცესი. დღევანდელ დღეს მოვლენები ერთმანეთს დიდი სისწრაფით ენაცვლებიან; და მაინც, სწორედ ჩვენს დროში ხდება ფორმების არნახული სისწრაფით აღდგენა. დღეს კომუნიკაციური სისტემების განვითარება და კვლევა სპირალური პროცესია, ანუ ყოველი აღმოჩენა ხელახლა აფართოებს წაკითხვის შესაძლებლობებს და ამდიდრებს მათ. ეს კოდები შესაძლებელს ხდიან **ანტიკვარული საგნის სხვა კონტექსტში მოთავსებას**, და ამ გზით არა მხოლოდ წარსულის სულის დაჭერა ხდება, არამედ დღევანდელი დღის კონოტაციების შემოტანაც. ისე როგორც პოპ-არტის ტექნიკა, ასევე სიურეალისტური რეცეპტიც, **ნიშნის დეკონტექსტუალიზაციას და მის ახალ კონტექსტში მოთავსებას წარმოადგენს**. ამით ისინი ახალ მნიშვნელობებს იძენენ. მაგრამ ეს განახლება ამავდროულად წინა აზრების (მნიშვნელობების) შენახვა და ხელახლა აღმოჩენაა [2, 283].

სხვა შემთხვევებში ცნობილი კონოტაციების კვლევა უფრო ადრე ხდება: ეს იმ მანქანის შემთხვევაა, რომელიც ჯერ კიდევ მუშაობს, მაგრამ მისი ფორმა აღარ კონოტირებს სიჩქარეს, კომფორტს, პრესტიჟს. ამ დროს საჭიროა **styling-ი**, გარეგანი სახის გადაპროექტება ფუნქციის შენარჩუნებით; ეს ყველაფერი იმისთვის, რომ **უცვლელ დენოტატს ახალი კონოტაციები შეეძინოს**.

საბოლოოდ, როდესაც მოხმარების საგნების შემქმნელი იწყებს გააზრებას, რომ აღმნიშვნელის შექმნისას, ის ვერ შესძლებს სხვა მნიშვნელობის გაჩენის გათვალისწინებას (რადგან **ისტორიას შეუძლია ამ მნიშვნელობების შეცვლა**) და როცა დამპროექტებელი ამჩნევს აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთმანეთისგან დაშორებას, მნიშვნელობათა შეცვლის ფარულ მექანიზმებს, მაშინ მის წინაშე ისეთი საგნების პროექტირების ამოცანა დგება, რომელთა **პირველადი ფუნქციები ვარირებადი იქნება, ხოლო მეორადი - "ღია"** [2, 284].

არქიტექტურაში მნიშვნელობათა წარმოქმნის (სემიოზისი) მექანიზმი ამგვარად შეგვიძლია შევაჯამოთ: სემიოზისის ჯაჭვური რეაქცია სტიმულს გადააქცევს დენოტაციად, დენოტაციას კონოტაციად, და დენოტაცია კონოტაციათა სისტემას შეტყობინებად, რომელიც საინტერესოა საკუთარი არაორდინალური აგებულების გამო.

და ბოლოს, **საგანთა დიზაინის** სამყაროში სემიოტიკური პროცესისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ სახეზეა ერთგვარი **დენოტაციური დაყოვნება**, რომელიც რამდენიმე წამი გრძელდება; დაყოვნების დროს მნახველს უჭირს იმის თქმა, თუ რა საგანთან აქვს საქმე მისი უჩვეულო ფორმიდან გამომდინარე. დროის მცირე მონაკვეთის შემდეგ, მნახველი, წინა კოდებზე დაყრდნობით, იოლად ამოიცნობს ფუნქციას (დენოტაცია) და შესაბამისად საგანს, რასაც კონოტაციური პროცესი მოყვება. თუ მხატვრულ ობიექტებთან,

ინსტალაციებთან მიმართებით დენოტაციური დაყოვნება მუდმივ გადავადებად იქცევა (შეუძლებელია გაიცეს პასუხი კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ხელოვნების ობიექტი), დიზაინის სივრცეში ეს მოკლე დაყოვნება ქმნის უჩვეულობის, "ესთეტიურობის" ეფექტს (როგორი დიზაინის სავარძელიც უნდა მოიფიქროს დიზაინერმა, იგი ყოველთვის სავარძლად დარჩება და მისი ფუნქციის გაშიფრვა იოლი ოპერაციაა).

არქიტექტურასთან მიმართებაში დენოტაციური დაყოვნება და მით უმეტეს მუდმივი გადავადება, როგორც წარმოსადგენი სიტუაციაა, რადგან ნებისმიერი დიდი სხეული, სადაც შესვლია შესაძლებელი ყოველთვის იქნება დენოტირებული როგორც შენობა; მისი "მხატვრული ეფექტი" კი მხოლოდ კონოტაციების სივრცეში მოიძიება. იმისთვის, რომ შენობა გადაიქცეს ნამდვილ ხელოვნებად, მისი ფორმის უჩვეულობა არაა საკმარისი. ამისთვის მან მთლიანად უნდა დაძლიოს ყველა ის კოდი, რაც მის ნაშენობას განსაზღვრავს. ცვლილება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ფორმის, არამედ ფუნქციის დონეზეც (რაც ასევე გულისხმობს უკვე ნაცნობი ფუნქციის ჩამოშორებას).

1. Barthes R. *Éléments de sémiologie*, Communications, 1964, 4, pp. 91-135
2. Эко У. *Отсутствующая структура*. СПб.: Simposium, 2004, 544 გვ.

Денотация и коннотация в архитектуре

Д. Бостанашвили

Статья рассматривает процесс означивания в мире вещей: архитектурные объекты начинают означивать утилитарные функции (денотация) и соозначивать нечто больше - "символические" значения (коннотация). Рассматриваются отношения устойчивых форм и динамики истории, на котором держится феномен потребления форм и устаревания эстетических ценностей.

Denotation and connotation in architecture

D. Bostanashvili

The article discusses the processes of signification in the world of things - Architectural objects begin to signify utilitarian functions (denotation) and co-signify something more - "symbolic" meanings (connotation). We examine the relationship of unalterable forms and dynamics of history, on which is based the phenomenon of consumption and obsolescence of forms and of aesthetic values.

ენა - მეტყველების დიქტომია არქიტექტურაში

დავით ბოსტანაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175*

*"ლინგვისტური სტრუქტურის პრიზმაში
ყველა სამეცნიერო ობიექტის განხილვა შეიძლება"
ლ. ელმსლევი*

განვიხილოთ სტრუქტურული ლინგვისტიკის ის კონცეპტები, რომლებიც არქიტექტურის სემიოლოგიის ძიებაში დაგვეხმარება.

ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, პირველად ფერდინანდ დე სოსიურმა განსაზღვრა და ამით საფუძველი დაუდო ახალ მეცნიერულ მიმართულებას - სტრუქტურულ ლინგვისტიკას; ხოლო იმ დაკვირვების შედეგად, რომ ენის გარდა კულტურაში ნიშანთა სისტემების მრავალი მაგალითი მოიძებნება (უესტები, საგნები, გამოსახულებები), დაიბადა მათი შემსწავლელი განზოგადებული მეცნიერება - სემიოლოგია / სემიოტიკა.

სემიოტიკური კვლევების საფუძველი ენათმეცნიერება გახდა და სხვა ნიშანთა სისტემებს სწორედ სტრუქტურული ლინგვისტიკიდან აღებული ზოგადი კონცეპტები უნდა მიეუსადაგოთ. *”არქიტექტურის თეორიამ უკვე შეადგინა წარმოდგენა მნიშვნელობაზე, რომელიც ეფუძნება განზოგადებულ სისტემას - არქიტექტურულ Langue-ს - აუცილებელს წარმოებისთვის და გაგებადობისთვის არქიტექტურული ხდომილებებისა (Parole), რომელიც ამ განზოგადებული კოდის შეტყობინება, გამოყენება, და შედეგია”* [1, 566]. სემიოტიკის ცენტრალური კონცეპტი სწორედ ენის ორი მხარე - ენა• და მეტყველების დიქტომიაა - რასაც ჰეიზი ასხენებს და რის საშუალებითაც განვსაზღვრავთ ტერმინს ”სისტემა”. ამგვარად ჩვენი ნაშრომისთვის პაროლე (ხდომილებების) მხარეზე მოვათავსებთ შენობებს, მათ ესკიზებს, ჩანახატებს, ფანტაზიებს, ფიზიკურ თუ ციფრულ მოდელებს, ქაღალდის არქიტექტურის ნიმუშებს, ხოლო langue (განზოგადებული სისტემა) მხარეზე იქნებიან ის კოდები (”ცოდნები”, ”კომპეტენციები”) რაც ამ ხდომილებებს განაპირობებენ.

langue / parole დიქტომია ენობრივი ფენომენის (langage) ორ მხარეს წარმოადგენს. ენობრივი ფენომენი ”ჭრელი”, დაუხარისხებელი ბუნებისაა; მასში ძნელია რაიმე ერთეულების გამოყოფა, რადგან ისინი ერთდროულად მიეკუთვნებიან ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ, ინდივიდუალურ და სოციალურ სივრცეს. ეს მოუწესრიგებელი მასა მოწესრიგდება, როგორც კი მოვახდენთ მის წმინდა სოციალურ ობიექტად აბსტრაგირებას, კომუნიკაციისთვის საჭირო სისტემატურ კონვენციებად წარმოდგენას, რომელიც არ არის დამოკიდებული იმ ფიზიკურ მატერიაზე, რითაც მოცემულნი არიან ნიშნები (მაგ. სიტყვები); სწორედ ამგვარ სისტემას უწოდა სოსიურმა langue (ენა), რომელიც არის ის სოციალური ინსტიტუცია და ღირებულება-მნიშვნელობათა სისტემა, რომელსაც ინდივიდი ვერც ქმნის და ვერც ცვლის (ვერ მართავს). მასთან მიმართებაში parole (მეტყველება) სისტემიდან არჩევის და აქტივაციის ინდივიდუალური აქტია; მისი კომბინაციური ხასიათი უმთავრესი თვისებაა. იგი წარმოადგენს (განმეორებადი) ნიშნების (ცვალებად) კომბინაციას.

ენა წმინდა აბსტაქტული სისტემაა; იგი სრული სახით მხოლოდ ”მოლაპარაკე მასაში” არსებობს და ინდივიდის დონეზე არასრულია. ისტორიული თვალსაზრისით ენის მეტყველების ფაქტები ყოველთვის წინ უსწრებენ ენის ფაქტებს, მეტყველება ავითარებს ენას და სწორედ მის გარშემო მიმდინარე მეტყველების ათვისების მეშვეობით ეუფლება ინდივიდი ენას. მოკლედ: ენა არის მეტყველების პროდუქტიც და ინსტრუმენტიც. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ენათმეცნიერება მხოლოდ ენის შესწავლით არის დაკავებული (სოსიურის მიხედვით) და სხვა კომუნიკაციური სისტემები, სემიოლოგიური კვლევების ჩათვლით, სწორედ ზოგადი სისტემის (ენის) კვლევაა და არა ინდივიდუალური კომუნიკაციური პროცესების. მოვიყვანოთ ენა/მეტყველების ”სინონიმები”:

Langue - Parole

სტრუქტურა - პროცესი

კოდი - შეტყობინება

სისტემა - ხდომილება


სემიოლოგიური კვლევისათვის, არაენობრივ სისტემებში langue და parole ფაქტების წინასწარ გამიჯვნა არამართებულია და შეუძლებელიც. რ. ბარტი რამდენიმე შემთხვევას განიხილავს. ერთ-ერთი მათგანია მოდა* როგორც ენა, რომლის მიხედვითაც მისი მიმდევრები იმოსებიან ინდივიდუალური კოსტ-იუმებით (parole). მაგრამ ამ ორი კონცეპტის გადანაცვლებით სხვა საკითხი დგება: მან, ვინც მოდას ქმნის (კოსტუმებს, როგორც parole-ს), თავად უნდა ისარგებლოს აბსტრაქტული სისტემით - langue-თი ("ცოდნებით", "მხატვრული ხერხებით"). ჩვენი ინტერესიც - არქიტექტურული სისტემის (langue) ძიებაც - სწორედ აქ გადის: რა ენით სარგებლობს ხუროთმოძღვარი არქიტექტურული მეტყველებისას.

პირველი შენიშვნა, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ არის ის, რომ არქიტექტურულ მოვლენათა სიტყვიდან, დავიწყებთ რა აბსტრაქტული სისტემის გამოყვანას, იგი (ეს სისტემა) არ აღმოჩნდება წმინდა სოციალური ობიექტი (როგორსაც წარმოადგენს langue). წინმსწრებად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არქიტექტურული ენის თითოეული მფლობელი გარკვეულ ინდივიდუალური ხერხებზე სისტემას ფლობს. თავად ეს სისტემა ნაკლებად მონაწილეობს სოციალურ სივრცეში - მას ინდივიდები თავად ავითარებენ (მაგ. არქიტექტურის სწავლის პროცესში) და ერთმანეთთან მისი მეშვეობით არ შედიან კომუნიკაციაში.

ბარტის მეორე დაკვირვება (ნახევრად სისტემური მდგომარეობა, "გაყინული" parole) მეტად საინტერესოდ სჩანს. ამის მაგალითად მოვიყვანოთ ამგვარი პროცესი: რაიმე საწყისი (ორიგინალური) არქიტექტურული სისტემა (langue) აწარმოებს რაღაც არქიტექტურულ ხდომილებას (parole, მაგ.: შენობას, პროექტს, ესკიზს) და ეს ნაწარმოები ხდომილება (parole), თავად შეიძლება გადაიქცეს ისეთ ნახევრად-სისტემურ მდგომარეობად ("langue", რამდენადაც იგი კონკრეტული სახითაა მოცემული), რომელიც ახალ ხდომილებებს (parole) წარმოშობს. ამგვარი ნახევრად-სისტემური langue-ს მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კლასიკური სანიშნო ფასადები. ერთის მხრივ ისინი თავად არიან ზოგადი სისტემისგან ნაწარმოები, მეორე მხრივ თავად გამოდიან ნახევარ-სისტემად ახალი არქიტექტურული ხდომილებების საწარმოებლად. ეს პროცესი შეგვიძლია კიდევ უფრო განვაზოგადოთ და მისი საშუალებით

* მოდაში რ. ბარტი გამოყოფს სამ სხვადასხვა სისტემას. ერთ შემთხვევაში მოდა (როგორც ლანგუე) მოცემულია ჟურნალში სიტყვიერი აღწერით (საინტერესოა, რომ აქ მოდის ენა სამეტყველო ენაზე "აკიდებული"); მეორე შემთხვევაში მოდა მოცემულია ფოტოს სახით. მესამე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს "ნამდვილ" ტანისამოსთან - შემოსვის პრაქტიკასთან. პირველ შემთხვევაში (ენობრივი აღწერა) სახეზეა მხოლოდ ანგუე. აღწერილი წესი არ შეესაბამება კონკრეტულ შესრულებას და ლანგუე იქმნება არა "მოლაპარაკე მასის" მიერ, არამედ ვიწრო გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის მიერ - ეს ჯგუფი ადგენს მის კოდს. რამდენადაც ეს გახლავთ დაწერილი (აღწერილი) მოდა, იგი ბუნებრივ ენასთან მიმართებაში მეტყველების (პაროლზე) ფაქტია, ხოლო მოდის სისტემაში ენა (ლანგუე), რომელიც, რაც მთავარია, არ არის აბსტრაქტული სახით მოცემული (ნაწერშია განხორციელებული). მეორე შემთხვევაში (ფოტოგრაფირებული მოდა), ენას ასევე აწესებს ვიწრო ჯგუფი და რაც მთავარია ლანგუე, აღარაა აბსტრაქტულად მოცემული, მას ატარებს კონკრეტული მანეკენი, ამდენად იგი ნახევრად-სისტემური მდგომარეობით არის მოცემული. მას ნორმატიული ინდივიდი წარმოადგენს, იგი მოკლებულია კომბინაციურ თავისუფლებას და ერთგვარი "გაყინული" არაა არის. მესამე შემთხვევა ყველაზე მეტად ჰგავს ენობრივ სისტემას: სახეზეა სხვადასხვა ტიპის ნაწილის არჩევა და მათი კოსტუმში ჩართვა გარკვეული წესების მიხედვით. ამ შემთხვევაშიც სახეზეა ანგუე / არაა სხვა მიმართება: ანგუე წინ უსწრებს არაა-ს, მისი ერთეულებიც ვიწრო ჯგუფის მიერ მზადდება [2, 99].

მოვიხელოთ, როგორც არქიტექტურის ათვისების, სწავლის (სწავლა ნიმუშის მიბაძვით და მისი ინტერპრეტირებით, ან თუნდაც პლაგიატით), ასევე მთლიანი არქიტექტურული სტილების ისტორია. მოკლე სქემის სახით ამგვარად შევიძლია მისი მოცემა:



ამ სქემაში საინტერესოა ორი რამ: 1) სისტემებიდან იმ პროცესების წარმოება, რომლებიც თავის მხრივ ახალ სისტემებად გადაიქცევიან დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს და 2) ფუნდამენტური, "ორიგინალური" სისტემის არსებობა. ლინგვისტიკის სივრცეში ეს უკანასკნელი პრობლემა არ დგას: სტრუქტურული ლინგვისტიკა არ განიხილავს (არც გულისხმობს) langue-ს მიღმა მდგომ უფრო ღრმა სტრუქტურას. ეს სემიოტიკური პოზიცია ჩვენი კვლევისთვის ამგვარად ტრანსფორმირდება: ჩვენი მიზანი არის არა (არქიტექტურული) აზროვნების ღრმა მექანიზმების გამოვლენა, არამედ იმ კულტურულად განპირობებულ კონვენციათა სისტემის აგება, რითაც არქიტექტურა კომუნიკაციის პროცესში ერთვება.

ამგვარად, სემიოლოგიური კვლევების პირველი ნაბიჯი სწორედ სისტემისკენ მსვლელობაა. ენა/მეტყველების დიქტომიის პირდაპირი გადმოტანა კი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ენის და მეტყველების ფაქტების წინასწარ გამიჯვნა, როგორც ზედა მაგალითიდანაც დავინახეთ, გართულებულია. განსხვავებული სუბსტანციის მქონე სისტემებში (კინო, ტელევიზია) ეს პრობლემა უკეთ სჩანს. კიდევ ერთი პრობლემა, სხვა სისტემებში, შეეხება Langue/ აროლე პროპორციულ "მოცულობას" (ბუნებრივ ენაში სასრული მოცულობის Langue უსასრულო კომბინაციებს ქმნის). მაგრამ მოდის ენა (ბარტისეული ინტერპრეტაციით) ნაკლებად არის წმინდა აბსტრაქტური ფორმა (მატერიალურად განხორციელებულია) და იგი გაყინულ მეტყველებათა შეზღუდულ რაოდენობას ქმნის. სისტემებში, სადაც მოდელს და მის "შესრულებას" შორის განსხვავება მცირეა, სადაც "Parole" ღარიბია, ლინგვისტიკური მოდელი ზუსტად არ გამოდგება. ამგვარ სისტემას ესაჭიროება სემანტიკურად ინერტული მატერიალური საყრდენი (მედიუმი): Langue და აროლე პლანების მაგივრად ვიღებთ სამ დონეს: მატერია / Langue (ენა) / საგე (ჩვევა-პრაქტიკა). პირველი უზრუნველყოფს ანგუე-ს მატერიალურობას. ამგვარად "იქ, სადაც "Langue-ს" ესაჭიროება "მატერია" (და არა "Parole"), საქმე გვაქვს უტილიტარული საწყისის მქონე სისტემასთან და არა მნიშვნელთან, როგორც ბუნებრივი ენა" [2, 102]. საგანთა სემიოტიკა სწორედ ამგვარი სისტემაა.

სემიოლოგიაში langue (ენა) / parole (მეტყველება), როგორც დავინახეთ ენათმეცნიერებიდან შემოვიდა და ამ ცნებების განზოგადებით შეგვიძლია ვისაუბროთ არქიტექტურულ ენაზე, როგორც განზოგადებულ სისტემაზე და

არქიტექტურულ მეტყველებაზე, როგორც ამ სისტემით განსაზღვრულ ხდომილებებზე. ენათმეცნიერული ცნებების ამგვარი განზოგადებით, არქიტექტურის და სემიოტიკის მიმართებებს ვეღარ მოვიხელთებთ - ზოგადი სისტემის და ხდომილების კვლევა მარტო სემიოტიკის საგანი არ არის. ამიტომ ისევ სემიოლოგიურ ჩარჩოში რომ მოვათავსოთ ჩვენი განსჯა სისტემის და ხდომილების ის შემთხვევა უნდა განვიხილოთ, რომელიც სემიოტიკაშია მიღებული და დამკვიდრებული: *კოდი* და *შეტყობინება*^{*}. სწორედ არქიტექტურული კოდების ძიება იქნება ჩვენი ნაშრომის ცენტრალური თემა. აქ მხოლოდ მოკლე განმარტებას მოვიყვანთ: *კოდი* მოიცავს ნიშანთა რეპერტუარს, რომელშიც ნიშნები ერთმანეთთან ქმნიან განსხვავებების და ოპოზიციების სისტემას (ყოველი ნიშნის მნიშვნელობა-ღირებულება განისაზღვრება მისი მიმართებით სისტემის სხვა ნიშნებთან); კოდი ძირეულ წესად გვევლინება კონკრეტული შეტყობინებების ფორმირებისას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ (1) არქიტექტურული სისტემა (langue), ნაკლებად არის სოციალური ობიექტი (იქმნება გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის მიერ), გარკვეულ ინდივიდუალურ კომპეტენციათა კრებულს წარმოადგენს და (2) იგი შეიძლება მოცემული იყოს ნახევრად-სისტემური მდგომარეობით. ამ ორივე საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ცნება *იდიოლექტი*. ლინგვისტიკაში იგი განისაზღვრება, როგორც მხოლოდ ერთი ინდივიდუალური სუბიექტის ენა, ერთი ინდივიდის ჩვევა-პრაქტიკის თამაში მოცემულ მომენტში. იგი ერთგვარი ინსტიტუციონიზირებული მეტყველებაა (Parole), რომელიც არ არის იმდენად ფორმალური, როგორც ენა (Langue).

იდიოლექტის სამი შემთხვევა: 1. აფაზიის (ენობრივი უნარის სისტემური დარღვევა) მქონე პირის ენა; 2. მწერლის “სტილი”, ან შემოქმედებითი, მხატვრული, არქიტექტურული ხდომილების ინდივიდუალური კოდი; 3. ერთი ენობრივი სათემოს (ჯგუფის) ენა.

ამგვარად, გარკვეული ნაწარმოებები თავად ადგენენ რა გამინსვენელიანების საკუთარ სისტემას, ერთგვარ ენად (*იდეოლექტად*) წარმოდგებიან, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ამ ახალმა სისტემამ ერთგვარი ზეწოლა მოახდინოს წინარე კოდზე, რომლის შესაძლებლობებს ის არღვევს, აფართოვებს. ეს საკითხები საინტერესოა რიტორიკული და თვითრეფლექსური (‘ესთეტიკური’) შეტყობინებების განხილვისთვის.

1. Hays M. *Architecture theory since 1968*, Cambridge: MIT Press, 2000.
2. Barthes R. *Éléments de sémiologie*, Communications, 1964, 4, pp. 91-135

Дихотомия язык / речь в архитектуре

Д. Бостанашвили

Статья рассматривает вопрос взаимоотношения обобщенной системы и конкретных событий в архитектуре на основе понятий структуральной лингвистики - Язык / Речь.

Dichotomy of language / speech in architecture

D. Bostanashvili

The article examines the relation of the generalized system and particular events in architecture through concepts of structural linguistics - Language / Speech.

* მრავალი მკვლევარისთვის მისაღებია ლანგუაჰ/პაროლე გაიგივება კოდთან და შეტყობინებასთან. თუმცა როგორც პ. ჟირო აღნიშნავს ”კოდის კონვენციები ექსპლიციტურია, ხოლო ენის [ლანგუაჰ] - იმპლიციტური” [2, 95].

ორნამენტი და არქიტექტურა

ნინო იმნაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქ.თბილისი, კოსტავას ქ.№77*

არქიტექტურული ნაწარმოების აღქმისას თავდაპირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფორმა. აქ ჩნდება საკითხი “სილამაზეზე”, რომელიც დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ძველად. რადგან ჩვენ სილამაზეს შევხებით, როგორც არქიტექტურული ფორმის ერთ-ერთ კატეგორიას მოვიყვანთ ალექსანდრე რაპაპორტის სიტყვებს: “სილამაზე ნამდვილად ახასიათებს არქიტექტურულ ფორმას ტოტალურად, მთლიანად”. სილამაზის გაგება შეიძლება სხვადასხვანაირად, მაგალითად, როგორც ფორმის მოპირკეთება ძვირადღირებული მასალით, მეორე – დეკორატიულობა ანუ ფორმის შემოსვა ორნამენტებით (გამომსახველობითი მოტივებით), მესამე – სილამაზე შეიძლება გავიგოთ, როგორც სრულყოფილი პროპორციები და ა.შ. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ სილამაზის გამოვლენის უამრავი ფორმა და მაგალითი, მაგრამ შევჩერდებით ორნამენტზე, რადგან ვთვლით, რომ ორნამენტის მნიშვნელობის გაცნობიერება არქიტექტურული სახის ძიებისთვის გაამდიდრებს არქიტექტორის პალიტრას და ამავე დროს გააფართოვებს მისი შემოქმედებითი ძიების არეს. ცხადია ჩვენი კვლევა არ ისახავს მიზნად ორნამენტის გაბატონებული მნიშვნელობის წინ წამოწევას არქიტექტურული ფორმის ძიების ურთულეს გზაზე, ჩვენ მხოლოდ მოვახდენთ ფაქტის დაფიქსირებას და ვფიქრობთ, რომ ცალკეულ ხუროთმოძღვართა გამონათქვამების და ობიექტების განხილვა მხოლოდ ხელს შეუწყობს თანამედროვე ორნამენტის როლის გაცნობიერებას.

როგორც ისტორია გვიჩვენებს არსებობს შენობა-ქანდაკება და შენობა-სურათი. პირველისთვის მნიშვნელოვანია ფორმა, მასალა, სივრცე; მეორესთვის კი ფასადი და ორნამენტული ნახატი. ორნამენტი, რომლის დანიშნულებაა შეამკოს შენობის ფასადი, მკაფიოდ გამოხატოს კედლის სიბრტყის დანაწევრება ან პირიქით უფრო თვალსაჩინო გახადოს კედლის სიბრტყის ერთიანობა უძველესი დროიდან შენობის მხატვრული კონცეფციის არსებით ელემენტს შეადგენდა, იგი მუშავდებოდა საუკუნეთა მანძილზე და ჩვენ დროშიც არ დაუკარგავს მხატვრული ზემოქმედების ქმედითი ელემენტის მნიშვნელობა. უძველესი დროიდან ადამიანები ცდილობდნენ საკუთარი სადგომის გალამაზებას, უცნობია პირველი ხუროთმოძღვარი, რომელმაც გადაწყვიტა თავისი სახლის გალამაზება ფერწერული ტილოთი ან ქვისგან გამოთლილი ფიგურებით. ეს იდეა თავდაპირველად მხოლოდ რიტუალური მოქმედების აქტს წარმოადგენდა და არა შეგნებულ სწრაფვას მხატვრული სინთეზისკენ, რომლის გენეზისიც არ არის ჩვენი კვლევის სფერო, ის მოყვანილია როგორც ფაქტის კონსტანტაცია, რადგან თავისდავად ეს მოვლენა ისტორიული ხასიათისაა და განსხვავებულად ხდებოდა მისი გამოვლენა საზოგადოების კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

უძველესი ეგვიპტური სატაძრო კომპლექსები კარნაკში, ლუქსორსა და აბუ-სიმბელში, პართენონი, რომის ფორუმები, პომპეის ვილები ხელოვნებათა სინთეზის ხილული მაგალითებია. ანტიკური ძეგლების მკვლევარმა შარი ბლანმა აღნიშნა, რომ “არქიტექტურა არის არა ნაგებობა, რომელსაც რთავენ, არამედ სილამაზე, რომელსაც აშენებენ”. ვროპული გოთიკა წარმოუდგე-

ნელია ქანდაკებების, ქიმერებისა და ვიტრაჟების გარეშე, ხელოვნებათა სინთეზის მსგავსი ფორმა ნათლადაა გამოვლენილი აღორძინების, ბაროკოს, კლასიციზმის ეპოქებში. არ შეიძლება გვერდი აუაროთ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. უძველესი ქართული ეკლესია-მონასტრები უხვადაა შემკული ჩუქურთმებით, რომლებიც მათ სიღიადესა და მიმზიდველობას ანიჭებს. XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლების “აივნების ხის მოხდენილი ჩუქურთმითი სამოსელი” (სამსონ ლეჟავა) არაჩვეულებრივად ამდიდრებს შენობის ფასადს. ხალხურ შემოქმედებაში ჩანს ფორმების სიმართლე, თვალის მომჭრელი ფერადოვნება და რაც მთავარია მაღალი გემოვნება, რომელიც ხელოვნების თანმდევი: “დეკორატიული მოხატულობა, დახვეწილი კოლონები, შესასვლელების მორთულობა, აივნების პარაპეტები და სხვა მრავალნაირი არქიტექტურული დეტალი გვიჩვენებს ხელოვნების ორგანულ კავშირს, რომელიც ასე ბუნებრივი და აუცილებელი იყო” (სამსონ ლეჟავა). ისტორიას თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ ზოგჯერ სინთეზი იმდენად ძლიერია, რომ თითქოს შეუძლებელია არქიტექტურისა და ქანდაკების ერთმანეთისგან განცალკავება, ამის კლასიკური მაგალითია ანტონიო გაუდის “საგრადა ფამილიას” ტაძარი ბარსელონაში. ეს ტაძარი უფრო გამოძერწილს ჰგავს ვიდრე ქვისგან აგებულს. გოთიკისათვის დამახასიათებელი პლასტიურობითა და სივრცულობით შთაგონებულმა გაუდიმ თავის ქმნილებაში გააერთიანა არქიტექტურა, ქანდაკება და დეკორატიული ხელოვნება. ლე კორბუზიემ “კაპელა რონშანის” შექმნისას შეძლო არქიტექტურული ფორმისათვის სკულპტურული სახის მინიჭება და მთელი შენობა “ორნამენტად” აქცია.

ორთოდოქსულმა ფუნქციონალისტებმა დეკორატიულობა და სიმბოლურობა ჩაანაცვლეს სუფთა სიბრტყეებითა და მრავალფეროვანი მოცულობებით. არქიტექტორებმა ირონიულად უარი თქვეს ორნამენტზე. თუ, კი ჩვენ შენობების ფასადებიდან ჩამოვხსნით მორთულობას და რთულ ორნამენტს, თუნდაც მოდერნის სტილის შენობებიდან ან რუსთაველის გამზირის ეკლექტიკური ნაგებობებიდან, ისინი ალბათ ისეთი მიმზიდველები აღარ იქნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითოეული შემოქმედი შენობის ზედაპირს რთავს უპირველეს ყოვლისა სილამაზისთვის. ნაგებობას მუხტავს ენერგეტიკით, რომელიც შემდეგ მაყურებელზე ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. კლასიციზტური შენობათა ფასადების ღირსება იმაში მდგომარეობდა რომ, თავის ზედაპირზე ორდერის იმიტაციით იგი ანიჭებდა ფასადს თავისებურ სიცოცხლეს ანუ სურათის სიღრმისეულ შეგრძნებას, ტექტონიკურ ენერგეტიკას და თამაშს დაკავშირებულს ცნობიერების რეფლექსებზე. ავანგარდი ფასადის ამ ფუნქციას განიხილავდა, როგორც ტყუილს. ეს იყო მეტაფორა, ეტიკეტის ფორმა (როჯერ სკრუტონი). ფასადი გაქრა და დარჩა ჩვეულებრივი კედელი, რომელმაც დაკარგა მხატვრული “ინტერფეისის” ფუნქცია. ჩნდება კითხვა როდის და რა დროს დაიკარგა “ცოცხალი ფასადის” მითი? სხვათაშორის ამ კითხვას მივეყვართ სახლთან, როგორც სივრცულ ქანდაკებასთან და ამ მითოლოგიურ სახეს გარდაქმნის სუფთა პლასტიურ მოვლენად. თანამედროვე შენობათა ფასადებზე ფანჯრის ღიობები თუ კი ფიზიკურად ქრება ხდება გეომეტრიული პერფორაცია, სტრუქტურული ნახატი. შენობები ხდებიან თავისებური ნივთები, პლასტიური ფანტაზიის ნაწარმოებები, რომელიც ფლობს შინაგან დინამიურ ძალას და დამოუკიდებლობას.

დეკორში ან როგორც რობერტ ვენტური ამბობს “მახვილგონივრულ, ელიტარულ და ტაქტიან აპლიკაციაში” ხშირად იგულისხმება იმპროვიზირებულად შექმნილი კომპოზიცია, რასაც დიდი ოსტატობა სჭირდება. თუ კი ეს არ არის მაშინ ასეთი ნაგებობები “შეუსაბამოდ”, “არეულდარეულად”,

“სულელურად” გამოიყურება, რობერტ ვენტურისთვის “არქიტექტურა ეს არის სიმბოლოების და დეკორაციის თავშესაფარი”. ბევრი არქიტექტორისთვის ეს განმარტება შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, რადგან თანამედროვე არქიტექტურის დახასიათებისას სიტყვა ორნამენტი არ იხმარება. “სივრცე და პროცესი” არის ძირითადი მახასიათებელი ლუის კანისთვის: “არქიტექტურა არის გააზრებული შექმნილი სივრცე”, ლე კორბუზიესთვის კი “არქიტექტურა ეს არის ჭკვიანი, ზუსტი მოცულობების თამაში” და ა.შ. კორბუზიეს განსაზღვრებაში ტექნოლოგია და ფუნქცია მთავარია, ორნამენტი და სიმბოლო – აპლიკაცია და ასოციაციები გაკრიტიკებული. ადოლფ ლოსისთვის “ორნამენტი დანაშაულია”. იგი უკომპრომისოდ იბრძოდა ორნამენტის წინააღმდეგ, რომელიც მისთვის ისეთივე სიველურე იყო როგორც უძველესი ადამიანის მიერ სხეულის ტატუირება. “ჩვენი დროის სიდიადე არის ის, რომ მას არ შეუძლია გამოიგონოს ახალი ორნამენტი. ჩვენ დავძლიეთ ორნამენტი, ჩვენ ვისწავლეთ შიშველი ქვის სილამაზის შეგრძნება”. მოდერნიზმის არქიტექტურის მიმდევრებმა შეძლეს გეომეტრიული ფორმების ასკეტური სტილის დანერგვა, ორნამენტი შეიცვალა სუფთა ხაზით, გლუვი და სწორი ზედაპირებით. ორნამენტი სრულიად გაქრა შენობების ზედაპირებიდან, ტექნოლოგიურად გამართული სქემა, თანამედროვე კონსტრუქციებით აღჭურვილი შენობები მართლაც არ საჭიროებენ ორნამენტს. არქიტექტურა თავისუფლდება ყოველგვარი ზედმეტისაგან, შემთხვევითისგან. ფუნქციონალისტები თვლიდნენ, რომ შენობის მხატვრული სახე უნდა ყოფილიყო რაციონალური ორგანიზების შედეგი. არქიტექტურა განთავისუფლდა რა ორნამენტის სამოსელისგან დაკარგა ის იდუმალეობა, რაც მუდმივად თან სდევს მშენებლების შეგრძნებას. “თანამედროვე არქიტექტურა” რომელიც შემოიფარგლა კონსტრუქციით და ფუნქციით სივრცეში გახდა არქიტექტურად მხოლოდ არქიტექტორებისთვის, რომელიც არაფერს არ ეუბნება ადამიანებს და ამიტომ დაკარგა კავშირი საზოგადოებასთან. არქიტექტურა “დამუნჯდა”. ფუნქციონალიზმი ახშობდა შენობათა მიმზიდველობას. მკვდარი ფუნქციონალიზმი შენობას ხდიდა მოხერხებულს და ადამიანების მოთხოვნებიდან გამომდინარე მორჩილს.

ა. გუტნოვი წიგნში “არქიტექტურის სამყარო” ორნამენტს მიუძღვნა მთელი თავი: “ორნამენტი და დანაშაული”. მასში მოყვანილია ცნობილი არქიტექტორების გამონათქვამები, მაგ: ლუის სალივენი აღნიშნავს, რომ “შენობამ ორნამენტის გარეშე შეიძლება მოახდინოს მედიდურობისა და კეთილშობილების შთაბეჭდილება თავისი მასებით და პროპორციებით. მე არ ვარ დარწმუნებული რომ ორნამენტს შეუძლია არსებითად აამაღლოს ეს მთავარი ღირსება. ჩვენ გვინდა არ გვინდა უარი უნდა ვთქვათ არასასურველ მორთულებებზე.” პიტერ ბერენსი; “ჩვენ არ უნდა ვითამაშოთ სიძველით, მასკარადი და ტანისამოსი გაუგებარია ჩვენი ცხოვრებისთვის”. ანრი ვან დე ველდე: “მოვიდა დრო, როდესაც მთავარი ამოცანაა შენობა განთავისუფლდეს აზრს მოკლებული ორნამენტისგან, რომელსაც დაკარგული აქვს ნამდვილი სილამაზე”. ალექსანდრე ვესნინი აღნიშნავდა, რომ ხელოვნებათა სინთეზი ხელს უწყობს სრულყოფილი არქიტექტურული ნაწარმოების შექმნას, მაგრამ ჩვენ ორნამენტის წინააღმდეგი ვართ, არქიტექტურაზე გამოყენებული სკულპტურა და ფერწერა არასოდეს არ იტყუება. არქიტექტურული ორნამენტი ყოველთვის პრეტენზიულია. დეკორირებული ფასადების უკან რეალური, ფუნქციური და ტექნოლოგიური პრობლემები ჩნდება, რომელიც შეუთავსებელია მორთულობასთან”. XX ს-ის 50-იანი წლებისათვის შენობათა ფასადებიდან გაქრა ფსევდოკლასიკური მორთულობა და ორნამენტი. დაეუბრუნდეთ რობერტ ვენტურის. ვენტური ცდილობს ააღორძინოს არქიტექ-

ტურის მაღალი ღირსება, გამოსაწოროს პროფესიულ ცნობიერებაში “თანამედროვე მოძრაობის” მიერ დატოვებული ხარვეზი. “ნიშნების და სიმბოლოების არ დანახვა და არ გაგება, მხოლოდ ფუნქციონალური შინა-არსის პრობლემებით შემოფარგვლა ნიშნავს არქიტექტურის გაღატაკებას”. წიგნში ‘სირთულეები და წინააღმდეგობები არქიტექტურაში ვენტური წერდა “არქიტექტორები უკვე ვეღარ მისცემენ თავს უფლებას იყვნენ დაშინებული თანამედროვე არქიტექტურის ორთოდოქსული, პურიტანული ენით. მე უფრო მომწონს ჰიბრიდული, კომპრომისული, ტალღოვანი, გაურკვეველი ელემენტები, ვიდრე უსახო, მოსაწყენი, სწორხაზოვანი, გამოგონილი”. ვენტური არქიტექტურულ ნაგებობას ორ ჯგუფად ყოფს: “იხვები” და “დეკორატიული ფარდული”. “იხვი” ეს არის შენობა, რომელშიც კონსტრუქციულ-ფუნქციური სისტემა და სივრცულ-მოცულობითი ორგანიზაცია ემორჩილება სიმბოლურ ფორმას, ანუ შენობა სიმბოლურია. “დეკორატიული ფარდული” კი აგებულია ფუნქციური პროგრამით და ყოველივე სიმბოლური მასზე დეკორაციასავითაა. ვენტური სწორედ ამის მომხრეა: “არქიტექტურა ეს თავშესაფარია მასზე დეკორაციით”. თუმცა პოსტმოდერნისტების სწრაფვა არქიტექტურის ორნამენტირებისკენ ხშირად იწვევს ნაგებობის გადატვირთვას ვიზუალური მოტივებით. მაგ. მუსიკალური ცენტრი ვრედენბურგი უტრეხტში (არქ. ჰერცბერგი, 1980წ.) ასეთი ობიექტების მიმართ ბ.ძუფემ გამოაქვეყნა სტატია სათაურით “გაჩერდი, კედელი შენ ძალიან ბევრს ლაპარაკობ”.

დღეს XXI ს-ის დასაწყისში თანამედროვე ნაგებობების ფასადთა სიბრტყეებზე ისევ გამოჩნდა ორნამენტი. იცვლება ორნამენტის გამოყენების ესთეტიური პრინციპები. ცვლილებები იმდენად ნათელია, რომ მათი აღქმა, საზოგადოებასთან ადაპტაცია უკონფლიქტოდ შეუძლებელია. ამ ცვლილებების გენერატორი არის ახალი მეცნიერება ნანოტექნოლოგია. მაღალი ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას შექმნას ციფრული, მედია, მწვანე, კინეტიკური, ფრაქტალური ფასადები, რომლებიც ინოვაციურია. ასეთი ფასადები წარმოადგენენ ვირტუალურ საგამოფენო სივრცეებს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებასთან კომუნიკაციას, რადგან ინფორმაციულია და თავისუფალია გადმოცემაში. მაღალი ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას შენობათა სიბრტყეების მართვის, შექმნან მუდმივი მოძრაობა და დაარღვიონ არქიტექტურული ჩანაფიქრი არარეალური რეალურად წარმოაჩინონ. შენობის ფასადის ყველა ელემენტის მოძრაობით იქმნება ახალი პლასტიური და კომპოზიციური სტრუქტურები. მოძრაობაში თამაშდება რეალობა. ნებისმიერი შენობის ფასადი გაცოცხლებულია. მათში გადმოცემულია ირონია, ღიმილი, ნგრევა, საზღვრების მოშლის ილუზია, ცხოვრება, მესხიერება და მოგონებები. ავტორისეული ჩანაფიქრი ობიექტზე მრავალჯერ ინტერპირდება, როგორც პროფესიონალების ისე ჩვეულებრივი ადამიანების ცნობიერებაში. შედეგად იქმნება რთული სემიოტიკური სტრუქტურა.



ობიექტების აზრობრივი ინტერ-პრეტაცია განსაზღვრავს ემოციურ რეაქციას მასზე, რეალიზებული სიტყვიერ მეტაფორებში – დეფინიციებში, რომელიც ქმნის ნიადაგს დიალოგისთვის – დიალოგი დროში, სივრცეში, პოზიციებს შორის. ეს სემიოტიკური ხელოვნების მნიშვნელოვანი პრინციპია. მხატვრული ნაწარმოები წარმოუდგენელია მხატვრული რეფლექსიის გარეშე.


ორნამენტი იდეალური, პირობითი,

განთავისუფლებული ყოფითი შემთხვევითობის-გან ბატონობს ქაოსზე და მოუწესრიგებლობაზე. მას ახასიათებს ხაზგასმული ორგანიზებულობა. ეს პრინციპი კანონზომიერად გამომდინარეობდა სამყაროს უნივერსალური მოდელიდან. ორნამენტის შექმნა არ ითხოვდა მხატვრისგან უშუალო კავშირს ამ თუ იმ კულტურის ფილო-სოფიურ ძიებებთან. იგი მიმართულია ადამიანის სულიერი ამადლებისკენ და სილამაზის შექმნისკენ. ბენედეტა ტალაბუ (ენრიკე მირალესის მეუღლე) აღ-ნიშნავს: “დეკორი უცნაური სიტყვაა, სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა მნიშ-ვნელობა აქვს, ეს არის მორთულობა, მოპირკეთება და ა.შ. არქიტექტურას შეესაბამება ტერმინი “ორნამენტი”. მე არავარ ამ სფეროში ოსტატი, მაგრამ მივეკუთვნები იმ ოსტატთა რიცხვს რომლებიც ერიდებიან ცარიელ სიბრტყეებს. ამიტომ ჩვენი არქიტექტურა საკმაოდ დატვირთულია. ვთვლით, რომ მხოლოდ ერთი იდეით შეუძლებელია შენობის დაპროექტება და სიამოვნებით ვიყენებთ ორნამენტს. იგი ჩვენთვის თავისებური თამაშია, ხედვა, დიალოგი წარსულთან”. მისი კრეალო – “შენობის დეკორი დამოკიდებული უნდა იყოს მიზანზე”. ბიურო EMBT - ის ნამუშევრები აღმოცენებულია კატალონიურ ტრედიციებზე, სწორედ ასეთად გამოიყურება “ექსპო 2010” ქ. შანხაიში ესპანეთის პავილიონი. უჩვეულო პლასტიკის ნაგებობა შესრუ-ლებულია ხალხური ოსტატების მიერ. პავილიონის მოცულობა თავისი ფერით, ფორმით, ორნამენტით ჩეწერილია გარემოში. სანტა-კატერინას ძველი ბაზრის რეკონსტრუქციის პროექტი (ქ.ბარსელონა) წარმოადგენს საინტერესო შეთავ-სებას ძველისა ახალთან. ძველი ბაზრის შენობა გადახურულია მომხიბლავი, ჭრელი, მოზაიკური ორნამენტით გადატვირთული გოფირებული სახურავით. ასეთი ხერხით შენობას აქცენტი დაესვა და საერთო განაშენიანებიდან გამორჩეულად გამოიყო. ორნამენტი – კონტექსტისთვის და ორნამენტი რომე-ლიც ძველ შენობას ახალ სიციცხლეს სძენს, ორნამენტი ამ შემთხვევაში აპლიკაციაა დადებული ფასადების სიბრტყეზე. ფასადების მოხატვა, აპლი-კაციები ძალზე პოპულარული თემაა. ასეთ ორნამენტში ჩადებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონცეპტუალური იდეები: ეროვნული თავისებურება, თვითმყოფადობა, ხელოვნების ნიმუშები, მეხსიერება, მოგონებები წარსულზე და ა.შ. ასეთი აპლიკაციები უფრო სუბიექტურია ვიდრე ობიექტური. ასეთი ფასადები იმპროვიზირებული საგამოფენო დარბაზებია რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს. მაგ. 2010 წლის შანხაის გამოფენაზე წარმოდგენილ რუსეთის პავილიონში ჩადებულია კონცეფცია ბავშვის ხედვა ქალაქზე. 12 დინამიური კოშკი დაფარულია რუსული ნაციონალური სამოსელისთვის დამა-ხასიათებელი ორნამენტული მოტივებით. 2018 წელს ჰააგაში აშენდება კულ-ტურის ცენტრი, რომელიც წარმოადგენს რომის კოლიზეუმის ციტატას, მისი ფასადზე კი ეშერის “მეტამორფოზის” უხარმაზარი რეპროდუქციას ვიხილავთ. მოხატული ფასადის კიდევ ერთი მაგალითა “ხელოვნების სახლი” მაიაში. შენობის ფასადი იმპროვიზირებული საგამოფენო დარბაზია. რომელიც დროდადრო ახალგაზრდა დამწყები მხატვრის რეპროდუქციებით შეივსება. მარსელში შეიძლება მხიარულ შენობასაც წააწყდეთ, რომლის დანახვა ღიმილს მოგვრით. ჭრელი ფერების და მხიარული ნახატის მეშვეობით ამ ერთობ უინტერესო შენობამ საკუთარი საინტერესო სახე შეიძინა. ბიზნეს ცენტრი მენნი (საფრანგეთი) - უჩვეულო, ქაოტური, ორიგინალური. სწორედ ასეთი ეპითეტები შეესაბამება ამ შენობას, რომლის ფასადიც აწყობილია მინაზე დამაგრებული ფოლადის ღეროებით. ავტორების აზრით შენობის სახე ასახავს თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ ატმოსფეროს, რომლის ძირითადი ნიშანი თავისუფლებაა. შენობის ფასადი საკმაოდ ემოციური,

შთამბეჭდავი, დინამიური, არეულდარეული და ცოცხალია. ვახსენებთ რა ცოცხალს გვახსენდება პატრიკ ბლანშის შენობები, რომელთა ფასადები დაფარულია ცოცხალი მცენარეებისგან შექმნილი ორნამენტებით. ძალზე საინტერესოა იაპონელი არქიტექტორების ფორმადწარმომქმნელი ძიებები. ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი კიოტოში მდებარეობს ვიწრო ქუჩებს შორის. ცნობილია რომ იაპონელისთვის მნიშვნელოვანია მუდმივი შეგრძნება იმისა, რომ ის კონტაქტშია ბუნებასთან რაც შეუძლებელია ურბანიუბებულ გარემოში. ამიტომ ავტორებმა ორიგინალურ გადაწყვეტას მიაგნეს. მთელი შენობის ფასადი წარმოადგენს გიგანტურ ხეს. მსგავსი ხერხით არის გადაწყვეტილი ვილა საიტან. შენობის ფასადს წარმოადგენს ბეტონის სიბრტყიდან ამოჭრილ ფოთლოვან ორნამენტს.



პავილიონი ჰორდვესტჰაუზ (ავსტრია). კუბის ფორმის შენობა, აღმართულია ტბის პირას. იგი წარმოადგენს ბეტონის და მინისგან შემდგარ სტრუქტურას, იქმნება ისეთი შტაბეჭდილება, რომ თითქოსდა შენობაზე ირეკლება წყლის ზედაპირი. შენობა ჰარმონიულადაა ჩაწერილი გარემოში და მისი ლოგიკური გაგრძელებაა. სხვათაშორის მსგავსი პრინციპებითაა აგებული სავაჭრო პავილიონი გერმანიაში. მინის კუბი რომელიც თითქოსდა მოყოლილია ბეტონის ბილიკების ქვეშ. ბილიკები შემოეხვია შენობას და გაიფანტა ბალახზე. ასეთი სახით ისეთი ორგანულობაა შექმნილი არქიტექტურას, ბუნებას და სახვით ხელოვნებას შორის, რომ ძალზე ძნელია გაატარო საზღვარი არქიტექტურას სახვით ხელოვნებასა და ბუნებას შორის.



ტოლო იტო მიეკუთვნება იმ ოსტატთა რიცხვს რომელიც შენობას ფუთავს და ქმნის საინტერესო ორნამენტულ ნახატებს.



როგორც განხილულმა მასალამ გვიჩვენა დღეს დეკორი არ არის მარტივი, არატრადიციულია მასალის გამოყენებაც, ორნამენტი შეესაბამება იმ ადგილს სადაც დგას შენობა. ნებისმიერი სახის ორნამენტის გამოყენება რაღაცით უნდა იყოს გამართლებული. კონტექსტს აქ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. რაც უფრო დახვეწილია, მოულოდნელი მით უფრო საინტერესოა. მოგვეწონა ასეთი მოსაზრება: “როდესაც სეირნობ ტყეში ხეებით, ბუჩქებით, ყვავილებით მუდმივად იცვლება კადრები. ასეთივე განწყობა შეიძლება შევქმნათ ხელოვნურ გარემოში ქალაქში ფასადების მონაცვლეობით. ამრიგად ორნამენტი არქიტექტორის ხელში წარმოადგენს მხატვრულ ხერხს, რომელიც აკონკრეტებს დროის შესატყვის რეალურ სახეებს და ფაქტებს. ორნამენტი არქიტექტურის არსებითი ელემენტია, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს არქიტექტურული ფორმის ჩამოყალიბებაში. განხილული მაგალითები გვიჩვენებს, რომ შენობის ფასადის დეკორით შემკობის მოთხოვნა ვლინდება მთელი ძალით და გამოირჩევიან თანამედროვე ორნამენტული მოტივების მრავალფეროვნებით, მისწრაფება ჩუქურთმით ფასადის გამდიდრებისაკენ, იმაშიც გამოიხატება, რომ ჩნდება სრულებით განსხვავებული გამომსახველობითი ხერხები. მაგ: მთლიანად ან ნახევრად ორნამენტული სიბრტყეები, მოხატვა რეპროდუქციებით. თანამედროვე ტექნოლოგიური ხერხების ორნამენტად წარმოდგენა, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ დეკორატიული ნივთებით შენობების მორთვა, და ა.შ. ორნამენტი რომელიც სულ ცოტა ხნის წინ უარყოფილი იყო ან ემსახურებოდა მხოლოდ არქიტექტურული ფორმის აქცენტირებას, ფასადის კომპოზიციის სრულუფლებიანი კომპონენტი ხდება. ორნამენტის დეტალების მოდელირების განსაკუთრებული პლასტიური ხერხები, მისწრაფება ორნამენტული სქემის გაცხოველებისადმი მისი დაუსრულებელი სახეცვლით დღეს ადგილს უთმობს სხვა თვისებებს; ამიერიდან ჩნდება მოთხოვნილება, რომ ნაწარმოები ცხოველხატულ მთელს შეადგენდეს, ორნამენტი საერთო შთაბეჭდილებას ემსახურება და აღარ საჭიროებს ცალკეულ ნაწილთა ინდივიდუალიზაციას. როგორც განხილულმა ვიზუალურმა მასალამ გვიჩვენა არქიტექტურული ფორმის ევოლუცია გრძელდება ახალი კონსტრუქციებით და სტრუქტურებით, სამშენებლო მასალებით. კედლის დეკორატიულ პლასტიკაზე დამოკიდებული არქიტექტურის ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედება ადამიანზე. იგი შეიძლება იყოს მონუმენტური და დახვეწილი, დინამიური და ამაღელვებელი, თავშეკავებული და ლირიული, სახეიმო და უბრალო. დეკორი არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ ვერ მოხერხდეს მისი გააზრება და აღქმა და არც

იმდენად უბრალო, რომ მასში არ იყოს ჩადებული რაღაც იდუმალი. და ბოლოს გვინდა დავასრულოთ რაიტის სიტყვებით, იგი თანამედროვე არქიტექტურას უსვამს სამ კითხვას: რატომ არ შეიძლება გამოვიყენოთ ისტორიული ფორმები? რატომ არ შეიძლება გამოვიყენოთ დეკორაცია? რატომ უნდა განსაზღვროს ფუნქციამ ფორმა? ამ სამ კითხვაზე არ არსებობს დამაჯარებელი პასუხი, რადგან ისტორია – ეს საფუძველი და ფონია ახალი ნოვაციებისთვის, დეკორაცია ახალისებს ადამიანს და არქიტექტურაც უფრო ადამიანური ხდება. რაიტი თვლის, რომ თუ განვთავისუფლებით ტექნიკის დიქტატისგან წინ წამოიწევს ადამიანური ფასეულობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. А.Гутнов. “Мир Архитектуры” М. 1997
2. Ф.Л.Раит “Будущее Архитектуры” М 1960
3. А.А. Тиц Е.В. Воробьева Пластический язык архитектуры М 1986
4. Ч.Дженкс Язык архитектуры постмодернизма М 1985

Орнамент и архитектура

Нино Имнадзе

Грузинский технический университет, Тбилиси, ул. Костава 77.

В данной статье проанализована роль орнамента в поиске архитектурной формы.

Ornament and architecture

Nino Imnadze

Georgian Tecnikal University, Kostava st. 77, Tbilisi

The main aim of this article is to analyze an ornament role in search of the architectural form.

თბილისის სატრანსპორტო მაგისტრალებისა და კვანძების კატეგორიები და მათი განმსაზღვრელი ფაქტორები

ი. მურღულია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო)

1. შესავალი

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია ქალაქის ძირითადი მაგისტრალებისა და კვანძების ფუნქცია და ფუნქციის შესაბამისობა მათ კატეგორიასთან. ხშირ შემთხვევაში ფუნქცია და გაბარიტები შეუსაბამოა ერთმანეთთან, რაც გამოწვეულია მათი არაჯეროვანი გამოყენებით. შესაბამისად ქალაქს ასეთი მაგისტრალების სახით გააჩნია რესურსი შიდა რეაბილიტაციისა. კატეგორიებისა და გაბარიტების შეუსაბამობა არა მხოლოდ ქალაქის შიდა სატრანსპორტო მაგისტრალებზე, არამედ მთავარ გასასვლელებთან დაკავშირებითაც თვალსაჩინოა.

2. ძირითადი ნაწილი

- ქალაქის მთავარი შემოსასვლელები

არსებული მდგომარეობით ქალაქში არსებობს 16 შემოსასვლელი, სა-იდანაც 7 ფაქტიურად ჩიხურ ფუნქციას ასრულებს, ხოლო დანარჩენი სხვა-დასხვა მნიშვნელობის ტრანზიტული მაგისტრალეებია. სხვადასხვა შემოსას-ვლელების ფუნქციის, გაბარიტებისა და რეალური დატვირთვის ურთიერთშე-დარება წარმოჩენილია ცხრილში №1:

№	მიმართულება	ფუნქცია	გაბარიტები	დატვირთვა
1	საშური (დასავლეთის მიმართულება)	+++++++	+++++++	+++++++
2	მუხათგვერდი	+	++	+
3	სოფ. დიდომი => დიდგორი	+	+	+
4	სოფ. ლისი => მსხალდიდი	++	++	+++ (სეზ.)
5	ნაფეტგვრები	+	+	+
6	წყნეთი	+++	++	++++
7	კოჯრის გზა => მანგლისი	++++	++	+++++
8	თაბორი	-	-	-
9	კოდა => კუმისი	++	++++	++
10	რუსთავის გზატკეცილი	+++++	++(3+++++)	+++++
11	გარდაბნის გზატკეცილი	+	++	+
12	კახეთის გზატკეცილი	+++++	+++++++ (6++)	+++++
13	პატარა(დიდი) ლილო - შემოს. გზა	+	+	+
14	გლდანი => შემოსავლელი გზა	+	+	+
15	თიანეთის გზატკეცილი	+++	++++ (6++)	+++ (სეზ.)
16	აგჭალის გზატკეცილი	+++	+++++ (6++)	++++

შეიძლება ითქვას, რომ ქალაქში შემოსასვლელი გზების უმრავლესობისთვის ფუნქციური დატვირთვა და გაბარიტები არ შეესაბამება იმ ინტენსიურობას, რომელიც არსებული მდგომარეობით გვაქვს. კატეგორიისა და გაბარიტების შესაბამისობა უზრუნველყოფილია მხოლოდ **კახეთის გზატკეცილზე**, თუმცა ესაც მხოლოდ აეროპორტის გადასახვევამდე, რაც შესაძლოა დღეს არ ქმნიდეს დიდი პრობლემას გზის დარჩენილ მონაკვეთზე, მაგრამ მომავალში აუცილებლად იჩენს თავს. შესაბამისად, აეროპორტის გადასახვევიდა ლოჭინის ხიდამდე (ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში) და შემდგომ გურჯაანამდე (საგზაო დეპარტამენტის ბალანსზე მიკუთვნებული მონაკვეთი) დაგეგმილია ავტომაგისტრალის მშენებლობა I კატეგორიის შესაბამისად.

ადმაშენებლის ხეივნის გაბარიტებიც თითქმის შესაბამისობაშია კატეგორიის მოთხოვნასა და დატვირთულობასთან, მაგრამ ის ფაქტორი რომ მას არ გააჩნია მეორეხარისხოვანი, განაშენიანებისგან გამმიჯნავი გზა, არ იძლევა მისი სტანდარტებთან მოყვანის საშუალებას.

კარდინალურად განსხვავებული მდგომარეობაა **რუსთავის გზატკეცილთან** მიმართებაში. იმის გათვალისწინებით რომ რუსთავმა ბოლო ოცი წლის

განმავლობაში დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქცია და შესაბამისად შესუსტდა მისი როლი თბილისის „აგლომერაციაში“, ამ მიმართულებაზე დატვირთვაც მინიმუმამდე დაეცა. ბოლო წლებში რუსთავემა მინიმალურად მაგრამ მაინც აღიდგინა მიზიდვის ცენტრის სტატუსი, რაც აშკარად დაეტყო თბილისთან მიმოსვლის ინტენსიურობასა და შესაბამისად საქალაქთაშორისო მაგისტრალსაც, რომელიც თავისი გაბარიტებით აშკარად ჩამოუვარდება კატეგორიას. ვინაიდან ქლაქებს შორის კავშირების სატრანსპორტო და ფუნქციონალური ერთმანეთის პროპორციულია თვალსაჩინოა, რომ აუცილებელია ამ მნიშვნელოვანი მაგისტრალის კატეგორიის ხვედრით გაბარიტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რასთან დაკავშირებითაც უკვე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

მთავარ გასასვლელებს შორის ყველაზე სავალალო მდგომარეობაა **თიანეთის და გარდაბნის გზატკეცილებზე**. თუკი თიანეთის გზატკეცილზე მოძრაობის ინტენსიურობა დამოკიდებულია წელიწადის პერიოდებზე (ზაფხულის პერიოდში აქტიურდება), გარდაბნის გზატკეცილი მთლიანად ამოვარდნილია საერთო საქალაქო მომსახურებიდან. ამის მიზეზად შესაძლოა ის ჩაითვალოს, რომ გარდაბნის გზატკეცილი არ არის სრულყოფილად დაკავშირებული ქალაქის ძირითად სატრანსპორტო ქსელთან (მოსკოვის გამზირი).

აგჯალის გზატკეცილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე მაგისტრალია, ვინაიდან მისი სიგანე გზის 90%-ში სრულიად საკმარისია სრულფასოვანი საქალაქთაშორისო მაგისტრალის მოსაწყობად განაშენიანების ფარგლებშიც კი. ამ მონაკვეთზე მინიმალური სიგანე შეადგენს 24 მეტრს, თუმცა დასავლეთის მთავარ მაგისტრალთან შესაერთებლად ამ 5 კილომეტრიან მაგისტრალს 500 მეტრიანი მონაკვეთი (ბარისახოს ვიწრო ქუჩა) აშორებს. რეალურად, ამ ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში შესაძლებელია აღმაშენებლის ხეივნის ალტერნატიული გასასვლელის შექმნა, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც რობაქიძის გამზირისა და აღმაშენებლის გადაკვეთაზე არსებული კვანძის განსატვირთავად, ასევე მთლიანად მარცხენა სანაპიროდან მარჯვენა სანაპიროსთან დამაკავშირებელი მაგისტრალების განტვირთვის საკითხში.

მეორე ხარისხოვანი გასასვლელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **წყნეთისა და კოჯრის მიმართულებები**. ამ მიმართულებებით ქალაქის ურბანული სივცის განვითარებამ წინა პლანზე გადმოწია სატრანსპორტო მომსახურების საკითხი. პრობლემას ამძაფრებს ის მომენტი, რომ წყნეთი, წავკისი, ტაბახმელა, კოჯორი, ოქროყანა და სხვა მსგავსი სააგარაკე სოფლები (დაბები) თბილისიდან საკმაოდ მაღლაა განთავსებული და მათთან მისასვლელი გზები, როგორც წესი სერპანტინებით არის მოწყობილი. გარდა სააგარაკე ფუნქციისა, ბოლო წლებში, ამ სატელიტებმა პრესტიჟული საცხოვრებლის ფუნქციაც შეიძინეს, რაც მიზეზი გახდა თბილისთან ყოველდღიური, ინტენსიური კავშირისა. შესაბამისად სწრაფად გაიზარდა მოძრაობის ინტენსიურობა, რაც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდშია პრობლემატური. ორივე მიმართულებით სამანქანო გზა 2 ზოლიანია, რაც აშკარად ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნას და საზონურად საცობების მიზეზი ხდება.


საინტერესოა აგრეთვე **კოდა-კუმისი-მარნეულის მიმართულება**, რომელიც მიუხედავად დიდი პოტენციალისა ფაქტიურად არ არის ათვისებული არ თავისი კატეგორიის და არც გაბარიტების შესაბამისად.

დანარჩენი მიმართულებები (**მუხათგვერდი, სოფ. დიდომი-დიდგორი, ნაფეტვრები, თაბორი, პატარა(დიდი) ლილო-შემოსავლელი გზა, გლდანი-შემოსავლელი გზა**) ფაქტიურად ნომინალური დატვირთვით მუშაობს და ვერა-

ნაირ გავლენას ვერ ახდენს დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემაზე, თუმცა მათგანაც გამოსარჩევია სოფელი ლისი-მსხალდიდის მიმართულება, რომლის პოტენციალიც ყოველწლიურად იზრდება სააგარაკო ფუნქციის განვითარებასთან ერთად.

გამომდინარე იქედან, რომ უდიდესი დატვირთვა გადანაწილებულია დავით აღმაშენებლის ხეივანსა და კახეთის გზატკეცილზე, ბუნებრივია ქალაქის ძირითადი მაგისტრალების სწორედ ამ მონაკვეთებთან კავშირებში ხდება სატრანსპორტო პრობლემების წარმოქმნა, კერძოდ:

- სატრანსპორტო მოედანი დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარედ (სამწუხაროდ ამ მოედანს სახელი არ გააჩნია), განსაკუთრებული მნიშვნელობის კვანძია ქალაქისთვის, რადგანაც ქალაქიდან გამავალი და შემომავალი ტრანსპორტის უდიდესი წილი სწორედ ამ კვანძით სარგებლობს. ყველა გენერალური გეგმით მოცემული კვანძის გადაწყვეტა დაგეგმილი იყო ორ დონეში. მოცემული კვანძი მუდმივად მაღალი ინტენსიურობის დატვირთვის ქვეშ მუშაობს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აღმაშენებლის ხეივნის, მარშალ გელოვანის გამზირისა და რობაქიძის გამზირის გამტარუნარიანობაზე. მისასაღებელია რომ 2011 წლიდან დაიწყო ორდონიანი კვანძის პროექტის გან-ხორციელება მოცემულ მონაკვეთზე.
- მეორეს მხრივ პრობლემატური მონაკვეთია აღმოსავლეთის კახეთის მიმართულება. ამ შემთხვევაში ყველაზე რთული მონაკვეთია ქეთევან წამებულის გამზირი (და არა ქალაქიდან გასასვლელი) რადგანაც ამ მიმართულების 90% სწორედ ამ მაგისტრალზე იყრის თავს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთის მიმართულებით მოძრაობა არც თუ ისე მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა, დიდ როლს თამაშობს ამ პრობლემის წარმოქმნაში ის საძილე უბნები რომლებიც კახეთის გზატკეცილის ჩრდილოეთითაა განთავსებული (ვაზისუბანი, ვარკეთილი, „მეტრომშენი“ და ა.შ.). სამწუხაროდ თავისი შესაძლებლობების შესაბამისად არ ფუნქციონირებს ქეთევან წამებულის ქუჩის ძირითადი ალტერნატივა სანაპირო ზოლი (მეტეხის გვირაბი), თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებასთან ერთად თუ მოხდება მისი ლოგიკური გაგრძელების მონახვა (იგულისხმება იალბუჯის ქუჩის რეკონსტრუქცია), გონივრული პერსპექტივის გათვალისწინებით შესაძლოა მეტრო ავლაბრის წინ მდებარე მოედნის რთული მდგომარეობის განმუხვების პირობა გახდეს



ქალაქში შემოსასვლელი მაგისტრალები

- **საქალაქო მნიშვნელობის ქუჩები**

გამომდინარე იქედან, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ქალაქის სატრანსპორტო ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით არანაირი პროგრესი არ არსებობდა, ხოლო სატრანსპორტო ქსელთან დაკავშირებული კვლევები და შესაბამისი დოკუმენტაციების შექმნა არ ხორციელდებოდა ჯეროვნად, დღეისთვის ფაქტიურად არ არსებობს დოკუმენტი რომელიც აღწერს ქალაქის სატრანსპორტო მაგისტრალების კლასიფიკაციას. ამასთანავე წლების განმავლობაში სხვადასხვა სამსახურებს შორის არაკოორდინირებული მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა კატეგორიების სხვადასხვა ინტერპრეტაცია და კლასიფიკაცია. სრულიად განსხვავებულია საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული სისტემა და თბილისისთვის სხვადასხვა ორგანიზაციების მიღებული სქემები (კეთილმოწყობის სამსახური, არქიტექტურის სამსახური, საგზაო დეპარტამენტი, ძველი გენგეგმა და ა.შ.). ეს საკითხი დამატებით კვლევასა, შესწავლას და კლასიფიცირებას საჭიროებს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა შესაძლებელია ამა თუ იმ ქუჩისთვის განისაზღვროს ფუნქციური დატვირთვის, გამტარუნარიანობის, გაბარიტებისა და დატვირთულობის (მოძრაობის ინტენსიურობისა და სიმჭიდროვის) შესაბამისობა. სამწუხაროდ ამ ეტაპზე არ არსებობს ქალაქში მობილურობის ამსახველი ინფორმაცია და დაყრდნობა შესაძლებელია მხოლოდ 2008 წელს ჩატარებულ, რამოდენიმე ქუჩის ინტენსიურობის შესახებ ინფორმაციაზე და არსებულ გაბარიტებზე. ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია არასრულყოფილია, რადგანაც შეუძლებელია სიმჭიდროვის (ავტ-ერთ/კმ) შესახებ ინფორმაციის გარეშე ინტენსიურობაზე მსჯელობა (ავტ-ერთ/სთ). ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ფონზე, რომ თბილისის სატრანსპორტო კვანძების გამტარუნარიანობა არ არის ჯეროვნად გამოყენებული და მხოლოდ ორგანიზაციული მეთოდებით შესაძლებელია მათი აუთვისებელი რესურსის გამოყენება. უმთავრესი განმსაზღვრელი ქსელის გამტარუნარიანობისა სწორედ კვანძის გამტარუნარიანობაა, ვინაიდან ერთ სამოძრაო ზოლს თეორიულად 50-კმ/სთ-იანი შეზღუდვის პირობებში დაახლოებით 1800 ავტ-ერთ/სთ-ში გატარება შეუძლია, მაშინ როცა საშუალოდ კვანძისთვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ნახევრდება.

ერთი შეხედვით თბილისის ყველა ქუჩა მაქსიმალურად არის დატვირთული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, თუმცა ხშირ შემთხვევაში კატეგორია, გაბარიტების და დატვირთულობა არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან.

ბევრი კაპიტალური ქუჩა გამოიყენება სატრანზიტო მოძრაობისთვის მაშინ როცა არც მათი გაბარიტები იძლევა ამის საშუალებას და არც კატეგორია, მაგალითისთვის:

- ჭოველიძის ქ. – ბარნოვის ქუჩის ვერა-მთაწმინდის მონაკვეთი, სადაც თავს იყრის ქალაქის ცენტრიდან ვაკის მიმართულებით და პირიქით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები.
- დოლიძე-ბუხაიძე-ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩები და ხილიანი-ჭავჭავაძის I ჩიხი საიდანაც ხორციელდება ვაკისა და საბურთალოს კავშირი მზიურის გავლით. ეს ტრანზიტული მოძრაობა საცხოვრებელი სახლების ეზოების გამოყენებითა და 5,5 მეტრიანი ქუჩის გავლით ხორციელდება
- კარგარეთელი-კონსტიტუციის-ივ.ჯავახიშვილის-კლდიაშვილის ქუჩები რომლითაც მარჯვენა სანაპიროსა და დიდუბე-ჩუღურეთის დიდი ნაწილი უკავშირდება რკინიგზის ჩრდილოეთით განთავსებულ უბნებს;
- კ. ლესელიძისა და ლ. ასათიანის ქუჩები რომლებიც აკავშირებს ცენტრს სანაპირო ზოლთან;
- ასათიანის, ქიქოძე, ლერმონტოვი, იაშვილის ქუჩები რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ქალაქის სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით გასვლა;
- ნიკოლაძისა და ახვლედიანის ქუჩები;
-

რა თქმა უნდა, კაპიტალური ქუჩების როლი საკმაოდ დიდია საერთო ქსელის ქმედითუნარიანობაში, თუმცა მათი გამოყენება ტრანზიტული ფუნქციით წინააღმდეგობაშია ყველა ურბანულ პრინციპთან.

აგრეთვე, ხშირია შემთხვევები, როდესაც რეალურად მაგისტრალი ტრანზიტული, საქალაქო მნიშვნელობის ქუჩაა, თუმცა გაბარიტები აშკარად არ იძლევა ამის საშუალებას, მაგალითისთვის:

- ნუცუბიდის ქუჩა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელია ქალაქსა და ნუცუბიდის I, II-IV, III და V პლატოებს შორის მხოლოდ ორი სამოძრაო ზოლის მოწყობის საშუალებას იძლევა, რაც აშკარად ვერ აკმაყოფილებს რეალურ მოთხოვნას.
- რამოდენიმე ვიწრო ყელი სანაპირო მაგისტრალზე – მშრალი ხიდის ჩრდილოეთით მარჯვენა სანაპიროზე, სადაც ფაქტიურად 3 ზოლია ორივე მიმართულებაზე ერთად, ძველი ხიდების ქვეშ გასასვლელი მონაკვეთები...
- გაგარინის ქუჩა – ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელი საბურთალოსა და სანაპირო მაგისტრალს შორის.
- შეშელიძის ქუჩა, რომელიც გლდანსა და მუხიანს აკავშირებს ქალაქთან.
- იაღბუხის ქუჩა სანაპიროსა და ქეთევან წამებულის ქუჩის კავშირი.
-

არსებობს აგრეთვე ისეთი ქუჩები, რომელთა გაბარიტები გაცილებით აღემატება რეალურ მოთხოვნებს. ხშირად ამის მიზეზი მოძრაობის არასწორი ორგანიზაცია, ან დაუსრულებელი პროექტებია, ასე მაგალითად:

- 20 მეტრიანი დამაკავშირებელი გზა ნუცუბიდის II-IV და III კვარტლებს შორის, რომლის მაქსიმალური დატვირთვისთვის ორ-ორი ზოლი ორივე მიმართულებით სრულიად საკმარისი იქნებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მონაკვეთი ინტენსიფიკაციის ქუჩის ნაწილი გახდა, შესაძლოა ნაწილობრივ გამართლებულიცაა მისი გაბარიტები (პროექტით ინტენსიფიკაციის ქუჩა მხოლოდ 14 მეტრია სიგანეში) სამომავლო პერსპექტივებისთვის (შესაძლოა თითო-თითო ზოლის დათმობა პარკინგისთვის);
- ხიზანიშვილის ქუჩა, რომლის მხოლოდ 10%-ია არა მხოლოდ დატვირთული, არამედ ხშირ შემთხვევაში გადატვირთულიც კი, ხოლო დანარჩენი ქუჩა ფაქტიურად დაუტვირთავია, რაც გამოწვეულია ქაოტურად განვითარებული საზოგადოებრივი თავშეყრის ცენტრით მეტროსადგურ ახმეტელის მიმდებარედ. ქუჩის ზედა ნაწილის მინიმალური დატვირთვა (გზა 3 ზოლიანია ცალი მიმართულებით), გამოწვეულია იმით რომ პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა ვერ ფუნქციონირებს გამყოფი ზოლის მთელ სიგრძეზე, რაც არასწორი მართვის მიზეზით ხდება.
- გოთუას ქუჩა, რომელიც ვერ ჩამოყალიბდა კარკასის ნაწილად მიუხედავად მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობისა და გაბარიტებისა.
- სანდრო ეულის ქუჩა, რომელიც თავის გაბარიტებთან შედარებით მინიმალურად არის დატვირთული.
-

ყოველივე ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე აუცილებელია ქუჩათა ხელახალი კლასიფიკაცია, კატეგორიების დადგენა და მათი პერსპექტიული გაბარიტებისა და ფუნქციების განსაზღვრა. ამასთანავე ქუჩათა გამტარუნარიანობის არაჯეროვანი გამოყენების აღმოსაფხვრელად მოძრაობის რეორგანიზაციის სქემის შედგენა (ოპტიმიზაცია, მოდელირება და ა.შ.).

• საქალაქო მნიშვნელობის კვანძები

ამა თუ იმ ქუჩის გამტარუნარიანობასა და პერსპექტივებზე მსჯელობა აუცილებელია კომპლექსურად, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია სატრანსპორტო კვანძებს.


კვანძების ტიპები ქალაქში მრავალფეროვანია, რაც დამოკიდებულია ჩამოყალიბების პერიოდზე, ფუნქციაზე, რელიეფზე და ა.შ.


გამომდინარე იქედან, რომ ძირითადი პრობლემატური მონაკვეთები განთავსებულია XX საუკუნის 50-იან წლებამდე ჩამოყალიბებულ უბნებში, უმეტეს წილად სატრანსპორტო მოძრაობა ორგანიზებულია შუქნიშნით.

სამწუხაროდ, არსებული მდგომარეობით ყველა კვანძი დამოუკიდებელ მართვის აპარატზეა მიერთებული, რაც არ იძლევა კოორდინაციის საშუალებას. ამასთანავე, ყველა საშუქნიშნე კვანძი მუშაობს დღის 1 ციკლიან რეჟიმში, რაც არ იძლევა კვანძის გამტარუნარიანობის ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას.

ქალაქში არ არსებობს „მწვანე ტალღის“ პრეცედენტი, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე მომიჯნავე შუქნიშნის ამ რეჟიმში მუშაობას (გამსახურდია-ბულაჩაური-ყაზბეგი-ვაჟა-ფშაველა, მეტროსადგური „ისანის“ მიმდებარე ტერიტორია, გაგარინს მოედანი...). შესაბამისად, ისეთ მაგისტრალებზე, სადაც განსაკუთრებით იოლია „მწვანე ტალღის“ ორგანიზება (ვაჟა-ფშაველას გამზ. აღ. ყაზბეგის გამზირი, მელიქიშვილის ქ.), ფაქტიურად განახევრებულია გამტარუნარიანობა.

გამომდინარე იქედან, რომ ქალაქში მიზიდვის ცენტრები ქალტურად არის გაბნეული, ხოლო სამუშაო საათები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რეალურად შეუძლებელია პიკი საათის განსაზღვრა, რაც დიაგრამაზე აშკარად შეგვიძლია დავინახოთ:





აშკარაა, რომ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ერთ-ერთ უმთავრეს მაგისტრალზე პიკი საათების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან დიაგრამებზე შავად ნაჩვენები ნორმალური გრაფიკის ნაცვლად, ინტენსიურობის ზრდა და კლება უსისტემოდ მიმდინარეობს. თავისთავად ის ფაქტი რომ არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პიკი საათი დადებითად მოქმედებს კვანძებისა და ქუჩების გამტარუნარიანობაზე, რადგანაც ინტენსიურობის გადანაწილება ხდება დროის უფრო დიდ მონაკვეთზე ვიდრე საანგარიშო პერიოდია, მაგრამ სტაბილური გარემოს ჩამოყალიბების პარალელურად პიკი საათის პერიოდიც დაიკლებს, რაც რა თქმა უნდა სატრანსპორტო ქსელის პრობლემებზე ნეგატიურად აისახება.

3. რეზიუმე

მოცემული სტატია ეძღვნება ქ. თბილისის სატრანსპორტო ქსელის კლასიფიკაციას. კვლევის ყველა პუნქტი ადასტურებს, რომ საჭიროა ქალაქისთვის დადგინდეს სატრანსპორტო მაგისტრალების, მოედნების, კვანძებისა და გზების კატეგორიები. პრინციპად აღებულია საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ითვალისწინებს, როგორც ფუნქციასა და გაბარიტებს, ასევე მის რეალურ როლსა და პერსპექტივებს. ნაშრომში დაზუსტებულია ის ქუჩები, რომლებიც შეუსაბამობაშია ფუნქციურად—გაბარიტებთან ან გაბარიტებით—პერსპექტივასთან მიმართებაში. ამასთანავე, გამახვილებულია ყურადღება პიკი საათის არაორდინალურ გრაფიკზე და მის პერსპექტივებზე.

ლიტერატურა

1. დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა. *ქალაქ თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება 6-17 (2009 წლის 5 ივნისი)*.
2. თბილისის ურბანული განვითარების შეჯერებული კონცეფცია (*თბილისი 2005*).
3. საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“.

Categories of the transport trunks and junctions, and its determining factors

Irakli Murghulia

(Georgian Technical University, Georgia, Tbilisi, M. Kostava st. 77, 0175)

Present article discusses classification of the transport network of Tbilisi city. All topics of the current study show that determination of the categories of transport trunks, squares, junctions and roads is necessary. The main principle for the future classification is based on the international standards, which regards function, dimensions, real role and perspectives of the roads. There are determined the streets, where their functions are inadequate to dimensions; or dimensions are inadequate to perspectives. Also, the article discusses the unordinary diagram of the rush hour and its perspectives

Категории транспортных магистралей и узлов г.Тбилиси и их определяющие факторы

И. Мургулия

(Грузинский Технический университет, ул. М.Костава №77, 0175 Тбилиси, Грузия)

Цель статьи – классификация транспортной сети г.Тбилиси. Все пункты исследования подтверждают, что необходимо установить категории транспортных магистралей, площадей, узлов и дорог. Принципы основаны на международных стандартах, которые предусматривают как функции и габариты, так и роль и перспективы. В статье уточнены улицы, несоответствующие функционально к габаритам или габаритам

ტრადიცია და არქიტექტურა

*მაია ძიძიგური, დავით იოსებოძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
კოსტავას 77, თბილისი, საქართველო*

„ტრადიცია თავისთავად ვერ იქნება შემოქმედების მამოძრავებელი ძალა, მაგრამ მასში ყოველთვისაა ჩადებული შემოქმედების სტიმულირების შესაძლებლობა“

კენო ტანგე

ტრადიცია არქიტექტურაში – ეს თემა მუდმივი განსჯის საგნადაა ქცეული არქიტექტურის ისტორიაში. ტრადიციულის უარყოფა სიახლის დანერგვით, უტოპიური აზროვნებით ისევ იცვლება ტრადიციებისკენ მობრუნებით. ნოვაცია მომავალში უკვე წარსულად იქცევა და ამდენად ისიც რეტროსპექტულ ასპექტში განიხილება და ასეა მუდამ.

გავიხსენოთ რენესანსის დროს როგორ უარყვეს გოტიკური არქიტექტურა. აღორძინების ხანის არქიტექტორებმა გოტიკა ბარბაროსულად მიიჩნიეს, რაც ამ სტილისთვის მათ მიერ შერჩეულ სახელში გამოხატეს და დახვეწილი არქიტექტურული ენის ძიება დაიწყო, რისი საფუძველიც ანტიკურ ხელოვნებაში ჰპოვეს. აღორძინების შემდეგ კი ბაროკოსა და კლასიციზმის

ოსტატებმა სრულიად ახლებური უღერადობა შესძინეს ორდერულ არქიტექტურას.

ეს მონაცვლეობა არ არის მხოლოდ მარტივი პროცესი, რომლის მიზანი გარეგნულად ერთი სტილის მეორით შეცვლაა; მსოფლმხედველობრივი, სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები ბევრად განაპირობებს ასეთი სახის ცვლილებებს. არქიტექტურა ხომ ყველაზე მგრძობიარეა გარე ფაქტორების მიმართ. ყველა შემთხვევაში ნაცნობი არქიტექტურული ფორმები ახალ სიცოცხლეს იძენდნენ ახალ ეპოქაში თუ ცალკეულ ნაგებობაში ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციო-კულტურული გარემოს შესაბამისად.

ტრადიციული არქიტექტურის გამოყენების პრობლემა არქიტექტურული ნაწარმოების მხატვრულად დამუშავების საკითხს უკავშირდება, რაც სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთზე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომით წყდება. მდიდარი დეკორატიული სტილის მიმდევარი XXს-ის II ნახევრის არქიტექტორი მორის ლაპიდუსი, (მაიამი-ბიჩში სასტუმრო „ფონტენბლოს“, ნიუ-იორკში სასტუმრო „სმიტის“ ავტორი) კატეგორიულად არ იზიარებს სტერილურ, ცივ, გაშიშვლებულ არქიტექტურას. მისი აზრით არქიტექტურამ უნდა აღაფრთოვანოს ადამიანი, შემოიტანოს მომხიბვლელობის ელემენტი, რასაც მხატვრული დამუშავება განაპირობებს. „მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე არქიტექტურა იმ ფორმებში, როგორც ის ჩამოყალიბდა 1940-50-იან წლებში, რიგითი ადამიანისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა ელიტაში აღფრთოვანება გამოიწვია. თანამედროვე არქიტექტურა რიგით ადამიანს გულცივს ტოვებს, ვიზუალურად არაფრით არ აღაფრთოვანებს მას, ვინც ცხოვრობს და მუშაობს ახალ შენობებში და ცდილობს ისიამოვნოს ამ ნაგებობებით. მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ უკანასკნელ დროს შეიძინევა რადიკალური ცვლილებები ამ მიმართულებით – სწრაფვა ე.წ. „ახალი სენსუალიზმისაკენ“, ემოციური გამომხატველობის და დინამიურობის, ემოციური აღქმის გათვალისწინებისკენ“. – წერს იგი [50:32]. მისი აზრით სილამაზის სიყვარული ადამიანის პირველყოფილი გრძნობაა და ეს უარყვეს „თანამედროვეებმა“, რამაც კრიზისამდე მიიყვანა დიდ ნოვატორთა მიერ დამკვიდრებული არქიტექტურა.

ქართულ ტრადიციულ არქიტექტურაში, ეს იქნებოდა საკულტო ნაგებობა, ტრადიციული საცხოვრებელი, ქვის თუ ხის ხუროთმოძღვრება, ყოველთვის იყენებდნენ დეკორს, რაც არქიტექტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და მის ემოციურ აღქმას მნიშვნელოვნად განაპირობებდა. მას სიმბოლური დატვირთვის გარდა, სტრუქტურული ნაწილების აქცენტირების ფუნქციაც ეკისრებოდა. საინტერესოა XXს-ის ცნობილი ქართველი არქიტექტორის არ. ქურდიანის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რაც კარგად ჩანს 70-იან წლებში მის მიერ ნათქვამ სიტყვებში: „...განვითარების ყოველ ეტაპზე ადამიანს ესაჭიროებოდა დეკორი არქიტექტურაში. რა თქმა უნდა კომპოზიცია, პროპორციები, კარგი მასალა, მაგრამ აუცილებელია დეკორიც“ [51:160]. არ. ქურდიანი დეკორს არ ახსენებს, როგორც არქიტექტურული ნაწარმოების სახეკმნილების მთავარ განმსაზღვრავ ფაქტორს, მაგრამ თავის ადგილს მიუჩენს იმ საერთო წინაპირობათა შორის, რომელთა ჰარმონიული ერთობლიობა საბოლოოდ ერთიან არქიტექტურულ-მხატვრულ ნაწარმოებს აყალიბებს. ბუნებრივია დეკორი ვერ იტვირთავს პირველად მნიშვნელობას ამა თუ იმ შენობის ემოციურ ზემოქმედებაში, თუ შესაბამისობაში არ იქნება მოყვანილი ყველა ის განმსაზღვრავი ფაქტორი, რაც არ. ქურდიანმა გაიხსენა. დეკორმა შეიძლება გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიუანსი შეიტანოს

არქიტექტურული ნაწარმოების ვიზუალურ მხარეში და შესაბამისად მის ემოციურ აღქმაში.

გავიხსენოთ მსოფლიო არქიტექტურის შედეგრი ათენის აკროპოლისი, ნაგებობების ორდერების, ფრიზების, კარნიზების, ფრონტონების ნატივი დამუშავების გარეშე მთელი სისრულით ვერ წარმოსდგებოდა ვერც ერთი მათგანი. ანსამბლის ჰარმონიულ, გაწონასწორებულ, დახვეწილ კომპოზიციაში თავისი წვლილი შეაქვს შენობათა ორგანულ ნაწილად ქცეულ სკულპტურულ თუ დეკორატიულ ხელოვნებას.

ანტიკური რომის არქიტექტურა, რომელიც მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში კონსტრუქციული სიახლეებითა და ნაგებობათა ახალი ტიპების შექმნით შევიდა, ასეც შეიძლება დახასიათდეს: იმპოზანტური, იმპერიის ფუფუნებისა და სიმდიდრის გამომხატველი. ასეთი არქიტექტურის, განსაკუთრებით ინტერიერების შექმნაში სწორედ არქიტექტურულ-მხატვრულმა დამუშავებამ შეიტანა დიდი წვლილი.

გოტიკური ტაძრის თავისებურება კონსტრუქციებისა და მხატვრული გამომსახველობის ხერხების ერთიან კომპოზიციაში ორგანული შერწყმით გამოიხატა. კონტრფორსების, არკუტანების, ნერვიურების, ქანდაკებისა და ვიტრაჟების ერთ ორგანიზმად ჩამოყალიბება, რაც არქიტექტურულ-მხატვრულ სახეშია გამოვლენილი, ზეამაღლებულ განწყობას, იდუმალი ძალებისადმი კრძაღვის ემოციას იწვევდა.

არქიტექტურული ნაწარმოების სრულიად თავისებური გადაწყვეტა შემოგვთავაზა გენიალურმა ესპანელმა არქიტექტორმა ანტონიო გაუდიმ. მან არქიტექტურული ორგანიზმის სასიცოცხლო ორგანოდ აქცია ყველა მხატვრული ელემენტი. მისი ნაწარმოებები ჩვეულებრივ კი არ საუბრობენ, აქ მთელი სიმფონია უღერს ქვაში.

XX ს.-ის 70-80-იან წლებში, ე.წ. ინტერნაციონალური სტილის „სტერილური“ არქიტექტურის საპასუხოდ, პოსტმოდერნისტთა შემოქმედებაში წინ იწევეს არქიტექტურული ნაწარმოების მხატვრული გამომსახველობის საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჩ. მურის შადრევანი იტალიის მოედანზე ნიუ-ორლეანში, რ. ლენგდონისა და ე. უილსონის პ. გეტის მუზეუმი მაღიბუში, ჰ. კოლაინის ვენეციის ბიენალე-80-ზე წარმოდგენილი პავილიონი და სხვ, თუმცა დღეს მათი ხედვა თანამედროვე არქიტექტურის პროგრესის გზაზე უკან გადადგმულ ნაბიჯადაა მიჩნეული და კრიტიკის სენადაა ქცეული.

ისტორიული არქიტექტურული სტილის ახლებურად გააზრების თვალსაზრისით ორიგინალურია მინორე იამასაკის პავილიონი „მეცნიერება აშშ-ში“ სიეტლის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მან ნეოგოტიკური კამარები წარმოადგინა. არქიტექტორმა გოტიკური ტაძრის კონსტრუქციული და იმაგდროულად ინტერიერის გამაფორმებელი ელემენტები, ნერვიურები, მათზე შეყენებული კამარებით გაშიშვლებული სახით ექსტერიერში მხატვრულად აამუშავა.

დავუბრუნდეთ შენობის მხატვრული დამუშავების საკითხის გადაწყვეტას ქართულ სინამდვილეში. ქართულ საკულტო არქიტექტურაში ტრადიციული ნიშან-თვისებებით შენობის დამუშავება ასეთი ემოციების ჩამოყალიბებას განაპირობებს: მშვიდი, ამაღლებული განწყობის შემქმნელი არქიტექტურა. ეს დახასიათება ესადაგება XX ს. დასაწყისში შექმნილ სათავადაზნაურო ბანკისა (ა. კალგინი) და სახელმწიფო მუზეუმის შენობების (ნ. სევეროვი) არქიტექტურას. ორივე შენობა დიდი ტაქტითაა დამუშავებული და მათი ავტორების ქართული არქიტექტურის ღირსებების ღრმა ცოდნაზე მიუთითებს.

ასევე აქტიურად მიმართავდნენ ტრადიციული, ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს XX ს-ის ხუროთმოძღვრები არ. ქურდიანი, გ. ლეჟავა და სხვ. ისინი თავიანთ საუკეთესო არქიტექტურულ ნაწარმოებებში დეკორის საშუალებით სასურველ მხატვრულ სახეს ანიჭებდნენ ნაგებობას და გამოკვეთავდნენ შენობის ფასადთა ტექტონიკას. დღევანდელი გადასახედიდან, თანამედროვე ტექნოლოგიების უსაზღვრო პროგრესისა და შესაძლებლობების ეპოქაში, რაც მძლავრად აისახება არქიტექტურაზე, ნეომოდერნიზმის გრანდების – ფრენკ გერის, ბერნარ ჩუმის, ჟან ნუველის, ზაჰა ჰადიდის, ტადო ანდოს, და სხვათა ავანგარდისტული, საოცრად ეგექტური შემოქმედების ფონზე შეიძლება მიამიტურად ვღერდეს საუბარი ტრადიციებსა და შენობის ესთეტიკის ზოგიერთ მხატვრულ ხერხზე, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არქიტექტურა არ იქმნება მხოლოდ განსწავლული ელიტისთვის, არამედ რიგითი მომხმარებლისთვის, რომელსაც მისთვის გასაგებ ენაზე ამეტყველებული გარემო ესაჭიროება. ამგვარი გარემოს შექმნის სტიმულად კი სწორედ ტრადიცია შეიძლება იქცეს, მით უმეტეს ქართულ რეალობაში, სადაც ვერნაკულარული, რეგიონალური არქიტექტურის შესანიშნავი მაგალითები მოგვეპოვება.

ლიტერატურა:

1. К. Танге. Архитектура Японии, М.: Прогресс, 1975.
2. М.Лапидус. За эмоциональную выразительность в архитектуре, Диалог США №15, 1980.
3. მნათობი №5, ქუთაისი: საბჭოთა საქართველო, 1975.

Tadition and architecture

*M.Dzidziguri, D.Iosebidge.
Georgian Technical University
Kostava Str.77, Tbilisi, Georgia*

The importance and influence of tradition on the different periods of architecture is discussed on the example of the world and georgian reality.

Традиция и архитектура

*М. дзидзигური, Д.Иосебидзе.
Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77*

В статье рассмотрен вопрос о значении и влиянии традиции на архитектуру разных времён на примере обзора мировой и грузинской реальности.

Green architecture of Tbilisi

Tinatin Khimshiashvili

Art Academy

Faculty of architecture

Professor Doctor

Traditional architecture of Georgia, including dwelling as of village as well as of city, are the harmonious parts of environment. And the old part of city as if is written in landscape, which may not be said about the generation of contemporary architecture, which often abrogates harmonious of nature.

Location of initial building of c. Tbilisi mostly was conditioned by the character of landscape of situation and it is about good understanding of the meaning of conditions of nature by first inhabitant (there were ravines of rivers, acclivity, shore plain, rocky banks of Mtkvari, good protection from strong storms, there also were hot mineral springs, rich verdures). Greece always chose advantageous places and districts with beautiful landscapes, for building their cities, states (policies) ``

According to same principle and of course with the point of view of strategic, the place was chosen for building city Tbilisi.

Aerographical situation of c. Tbilisi stipulated specific of disposition of the whole city as well as its separated components.

Retrospective analysis of territorial development of c. Tbilisi

Transformation dynamics of green zones of c. Tbilisi

At the beginning c. Tbilisi was built from the right lap and afterwards began assimilation of the left side of river Mtkvari.

Location relief had the greatest influence on the organization of structure of planning of old dwelling districts, on which were depended situation of buildings, methods, tightness, stories and laying the streets with asphalt.

Gradual building of the laps of mountain and ravine, with correctly situated passages had good results on the point of view of airing and insulating of houses. As it seems in ancient era architects foreseen the combination of temperature of breeze with underlay inversions.

The old buildings were combined with environmental, natural area and expressed plasticity of relief. Many contemporaries of old Tbilisi indicated that building of steeps sides of city were arranged in such way that the roofs of houses situated below, were the yards of following houses. From these elementary, principles`` it seems that building was in interaction with relief of situation, and expressed its forms. One of the original decisions of city-buildings of old c. Tbilisi, were building traditions of houses of simple city-dwellers and nobles, on steeps, falls and even on the top of river. On this point of view houses reserved in old parts of city and balconies, which were built at the edge of ravine are very interesting. The pillars fastened in the steeps, hold hung balconies. From there is a wonderful sight. Such situation ensures good winnowing of house, especially in the evening of summer, which is possible with inversions of fresh air temperature.

Maximum using of originality of landscape and natural-climate conditions in planning and building of old city, were one of the main principles for architect's activities. Old streets of feudal Tbilisi were mainly situated along the river Mtkvari, which ensured winnowing the lowest parts of the city by the north-west winds, dominated in the ravine of Mtkvari.

In old building, jointly built tight streets were covered with long shadows; they kept of streets from hot rays and made good conditions for on foot walkers. Like in many hot climate cities, in old Tbilisi, the trees were planted along the tight streets.

Dwelling blocks of city, where even were a few green areas, ecological balance was preserved, due to wide gardens and big green territories which surrounded city.

Feudal era Tbilisi, in spite of tightness of buildings, lacking of internal block areas and intensive planting greenery, was not torn away and set off against nature. Environment, nature and sense of using them variously, were actively involved in life and accordingly in city architecture.

There are facts in some historical sources that old Tbilisi was surrounded by gardens and forests, which supported climate conformability; unfortunately it is not the same today.

French traveler, representative of trade house J.Sharden was writing: „ surrounding of Tbilisi are decorated with entertainment houses and beautiful gardens, where „ are a few orchards, in return for this there are many plants which adoring the gardens and spreads coolness and shadows.

The picture about the gardens of Tbilisi was painted in details by Vakhushti Bagrationi at the time of describing Tbilisi (in 1733). 11 gardens are mentioned by him, as within the bounds of city, as well as around it. At the time of invasion of Aga-Mahmad-Khan in 1795, with city the gardens, green plantations, fountains, water-pipes were also destroyed.

We have a map which was painted in 1800, according to it south-east of the city were mostly covered with gardens. The whole Sololak was covered by gardens of king and queen and from this square to south and north territory was laid out with Giorgi Bagrationi`s garden.

Deforestation of above mention gardens began in 1824, when the whole territory was transferred for building houses. As consul Gabma wrote in 1826, „ Irakli`s beautiful garden, famous with its north orchards and poplars, now is transferred for building new district“. Only two fragment remained from above mentioned gardens in district of old Sololaki : „ Gardens of Georgian kings“, In the district of Gelva-Khevi, was used as the base of building botanic garden, and also was used the part of garden of Giorgi XII (which we have to treat very carefully in order to preserve it for our future generation). New social-economical formations and especially capitalism by ruling private property on land characteristic to it, supports distraction of the gardens and building cities on these sections.

According to the interest of private proprietor, dwelling blocks, especially in the center parts of city, high revenue multi-stored buildings were built there, closed the main ways of so called winds of mountain-plain that occurs in the conditions of Tbilisi, which in the daylight moves up and at night down on the ravines and laps (especially on the left bank of Mtkvari).

Lacking transparent and wide streets, which are coming down straight to the river, on its both sides, prevented free flowing of cool stream from mountain-plain to the lowest point of city.

Doctor N. Toropova writes: „, general situation of the city is quite advantageous, it is built amphitheatrically in cave. This amphitheatre is crossed by Mtkvari as a great purifier pipe, constructed for flowing miasmas and dirtiness. Such situation would be more advantageous, if it wholly will be crossed by narrow and wide streets, toward two destinations, such that one of their parts will go in parallels of Golovini Avenue, and the others cross them, and go toward the river, it will be the best solution for ventilation of the city. If that will be done, none of the harmful evaporations, and no miasmas would manage to stay in city, because they will be flowing, without interruption till Mtkvari through wide and straight, diametrical streets and the winds will be collected that blows here so permanently by north winds.

Now we see quite opposite. The city as if was built in such way, not to let collected dirty air to go out of it. Even if there are straight streets, they are set against buildings which cross them, or they are in such parts, where any wind in the condition narrowness and croakiness, now only useless and dirty air is shaken in the city, which is saturated with every

kind of airs and evaporations, which have no way to go“. Then author summarizes and points out: „ In common the orthographical situation of the city is quite advantageous, if something spoils it, it is population themselves, which not only collected here where such settlement was not necessary , but it also closed exit with flow coming from ravine of Mtkvari and Aragvi, as well with miasma which occurs in the same place.

In these years, internal natural dominant of the town, river Mtkvari became sough, where mainly passed private enterprises.

It should be indicated that in Tbilisi, unlike other ordinary cities, enterprise units were built on its whole territory, at the same time unforeseen meteorological factors, without protecting sanitary measures, which had a great negative influence on the are condition of the city.

There were a few green plantations inside the city and its neighborhood; the laps of mountains that surrounded the city were lacking old rich forests. And also the banks of river Mtkvari were not cleaned.

Assimilating of new territories, ignoring growing influence on industrialization and biological environment of urbanization, certainly had negative influence on formation of environment area of c. Tbilisi, that cause abrogation of ecological balance and accordingly deterioration of conditions of city dwellers.

ძველი თბილისის მწვანე არქიტექტურა

*თინათინ ხიმშიაშვილი
თბილისის სამხატვრო აკადემია*

ქალაქ თბილისის განაშენიანების თავდაპირველ დაგეგმარებაში ასახული იყო ლანდშაფტური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებები. მთების ფერდობებისა და ხეობების საფესურებისებრი განაშენიანება იძლეოდა დადებით შედეგს აერაციის თვალსაზრისით. ქალაქის საცხოვრებელ კვარტალებში სადაც არსებობდნენ მცირე გამწვანებული ფართობები, ეკოლოგიურ წონასწორობას უზრუნველყოფდა, ქალაქის გარშემო არსებული დიდი ბაღები და უზარმაზარი გამწვანებული ტერიტორიები.

*Журнал издается по решению редакционно-издательского совета от 16 декабря 2010 года
(протокол №6)*

Редакционный совет:

Борис Имнадзе – ф. профессор, главный редактор

Теймураз Джагоднишвили – ф. профессор, заместитель редактора

Елизавета Козлова – ассоц. профессор, ответственный секретарь

Чингиз Бедалов, профессор

Константин Рамишвили, профессор, вице-президент АНО Грузии

Гоча Микиашвили, профессор, декан факультета архитектуры ГТУ

Анзор Шавгулидзе, ф. профессор

Зураб Чачхиани, ф. профессор

Елизавета Хахуташивили, ассоц. профессор

Леонид Джахаиа, ф. профессор, профессор, вице-президент АНО Грузии

Адрес редакции: Тбилиси, 0108, ул. Зандукели , 1

e-mail: boris151132@rambler.ru

адрес веб-страницы: <http://newsletters.gtu.ge>

Georgian Technical University

Board of Editors:

Boris Imnadze – PhD. – Chef-editor

Teimuraz Jagodnishvili – PhD. – Depuli editor

Elizabed Kozlova – Executive Secretary

Board Members, Professors:

Chingiz Bedalov

Konstantin Ramishvili

Gocha Mikiashvili

Anzor Shavgulidze

Zurab Chachkhiani

Elisabed Khakhutashvili

Leonid Djakhaia

ISSN №1512-102X

Adress: 1, Zandukeli Str., 0108, Tbilisi, Georgia

e-mail: *boris151132@rambler.ru*

web-said's adress: *http://newsletters.gtu.ge*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლება №1 (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე)

თბილისი 2011

გამომცემლობის რედაქტორი:

კორექტორები: ე. კოზლოვა

თ. მებუკე

თ. ბონდარენკო

კომპიუტერული დაკაბადონება:

რედაქცია: ბ. იმნაძე

თ. ჯაგოდნიშვილი

გადაეცა წარმოებას

ქაღალდის ზომა 1/8

ტირაჟი 500